ბიბლიოთეკა


# კვირის პალიტრა

32 გვ

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 34 (279) ◆ 21 – 27 აგვისტო, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




რამაზ კლიმიაშვილი

## ყოჩაღ, პუტინ! — სამარცხვინო, კორუმპირებულ რეჟიმს ასე უნდა ელაპარაკო...

– შევარდნაძე კაზინოების დახურვას ვერ გაბედავდა, უცხოეთიდან რომ არ ყოფილიყო მითითება...

– კაზინო უნდა იყოს მხოლოდ ბათუმში და ალბათ – სიღნაღში.

– ქვანია უკვე ცდილობს მაღალი იმიჯის შექმნას საზღვარგარეთ და კარგადაც გამოსდის... მაგრამ ჯერ შინ უნდა მოიპოვო პრესტიჟი. თუ ბიჭია, ადგეს და დაიცვას თავისი საპარლამენტო კომისია...

– საქართველოს კონსტიტუციას „ლათინურამერიკულს“ ვუწოდებ – არადა, პრეზიდენტმა ეს კონსტიტუციაც კი დაარღვია.

გვ.3

## ჩვენი ბავშვები ყველაზე მეტად კომპიუტერული თამაშებით ერთობიან

გვ.31

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

## ასე ბრუნდებოდნენ საქართველოში

მარტყოფიდან გადასახლებული 165 მხედარი სამშობლოსკენ მომავალ გზას დაადგა... მათ შორის უმრწემესი 12 წლის იოთამი იყო... ყუმის უდაბნოსთან წამოეწივნენ და ამოხოცეს ურჯულოებმა. პატარა მხედრის ხსოვნის უკვდავსაყოფად მისმა თანატოლმა ფერეიდნელებმა ერთი ლამაზი რიტუალი შემოიღეს. გვ.8-14

## ცემა-ტყეპით მართლმადიდებლობას ვერ დავიცავთ



თითქოს პოლიტიკურ ნიადაგზე მომხდარი დაპირისპირებები არ ჰყოფნიდა ჩვენს ხალხს და ახლა რელიგიური ნიშნით დაპირისპირებამ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაგვკიდა ერთმანეთს. გვ.5

„ეს ის ხალხია, რომელსაც 18 თვეა ხელფასი არ აუღია და არასოდეს მოშიებია...“ გვ.6




ფირმა „ბერმუხა“

ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


## ეს ხომ ნამდვილი ბარბაროსობაა!



– ეს ხომ ნამდვილი წამებაა!

– ეს ხომ სასაკლაოა. გვ.27

არადა, მათ ხომ ადამიანებთან ყოფნა უყვართ და ამასვე ასწავლიან თავიანთ პატარებს... ტკივილით დელფინებიც ხომ ადამიანებივით იტანჯებიან.

## „ღვთისმშობელი ცოდვილ დედამიწაზეა“

...ზეცად ამაღლებულმა მთელი ბრწყინვალებით ტახტზე მჯდომარე უფალი იხილა. გვ.25

...ერთადერთი სურვილი ჰქონდა – ღვთისმშობლისთვის მოეკრა თვალი.

... საოცარი მოგზაურობა ჰქონდა. როცა გაიღვიძა, ძველ ადგილას იყო. მთელი სიცოცხლე ეს მოგზაურობა შველოდა.

Sydney 2000

## სექტემბერში ქართველები სიდნეიში გაემგზავრებიან

გიორგი ასანიძე: მზადებისათვის შესანიშნავი პირობები გვაქვს – თუ ოლიმპიური მედლები ვერ მოვიპოვეთ, მხოლოდ ჩვენი ბრალი იქნება.

რუსუდან ხოფერიას (ბატუტზე მხტომელი) ერთადერთი პრობლემა შეიძლება მსაჯები გახდნენ – მსაჯობაში დიდი მაფია ტრიალებს. გვ.28



საკვირაო ტელე-კინოგიდი 21-27 აგვისტო გვ. 16-17



GT – პასუხი ყველა კითხვაზე!

## ვინ არის ეს?

გვ.21

საქართველოს ბაზარზე შემოსვლისათვის ნაბიჯს დგამს ახალი კომპანია...

## რას აღარ გაიგებ!

### შვილებს აჩენს, ყიდის და თავს ამით ირჩენს...

– 15 წელია, რაც გავთხოვდი. მას შემდეგ სულ ორსულად ვარ. გვ.7

– მწვანილი ან ყველი შეიძლება გაგიფუჭდეს და ვერ გაყიდო, ბავშვს კი უსათუოდ გაყიდი...

– პირველად იაფად, 1.000 დოლარად გავყიდე... ახლა ჭკუა ვისწავლე და ფასიც გავზარდე...

## სამხედრო თემაზე

## გადაარჩინეთ „კურსკი“

...რუსულმა ველიკოლუქსავულმა ამბიციებმა 118 მეზღვაური სასიკვდილოდ გაიმეტა.

...„კურსკი“ უახლესი საიდუმლო რაკეტა-ტორპედოს გამოცდას აწარმოებდა... რაკეტა სატორპედო აპარატში აფეთქდა.

...ექსპერტთა აზრით, საეჭვოა, „კურსკის“ ეკიპაჟიდან რომ ვინმე ცოცხალი იყოს.

გვ.2-9



ვ.პ.-მ დაინახა ჭოგრიტიანი ე.შ.

„Вот лиса, а! Якобы на запад смотрит, на самом деле - на север! А может на восток или юг? Ах, белая лиса, совсем меня запутал...“ გვ.31

ფოტოპალიტრა

ისტორია

## ქართველი მეკობრე კაპიტან ფლინტის თანამებრძოლი

დიდხანს დათარეშობდნენ ამერიკის ნაპირებთან „შავი წვერი“ და მისი ყაჩაღები... ლამის ყოველთვე იგზავნებოდა სამხედრო ძალა, მაგრამ მეკობრეები მოუხელთებელნი იყვნენ...

საბოლოო შეტაკებისას სიკვდილს თვალებში უყურებდნენ – მტრის ხომალდები ზედიზედ გამოჰყავდათ მწყობრიდან, გემბანზე მომხდურებს ხმალდახმალ ეკვეთნენ, არ დუმდებოდა ზარბაზანი. გემზე მთავარი კანონირი გახლდათ შალვა ჯორჯიელი, 33 წლის მამაცი, აზიელი მეზღვაური... გვ.10

Неделя · Коммерсантъ · Частная жизнь · Телохранитель · За рубежом · Московские новости · Newsweek · Общая газета · DER SPIEGEL · Комсомольская правда · Stern · Сегодня · Клюква · Известия · Труд · Совершенно секретно · Аргументы и факты · Иностранец · Figaro Magazine · Match · ТВ Парк · Лица · Огонёк · daily · Le Nouvel Observateur · Итоги

თქვენს გაზეთს მთელი საქართველო კითხულობს

## სქოული ტარიფს მომავალ წელსაც გაზრდის

1 სექტემბრიდან ელექტროენერგიის ტარიფი იზრდება, რის შესახებაც საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მაიქლ სქოული ქართულ მხარეს ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში ჩივილით დაემუქრა. საქართველოს ხელისუფლება კი საერთაშორისო სკანდალს მოერიდა...

1 სექტემბრიდან ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგია 9,7 თეთრი ეღირება! მოსახლეობის უმრავლესობა ამ ცნობას გულგრილად შეხვდა, რადგან უფულო ოჯახებისათვის აბსოლუტურად სულ ერთია, რა ეღირება კილოვატსაათი! — იგი მაინც გადახდისუუნარო იქნება კარგა ხანს... მაიქლ სქოული კი უკვე იმ გაზრდილი ტარიფის „კონტურებს" ანგარიშობს, რა ფასადაც მომავალ წელს გაყიდის კილოვატსაათ ელექტროენერგიას1 დიახ, აი-ეს-თელასი ტარიფს მომავალ წელსაც გაადიდებს.

## ყველაფერი „ჩვენი ბრალია"?!

უკიდურესად დაძაბულია ვითარება აფხაზეთში. ანტიქართული ორგანიზაცია „აიდგილარას" ერთ-ერთი ყოფილი ლიდერის და ამჟამად მოძრაობა „აღორძინების" თავმჯდომარის, ზურაბ აჩბას მკვლელობას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა სოხუმში. აჩბა და მისი „აღორძინება" ბოლო დროს გუდაუთაში, ოჩამჩირესა და სოხუმში მიტინგს მიტინგზე მართავდა ერთადერთი ლოზუნგით — გადამდგარიყო არძინბას ანტიხალხური კრიმინალური მთავრობა! ზურაბ აჩბას და მის პარტიას მომავალ, ე. წ. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში არძინბასა და მისი კლანის სერიოზულ კონკურენტად მოიაზრებდნენ და, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ სოხუმის სანაპიროდან შინ მიმავალ აჩბას პირდაპირ ქუჩაში დაესხნენ თავს უცნობი პირები და დაცხრილეს!

მიუხედავად სეპარატისტული რეჟიმის განცხადებისა, რომ თითქოს აჩბას მკვლელობაში ქართველ პარტიზანებს აქვთ ხელი გასვრილი (არადა, აჩბა ბოლო ერთი წლის მანძილზე საჯაროდ აცხადებდა, აუცილებელია ქართველებთან საერთო ენის გამონახვაო...), სოხუმში ამის არავის სჯერა...

ჯერ კიდევ არ გაციებულიყო აჩბას ცხედარი, რომ რუსეთის სამშვიდობო ჯარების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ავტომანქანაში ჩაცხრილეს საბაჟო კომიტეტის თანამშრომელი ალბერტ ჩაჩხალია. ბუნებრივია, ამ მკვლელობაშიც ქართველ პარტიზანებს სდებენ ბრალს სოხუმელი „სამართალდამცავები"...

## ჩინელებს ქართული ღვინო მოსწონთ

აშშ-ში ხანგრძლივი და წარმატებული ვიზიტის შემდეგ, ასევე წარმატებული გამოდგა ზურაბ ჟვანიას ოფიციალური ვიზიტი ჩინეთშიც. პეკინში ჩინეთის ხელმძღვანელობასთან გამართული მოლაპარაკებისას, პოლიტიკურ საკითხებთან ერთად, განიხილეს რამდენიმე ერთობლივი ეკონომიკური პროგრამაც, შეეხნენ აბრეშუმის გზის პროექტის განხორციელების საკითხს. რუსეთისაგან განსხვავებით, ჩინეთის მთავრობა დათანხმდა იმ ვალის რესტრუქტურიზაციას, რომელიც საქართველოს ჩინეთისა მართებს. ჩინელები დიდ ინტერესს იჩენენ ქართული ღვინისადმი და მზად არიან, ჩინეთის უზარმაზარი ბაზარი დაუთმონ ჩვენს სამარკო ღვინოებს...

უახლოეს მომავალში, საქართველოში საპასუხო ვიზიტით ჩამოვა ჩინეთის პარლამენტის თავმჯდომარე ლე პენი!

## ქობალია თვითმკვლელობით იმუქრება

კვლავ დიდი ვნებათაღელვაა სამუდამო პატიმრობამისჯილ ლოთი ქობალიას ირგვლივ, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგია ხონის კოლონიაში მისი შესაძლო გადაყვანისა. ქობალია და მისი მომხრეები, ადვოკატები ამის მიზეზად მოსალოდნელ ტერაქტს ასახელებენ და ამტკიცებენ, რომ აკაკი ელიავას შემთხვევის მსგავსად, მზადდება თავდასხმა ქობალიას ფიზიკური ლიკვიდაციისათვის. ლოთი ქობალიამ საგანგებო განცხადებით მიმართა გივი ყვარელაშვილს, რომელშიც იუწყება, რომ ხონის კოლონიაში მისი იძულებითი გადაყვანის შემთხვევაში, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებს... ქობალია უკვე კატეგორიულად ითხოვს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანას, მაგრამ ამის აუცილებლობას სამედიცინო კომისია ვერ ხედავს. საგულისხმოა, რომ თავად ქობალია თითქოსდა მისი ფიზიკური ლიკვიდაციისათვის ხელისუფლების განზრახვას იმ მოტივით ხსნის, რომ იგი (ქობალია) კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ძალების სარდალია და ამით საფრთხე ექმნება შევარდნაძის რეჟიმს(!).

ამ განცხადების კომენტირებისას ირონიას ვერ ფარავდა ომბუდსმენი ნანა დევდარიანი, რომლის თქმითაც, ქობალიას სარდლობა კი არა, დღევანდელი ქართული შეიარაღებული ძალებიც კი არ წარმოადგენს რაიმე საფრთხეს ხელისუფლებისთვისო!




## „ყველა პროვოკაციის უკან რუსეთია"...

**(გეა)** „ის, რაც კოდორის ხეობაში ხდება, 14 წლის ბორის გვიჩიანის გატაცებასთან დაკავშირებით, დაუფარავი პროვოკაციაა, რათა აგორდეს კონფლიქტები ადგილობრივ მოსახლეობასა და სხვადასხვა გვარს შორის", — განაცხადა სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ. მისი აზრით, როგორც ყველა პროვოკაციის დროს, ისე ამ შემთხვევის უკანაც რუსეთი დგას. ნათაძის თქმით, რუსეთთან ერთად არიან აფხაზეთის თვითმარქვია და საქართველოს ხელისუფლებებიც. აქვე სახალხო ფრონტის ლიდერი აღნიშნულ შემთხვევასა და პანკისის ხეობაში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომლების მძევლად აყვანის ფაქტს შორის ავლებს პარალელს. „იქაც ყოფით დონეზე ხდებოდა კონფლიქტის პროვოცირება", — აღნიშნა მან. ნათაძე არ ეთანხმება მამუკა არეშიძის განცხადებას, თითქოს პანკისისხეობელი გამტაცებლები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ. მისივე განცხადებით, მათ შორის არც ერთი ქართველი არ არის.

## „ვის სჭირდება ასეთი მეცენატობა?!"

**(გეა)** დიმიტრი გულიას სახელობის ჰუმანიტარული კვლევების აფხაზური ინსტიტუტის დირექტორმა ვასილ ავიძბამ დიდი ბრიტანეთის ელჩს საქართველოში რიჩარდ ჯენკინსს ღია წერილით მიმართა, რომლის შინაარსიც სათაურში კარგად ჩანს: „ვის სჭირდება ასეთი მეცენატობა?!" აფხაზთა მეგობარი დიპლომატის მიმართ წერილის ავტორის „რისხვა" იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ დიდი ბრიტანეთის საელჩომ დააფინანსა თბილისში ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ინსტიტუტის მოღვაწეობა. ინსტიტუტს ზურაბ შენგელია ხელმძღვანელობს.

ავიძბა აღშფოთებულია აღნიშნული ინსტიტუტის მიერ ქართულ-აფხაზური სასაუბროს გამოშვებით. ამასთან, მისი განცხადებით, აქვე მზადდება „აფხაზური ენის სახელმწიფო სტატუსის პროგრამაც". „საეჭვოა, ვინმეს ახსოვდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი სახელმწიფოს წარმომადგენლები ამაღლებდნენ მეზობელი ხალხის ენის სტატუსს. ხალხის, რომლის სახელმწიფოც არ არის აღიარებული," — ნათქვამია წერილში. ავიძბას აზრით, რომ არა დიდი ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერა, ამგვარი პროგრამის განხორციელებას თბილისში არავინ მოკიდებდა ხელს. აფხაზური ინსტიტუტის ხელმძღვანელი ურჩევს ელჩს გაერკვეს, სად უნდა ხდებოდეს აფხაზური ენის სტატუსის ამაღლება — სოხუმში თუ თბილისში.

## მკვლელობა ქუთაისში

ქუთაისში საკუთარი ძმის დასაფლავებაზე რუსეთიდან ჩამოსული კანონიერი ქურდი მევლუდ ქებულაძე („დურუ") დაცხრილეს. პოლიციის ვერსიით, მკვლელობის მოტივი შურისძიება ან კლანებს შორის გავლენის სფეროთა გადანაწილების შედეგად წარმოქმნილი დაპირისპირება შეიძლება იყოს... ქებულაძეს აცალეს ძმის დასაფლავება და მეორე დღეს, გამთენიისას, სიმამრის ოჯახში მოუსწრაფეს სიცოცხლე!

## თბილისში თურქული და ჯილეხი არ გამოვლენილა

**(გეა)** ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციამ ეკოპოლიციის სამსახურთან ერთად ქალაქის ბაზრებიდან და გარევაჭრობის ტერიტორიებიდან 13 დასახელების მალფუჭებადი პროდუქტი ამოიღო. მათ შორის — 200 კგ ხორცი. აღნიშნული ინსპექციის უფროსმა ჯულული ახვლედიანმა განაცხადა, რომ ამოღებული ხორცი ორგანულ-ეპტოლოგიურად არ იყო კარგი და მისი ამოღება არ არის დაკავშირებული არც თურქულის და არც ჯილეხის დაავადებასთან.

ერთობლივ შემოწმებებს ბაზრობებსა და გარევაჭრობის ადგილებში აღნიშნული სამსახურები ისევ გააგრძელებენ. შემოწმდება დიდუბის, ისნის, სამგორის და გლდანის რაიონები.

## საქართველო თანახმაა

**(გეა)** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა ავთანდილ ნაფეტვარიძემ დაადასტურა საქართველოს ხელისუფლების თანხმობა ვაზიანის აეროდრომის დროებით რუსეთთან ერთად სარგებლობასთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, 2001 წლის 1 ივლისისათვის, როდესაც გატანილი იქნება ვაზიანის სამხედრო ბაზა, აეროდრომი გადავა საქართველოს საკუთრებაში. თუმცა, სანამ საქართველოს ტერიტორიაზე იარსებებს რუსეთის შეიარაღებული ძალები, მათ ექნებათ ამ აეროდრომის გამოყენების საშუალება ქართულ მხარესთან შეთანხმებით.

ქართულმა მხარემ ასევე თანხმობა განაცხადა რუსეთის წინადადებაზე გუდაუთის სამხედრო ბაზის სამშვიდობო ძალებისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემაზე. „სანამ აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის სამშვიდობო ძალები იქნება, საჭიროების მიხედვით მათ ბაზის ინფრასტრუქტურის ზოგიერთი შენობა-ნაგებობის გამოყენების უფლება ექნებათ", — აღნიშნა ნაფეტვარიძემ. მისივე თქმით, ყოველივე ეს დროებითი სარგებლობის პირობებში განისაზღვრება.

## ისევ „კურსკი"

კვირას, დღის 15 საათზე, ჩაძირულ წყალქვეშა ნავთან პირველად ჩავიდნენ ნორვეგიელი მაშველი მყვინთავები, რომლებმაც სპეციალური კამერებით გადაიღეს ავარიაგანცდილი ნავის კორპუსის მდგომარეობა და მე-9 ნაკვეთურს მძიმე ჩაქუჩები ურტყეს, რათა ნიშანი მიეცათ შიგმყოფებისათვის. სამწუხაროდ, მაშველებს საპასუხო ნიშანი არ მიუღიათ. როგორც ჩანს, მე-9 ნაკვეთურიც უკვე წყლითაა სავსე.

ყველაზე საოცარი და აღმაშფოთებელი ის არის, რომ როდესაც ინგლისელების სამაშველო ბატისკაფიანი გემი ავარიის ადგილს მიადგა, რუსმა სამხედროებმა დაახლოებით 7 საათის მანძილზე არ მიუშვეს ახლოს.

ნორვეგიელი მყვინთავები არკვევენ, საერთოდ ღირს კი ინგლისური ბატისკაფის ავარიის ადგილას ჩასვლა, რადგან ექსპერტთა აზრით, საეჭვოა „კურსკის" ეკიპაჟიდან რომ ვინმე ცოცხალი იყოს.

ნორვეგიელ მაშველებს დრო, ძირითადად, წნევათა გათანაბრებაში ეკარგებათ — სანამ მყვინთავი ფსკერზე დაეშვება, უნდა მოხდეს წნევის გათანაბრება როგორც იმ აპარატში, რომელშიც იგი იმყოფება, ასევე ზღვის ფსკერზეც. მაშველთა უკან დაბრუნების დროსაც იგივე პროცესი უნდა განმეორდეს. ამასთან, ზედაპირზე ამოსვლისთანავე, მყვინთავები დაუყოვნებლივ უნდა მოთავსდნენ ბაროკამერაში, რათა ატმოსფერული წნევის ცვლილების გამო, არ განუვითარდეთ კესონური ავადმყოფობა.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა სასწრაფოდ გამოიძახა „კურსკის" მთავარი კონსტრუქტორი. მათი საუბარი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

უცხოელ დამკვირვებელთა აზრით, კატასტროფის მთავარი მიზეზი მაინც იმ რაკეტა-ტორპედოს ავარია-აფეთქება უნდა იყოს, რომელიც ამ უკანასკნელის გაშვების დროს მოხდა (ვრცლად იხ. მე-9 გვ.)

**P.S.** რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ჩაძირულ წყალქვეშა ნავზე შეიძლება იმყოფებოდეს მესამე რანგის კაპიტანი, ქართველი ანდრეი სილაგავა, რომელიც „კურსკის" საბრძოლო ნაწილ-2-ის მეთაური იყო.

## ჩეჩნეთში წინასაარჩევნო კამპანია

**(რუსული პრესის მიხედვით)** ჩეჩნეთში გრძელდება წინასაარჩევნო კამპანია, რომელსაც თან ახლავს პოლიტიკურ-ტერორისტული ექსცესები. 18 აგვისტოს, დილით, გუდერმესში რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატობის კანდიდატის ისა იბრაგიმოვის სახლი ააფეთქეს.

ჩეჩნეთში არჩევნების ჩატარების იდეას სხვადასხვა დონის პოლიტიკური მოღვაწეები უარყოფითად აფასებენ. არჩევნების წინააღმდეგია მეზობელი ინგუშეთის პრეზიდენტი რუსლან აუშევიც.

## ტერაქტი ლატვიაში

**(რუსული პრესის მიხედვით)** ლატვიის დედაქალაქის ცენტრში მდებარე უნივერმაღი ტერორისტული აქტის ობიექტი შეიქნა. ოფიციალური ვერსიის თანახმად, 40-მდე ადამიანი დაიჭრა. ხალხის უმრავლესობას სმენა დაუზიანდა.

ტერაქტის მიზეზი, ჯერჯერობით, უცნობია. მიმდინარეობს გამოძიება.

## პრემია ქართველ მწერალს

**(რუსული პრესის მიხედვით)** გერმანელმა გამომცემელმა ჰუბერტ ბურდამ უკვე მეორედ გადასცა სტიპენდიები (2,5 ათასი დოლარი თითოეულს) აღმოსავლეთევროპელ სამ ახალგაზრდა პოეტს — უკრაინელ ნატალია ბელჩენკოს, გერმანიაში მცხოვრებ რუს პოეტს ოლგა მარტინოვას და ქართველ მწერალს ლევან ბერიძეს.

დაჯილდოების ცერემონიალი ქალაქ რეგენსბურგში ჩატარდა, სადაც ყოველწლიურად იმართება პოეტების შეხვედრები, სახელწოდებით „ჰერმან ლენცის პრიზი".

## დაუპატიჟებელი დალაი-ლამა

**(უცხოური პრესის მიხედვით)** გაერომ მსოფლიოს 100-ზე მეტ რელიგიურ ლიდერს მოსაწვევები გაუგზავნა და „ათასწლეულის მსოფლიო მშვიდობის სამიტზე" დაპატიჟა.

სამიტის მთავარი თემა რელიგიური ტოლერანტობის საკითხების განხილვა გახლავთ. ერთადერთი ცნობილი ლიდერი, რომელიც მოსაწვევის გარეშე დარჩა, დალაი-ლამაა. ეს ჩინეთის ზეწოლით მოხდა, რომელსაც ხელს არ აძლევს დალაი-ლამას გაეროში მოხვედრა. ამას საპროტესტო გამოსვლები და წერილები მოჰყვა. შედეგად, დალაი-ლამა სამიტზე დაპატიჟეს, თუმცა მხოლოდ სამიტის დახურვაზე. არც სიტყვით გამოსვლის უფლება დართეს გაეროს შენობაში. დალაი-ლამა სიტყვით სასტუმრო „ვალდორფ ასტორიაში" გამოვა. „საერთაშორისო ორგანიზაცია ტიბეტისათვის" თავმჯდომარის თქმით, მისი უწმინდესობისათვის ასეთი ნაწილობრივი მიწვევა, შეურაცხმყოფელია.

# „ყოჩაღ, პუტინ – სამარცხვინო კორუმპირებულ რეჟიმს ასე უნდა ელაპარაკო!"

ბარენცის ზღვაზე დატრიალებულმა დრამამ, შეიძლება ითქვას, მთლიანად შთანთქა იალტაში დსთ-ის ქვეყნების ლიდერთა ე.წ. უჰალსტუხო სამიტიც და მისი შედეგებიც, თუ შეიძლება საერთოდ რაიმე შედეგებზე საუბარი... თუმცა ერთი შედეგი საქართველომ, უფრო სწორად, მისმა ხელისუფლებამ მაინც მოიმკო: მართალია, პუტინმა შევარდნაძეს აღუთქვა, რომ ზუსტად განსაზღვრულ ვადებში გაიყვანს საქართველოდან ბაზებს, „აქტიურ მონაწილეობას" მიიღებს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში, რომელიც პუტინის თქმით, შორს აღარაა, მაგრამ იმავდროულად, რუსეთის პრეზიდენტმა დასვა რუსეთისადმი არსებული საქართველოს ვალების გადახდის დაწყების საკითხი, რასაც შევარდნაძე დაეთანხმა, თუმცა დღემდე ცნობილი იყო, რომ რუსეთი აპირებდა ამ ვალების რესტრუქტურიზაციას! ერთი სიტყვით, ამ საკითხზე მოლაპარაკებას ორი ქვეყნის ფინანსთა მინისტრები გააგრძელებენ. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და რუსეთი უკვე ფინანსურ-ეკონომიკური ბერკეტებით ცდილობს ბაზების გამო საქართველოზე ზეწოლას ან უბრალოდ, შურისძიებას. ამ ეტაპზე კი პუტინის განზრახვას სხვას ვერაფერს დავარქმევთ, რადგან ცნობილია, რომ რუსეთისადმი საქართველოს დავალიანება 179 მილიონი დოლარია და თუ რუსები არ შეცვლიან პოზიციას, მარტო მიმდინარე წელს საქართველოს მოსკოვისათვის გადასახდელი ექნება... 25 მილიონი დოლარი(!). ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით პოლიტოლოგ **რამაზ კლიმიაშვილს:**

— ვერავინ დამწამებს, რომ რაიმე სიმპათია მაქვს პუტინის მიმართ, მაგრამ მის მოთხოვნას შევარდნაძისადმი, ვალის გადახდასთან დაკავშირებით, აღფრთოვანებით შევხვდი! აი, ასე უნდა ელაპარაკო სამარცხვინო, კორუმპირებულ რეჟიმს... ყოჩაღ, პუტინ! დიახ, როდემდე შეიძლება, როგორც ცივილიზებულ ქვეყანას, ისე ელაპარაკონ საქართველოს? დღევანდელ მსოფლიოში ასეთ რეჟიმს ადგილი არ უნდა ჰქონდეს... ვიმეორებ, არანაირი სიმპათია პუტინისადმი არ მაქვს, მაგრამ მისი პოზიცია ამ შემთხვევაში, არის სწორი და იქნებ ამან გამოიღოს შედეგი... 10 წლის წინ სრულიად საქართველომ რეფერენდუმზე ხმა მისცა დამოუკიდებლობას, დღეს რომ რეფერენდუმი გაიმართოს, ჩვენი მოსახლეობის ნახევარზე მეტი ხმას მისცემს რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნებას! ეს არის ამ რეჟიმის დანაშაული... ამასთან, არ მჯერა, რომ ამ რეჟიმის ხელში მოგვარდება აფხაზეთის პრობლემა და პირდაპირ გეტყვით, არც არავის სჯერა აქაც და დასავლეთშიც...

**— დსთ-ის „პერსპექტივების" შესახებ თქვენ არაერთხელ გამოგითქვამთ უარყოფითი პოზიცია, მაგრამ თავისთავად ახლანდელი ე.წ. უჰალსტუხო სამიტი, დამეთანხმებით, მრავლისმთქმელია...**

— მართალი გითხრათ, მეგონა პუტინთან უჰალსტუხოდ მისვლას ვერ გაბედავდნენ დსთ-ის დანარჩენი ლიდერები... არადა, უცხოეთში ყოფნისას გაოცებული მეკითხებიან, როგორ, დსთ კიდევ არსებობსო?! დღევანდელი დსთ ძალიან ჰგავს მივიწყებულ ბებერს, რომელიც არავის აღარ ახსოვს. დსთ თავიდანვე მკვდრადშობილი იყო და იქ ყოფნაც სხვა არაფერია ჩვენთვის, თუ არა დსთ-ის ეგიდით საქართველოს ყოფნა რუსეთის გავლენის ორბიტაში. სხვათა შორის, მართლაც საინტერესოა ეს ე.წ. უჰალსტუხო შეხვედრების ფაქტები, რადგან პუტინი უჰალსტუხოდ ხვდება ხოლმე ამერიკის, იაპონიის, საფრანგეთის, ინგლისის პირველ პირებს. ხოლო როცა დსთ-ის ლიდერებსაც ხვდება უჰალსტუხოდ, ეს ნიშნავს თანასწორობას, ანუ დსთ-ის უმთავრესი პრინციპის დაკარგვას. პუტინი აუცილებლად ჰალსტუხით უნდა იყოს, რომ უბრძანოს სხვა ლიდერებს... საერთოდ კი, უნდა გაიგონ საქართველოში, რომ დსთ-ის ხსენებაც კი უკვე ირონიულ ღიმილს იწვევს დასავლელ პოლიტოლოგებში...

**— საინტერესო ინფორმაციები მოდის აფხაზეთიდან: მოკლეს თავის დროზე „აიდგილარას" ერთ-ერთი ლიდერი და აფხაზეთში ანტიქართული იდეოლოგიის გამტარებელი ზურაბ აჩბა, რომელიც ბოლო დროს ოპოზიციაში ედგა არძინბას რეჟიმს. მომხდარი ფაქტი მით უფრო ნიშანდობლივია, რომ რამდენიმე წლის წინ ასევე სოხუმში მოკლეს საქართველოს დაუძინებელი მტერი იური ვორონოვი, ახლახან კი სოსლანბეკოვიც... სხვათა შორის, ანალოგიურ პროცესებს ჰქონდა ადგილი სამაჩაბლოშიც. თქვენი კომენტარი...**

— ეს არის სრული განუკითხაობისა და ანარქიის მაჩვენებელი. მძვინვარებს შინადაპირისპირება... შორს ვარ იმ აზრისგან, რომ აფხაზეთში პროქართული პოზიციის გამო კლავენ ვიღაცას. პროქართული ტენდენცია შეიძლება გამოჩნდეს აფხაზების მომავალ თაობაში. შევხედოთ დღევანდელ საქართველოს და ვთქვათ, არის აქ დამშეულ აფხაზეთზე უკეთესი მდგომარეობა? რით მოეწონება აფხაზს ან ცხინვალელ ოსს საქართველო? ჯერ მოვაწესრიგოთ ქვეყანა, ეკონომიკურად გავაძლიეროთ და თვითონ შეგვეხვეწებიან საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები. ოღონდ, ჯერ საქართველოს სჭირდება მოვლა და ამ საბჭოთა ჩინოვნიკების მოცილება ხელისუფლებიდან... საერთოდ კი, სეპარატიზმისა და მათი ლიდერების ადგილი ისტორიის სანაგვე ყუთშია უკვე. გახსოვთ, ალბათ, როგორ „აზანზარებდნენ" ოსეთს ჩოჩიევი და კულუმბეკოვი, რომელთა სახსენებელიც კი აღარ არის თავად ცხინვალში. ყველა სეპარატისტის ბოლო ან ტყვიაა, ან ემიგრაცია...

**— თქვენ, როგორც მსოფლიოს ეროვნულ უმცირესობათა ექსპერტი, როგორ აფასებთ, ვთქვათ, ევროპაში მიმდინარე პროცესებს ამ მხრივ — ძლიერდება სეპარატისტული ტენდენციები, სუსტდება, განიცდის სტაგნაციას თუ უკვე იკვეთება მათი მოგვარების კონკრეტული გზები, რისი დასტურიც შეიქნა ახლახან საფრანგეთის მთავრობის მიერ კუნძულ კორსიკისთვის უფართოესი უფლებების მინიჭების ფაქტი...**

— ევროპაში სეპარატიზმის აღმავლობა ყველაზე ძლიერ 60-იანი წლების ბოლოს აღინიშნებოდა. დღეს კი მისი მცირე ნაშთები შემორჩენილია ჩრდილო ირლანდიაშიც, ბასკეთშიც... სეპარატისტებმა იციან, რომ მათი საქმე წასულია და კვლავ ტერაქტებით ცდილობენ ყურადღების მიქცევას. ახალგაზრდობაშიც აღარ არის პოპულარული ეს ტენდენცია. საგულისხმოა, კორსიკის მაგალითი და აქ აუცილებლად უნდა ითქვას შემდეგი: ევროსაბჭოს საგანგებო დოკუმენტები აქვს მიღებული, რომლის თანახმად, ეროვნული კულტურები, ენები უნდა განვითარდეს სწორედ ერთიანი ევროპის ფარგლებში, რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ევროპის მცირე ერებსა და ეროვნებებს, დამოუკიდებელი სახელმწიფოები ჰქონდეთ. ეს ევროპული პოლიტიკის ნაწილია: ევროპელობა ნიშნავს ერთ ზესახელმწიფოს, რომლის შიგნით ეროვნულობა გაცილებით მაღალ დონეზე იქნება შენარჩუნებული და განვითარებული, ვიდრე დღეს არის. ასევე გაცილებით უკეთ იქნება დაცული პატარა ერების ენები... აქვე, ხმამაღლა განვაცხადებ და ამის სულაც არ მეშინია, რომ ახალი ევროპული ქარტიის შიგნით, მაგალითად, შეიძლება დაცულ იქნეს ის ენებიც, რომლებიც კომუნისტებმა მოსპეს და აკრძალეს, ვთქვათ, იგივე მეგრული ენა. არადა, რატომ უნდა მოისპოს ქართული კულტურის ეს უძვირფასესი შემადგენელი ნაწილი? ევროსაბჭოს ამ საკითხზე ცალკე კონვენცია აქვს მიღებული, რათა მსგავსი ენები დაცულ იყოს! საქართველომ მოაწერა ხელი ამ დოკუმენტებზე, მაგრამ ჩვენს ჩინოვნიკებს ეშინიათ ამის ხმამაღლა თქმა, რაიმე ისტერია არ დაიწყოსო! დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ პროვინცია უელსში სრულიად დაკარგეს უელსური ენა, მოკვდა ენა. შემდეგ კი ინგლისის მთავრობას შერცხვა, ეს რა გავაკეთეთ, უძველესი კულტურის ენა ამოვძირკვეთო და შექმნეს სპეციალური ტელეარხი ამ ენაზე. უელსში ამან პროტესტი გამოიწვია, არ გვინდა, ბატონო, ეს ძველი ენაო, მაგრამ ინგლისის მთავრობამ არ შეცვალა გადაწყვეტილება! ეს იმას ნიშნავს, რომ ულტრათანამედროვე ევროპა უბრუნდება ტრადიციებს, უფრთხილდება ყოველივე ძველს! იგივე ითქმის შოტლანდიელებზეც. ძველი, ნაღდი შოტლანდიური ენა გაელიკი მთებშიღა შემორჩა და ინგლისის მთავრობა ზრუნავს ამ ენის აღდგენისათვის! ასე რომ, სეპარატიზმი, როგორც ასეთი, წარსულს ბარდება და 21-ე საუკუნეს ეს პრობლემა აღარ შეუქმნის დიდ საფრთხეს. სეპარატიზმი ევროპაში აღარ იქნება, იმდენად გონივრული პოლიტიკა ტარდება... ნებისმიერ პატარა რეგიონსაც კი ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და თვითმმართველობა უნდა ჰყავდეს და არა პრეზიდენტის მიერ დანიშნული ვიღაც ჩინოვნიკები მართავენ...



## საქართველოში უნდა იყოს მხოლოდ ორი კაზინო: ერთი ბათუმში, მეორე სიღნაღში...

**— მიუხედავად ზაფხულისა, ერთგვარად გააქტიურდა საქართველო საგარეო პოლიტიკის ასპარეზზე... პრეზიდენტის „მოკრძალებულ" ვიზიტს დიდ ბრიტანეთში მოჰყვა პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტები აშშ-სა და ჩინეთში... მართალია, უკვე წარსული ამბავია, მაგრამ საკმაოდ არასასიამოვნო ხმები ჩამოვიდა ლონდონიდან პრეზიდენტის ვიზიტთან დაკავშირებით...**

— მე ერთ-ერთი ტელეკომპანიით გამოვედი და ვთქვი, პრეზიდენტის ეს ვიზიტი ცუდად იყო ორგანიზებული-მეთქი! აქ კი, მავანმა უკუღმა გაიგო ჩემი ნათქვამი და ყველაფერი გადააბრალა ინგლისში საქართველოს საელჩოს. არადა, ეს საელჩო სხვა ქვეყნებში არსებულ ჩვენს საელჩოებს შორის საუკეთესოა და ყველაზე კარგი ელჩიც ინგლისში გვყავს! მათ შესანიშნავად მოამზადეს ვიზიტი, მაგრამ ჩაზრძანდა პრეზიდენტი და... უარი თქვა პრესკონფერენციის გამართვაზე(!). ვის გაუგია ასეთი რამ? გამოდის, რომ პრეზიდენტს შეეშინდა უცხოელი ჟურნალისტების შეკითხვებისა? ამასთან, დაგეგმილი იყო შევარდნაძის გამოსვლა მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ საგარეო პოლიტიკის ინსტიტუტში, მოხსენებაც მზად ჰქონდა, მაგრამ... არ გამოვიდა, უარი თქვა!

**— როგორ ფიქრობთ, რატომ, რა მიზეზით?**

— შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას ერთხელ უკვე გამოვიდა მოხსენებით ამ ინსტიტუტში, მაგრამ მაშინ მისი სახელი ქუხდა მსოფლიოში! დღეს კი მისი სახელი, საუბედუროდ, კვლავ „ქუხს", ოღონდ როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული და გაუბედურებული ქვეყნის პრეზიდენტისა... ეტყობა, სათქმელი აღარაფერი ჰქონდა და ამიტომ თვითონვე თქვა უარი ასეთ პრესტიჟულ ინსტიტუტში გამოსვლაზე!

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტებს, აშკარად ვხედავთ, რომ ზურაბ ჟვანია უკვე ცდილობს მაღალი იმიჯის შექმნას საზღვარგარეთ და სხვათა შორის, კარგადაც გამოსდის ეს საქმე. მაგრამ თუ ბოლომდე პირუთვნელნი ვიქნებით, უნდა ვთქვათ ისიც, რომ თავისი საგარეო პრესტიჟით ჟვანია საქართველოს პრეზიდენტი მაინც ვერ გახდება, რადგან საქართველოში მისი პრესტიჟი არცთუ ისე მაღალია და ეს ყველამ იცის. აი, ახლაც, როცა პრეზიდენტმა ასე საჯაროდ უგულებელყო საპარლამენტო კომისიის დასკვნა, პარლამენტის თავმჯდომარე, თუ ის მართლაც პრინციპული სპიკერია, მოვალეა, ადგეს და დაიცვას თავისი საპარლამენტო კომისია! გაბედავს ამას?! თუ გაბედავს, მაშინ შეუძლია თქვას, მაგარი ბიჭი ვარ და შეგიძლიათ მენდოთო! თუ ვერ გაბედავს, მაშინ ტყუილად სეირნობს საზღვარგარეთ... ახლა მისი უპირველესი მოვალეობაა, კბილებით დაიცვას დათო გამყრელიძე, რომელიც კომისიის თავმჯდომარედ პირადად მან დაასახელა! დღეს სასწორზეა შემოდებული კორუფციასთან ბრძოლის საქმე და გვაჩვენოს, რომ ებრძვის კორუფციას! პოლიტიკოსმა ჯერ შინ უნდა მოიპოვოს პრესტიჟი და შემდეგ იზრუნოს საგარეო აღიარებაზე, თუ პრეზიდენტობის პრეტენზია აქვს!

**— თქვენი აზრით, რით არის განპირობებული კაზინოების აკრძალვის ინიციატივით პრეზიდენტის გამოსვლა და მსგავს ინიციატივას თუ მოეპოვება პრეცედენტი მსოფლიო პრაქტიკაში, თუ აზერბაიჯანსა და თურქეთს გამოვრიცხავთ?**

— მსგავსი პრეცედენტი არ ყოფილა არსად. აზერბაიჯანში იმიტომ გააუქმეს კაზინოები, რომ ალიევის შვილმა უზარმაზარი თანხა წაიღო თურქეთში და იქ ერთ-ერთ კაზინოში პირწმინდად წააგო. ამ ფაქტით გაგიჟებულმა ალიევმა ჯერ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი მოხსნა თანამდებობიდან (რა შუაში იყო მინისტრი, გაუგებარი დარჩა), შემდეგ კი კაზინოები დახურა(!). თურქეთში კაზინოების აკრძალვა კი დაუკავშირდა ყოფილი პრემიერის თანსუ ჩილერის ირგვლივ ამტყდარ სკანდალს. თურქეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კლანს რომ როგორმე დაესუსტებინა და მოეშორებინა ჩილერი პრემიერის პოსტიდან, ამოუქექეს კაზინოებთან ფინანსური კავშირების ფაქტები, რასაც მოჰყვა კიდეც მათი გაუქმება. საგულისხმო კი ის არის, რომ ორივე შემთხვევაში, აზერბაიჯანშიც და თურქეთშიც კაზინოების აკრძალვის მთავარ იდეოლოგიურ მოტივად და არგუმენტად გამოყენებულ იქნა... ისლამი(!). მათი თქმით, ყურანი „არ ცნობს" კაზინოებს...

ჩვენს შემთხვევაში, საბედნიეროდ, მართლმადიდებელი ქვეყანა ვართ... შევარდნაძე ასეთ რამეს ვერ გაბედავდა, უცხოეთიდან რომ არ ებრძანებინათ კაზინოების დახურვა...

**— ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისში კაზინოების მომრავლება პირდაპირაა დაკავშირებული უცხოური ინვესტიციების, დახმარებების ამ საქმეშიც გამოყენებასთან. უხეში შედარება რომ მოვახდინოთ, აქაურმა კლანებმა გააკეთეს ის, რასაც, თავის დროზე „კოზა ნოსტრა" აკეთებდა ლას-ვეგასში.**

— რასაკვირველია, ყველამ იცის, რომ შემოსული ინვესტიციები, რომლებიც „აორთქლდა", ბევრჯერ, სწორედ კაზინოების გახსნის საქმეს მოხმარდა. ე.ი. მოხდა ნაქურდალი ფულის გათეთრება. არ ვიცი, ამის შესახებ პრეზიდენტს ბალცეროვიჩმა უთხრა თუ სხვამ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — შევარდნაძე ასეთ ნაბიჯს არავითარ შემთხვევაში არ გადადგამდა, მასზე მძლავრი ზეწოლა რომ არ მოეხდინა დასავლეთს. იმდენი კაზინო, რამდენიც თბილისშია, არც ერთი ქვეყნის დედაქალაქში არ არის. მთელ ამერიკაში კაზინოები იყო ერთადერთ ქალაქ ლას-ვეგასში, შემდეგ გაიხსნა რენოში და ატლანტიკ-სიტიში, ანუ სამად-სამი ადგილია მსგავსი სათამაშო ბიზნესისა ამ უზარმაზარ ქვეყანაში. საფრანგეთში ერთადერთ ზღვისპირა ქალაქში დარჩა კაზინო. ნიცაში დახურეს, რადგან მაფიის ხელში იყო. პარიზში კი კაზინოს ჭაჭანებაც არ არის! ახლახან ჩვენი ტელევიზიით გამოვიდა საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტი, წარმოშობით შვეიცარიელი, რომელმაც ბრძანა: „მთელ შვეიცარიაში არ არის იმდენი კაზინო, რამდენიც ამ ერთ საწყალ თბილისშიო..." ეს უკვე სირცხვილია ჩვენი და ადასტურებს, რომ საქართველოს აქვს მაფიოზური დედაქალაქი... საქართველოში მხოლოდ ორ ქალაქში უნდა იყოს კაზინო: აუცილებლად ბათუმში, რომელიც საპორტო ქალაქია და თანაც მდიდარი თურქების მიერ იქ დახარჯული ფულიც საქართველოში დარჩებოდა. მეორე კაზინო კი, სასურველია, გაგვეხსნა სიღნაღში, რომელიც დღეს მკვდარი ქალაქია და ხელმისაწვდომი იქნებოდა აზერბაიჯანელი და თბილისელი მილიონერებისთვის, ხოლო მცირე თანხის პატრონი ხალხი ამხელა მანძილზე არ წავიდოდა სათამაშოდ და გადარჩებოდა იმ ყვლეფას, რასაც თბილისის კაზინოებში აქვს ადგილი. აი, ეს იქნებოდა მსოფლიო პრაქტიკაზე დაფუძნებული ლოგიკური გადაწყვეტილება...

**— დამეთანხმებით, რომ ცნება „მსოფლიო პრაქტიკა" ძალიან შორს დგას ადგილობრივ ჩინოვნიკთა და გავლენიან კლანთა სააზროვნო „ბაგაჟისგან"...**

— ვერ შეუგნიათ საქართველოს მმართველ ყოფილ საბჭოელ ჩინოვნიკებს, რომ დღევანდელ მსოფლიოში მუქთა არაფერი არსებობს და სულ მცირე თანხის გამოც დასავლეთი ადრე თუ გვიან ძალიან ცუდად მოგვთხოვს პასუხს! დიახ, მალე ჩვენ, ყველანი, მოწმენი გავხდებით იმისა, თუ რა ყოფაში ჩააგდებენ იმ ჩინოვნიკებს, რომლებიც ამ დახმარებებს იპარავდნენ. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ ფულის ნაწილი მაინც დაუბრუნდება ხალხს!

**— კვლავ და კვლავ აქტუალურია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა, რომლის წარმატებით დაგვირგვინებაზე უკვე ძალიან ბევრს სერიოზული ეჭვი ეპარება...**

— პირველი „შედეგი" ამ ე.წ. ბრძოლისა, უკვე სახეზეა: იმუშავა სერიოზულად საბიუჯეტო კრიზისის შემსწავლელმა საპარლამენტო კომისიამ და გამოაქვეყნა სხვადასხვა სამინისტროში, უწყებაში აღმოჩენილი დარღვევები. ეს ერთ-ერთი მიზეზი გახდა 1999 წლის ბიუჯეტის ჩავარდნისა. პრეზიდენტმა კი მთავრობის სხდომაზე გადადგა მართლაც უპრეცედენტო ნაბიჯი: ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს კონსტიტუციით, რომელსაც მე პირადად ვუწოდებ „ლათინურამერიკულ" კონსტიტუციას, პრეზიდენტს აქვს ისეთი უზარმაზარი უფლებები, როგორიც შუა საუკუნეებში აბსოლუტურ მონარქებსაც არ ჰქონიათ. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა არაკონსტიტუციური განცხადება გააკეთა, როდესაც ბრძანა, რომ მისთვის სავალდებულო არ არის საპარლამენტო კომისიის დასკვნის გათვალისწინება(!). ამის შესახებ ვესაუბრე საქართველოს კონსტიტუციის ყველაზე დიდ ექსპერტს, რომელმაც მიიღო მონაწილეობა მის შემუშავებაში... მან მითხრა — პრეზიდენტის აღნიშნული განცხადება თავიდან ბოლომდე არაკონსტიტუციურიაო! ე.ი. ის კონსტიტუციაც კი, რომელიც მე არ მომწონს, დაარღვია შევარდნაძემ. არადა, ეს პირველი შემთხვევა არ არის...

**— რის მანიშნებელია ყოველივე ეს?**

— ალბათ, ფიქრობს, რომ აბსოლუტური მონარქია! კომისიამ გამოააშკარავა კორუფციის აშკარა გამოვლინებები და რა, გამოდის, რომ პრეზიდენტი კორუფციის მხარეზე დგება?! მე არ ვიცნობ მხილებულ ჩინოვნიკებს და არც მაინტერესებს, ვთქვათ, ჩხაიძის პოზიცია, მე ვენდობი საპარლამენტო კომისიასა და მის დასკვნას და პრეზიდენტს არ აქვს არანაირი უფლება სანაგვე ყუთში მოისროლოს მოკვლეული დოკუმენტები! ეს ეხება ესაკიას განცხადებებსაც, რომლის თანახმად, იგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს პრეზიდენტის მითითებით სჩადიოდა და შემდეგ ამ დარღვევებს იმავე პრეზიდენტის მიერ გამოცემული ახალი ბრძანებულებებით კანონიერს ხდიდა(!). ე.ი. ის ფანტასტიკური ძალაუფლებაც კი, რომელიც პრეზიდენტს აქვს და როგორიც მხოლოდ ბანანის რესპუბლიკებშია, არ ყოფნის! ასე რომ, ჩემი ღრმა რწმენით, ზღაპარია კორუფციასთან ბრძოლა, რადგან პრეზიდენტმა თავისი განცხადებებით, ჯერჯერობით, ჩანასახშივე ჩაკლა წამოწყებული ე.წ. ანტიკორუფციული კამპანია! აქვე იმასაც ვიტყვი, რომ შევარდნაძის ადგილზე ვინც არ უნდა მოვიდეს, ვერაფერს გააწყობს შექმნილ უმძიმეს ვითარებაში. ვიმეორებ, უკვე სასიცოცხლოდ აუცილებელია პრემიერ-მინისტრის პოსტი და ამ პოსტზე ისეთი ახალგაზრდა კაცის მოსვლა, რომელმაც იცის და ესმის, რა არის საბაზრო ეკონომიკა. საბაზრო ეკონომიკის კანონებს ცეკაში არ ასწავლიდნენ და ამიტომ ვერ გაატარებენ დღევანდელი ჩინოვნიკები ამ რეფორმებს და ვერც ბალცეროვიჩი შეცვლის მათ საბჭოურ მენტალიტეტს!

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# ყოვლადმოწყალე დედა ღვთისა

მაცხოვრის ნათლისღებისა და ორმოცდღიანი მარხვის შემდგომ, ქადაგებად გამოსვლის ჟამიც მოახლოვდა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მაცხოვარი გალილეის კანაში ახლობლის ქორწილში იყვნენ. მონადიმეებს ღვინო შემოაკლდათ. ღვთისმშობელმა მაცხოვარს სთხოვა, ღვინო გაეჩინა. მაცხოვარმა წყალი ღვინოდ აქცია და მექორწილეებს ღვინო აღარ შემოლევიათ.

წინასწარმეტყველების თანახმად, სასწაულების მოხდენა მაცხოვარს მოგვიანებით უნდა დაეწყო, მაგრამ კანაში უკვე გამჟღავნდა ის სიყვარული, რაც მაცხოვარს ღვთისმშობლის მიმართ გააჩნია.

არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა სასიკვდილოდ განწირული ადამიანი მაცხოვარს ღვთისმშობლის თხოვნით უხსნია. ღვთისმშობლის წყალობა კი ყოველი ადამიანისა და ერისადმი, უსაზღვროა. თუმცა, არსებობს ადგილები, რომელთა მიმართაც ღვთისმშობლის მფარველობა გამორჩეულია. ესენია: ათონის წმ. მთა, რომელიც დედა მარიამს ამქვეყნად ყოფნისას ებოძა, მოგვიანებით — კიევ-პეჩორის ლავრა ქ. კიევში და სერაფიმ საროველის დეჲევოს მონასტერი რუსეთში, თავდაპირველად კი ეს წყალობა საქართველოს ხვდა წილად.

მაცხოვრის ამაღლების შემდგომ მოციქულები შეიკრიბნენ, რათა ღვთის მინიშნებით გაეგოთ, ვინ რომელ ქვეყანაში უნდა წასულიყო საქადაგებლად. ამ შეკრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ღვთისმშობელმა. მას საქართველო ერგო. ყოვლადწმიდა დედოფალმა სიხარულით მიიღო თავისი ხვედრი და სულიწმიდის გარდამოსვლისთანავე მოინდომა საქადაგებლად წასვლა, მაგრამ მას უფლის ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ ამ ქვეყნიდან მალე გავიდოდა და იერუსალიმში უნდა დარჩენილიყო, ხოლო მისი წილხვედრი ქვეყანა მალე განათლდებოდა და განმტკიცდებოდა — მის მაგივრად უფალი იქ თავის მოციქულებს წარგზავნიდა. ამ ხილვის შემდეგ ღვთისმშობელმა უხმო წმ. ანდრია პირველწოდებულს და სვიმონ კანანელს და მათ თავისი ხელთუქმნელი ხატი გადასცა ივერიის საკურთხებლად (დედა ღვთისამ სახეზე მიიფარა სუფთა ფიცარი და მისი ხატება მასზე გადავიდა). მას შემდეგ ღვთისმშობლის წყალობა არასოდეს მოჰკლებია საქართველოს.



ბიბლია გვამცნობს, რომ ყოველ ქვეყანას თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს. საქართველოს მფარველი კი თავად ზეციური დედოფალია. ეს უდიდესი წყალობაა, მაგრამ უდიდესი პასუხისმგებლობაც, რადგან ვისაც მეტი მიეცემა, მეტიც მოეთხოვება. ღვთის სიყვარული კი თავგანწირვით განისაზღვრება. როგორც ღვთისმშობლის ცხოვრება იყო ღვთისადმი უსიტყვო მსახურება, შვილთან ერთად გადატანილი ჯვარი და გოლგოთა, ასეთივე არის საქართველოს ისტორიული გზა. იყო დრო, როდესაც საქართველოს უცხო რჯულის ქვეყნები შთანთქმას უქადდნენ, მაგრამ ზეციური დედოფლის ომოფორი იფარავდა. მის თვალწინ აღზევდნენ უზარმაზარი იმპერიები და მის თვალწინვე აღიგავნენ პირისაგან მიწისა. ბევრი მათგანის სახელს ქვაზე ამოტვიფრული წარწერით ან შემთხვევით ნაპოვნი მონეტით თუ მოუღწევია ჩვენამდე, ზოგიერთი მათგანი კი ისე გამქრალა, რომ კვალიც არ დაუტოვებია. საქართველოს მომავალი კი მრავალი ადამიანის თავგანწირვით შენდებოდა ჭეშმარიტების შესანარჩუნებლად. მაგრამ კარგის გვერდით არც მისთვის ყოფილა უცხო ის მანკიერებანი, რაც სხვა ქვეყნების წარწყმედის მიზეზი გამხდარა: მატერიალური კეთილდღეობის გამო ღვთისადმი ზურგის შექცევა, ურთიერთღალატი, სხვა რელიგიებისადმი მორჩილება, ტყვეთა სყიდვა, ღვთისმშობლის წილხვედრი მიწის განკარგვა...

რომ არა ღვთისმშობლის მოწყალება, საქართველოც გაიზიარებდა სხვა, გამქრალ სახელმწიფოთა ხვედრს...

არასოდეს მოჰკლებოდეს ჩვენს მამულს დედა მარიამის წყალობა.

***ანა ჩხეიძე***

# ამერიკელებს მოეწონათ თბილისური „ჩემი დედა..."



„ჩიტების ბაზარი" ამშვენებს ქალაქს, მათ შორის, რასაკვირველია, თბილისსაც. მდიდარ ქვეყანაში ამგვარი საქონლით ვაჭრობა დუღს, სადაც ფული არ არის, მათ ნაკლებად ეტანებიან.

დილმის „ჩიტების ბაზარი" აქაურ ბავშვებს ანდამატივით იზიდავს. ზოოპარკი და ცირკი შორს არის, თანაც იქ შესვლა ფული ღირს. აქ კი ცხოველებს უფასოდ ნახავ, შეგიძლია ხელი გადაუსვა, მიეალერსო...

„ჩიტების ბაზარი" კონტრასტების სამყაროა. ერთ კუთხეში ბიჭუნა აღფრთოვანებული მისჩერებია ფუმფულა ლეკვს, მეორეგან ვიღაც გულცივად აჭრის თავს ქათამს, იქვე გოჭს ყიდიან, სამწვადესაც აირჩევთ და ღვინის რიგში თქვენს მოსაწონ ნუნუასაც შეიძენთ.

ძაღლის და კატის არჩევანი დიდია. ჩემი გიდი დათო კალანდაძე მეუბნება, — სამი წლის წინ აქ ვიყიდე ჩემი ფისო „მოსია", ისეთი ჭკვიანი გამოდგა, თათით კარს აღებს. ამას წინათ თაგვიც მომართვა საჩუქრადო...

რა კარგია კარგი ცხოვრება! ეს ცხოველებსაც ეტყობათ ხოლმე (ადამიანზე უფრო!). რა არ იშოვება მათთვის — წამლები, ნაირ-ნაირი საჭმელი, სათამაშოები... ყველაზე მეტად გამაოცა ულტრაბგერითმა სასტვენმა — ძაღლებს მისი ხმა ესმით, ადამიანებს — არა!

რას არ შეხვდებით დილმის ბაზარში — ვარდისფერცხვირიან ზაზუნებს, აკვარიუმის თევზებს, დაგეშილ თუ დაუგეშავ მიმინოებს და შევარდნებს, ზღარბებს, კუებს და... ანკარებსაც კი! იმდენი თუთიყუშია, თავი აფრიკის სავანეებში გეგონება. ზოგი მათგანი მხიარულად ქაქანებს, ზოგიც ისე იგინება, ყურები თითით უნდა დაიხშო. თბილისური „ჩემი დედა..." ძალიან მოეწონათ ამერიკელებს. 1998 წლის ზამთარში დახვიეს ხელი და ყველა თუთიყუში იყიდეს! თითო უზრდელი ფრინველის ფასი 7-დან 25 ლარამდე აიწია.

ბევრი თბილისელი ბაზარში თავის დაკარგულ „უმცროს ძმას" დაეძებს, თუმცა ხშირად უშედეგოდ...

ზოგჯერ აქ თავს იყრიან ძაღლების ჩხუბის მოყვარულები და გაფაციცებულნი ადევნებენ თვალს ოთხფეხთა გაწევ-გამოწევას. მართალია, ეკოლოგები და „მწვანეები" კრძალავენ გარეული ფაუნით ვაჭრობას, მაგრამ ჩუმად და საიდუმლოდ ხან მელიის ლეკვს შემოგვთავაზებენ, ხან რომელიმე მგალობელს... მათ შორის ენააცრილი ჩხიკვიც გამოერევა ხოლმე...

თვალს ახარებს ჭრელ-ჭრელი მწყრები და ციცრები, თეთრ, შავ თუ ნაცარა კურდღლებს ყურები საწყლად გადაუწყვიათ ზურგზე და დამფრთხალნი იყურებიან.

ოდესღაც თბილისში ძალიან გავრცელებული იყო მემტრედეობა. იგი იყო მშვენიერი და სანდო ფოსტალიონი. აბა, ქორწილი ისე როგორ ჩაივლიდა, მემტრედეს არ დაელოცა ნეფე-პატარძალი, მერე ხელს აუქშევდა და გაწვრთნილი ქათქათა ფრინველები ახალჯვარდაწერილებს მხრებზე დაასხდებოდნენ.

მემტრედეობა უცნაური ხელობაა, ისეთი გატაცება იცის, თავს დაგავიწყებს. მემტრედე უმეტესად უცოლოა. არც სვამს, არც ეწევა, რადგან მტრედი ვერ იტანს თამბაქოსა და ალკოჰოლის სუნს. ჩემი გიდი დათო უკვე 55 წლისაა, შვილები დაბინავებული ჰყავს, თვითონ თავის „ზოოპარკთან" ერთად ცხოვრობს. ინდუსთა აზრით, ოჯახი და სრულფასოვანი სულიერი ცხოვრება ერთმანეთს ვერ ეგუება. ამიტომაც 50 წლის ასაკში აღთქმას დებენ და მხოლოდ ღმერთს ემსახურებიან. დათოსთვის სულიერებასთან ზიარების გზა მტრედებთან ურთიერთობაა. წუხს, — ხალხმა გადაიყვარა ეს საოცარი ფრინველი, აღარც ნოეს მტრედი ახსოვთ და აღარც მისი ერთგულება. დღეში ორი-სამი თუ გავყიდე, დიდი საქმეაო. გინდა გაუშვა? — მეკითხება და ქათქათა ფრინველს მაწვდის. მერე — მეორეს, მესამეს. ისმის ფრთათა ტკაცუნი და წამში ცის ლაჟვარდში წერტილებივით ჩანან მტრედები...

დათო ხშირად აცარიელებინებს გალიებს ბავშვებს. შინ დაბრუნებულს კი აივანზე მოღუღუნენი ერთგული ფრინველები ხვდებიან. გული აგიჩუყდება, ისეთი სიყვარული იციან ამ წითელნისკარტებმაო, — მეუბნება.

„ჩიტების ბაზარში" ათასნაირი ხმა ისმის: ხან ჩიტი ბაძავს ადამიანს, ხანაც პირიქით. ხშირად ნახავთ გალიებთან მიყუჟულ ჩია კაცს, რომელიც თვალმილულული „თავის ენაზე" ეხმიანება სხვადასხვა ფრთოსანს. აქ უფასო რჩევებს არ იშურებენ ბოტანიკოსები, ზოოლოგები, ვეტერინარები...

სხვაგან სად ნახავთ ცხოველისა და ადამიანის ასეთ ურთიერთსიყვარულს. როგორ ეფერებიან და ეთხოვებიან გაყიდულ „უმცროს მეგობრებს"... ვერასოდეს დავივიწყებ იმ ბრგე ვაჟკაცს, ხელში მკვდარი იადონი ძვირფასი თვალივით რომ ეჭირა და უმწეო ბავშვივით ქვითინებდა...

***გალაქტიონ ტაგანაშვილი***

# EPIKA, ანუ ევროპული რეკლამის დღეები საქართველოში

„მაწონი, მაწონი, ერბოიანი მაწონი", — ასეთი შეძახილებით უწევდნენ რეკლამას ძველი თბილისის ქუჩებში მოხეტიალე მემაწვნეები თავიანთ საქონელს. ევროპასა და რუსეთში კი ლუდხანებისა და ყავახანების წინ საგანგებოდ იდგა ხალხი, რომლებიც საუკეთესო სასმელზე ეპატიჟებოდნენ გამვლელთ.

მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რეკლამა თანამედროვე მსოფლიო ბიზნესისა და ხელოვნების ყველაზე თვალსაჩინო ნაწილად იქცეოდა. რამდენიმე წელია ევროპაში ყოველწლიურად ტარდება რეკლამის ფესტივალი: „ეპიკა ევორდსი", რომლის პრეზიდენტიც ენდრიუ როულინსი გახლავთ. ამ ფესტივალზე ევროპული რეკლამის საუკეთესო ნიმუშების ჩვენება ეწყობა ხოლმე და მას დაახლოებით იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც კინოსამყაროში კანისა და ბერლინის ფესტივალებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ფესტივალს 33 ნომინაცია აქვს, ხოლო გამარჯვებულები საკმაოდ სოლიდური პრიზებით ჯილდოვდებიან. 31 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით კი „ეპიკას" დღეების მასპინძელი ჩვენი დედაქალაქი იქნება.

სამი დღის მანძილზე მოეწყობა ევროპული სარეკლამო პროდუქციის (ვიდეო, ნაბეჭდი, გარერეკლამა) შედევრების ჩვენება. გარდა ამისა, ჩამოსული სტუმრები: ენდრიუ როულინსი, მაქს პლუსნინი („ეპიკას" წარმომადგენელი დსთ-ის ქვეყნებში), რუსეთის „რეკლამის ისტორიის მუზეუმის" დირექტორი სერგეი ჩერედნიჩენკო, რუსეთის ცნობილი სარეკლამო სააგენტო „ბეჰემოთის" კრეატიული დირექტორი იულია დიდიჩენკო სპეციალურ სემინარებს ჩაატარებენ მათთვის, ვინც



საქართველოში რეკლამას ქმნის, იქნება საუბრები ჟურნალისტებთან, მოეწყობა სპეციალური დისკუსიები მასმედიასთან საგაზეთო რეკლამისა და პლაკატების გაფორმების შესახებ.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ ფესტივალში მონაწილეობის, ანუ საკუთარი ნამუშევრების წარდგენის უფლება ექნებათ ქართულ სარეკლამო სააგენტოებს, იმ კერძო პირებსა თუ დიზაინერებს, ვინც რეკლამის ნებისმიერ სახეობაზე მუშაობს.

„ეს იქნება დიზაინის ზეიმი. გარდა იმისა, რომ გავეცნობით ევროპული რეკლამის საუკეთესო ნიმუშებს და მივიღებთ ცოდნას იმის შესახებ, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს, ქართველ ავტორებს ვაძლევთ საშუალებას, წარმოაჩინონ თავიანთი ხელოვნება. და თუკი როულინსს რომელიმე მათგანი მოეწონება, შესაძლოა იგი მომავალ წელს „ეპიკას" ფესტივალზე მიიწვიოს და სახელგანთქმული ევროპული სარეკლამო ფირმების გვერდით აღმოჩნდეს", — ამბობს „ეპიკას" დღეების ერთ-ერთი ინიციატორი მიხო კოჩაკიძე და აქვე დასძენს: „რომ არა საქართველოს ტელევიზია, ტელეკომპანია „ქართული ფილმი" და შპს მაგთი-GSM — ფესტივალი ვერ ჩატარდებოდა".

საიდან გაჩნდა „ეპიკას" დღეების თბილისში გამართვის იდეა? რამდენიმე წელია საქართველოში მოქმედებს პროექტი „ულტრა", რომლის ავტორებიც არიან გიორგი ებრალიძე, ზურაბ მაღალაშვილი და მიხო კოჩაკიძე. „ულტრას" ფარგლებში გასულ წელს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა „ეპიკას" წარმომადგენელი დსთ-ის ქვეყნებში მაქს პლუსნინი. მასპინძლებმა მას სარეკლამო კლიპები აჩვენეს, ამას მოჰყვა ყოველკვირეული გადაცემა „ულტრა", რომელიც რეკლამის ხელოვნებაზე ესაუბრებოდა მაყურებელს, დაბოლოს, პროექტის დამაგვირგვინებელი ეტაპი — „ეპიკას" დღეები, ანუ ევროპული რეკლამის საუკეთესო ნიმუშების ფესტივალი თბილისში.

სხვათა შორის, ქართველებს გვყავს „ეპიკას"



პრიზიორი, ტელერეჟისორი ნიკუშა ახვლედიანი. მისი ბოლოდროინდელი ნამუშევარი ფირმა „ჯეოსელის" სარეკლამო კლიპია, რომელიც ფაქტობრივად, მოკლემეტრაჟიანი ფილმი გახლავთ.

ფესტივალის ორგანიზატორები გულდაწყვეტით აღნიშნავენ, რომ ქართული სარეკლამო სააგენტოები, რატომღაც არ აქტიურობენ, არ ცდილობენ საკუთარი ნამუშევრების წარდგენას ფესტივალზე, არადა, 25 აგვისტოს შემდეგ, აკრედიტაცია — ანუ რეგისტრაცია წყდება.

თუმცა, რეჟისორი ბესო სოლომანაშვილი ფესტივალზე რამდენიმე სარეკლამო კლიპის გატანას აპირებს. მისი აზრით, საქართველოში არ არსებობს რეკლამის არც დაკვეთის, არც შექმნის კულტურა. „ჩვენ საკუთარი ბაზარი, ხალხის გემოვნება არ გვაქვს შესწავლილი. ცოტა ხნის წინ ევროპული რეკლამის ხილვის საშუალება მომეცა. გაოცებული დავრჩი რეჟისორის ზუსტი მიგნებით, დასავლეთში კარგად იციან ვისთვის და როგორ უნდა აკეთონ რეკლამა. ამ ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ევროპული სარეკლამო შემოქმედების ნიმუშები და ჩვენ ვნახავთ, თუ რაოდენ დიდი ხელოვნება და თანხებია საჭირო რეკლამის შესაქმნელად. მერწმუნეთ, რეკლამა თანამედროვე ხელოვნების დარგია, რომელიც დიდ ნიჭსა და უნარს მოითხოვს. ჩვენში კი, როგორც აღვნიშნე, ამ თვალსაზრისით ძალიან დაბალი დონეა".

ასე რომ, თბილისი სამი დღის მანძილზე რეკლამას გაუწევს რეკლამას. წარმოდგენილი 100 ევროპული და ქართული ნიმუშიდან გამარჯვებული „ეპიკას" დიპლომით დაჯილდოვდება. გარდა ამისა, ეს იქნება შოუ, სადაც რუსეთის რეკლამის ისტორიის მუზეუმი უძველეს სარეკლამო ნიმუშებს წარმოადგენს.

თუკი „ეპიკას" დღეები თბილისში წარმატებით ჩაივლის, მაშინ მიხო კოჩაკიძე, ზურაბ მაღალაშვილი და გიორგი ებრალიძე ერთი წლის შემდეგ, საქართველოში, საკუთრივ ქართული რეკლამის ფესტივალს (სახელწოდებით — „ულტრა") ჩაატარებენ.

***ნათია გოგსაძე*** R


## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტთან არსებული

### სასწავლებლად იწვევს საშუალო სკოლის 9 კლასდამთავრებულ მოსწავლეებს!

**• სწავლა 2 წლიანია — X და XI კლასი, რის შემდეგ მოსწავლეები მიიღებენ საშუალო სკოლის სრული კურსის დამთავრების ატესტატს.**
**• სკოლის მიზანია: ზოგადსაგანმანათლებლო აუცილებელ საგნებთან ერთად, აზიარონ მოსწავლეები ხელოვნების ისეთი დარგების საფუძვლებს, როგორიცაა:**

**• სკოლის წარჩინებით კურსდამთავრებულები უგამოცდოდ ჩაირიცხებიან არქიტექტურის ინსტიტუტის უფასო განყოფილებაზე.**
**• ატესტატის მქონე დანარჩენი მოსწავლეები, უფლებას იძენენ უგამოცდოდ ჩაირიცხონ არქიტექტურის ინსტიტუტის ფასიან განყოფილებაზე.**
**• ნატიფი ხელოვნების პედაგოგიური კოლექტივი შედგება ტექნიკური უნივერსიტეტისა და არქიტექტურის ინსტიტუტის უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლებისაგან.**
**• არქიტექტურის ინსტიტუტში ჩარიცხული მოსწავლეები თავისუფლდებიან ჯარში გაწვევისაგან.**

**მისაღები გამოცდები ჩატარდება 2000 წლის 30 აგვისტოს. საბუთების შემოტანა 20 ივლისიდან.**

# ცემა-ტყეპით მართლმადიდებლობას ვერ დავიცავთ!..

გასულ კვირას ტრადიციული ცემა-ტყეპით დასრულდა სასამართლო პროცესი, რომელზეც განიხილეს ე.წ. გლდანის ეპარქიის წარმომადგენელთა და იელოველებს შორის მომხდარი ინციდენტი. ამ ორი რელიგიური სუბიექტის ურთიერთობა საზოგადოებისთვის იმით გახდა ცნობილი, რომ ყოველი მათი კონტაქტი შეხლა-შემოხლით მთავრდებოდა.

რაც შეეხება აღნიშნული კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის, ე.წ. გლდანის ეპარქიის (ეგრეთ წოდებული იმიტომ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტრუქტურაში არ არსებობს ცნება „გლდანის ეპარქია“) ამგვარი ქმედების მთავარი მიზეზი გახლავთ იელოვიზმისგან მართლმადიდებლობის დაცვა. ყოველი სასამართლო პროცესის ბოლოს გაჩაღებული ხელჩართული ჩხუბი და თავპირის ლეწვა კი, როგორც ეტყობა, იელოველთაგან მართლმადიდებლობის დასაცავად გამართული ბრძოლის კულმინაციას წარმოადგენს.


ჯერ სიმშვიდეა...


შეჩერდით ხალხო!

გასულ კვირას გამართული ცემა-ტყეპის ამსახველი კადრები, რომლის ეპიცენტრში თავისუფლების ინსტიტუტისა და რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტებიც აღმოჩნდნენ, ოპერატიულად გადასცა თითქმის ყველა ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებამ, რომელიც ზოგისთვის შეიძლება გასართობი სანახაობა იყო (უჰ, რა ჩხუბია! — ალბათ აღმოხდათ კიდეც ვიღაც-ვიღაცებს), ზოგისთვის კი ტკივილი. სწორედ ეს ტკივილი დაედო საფუძვლად ამ წერილსაც.


„გიყვარდეს მოყვასი შენი...“

მართლმადიდებლობა საქართველოს ტრადიციული სარწმუნოებაა და მის დასაცავად ერიც უნდა იღვწოდეს და ბერიც. ამ ბოლო დროს საქართველოში მომძლავრებული სექტები მართლმადიდებლობას ძირს უთხრიან და მათი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლას სასურველი შედეგი მხოლოდ მაშინ მოჰყვება, თუ ასეთი ქმედებები რწმენით იქნება განპირობებული. ბასილ მკალავიშვილის მრევლის აგრესიული საქციელი კი ნაკლებადაა ნაკარნახევი იმ რწმენით, რომლის დასაცავადაც ისინი ასე ირჯებიან.

დროა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ „იელოვიზმი“ და „იელოველები“. მორწმუნე მართლმადიდებლები უნდა ებრძოდნენ „იელოვიზმს“, როგორც მწვალებლობასა და ცოდვას, „იელოვიზმს“, რომლის დამღუპველი იდეოლოგია აუკუღმართებს ქართველი კაცის სულიერ ცნობიერებას, შლის ეროვნული თვითშეგნებისა და მოვალეობის გრძნობას. ამ იდეოლოგიის გავრცელების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული მთელი ძალისხმევა (რა თქმა უნდა, მისაღები და კარგად გააზრებული ეფექტური მეთოდებით) და არა რიგითი „იელოველების“ მიმართ, რომლებიც იგივე ჩვენი სისხლი და ხორცია. მათი შეცდომილება ჩვენი ტკივილი უნდა იყოს და არა მათდამი სიძულვილის საბაბი. წმინდა მამები გვასწავლიან — უნდა გვძულდეს ცოდვა ადამიანში და არა თვითონ ადამიანი, უნდა ვებრძოლოთ მწვალებლობას ადამიანში და არა თვითონ ადამიანს.

ქვის ხანის ყველაზე პრიმიტიული, მაგრამ საიმედო იარაღი...



წმინდა მამათა ცხოვრებიდან ერთი ასეთი ამბავია ცნობილი: ერთი სულიერებაში ამაღლებული ბერი და მისი მორჩილი მონასტერში მიდიოდნენ. გზად ერთი მწვალებელი კაცი შეხვდათ, რომელიც ტყის განაპირას ხეს ჭრიდა. მორჩილი მწვალებელი კაცის დანახვაზე გაბრაზდა, მივარდა და ჩხუბი დაუწყო. შეშის მჭრელი საკმაოდ ღონიერი კაცი აღმოჩნდა. მიუბრუნდა ამ მორჩილს, გაიგდო ფეხქვეშ და კარგა გვარიანადაც ჟეჟა. ბერმა, როგორც იქნა, დააშოშმინა მოჩხუბრები, შემდეგ მწვალებელი გვერდით მოისვა და ტკბილი საუბარი გაუბა. ბერის საუბრის შემდეგ ეს კაცი, როგორც ეტყობა, გონს მოეგო. მასზე იმდენად იმოქმედა ბერის საუბარმა, რომ მონასტერში გაჰყვა მას და გარკვეული დროის შემდეგ ბერადაც აღიკვეცა.

საჭიროა მოვლენას სიბრძნით და რწმენით მივუდგეთ.

რაც შეეხება „გლდანის ეპარქიის“ მრევლსა და „იელოველთა“ შორის გამართულ ცემა-ტყეპას, ამგვარი საქციელი, მიუხედავად იმისა, რომ ბასილ მკალავიშვილი განკვეთილია ეკლესიიდან, უცხო თვალისთვის ეკლესიის დისკრედიტაციას იწვევს, რაც საბოლოოდ ცუდის მეტს არაფერს მოიტანს.

ერთი უნდა ითქვას კიდევ: საქართველოში შემოსული სექტებისა და სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის მოღვაწეობის მიმართ ხელისუფლების უგულისყურობამ ერთ შემაშფოთებელ ტენდენციამდე მიგვიყვანა — თითქოს პოლიტიკურ ნიადაგზე მომხდარი დაპირისპირებები არ ჰყოფნიდა ჩვენს ხალხს, რომ ახლა რელიგიური ნიშნით დაპირისპირება და სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთმანეთზე გადაკიდება არ დაგვმატებოდა, რომელიც ღმერთმა უწყის, რა სახეს მიიღებს და რა ტრაგიკულ შედეგებს მოიტანს. ამასთან, დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ თუ პოლიტიკური ნიშნით დაპირისპირებას შეიძლება ბოლო მოეღოს, რელიგიური ნიშნით — ნურას უკაცრავად! მით უმეტეს, თუ პირველისაგან განსხვავებით, მეორე ახლა იკრებს ძალას.

*მამუკა გიორგაძე*

*ფოტოები მოგვაწოდა ტელეკომპანია „კავკასიამ“*

# კაზინოებზე ჯავრს პრეზიდენტიც იყრის?!

კაზინო „ვიქტორიაზე“ თავდამსხმელი, შავი სამყაროს ავტორიტეტი ლევან ცანავა სამართალდამცავებს ისევ არ დაუკითხავთ. იგი რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების რეანიმაციაში ორივე ბარძაყის მოტეხილობით წევს და მისი ექიმი, პროფესორი გიორგი გორგოშიძე „მომხდურებს“ შიგნით არ უშვებს. გარეთ მოდარაჯე ორი ავტომატიანი პოლიციელი ერთგულად ასრულებს თავის მოვალეობას და ლევან ცანავას ნორმალურ ცნობიერებაზე მოსვლას ელოდება.

ექიმ გიორგი გორგოშიძის განცხადებით, ლევან ცანავას თვით მისი ახლობლებიც კი არ ეკარებიან. საქმე ის არის, რომ იმ განყოფილებაში, სადაც ცანავა წევს, იმდენად მძიმე ავადმყოფები წვანან, რომ მაგარი გული უნდა გქონდეს, მათ ყურებას რომ გაუძლო. როგორც ექიმმა „კვირის პალიტრას“ განუცხადა, ცანავას სანახავად მისულ ნათლიდედა სარიშვილსაც კი გასჭირვებია პალატაში გაჩერება. „უჰ-უჰ-უჰ“-ო, — ამოუკვნესია ედპ-ის ლიდერს და მაშინვე გამობრუნებულა უკან.

„ლევან ცანავამ დიდი რაოდენობით სისხლი დაკარგა. ასეთი ტრავმით, როცა დამსხვრეულია ბარძაყის ძვალი და არტერიები — დაზიანებული, საუბედუროდ, 80-90% იღუპება. არც გვეგონა, თუ გადარჩებოდა. დარღვეული აქვს ტვინის ფუნქცია, ვერ აცნობიერებს, სად არის, რა მოუვიდა. გარკვეულ კითხვებზე არეულად პასუხობს“, — თქვა პროფესორმა გორგოშიძემ.

ექიმის განცხადებით, ლევან ცანავას რეტროგრადული ამნეზია სჭირს, რაც გამოწვეულია ბევრი სისხლის დაკარგვით. იგი ავადმყოფს ადარებს ტელესერიალის „მდიდრებიც ტირიან“ პერსონაჟს, როდესაც გონზე მოსულ ავადმყოფს აღარ ახსოვს, ვისი ცოლია ან ვისი შვილი.

თუმცა, პროფესორი გიორგი გორგოშიძე იმედოვნებს, რომ „ვიქტორიას“ შტურმით აღების მოსურნე ცანავას ტვინის უჯრედები ერთ კვირაში აღუდგება და ნორმალური ცნობიერება დაუბრუნდება.

თუ ექიმის ინფორმაციას დავეყრდნობით, უნდა ვიფიქროთ, რომ ცანავას ნამდვილად გაუმართლა — იგი უთუოდ დაიღუპებოდა, სასწრაფოდ საავადმყოფოში რომ არ გადაეყვანათ. თანაც, ბედად, ადგილზე სისხლძარღვთა ქირურგი და ანესთეზიოლოგი დახვდნენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ არ არის გამორიცხული, დაჭრილის მდგომარეობა გაზვიადებულიც კი იყოს თუნდაც იმიტომ, რომ ლევან ცანავას საკმაოდ გავლენიან და ავტორიტეტულ პიროვნებად მიიჩნევენ თავის წრეში. მის მომავალ ადვოკატს კი ალბათ დიდი ჯაფა დაადგება თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გასამართლებლად.




დღესდღეობით, კვლავ ბუნდოვნად რჩება ერთ-ერთი გავრცელებული ვერსია — თითქოს ლევან ცანავამ კაზინო „ვიქტორიაში“ დიდი რაოდენობით ფული წააგო და მის დაბრუნებას ითხოვდა. თუმცა, სამართალდამცველთა ვერსიით, იგი ნასვამი ჩავიდა კაზინოში, მაგრამ დაცვამ არ შეუშვა და წონასწორობადაკარგული ავტომატით გაუმასპინძლდა „ურჩ“ კაზინოელებს.

ფაქტია, რომ დღეს ცანავა მძიმე მდგომარეობაშია, მცველები კი შედარებით იოლად გადარჩნენ.

სამართალდამცველების თქმით, ამ ინციდენტის წყალობით, კაზინოს სტუმარმა, ისრაელის მოქალაქე ბასილაშვილმაც, შესაძლოა, ციხეს გამოჰკრას ხელი. იმ მომენტში, როცა კაზინოში ცანავას ლანძღვა-გინება ისმოდა, ბასილაშვილმა დრო იხელთა და 900 ლარის ე. წ. „ფიშკები“ მოიპარა.

არ არის გამორიცხული, ცანავა ჩვენების მიცემას გაურბოდეს. თუმცა მას იურიდიულად შეუძლია დუმილის უფლებაც გამოიყენოს და მომხდარის შესახებ ჩვენება არ მისცეს.

უცნაური დამთხვევაა, მაგრამ როგორც ექიმმა გიორგი გორგოშიძემ პირად საუბარში განგვიცხადა, თავად თავის დროზე ირინა სარიშვილისა და ზურაბ ჟვანიას თანაკლასელი ყოფილა.

კიდევ ერთი დამთხვევა: პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის სხდომაზე კაზინოების დახურვა მოითხოვა. უკეთეს შემთხვევაში, ქალაქგარეთ გატანა. ძნელი სათქმელია, რატომ აუცრუვდა გული პრეზიდენტს კაზინოებზე და რატომ გაახსენდა ახლაღა, რომ კაზინოებში ჭუჭყიანი ფულის ჩამორეცხვა და ამის შედეგად საქართველოდან დიდი რაოდენობის ვალუტის გადინება ხდება. თუმცა ფაქტია, რომ თბილისში არსებული ოცამდე სამორინე უახლოესი ორი თვის განმავლობაში კვლავ იარსებებს და კაზინოში პოლიციელების მხრიდან დაზარალებულ ცანავასაც კარგა ხანს მოუწევს საავადმყოფოში წოლა. ხოლო რაც შეეხება ლევან ცანავას საქმის გამოძიებას, გამომძიებელი თენგიზ ხარებავა ჟურნალისტებთან საუბარს გაურბის და მოუცლელობას პროფესიული მიზეზებით ამართლებს.

*მარინა მამისაშვილი*

# სკანდალი 60 მეტრიანი ჯვრის ირგვლივ

ზედაზნის მთაზე, მონასტრის მახლობლად მოქმედი კონსპირაციული რელიგიური დაჯგუფება, რომელსაც ვინმე ბორია ივანოვი ხელმძღვანელობს, შესაძლებელია მალე ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცეს. ამის მიზეზი კი, პარლამენტარ გურამ შარაძის მიერ რამდენიმე დღის წინ, მცხეთის სასამართლოში შეტანილი სარჩელი იქნება. საქმე ბატონმა გურამმა ზედაზნის მთაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტის მოთხოვნით აღძრა, რომლის უკანაც, როგორც ირკვევა, აღნიშნული რელიგიური დაჯგუფება დგას. თუ რა სამშენებლო სამუშაოებზეა ლაპარაკი, ამაზე ცოტა ქვემოთ. მანამდე კი თვალი გადავავლოთ ამ რელიგიური დაჯგუფებისა და მისი ხელმძღვანელის, ბორია ივანოვის ისტორიას:

ყველაფერი 1992-93 წლებში დაიწყო, როცა ლესელიძის ქუჩაზე, სიონის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ჯვარის მამის ეკლესიის წინამძღვარი იყო მღვდელი ლავრენტი ბუზიაშვილი. მას სასულიერო აკადემია აქვს დამთავრებული და გარკვეული პერიოდის განმავლობაში სასულიერო სემინარიაშიც ასწავლიდა. ლავრენტი ბუზიაშვილი საკმაოდ განათლებულ მოძღვრად მიაჩნდათ და ჯვარის მამის მონასტერში მოღვაწეობისას დიდი მრევლიც ჰყავდა.

რამდენიმე წლით ადრე, 1978 წელს, საქართველოში გამოჩნდა ბუხრების ოსტატი, რომელიც სტავროპოლის მხარიდან ჩამოვიდა. დადიოდა თბილისში და ბუხრებს აშენებდა. როგორც კარგმა ოსტატმა, მალე გაითქვა სახელი. თანაც, საკმაოდ ელიტარულ ოჯახებში აქვს გაკეთებული ბუხრები. იგი ჯვარის მამის მონასტერში მივიდა, როგორც მრევლის რიგითი წევრი, ნელ-ნელა დამკვიდრდა და ცხოვრობდა კიდეც იქ. ეს მებუხრე გახლდათ სწორედ ის ბორია ივანოვი, რომელსაც უკავშირდება ამჟამად ზედაზენზე დამკვიდრებული რელიგიური დაჯგუფების შექმნა. თუმცა სჯობს, ყველაფერს თანამიმდევრობით მივყვეთ:

ჯვარის მამის ეკლესიაში დამკვიდრებულმა ბორია ივანოვმა (დაბადებულია 1939 წელს) ნელ-ნელა დაიწყო თავისებური აზრების გამოთქმა. მალე იმდენი მოახერხა, რომ მრევლის ნაწილის თავის გავლენის ქვეშ მოქცევა შეძლო და გადაიბირა. გაემიჯნა მღვდელ ლავრენტი ბუზიაშვილს და თავისი ლიტურგიის აღსრულება დაიწყო. ამბობდა — ლავრენტის თავისი ლიტურგია აქვს, მე — ჩემიო. ბორია ივანოვი აცხადებდა — მე სასულიერო წოდება არ მჭირდება, თავად სულიწმიდა მელაპარაკებაო. თანდათან ძლიერდებოდა მისი გავლენა. ლავრენტი ბუზიაშვილი რატომღაც არ უწევდა წინააღმდეგობას მის ასეთ მოქმედებას და იფარავდა კიდეც ეკლესიაში. მართალია, ხშირად დაობდნენ და კამათობდნენ გარკვეულ საკითხებზე, მაგრამ მერე მოხდა ისე, რომ ბორია ივანოვმა ისიც თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. აქედან მოყოლებული უკვე ლავრენტი ბუზიაშვილმაც დაიწყო ივანოვისეული აზრების გამოთქმა. ამის გამო იგი რამდენჯერმე გააფრთხილეს. შემდეგ კი ახალციხის ეპარქიაში გადაიყვანეს. ჯვარის მამის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნულ იქნა დეკანოზი ირაკლი კალანდაძე (ამჟამად ქვემო ბეთლემის ეკლესიის წინამძღვარი). ბუნებრივია, ამის შემდეგ ბორია ივანოვმა დატოვა ეკლესია, გაიყოლა თავის გავლენის ქვეშ მყოფი ხალხი და 1994 წელს ზედაზნის მთაზე, მონასტრის მახლობლად, შსს-ის საიდუმლო რადიოსალოკაციო სადგურის შენობაში დამკვიდრდა, სადაც საკმაოდ ჩაკეტილ და კონსპირაციულ ცხოვრებას ეწეოდა.

რაც შეეხება მღვდელ ლავრენტი ბუზიაშვილს, ახალციხის ეპარქიაში გადაყვანის შემდეგ, იქ რაღაც კონფლიქტი მოუვიდა ეპისკოპოსთან და დაყენებულ იქნა პატრიარქისგან, რაც მისთვის მღვდელმსახურების აკრძალვას ნიშნავს გარკვეული დროით. ამის მერე იგი მიდის ზედაზენზე და უერთდება ბორია ივანოვის დაჯგუფებას. აღსანიშნავია, რომ ლავრენტი ბუზიაშვილი ეკლესიიდან განკვეთილი არ არის.

აღნიშნულ დაჯგუფებას, რომელიც თავს მართლმადიდებლად აცხადებს, მაგრამ, საპატრიარქოს განცხადებით, სექტას წარმოადგენს, ფინანსურად საქართველოს ახალგაზრდული საერთაშორისო ფონდი ეხმარება, რომლის თავმჯდომარე, გიორგი კალანდაძე, ამ დაჯგუფების აქტიური წევრია. აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულება, საიდუმლო რადიოსალოკაციო სადგურის შენობის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ, მასა და შსს-ს მხრიდან, აწ გარდაცვლილ მარუაშვილს დაუდვია. სხვათა შორის, ამ ხელშეკრულებას ვადა 1997 წელს გაუვიდა. მიუხედავად ამისა, ბორია ივანოვის დაჯგუფება (დაახლოებით 25 ადამიანი, ყველაზე აქტიური წევრი) კვლავ ამ შენობაში იმყოფება და აგრძელებს თავის მოღვაწეობას.

ახლა კი იმ სამშენებლო სამუშაოების შესახებ, რომლის უკან, როგორც გაირკვა, ბორია ივანოვი დგას და რომლის შესახებაც მალე დაიწყება პროცესი მცხეთის სასამართლოში:

6 წლის წინ ზედაზნის მთაზე, მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, პრეზიდენტის ნებართვით, რომელიც მან საქართველოს საერთაშორისო ახალგაზრდული ფონდის თავმჯდომარეს, გიორგი კალანდაძეს მისცა, დაიწყო აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულ მებრძოლთა მემორიალის და 60 მეტრიანი ჯვრის მშენებლობა. მალე გაირკვა, რომ ამ მშენებლობის უკან ბორია ივანოვის დაჯგუფება იდგა, რომელსაც, როგორც გურამ შარაძე აღნიშნავს, არც ძეგლთა დაცვის სამმართველოდან ჰქონია ნებართვა და არც საპატრიარქოდან. ხოლო პრეზიდენტის შეცდომაში შეყვანისათვის იგი პეტრე მამრაძესა და კობა იმედაშვილს ადანაშაულებს. მისი თქმით, პეტრე მამრაძეს დაუმალავს პრეზიდენტისთვის პატრიარქის ბრძანება (მშენებლობის დაწყებიდან 1 წლის შემდეგ, ანუ 1995 წელს, როდესაც პატრიარქისთვის ცნობილი გახდა, რომ ამ მშენებლობის უკან ბორია ივანოვის დაჯგუფება იდგა, მან გააუქმა პირველად გაცემული ნებართვა და გამოსცა ბრძანება მშენებლობის აკრძალვის შესახებ). საქმის არსი პრეზიდენტისთვის 11 აგვისტოს გამხდარა ნათელი და განკარგულებისთვისაც მოუწერია ხელი, რომლის მიხედვით, ზედაზნის მონასტრის ინტერესების გათვალისწინებით, ყოველგვარი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოები, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან უნდა შეთანხმდეს. რაც შეეხება თავად ბორია ივანოვის დაჯგუფებას, საპატრიარქო მას აფასებს, როგორც ანტიპროგრესულ და ანტიმართლმადიდებლურ მოვლენას და როგორც მსგავსი მოვლენების მიმართ, მისი დამოკიდებულება ამ დაჯგუფების მოღვაწეობის შესახებ მკვეთრად უარყოფითია.

*მამუკა გიორგაძე*

# „ეს ის ხალხია, რომელსაც 18 თვეა, ხელფასი არ აუღია და არასოდეს მოშიებია“...

ამ კვირას ვაკის რაიონის სასამართლო საგადასახადოში ჩატარებული ტესტირების საფუძველზე უმუშევრად დარჩენილი 1.300-მდე კაცის ბედს გადაწყვეტს. თუ სასამართლო ტესტირების შედეგებს გააუქმებს, შემოსავლების სამინისტროს თავიდან მოუწევს ტესტების შედგენაზე ზრუნვა. დღესდღეობით, კატასტროფული საბიუჯეტო კრიზისის ფონზე, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული ტესტირებისა და გამოცდების შედეგად, საგადასახადო სისტემაში მომუშავე 2.300 კაციდან მხოლოდ 316-მა შეინარჩუნა სამსახური. უმუშევრად დარჩენილ უილბლოებს ნუგეშად დავალიანებული ხელფასები და სამსახურიდან წასვლის კომპენსაციაც კი არ ერგოთ. კვირაზე მეტია, რაც შემოსავლების სამინისტროს წინ რამდენიმე ათეული ასეთი ადამიანი იკრიბება და რეფორმასა და მის ავტორებს მიკერძოებაში, არაობიექტურობასა და არაადამიანურობაში ადანაშაულებს. კვირის მიწურულს თხუთმეტმა მათგანმა შიმშილობა გამოაცხადა და სასამართლოშიც შეიტანა სარჩელი.

„ჩვენ გვსურს დარღვევებით ჩატარებული ატესტაცია ბათილად იქნეს ცნობილი და ჩატარდეს ხელახლა“, — აცხადებენ მოშიმშილენი და სასამართლოში სასარჩელო განცხადების განხილვამდე შრომითი ხელშეკრულების გაგრძელებას ითხოვენ. მანამდე კი ისინი შემოსავლების სამინისტროს შესასვლელს არ სცილდებიან და დარწმუნებით ლაპარაკობენ ტესტირების დროს დაშვებულ დარღვევებზე.

„მინისტრის მიერ დამტკიცებული წინასწარი პროგრამა შეტანილი უნდა ყოფილიყო ტესტებში, მაგრამ ტესტებში მოცემული საკითხები დიამეტრულად განსხვავდებოდა მისგან... კომპიუტერის საშუალებით მათ შეეძლოთ იმავე დღესვე გამოეცხადებინათ პასუხები. რატომ გამოაქვეყნეს ოთხი დღის შემდეგ?!.. მე ჩაბარებული მაქვს ორივე ტური, გამსვლელი ქულაც მივიღე, მაგრამ მაინც უმუშევარი დავრჩი. ასე მეუბნებიან, 60 კაცი გახვედით, მაგრამ ძველი კადრებიდან 18 უნდა დარჩესო. მაშინ რატომღა გამიყვანეს ტესტირებაზე?! თუ ტესტებში შეცდომა დაუშვეს, ჩვენ რა შუაში ვართ?!.. ამ ტესტირებით არსებულმა ხელისუფლებამ ჩვენი სახით მოწინააღმდეგეები გაიჩინა. მათ 1.300 ოჯახი გაამწარეს. ასეთი რამ ხელისუფლების მიერ დანიშნულმა კაცმა თავის ხელისუფლებას არ უნდა გაუკეთოს“, — ჩივიან აქციის მონაწილენი.

„კვირის პალიტრა“ ესაუბრა შემოსავლების მინისტრის მოადგილეს **დავით მუმლაძეს**:

**— ბატონო დავით, აქციის მონაწილენი ამ შედეგის გაუქმებას და ტესტირების ხელახლა ჩატარებას მოითხოვენ. რამდენად შესაძლებელია ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება?**

— ამას ფიქრადაც ვერ გავივლებ. რაც შეეხება ამ აქციას, როცა სახელმწიფოს ჩინოვნიკსა და ჩინოვნიკს შორის არის აბსოლუტურად უწყებრივ თემაზე საუბარი, არ შეიძლება ქუჩიდან ულტიმატუმის წაყენება. თუ ქუჩაში გავალთ, შევახვედრებთ იმ ადამიანებს, ვისგანაც გადასახადებს ვიღებდნენ და აი, მაშინ ვილაპარაკებთ?.. ეს ის ხალხია, რომელსაც არ მოშიებიათ იმ წლების მანძილზე, როცა 18 თვე ხელფასი არ აუღიათ და პროტესტი არც ერთხელ არ გამოუხატავთ. ჩვენ დავაწესეთ აბსოლუტურად ღია თამაშის წესი და მოვუწოდებდით, — მიეღოთ მონაწილეობა ატესტაციაში. კი ბატონო, მიიღეს. 316 ადგილზე 2.300 კაცი როგორ დაეტეოდა?!

**— წინასწარ შეგუებული იყავით მოსალოდნელ წინააღმდეგობას?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ არა ქუჩის დონეზე. არანაირი უარყოფითი დამოკიდებულება არ მაქვს იმ ადამიანებისადმი, ვინც სასამართლოს მიმართა და ამგვარად სურს გაარკვიოს ჩვენთან ურთიერთობა. ეს არის სწორედ ცივილიზებული გზა და არა — ქუჩაში შიმშილობითა და წყევლა-კრულვით საქმის გარჩევა.



დავით მუმლაძე

**— თუ სასამართლომ ბათილად ცნო ტესტირება, მაშინ?**

— თქვენ რა გგონიათ, მერე ჩვენ დავიწყებთ შიმშილობას?! აღსრულდება. რაც ამ სისტემაში მოვედი, იცით, რამდენი ჩემთვის არასასურველი პირის აღდგენა მომიწია? იმიტომ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით იყვნენ აღდგენილნი.

**— აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ მითხრა, რომ გამსვლელი ქულა დააგროვა, მაგრამ მაინც უმუშევარი დარჩა. როგორც მისთვის რაიონის ხელმძღვანელობას უთქვამს, 60 კაცი გავიდა, მაგრამ 18 უნდა დარჩეს. დანარჩენი ახლები უნდა მივიღოთო. როგორ ახსნით ამ ფაქტს?**

— თუკი სისტემა კორუმპირებულია, არ შეიძლება იქ იგივე ხალხი დარჩეს. სისტემაში სისხლი რომ გამოიცვალოს, 50% მაინც უნდა იყოს ახალი. ეს კონკურსი ერთმანეთის მოსატყუებლად არ ჩაგვიტარებია. ტურების შემდეგ დარჩა 790 კაცი. აქედან საბოლოოდ 316 კაცი უნდა დარჩენილიყო. მერე გასაუბრებაზეც გაიცხრილა. სისტემა არ იმუშავებს კარგად? მათაც გაუშვებენ.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ რეფორმის შემდეგ სისტემაში კორუფცია აღარ იქნება?**

— ერთი, ბავშვობის დროინდელი ანდაზა მახსენდება, — ბოდიში რომ წამალი იყოს, აფთიაქში გაიყიდებოდაო. კორუფციას მარტო ერთი რეცეპტი რომ ჰქონდეს, დიდი ხნის წინ გამოწერდნენ.

**— აქციის მონაწილენი არაობიექტურობაში გადანაშაულებენ. ერთ-ერთი პრეტენზია ისიც არის — რატომ დაგვიანდა შედეგების გამოქვეყნება და არ გამოცხადდა პასუხები მეორე დღესვეო?**

— გეთანხმებით. სხვათა შორის, ტესტების შედგენაზე, სისწორესა და იმ პასუხების გამოანგარიშებაზე პასუხისმგებლობა თავიდანვე ბარენცის ჯგუფმა აიღო. ასე რომ, ეს პრეტენზია ჩვენ არ გვეკუთვნის.

**— გარდა ამისა, ისინი აცხადებენ, რა ჩვენი გადასახადია, თუ მათ ტესტებში შეცდომა დაუშვესო...**

— ამაზეც გეთანხმებით, რომ ტესტებში შეცდომები იყო დაშვებული. აქ იყო ორი გამოსავალი: ჩავუთვალოთ ყველას, თუ — არავის. ჩავუთვალეთ. სწორედ იმიტომაც დაიგვიანა პასუხებმა, რომ ვცდილობდით, ამის გამო არავინ დაზარალებულიყო. ყველაფერი დაშიფრული გახლდათ. მერწმუნეთ, ჩემი და აბარებდა და მისი შტრიხკოდი არ ვიცოდი. თუმცა, რომც მცოდნოდა, მაინც არ შევადარებდი.

**— ასე რომ, დაშვებულ ხარვეზებს აღიარებთ?**

— კი, ხარვეზები იყო. მაგრამ წარმოიდგინეთ, რა მოხდა. წლების მანძილზე ლაპარაკობდნენ, მთელი საგადასახადო სისტემა კორუმპირებულია, საჭიროა რეფორმაო და რეფორმა ორ თვეში ჩატარდა.

**— საგადასახადო სისტემა საკმაოდ რთული სისტემაა. პროფესიონალიზმსა და ცოდნას მოითხოვს. როგორ ფიქრობთ, ახალი ხალხი გაართმევს თავს?**

— მანამდე რა დონეზე კეთდებოდა? ნულის დონეზე კი არა, მინუს უსასრულობა. ობიექტზე რომ მიდიოდნენ, მხოლოდ ეს ახსოვდათ: ცოტა შენ, ცოტა მე. სახელმწიფო არავის ახსენდებოდა. როდესაც გადასახადის გადამხდელი თუნდაც 100 ლარს უხდის ინსპექტორს ჯიბის ფულად და სინამდვილეში გადასახადი 5.000 ლარის ნაცვლად 2.000-ს გადაახდევინებს, ასეთი ინსპექტორი გეგმას 1 ლარსაც ვერ მიუმატებს, იმიტომ, რომ 100 ლარი აქვს აღებული. ეს თუ არ მოისპო, არაფერი გამოვა.

**— როგორც ამბობენ, წყლის ჭიქებით „შპარგალკები“ შეჰქონდათ...**

— „შპარგალკები“ იყო, თუმცა წყლის ჭიქებით არა მგონია, ვინმეს შემოეტანა. მე თვითონ მხოლოდ ერთი მოვხსენი გამოცდიდან, გადაწერას ცდილობდა. ისე, ამაზე მოსამართლეთა გამოცდიდან მაქვს მიღებული დიდი პრაქტიკა. როცა პოლიციის უფროსი (რომელსაც მოსამართლეობა უნდოდა) გავაგდე გამოცდიდან, მითხრეს, პოლიციის უფროსია, რას შვრებიო. ვუპასუხე, — აღარ არის, იყო-მეთქი.

**— სხვათა შორის, აქციის მონაწილეთა ერთ-ერთი მოთხოვნა ისიც არის, რომ მათ სასამართლო გადაწყვეტილებამდე შრომითი ხელშეკრულება გაუგრძელდეთ...**

— ამ ქვეყანაზე ყველა დროებით ვართ მოსული და რა ვადის გაგრძელებაზეა საუბარი?!

***მარინა მამისაშვილი***

# სად და როდის ისვენებენ ქართული პოლიტიკის პერსონაჟები

აგვისტო — შვებულებათა ნეტარი ხანა. მთელი საქმიანი წლით დაღლილს, თამამად შეგიძლიათ ზაფხულის ამ თვეში განცხრომას მიეცეთ, მით უმეტეს, თუ თქვენი ჯიბე ამის საშუალებას გაძლევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ თანამემამულეთა უმეტესობის სამწუხარო ხვედრს გაიზიარებთ.

საინტერესოა, სად და როგორ ისვენებენ ,,ისინი“ — ქართული პოლიტიკური ჭორების პერსონაჟები?

როგორც შევიტყვეთ, პარლამენტარ ამღორძინებელთა რამდენიმე წარმომადგენელი საირმის უებარი წყლით იკაჟებდა საკანონმდებლო სამუშაოებით შერყეულ ჯანმრთელობას. იქაური ჰიდრომასაჟები, თურმე, ნამინისტრალ ბაკურ გულუასაც მოხდენია — გადატანილი მძიმე სტრესის შემდეგ, ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრის ჯანმრთელობას მართლაც სერიოზული რესტავრირება დასჭირდებოდა.

შვებულების მადლით დატკბობა, ძირითადად, პარლამენტართა და თანამდებობიდან გადაყენებულ პირთათვის შეიქნა შესაძლებელი. აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა უმეტესობა საკუთარი უფლება-მოვალეობებისა და კაბინეტების ტყვეობაში მოექცა. კაბინეტებში კი ყველა ინდივიდუალური მეთოდით ახერხებს განტვირთვას.

როგორც ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები მოწმობს, ქონების მართვის მინისტრი, მიხეილ უკლება სიმშვიდეს ვერც თავის სავარძელში ეღირსება. საკუთარი თუ სხვისი შეცდომებისათვის მას პასუხისგება კონტროლის პალატის წინაშე მოუწევს. კონტროლის პალატის სტუმრობამ ქონების მართვის სამინისტროში არაოფიციალური განგაშის გამოცხადებას შეუწყო ხელი. ამ მძიმე წლის მანძილზე დასვენებას უკლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ეღირსება, თუ კონტროლის პალატის დასკვნა მისთვის საბედისწერო გამოდგება და მურმანის ეკალივით ჩადგება მინისტრსა და მის სავარძელს შორის. გართობა-დასვენებისათვის არც მიხეილ მაჭავარიანს ცხელა. ჯერ იყო და, ბიუჯეტის გადამკიდემ, ლამის მთელი თაფლობის თვე სამსახურში გაატარა, შემდეგ საგადასახადო სისტემის რეფორმირება-ატესტაციამ მიაჯაჭვა სავარძელს. თუ ამას გამოცდების შედეგებით უკმაყოფილო თანამშრომელთა ჩივილებსაც დავურთავთ, შეიძლება მაჭავარიანის ჯანმრთელობამ სერიოზული დარტყმა იგემოს.

დასასვენებლად ვერც სახელმწიფო მინისტრმა, გია არსენიშვილმა მოიცალა. ქვეყნის ტკივილებით შეწუხებული, ძალების აღდგენას ისიც საკუთარ აპარტამენტებში თუ ახერხებს. თანამშრომლები კი ასეთ დროს მისი სიმყუდროვის სადარაჯოზე დგანან.

საერთოდ, სახელმწიფო კანცელარიის იმ დაბალ თუ მაღალჩინოსნებს, ვისაც გვიან ღამემდე სჩვევიათ საქმიანობა, აღარ უმართლებს — კონდიცირების სისტემა მუშაობას მაშინ წყვეტს, როცა პრეზიდენტი ტოვებს თავის ნავსაყუდელს და კრწანისის რეზიდენციას მიაშურებს ხოლმე?!

რაც შეეხება შევარდნაძის ოჯახის წევრებს, მისი ქალიშვილი სიმყუდროვის შექმნას სოფელ საგურამოში, 7 მეტრის სიმაღლისა და მეტრნახევარი სისქის მქონე გალავნით აპირებს. შეიძლება ეს ლოგიკურიცაა — ხომ გახსოვთ, მეფის ასულები ყოველთვის გალავანშემორტყმულ კოშკებს აფარებდნენ თავს.

ქალაქის მერმა, ვანო ზოდელავამ, ოჯახთან ერთად დაბა წყნეთის გრილ ჰავას შეაფარა თავი. პრეზიდენტის პრესმდივანი, კახა იმნაძე და სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, თედო ისაკაძე შაბათ-კვირას თუ ახერხებდნენ მანგლისში მყოფ ოჯახებთან ერთად ამოსუნთქვას.

დასვენებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რკინიგზის მეთაური, აკაკი ჩხაიძე, მისი და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყების მიმართ გამოთქმულმა ბრალდებებმა ისე დაღალა, რომ ლამის იმ მგზავრთა ბედი ინატროს, მატარებლებით ყოველ საღამოს ზღვისპირეთისკენ რომ მიეშურებიან.

საშვებულებო პერიოდი საკმაოდ ნაყოფიერად გამოიყენეს ირინა სარიშვილმა და ნეოკონსერვატორებმა. თუმცა, არა განტვირთვისათვის, არამედ საქმიანი კონტაქტების გასაღრმავებლად. პირველ ყვავილებს ისინი საშემოდგომოდ ელიან.

შვებულება ერთია და მივლინება მეორე, მაგრამ ხშირად მივლინებაც შვებაა. პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ამ ,,შვებით“ განებივრებული გახლავთ — ამერიკიდან ახალდაბრუნებულს ჩინეთს მოუხდა წასვლა.

გიორგი ბარამიძე კი ასევე საქმიანი ვიზიტით იაპონიისკენ მიემგზავრება. მივლინებადეფიციტური გამოდგა ეს ზაფხული მიხეილ სააკაშვილისთვისაც, ცხადია, თუ ბათუმში გატარებულ ორ დღეს არ ჩავთვლით.

ერთი სიტყვით, რაში, რაში და შვებულებებში ბევრ ,,იმათგანსაც“ არ გაუმართლა. ასე რომ, თუ თქვენთვის სასურველი ხელმიუწვდომელია, ისღა დაგრჩენიათ, თავი იმით დაიმშვიდოთ, რომ ხშირად ჩინოვნიკთათვის ადვილად ხელმისაწვდომიც ხდება შეუძლებელი...

***მაია გაბუნია***

# 18 სექტემბერს კი დაიწყება სწავლა?!

წლევანდელი პირველი სექტემბერი ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული საზეიმო განწყობილების გარეშე ჩაივლის. ამის მიზეზი კი, გასულ კვირას, განათლების სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა — პირველი სექტემბრის ნაცვლად სასწავლო წელი საქართველოს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში 18 სექტემბერს დაიწყებაო.

უკვე მეორე წელია, სექტემბრის მოახლოებასთან ერთად იწყება ბჭობა სასწავლო წლის დაწყების თარიღის გადაწევაზე, რასაც ხსნიან ჰაერის ტემპერატურის მოსალოდნელი ზრდით. შარშან სასწავლო წლის გადაწევა ჯანდაცვის სამინისტროს რჩევით მოხდა. თუმცა, მაშინ განათლების მინისტრს რაიმე ახალი გადაწყვეტილება არ მიუღია და სწავლაც, ჩვეულებისამებრ, პირველ სექტემბერს დაიწყო.



წელს კი, სწავლის დაწყების გადადება თბილისის მერმა შესთავაზა განათლების სამინისტროს და გადაწყვეტილების დროულად მიღება სთხოვა, რადგან აგვისტოს ბოლოს, როცა ყველა მოსწავლე დაბრუნდება დედაქალაქში, მერე ამას აზრი აღარ ექნებაო. განათლების სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, როგორც გაირკვა, არ ყოფილა მარტო მოსალოდნელი სიცხეებით გამოწვეული. განათლების მინისტრის, ბატონ ალეკო კარტოზიას განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო წყალუხვი ქვეყანაა, წლევანდელმა გვალვებმა წყლის რესურსები მკვეთრად შეამცირა. აქედან გამომდინარე, განათლების სამინისტრო ფიქრობს, რომ უწყლობის გამო სანიტარული ნორმების დარღვევა გამოიწვევს სკოლებში სხვადასხვა დაავადების გავრცელებას.

უწყლობაში თავისთავად წყალმომარაგების სისტემაში წარმოქმნილი პრობლემები იგულისხმება, ამიტომ წყალკანალის ხელმძღვანელობას რეაგირების გარეშე არ დაუტოვებია განათლების მინისტრის ამგვარი განცხადება. როგორც მათ აღნიშნეს, გვალვის შედეგად მიყენებული ზარალი, ბუნებრივია, არის, მაგრამ თადარიგი ივლისიდანაა დაჭერილი და მოსახლეობას წყალი შეუფერხებლად მიეწოდებაო. ამიტომ, სწავლის დაწყების გადადების მიზეზად უწყლობის მოყვანას წყალკანალის ხელმძღვანელობა უსაფუძვლოს უწოდებს. სავარაუდოდ, არსებობს სასწავლო წლის დაწყების გრაფიკის დარღვევის კიდევ ერთი ვერსია. ეს გახლავთ ის მძიმე მდგომარეობა, რომელიც მასწავლებლებისათვის ხელფასებით დროულად უზრუნველყოფაში არსებობს და განსაკუთრებით თვალში საცემია რაიონებში. ზოგიერთი პედაგოგი გაფიცვითაც კი იმუქრება, თუ სასექტემბროდ ორი თვის ხელფასის დავალიანებას არ გაუსტუმრებენ.

მიუხედავად შექმნილი ოფიციალური თუ არაოფიციალური მიზეზებისა, რის გამოც აუცილებელი გახდა სასწავლო წლის დაწყების 18 დღით გადავადება, განათლების სამინისტრო თავის გადაწყვეტილებაში რაიმე ცვლილებების შეტანას არ აპირებს. თანაც, განათლების მინისტრი აცხადებს, რომ გრაფიკის დარღვევის მიუხედავად, სასწავლო პროგრამა მაინც ეტევა სასწავლო წელში, რომელიც 18 სექტემბერს დაიწყება და ნაცვლად 28 მაისისა, 15 ივნისს დამთავრდება. შეიცვლება არდადეგების სტრუქტურაც: გაუქმდება საშემოდგომო არდადეგები, რომელიც 22 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრამდე გრძელდებოდა, მარტის საგაზაფხულო არდადეგების მაგივრად იქნება სააღდგომო არდადეგები. სწორედ ამგვარი გადაადგილებები იძლევა ზემოაღნიშნული სასწავლო პროგრამის სრულად განხორციელების საშუალებას.

ასე რომ, მოსწავლეებს და სტუდენტებს შეუძლიათ ზედმეტი 18 დღით გაიხანგრძლივონ დასვენების სიამოვნება.

P.S. სექტემბერი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ვნებათაღელვის თვედაა ნავარაუდევი. ძნელი სათქმელია, რამდენად უკავშირდება ამ ამბავს განათლების სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მაგრამ ფაქტია, რომ უხელფასობით გატანჯულ პედაგოგთა მდგომარეობა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია არსებული მძიმე ვითარებისა, რომლის გამო გამოწვეულ სოციალურ აფეთქებაზეც ხშირად ლაპარაკობენ.

***მამუკა გიორგაძე***

# რას აღარ გაიგებ! — შვილებს ვყიდი და თავს ამით ვირჩენო!

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ე.წ. ოჯახურმა ბიზნესმა ფეხი საკმაოდ მყარად მოიკიდა: ექიმების ოჯახმა კერძო კლინიკა გახსნა, იურისტებმა — იურიდიული მომსახურების ფირმა, მასწავლებლებმა — სკოლა ან საბავშვო ბაღი და ა. შ.; ერთი სიტყვით, თვითდასაქმების საუკეთესო მეთოდს მიაგნეს.

როდესაც ჩემმა რესპონდენტმა ურცხვად განმიცხადა, ჩვენ ჩვეულებრივი საოჯახო ბიზნესი გვაქვსო, გავოგნდი — ეს ოჯახი, არც მეტი, არც ნაკლები, ახალშობილი ბავშვებით ვაჭრობს(!!!). მათვე მითხრეს, ასეთი ოჯახები დღეს თბილისში (და არა მხოლოდ თბილისში) არცთუ იშვიათია(!), თავის რჩენის ეს „უნიკალური" ხერხი საქართველოში არაერთი ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროდ არის ქცეულიო.

ჩემს „ბიზნესმენ" რესპონდენტებს შინ ვესტუმრე. მასპინძლები — სიმპათიური, 40 წლამდე ასაკის ცოლ-ქმარი და ენერგიული, ჯან-ღონით სავსე დედამთილი — არცთუ მტრულად შემხვდნენ. მალე ჩვენ შორის გულახდილი საუბარიც გაიმართა. ოღონდ მთხოვეს, მათი ვინაობა არ გამემხილა.

**— როდის დაგებადათ იდეა, რომ ამ საქმიანობისათვის მოგეკიდათ ხელი?**

— მესამე ბავშვზე ფეხმძიმედ რომ დავრჩი, უფროსი გოგონა 4 წლის მყავდა, ვაჟი — წლინახევრის. ეს ის დრო იყო, ფული რომ გამოიცვალა და ქვეყანა აირია. საშინლად გაგვიჭირდა. რძეს და კარაქს ვინ ჩივის, ბავშვებს ცარიელ პურსაც ძლივს ვაჭმევდი. უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. ჩემი მამამთილი ჩავარდა ლოგინად. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ერთ საღამოს ტელევიზორს ვუყურებდით. არ მახსოვს, რა გადაცემა იყო. უცებ ჩამესმა, ვიღაც იტალიელმა დედამ ახალშობილი ბავშვი გაყიდაო. მაშინ ბოლომდე არ გამიაზრებია, მაგრამ ეს ფრაზა გონებაში ჩამეჭედა. ველარ ვისვენებდი. ეს ბავშვი ოჯახში არავის უნდოდა. თავის დროზე აბორტის ფულიც არ მქონდა. მთელი სამი თვე მაწვალებდა ბავშვის გაყიდვაზე ფიქრი, მაგრამ ვერავის ვუმხელდი — მეშინოდა. ერთხელაც გავბედე და ქმარს ვუთხარი, — რა მოხდება, ბავშვი რომ დაიბადება, გავყიდოთ-მეთქი. ისე გადმომიბრიალა თვალები, რომ გული გამისკდა...

**საუბარში ქმარი ჩაერთო:**

— ეს რომ მითხრა, ვიფიქრე, საწყალი, მგონი, გაგიჟდა-მეთქი. მაგრამ მერე ეს აზრი ჭკუაში დამიჯდა. პროფესიით მშენებელი ინჟინერი ვარ. ერთ-ერთ სამშენებლო ტრესტში ვმუშაობდი და თავის დროზე ფულს ბლომად ვშოულობდი, მაგრამ შემცირებაში მოვყევი და ოჯახი ულუკმაპუროდ დამრჩა. მერე ძმაკაცთან ერთად ბიზნესს მოვკიდე ხელი. დამუშავებული ხე-ტყე თურქეთში გაგვქონდა. მორიგი გატანის დროს ერთი ტრაილერი უღელტეხილზე, თოვლზე მოცურდა და გადაიჩეხა. ხე-ტყეს ვინლა ჩიოდა, მძღოლი და მისი თანამგზავრი დაიღუპნენ. ვალებში ჩავვარდი, მევალეები უკვე თოფით დამდევდნენ. ვიფიქრე, ვიფიქრე და ცოლს ვუთხარი, — მოდი, ბავშვი მართლა გავყიდოთ-მეთქი.

**დედამთილი:** — ერთ საღამოს ჩემმა შვილმა და რძალმა მითხრეს, — გადავწყვიტეთ, ბავშვი რომ დაიბადება, გავყიდოთო. ყურებზე ხელი ავიფარე — ეს რა მესმის, მეორედ ასეთი რამ აღარ გამაგონოთ-მეთქი. ჩემი რძალი მესამე ბავშვზე იმ დროს დაფეხმძიმდა, როცა მეტისმეტად გვიჭირდა. ჩემი საწყალი ქმარი ხუმრობდა — ამ ბავშვს „არველოდი" უნდა დავარქვათო. ბოლოს და ბოლოს, მეც დამიყოლიეს.

**— რამდენად გაყიდეთ ეს ბავშვი?**

— არც ისე ძვირად. ფასები ჯერ არ ვიცოდით. ვერც ვიკითხეთ. პირველი ბავშვის გაყიდვაში ჩემი კონსულტაციის ექიმი დამეხმარა. იმას ჰყავდა უშვილო ნათესავები. 1.000 დოლარი მომცეს. ეს იმ დროს ჩემთვის იმხელა თანხა იყო, რომ ბევრიც კი მეჩვენა. მერე გავიგე, თურმე ახალშობილი გაცილებით ძვირი ღირებულა.



კორპუსი, სადაც ბავშვებით ვაჭრობაა გაჩაღებული; ნომერს, ჟურნალისტური ეთიკიდან გამომდინარე, შეგნებულად არ ვაფიქსირებთ...

**ქმარი:** — ვალი 25 ათასი დოლარი მქონდა. ბინა გავყიდეთ, ვალი გავისტუმრეთ და თბილისის გარეუბანში ბინა დავიგირავეთ. მამაჩემი გარდაიცვალა. გაჭირვებით დავასაფლავეთ და ისევ ვალებში ჩავცვივდით. ცოლმა მითხრა, — მოდი, კიდევ გავაჩენ ბავშვს და გავყიდოთო.

**ცოლი:** — ჩემი დედამთილი ექიმი-ლაბორანტია. თავის დროზე ერთ-ერთი პოლიკლინიკის ლაბორატორიაში მუშაობდა. 3 თვის ხელფასი — 16 ლარი რომ მისცეს, ადგა და სამსახურიდან წამოვიდა. ახლა შინ გვაქვს მთელი ლაბორატორიული აღჭურვილობა. ფეხმძიმობის დროს ანალიზებში ფულს აღარ ვყრით. ჩემს ქმარს კონტრაქტები აქვს დადებული (ცხადია, არალეგალურად) გინეკოლოგებთან. ის ექიმები, ასე ვთქვათ, მაკლერების როლს ასრულებენ. ჩვენც მათგან უკეთეს ვარიანტს ვირჩევთ.

**— „უკეთეს ვარიანტში" ფულს გულისხმობთ?**

— ფულსაც და პირობებსაც. პირველი ორი ბავშვი რომ გავყიდე, ისე მიჭირდა, სულ არ მაინტერესებდა, ვინ იყიდდა. ახლა უკვე ვარჩევ, რომ ბავშვი კარგ ოჯახში და კარგ პირობებში მოხვდეს. თუ საეჭვო ხალხია, რამდენიც არ უნდა შემომთავაზონ, არ ვაძლევ. ერთხელ, ერთმა ექიმმა ცოლ-ქმარი გამოგვიგზავნა. მოვიდნენ, ნორმალურად ეცვათ, ნორმალურად საუბრობდნენ, მოვრიგდით — ერთი კვირის თავზე ფული უნდა მოეტანათ და ბავშვი წაეყვანათ. შემთხვევით გავიგეთ, ცოლ-ქმარი კი არა, სატანისტები ყოფილან — რაღაც რიტუალისთვის ახალშობილის სისხლი სჭირდებოდათ. თავზარი დამეცა. დათქმულ დროს არ მოვიდნენ და გამიხარდა. მეორე დღეს მოგვადგნენ. ჩემმა დედამთილმა უარით გაისტუმრა. გუშინ რომ არ მოხვედით, გვეგონა, ბავშვი აღარ გინდოდათ და სხვას მივყიდეთო.

**— ბევრ გინეკოლოგთან გაქვთ ასეთი „კონტრაქტი"?**

— ამჟამად ექვსთან. არჩევანის საშუალება მეტი გვაქვს, მაგრამ თან ვფრთხილობთ, რომ რაიმე შარს არ გადავეყაროთ.

**— ოდესმე გადაჰკიდებიხართ ასეთ შარს?**

— კი. ერთხელ ერთმა ექიმმა პოლიციაში დაგვაბეზღა. დილაადრიან დაგვადგა თავზე ორი ფორმიანი — გავიგეთ, თურმე ასე და ასე აკეთებთო. ჩემმა ქმარმა 500-500 ლარი მისცა. ასე არ ვაკეთებთ, მაგრამ, აჰა, თქვენ ეს ფული, ჩემს სახელზე რამე იყიდეთ და აქ მეორედ აღარ მოხვიდეთო.

**— აღარ მოსულან?**

— არ ვიცი, ჩვენ მალე სხვაგან გადავედით საცხოვრებლად — ბინა ვიყიდეთ.

**— გაყიდული ბავშვების ფულით?**

— კი. მეოთხე ბავშვი ინგლისელ ცოლ-ქმარს მივყიდეთ. აქ რომელიღაც საერთაშორისო ორგანიზაციის ოფისში მუშაობდნენ. 15 ათასი დოლარი გადაგვიხადეს. კარგადაც დაგვასაჩუქრეს. ისეთი გახარებულები იყვნენ, მეტი რომ გვეთქვა, იმაზეც არ დაიხევდნენ უკან. საწყლებს, 10 წელი თურმე შვილი არ ჰყავდათ.

**— სულ რამდენი ბავშვი გყავთ გაყიდული?**

— ერთი თვის წინ მეშვიდე გავყიდეთ.

**— რა ფასად გაყიდეთ, კმაყოფილი ხართ?**

— კი, რა უშავდა. ებრაელმა ცოლ-ქმარმა იყიდა. 5 ათას დოლარს ვაფასებდით, მაგრამ იძულებული გავხდით, ათასი დოლარი დაგვეკლო. უკეთესი ვარიანტი აღარ გამოჩნდა.

**— კიდევ აპირებთ გაჩენას და გაყიდვას?**

— აბა რა! ეს 4 ათასი დოლარი სადამდე გვეყოფა? ჩემი შვილები უკვე მოიზარდნენ. ქვეყნის რაღაცები სჭირდებათ. ქმარი ისევ უმუშევარია. ეს 4 ათასი დოლარი ახლა ერთი წელი

> **15 წელი სრულდება, რაც გავთხოვდი და მას მერე სულ ორსულად ვარ. ამის ატანა ბევრ ქალს არ შეუძლია. ამიტომ სხვები სხვა რამით ვაჭრობენ, მაგალითად, მწვანილით, ყველით ან სულაც სხეულით. რაღაცით ხომ უნდა ირჩინოს ხალხმა თავი? დღეს ძალიან ბევრი ყიდის ბავშვებს. მოთხოვნილებაც დიდია. მწვანილი და ყველი შეიძლება ვერ გაყიდო და გაგიფუჭდეს, ბავშვს კი უსათუოდ გაყიდი.**

უნდა ვიმყოფინოთ, სანამ შემდეგი ბავშვი გაჩნდება. ეს ფულიც ისე უცბად ქრება, რომ თვალის დახამხამებას ვერ ვასწრებთ. ბანკებს ველარ ვენდობით. არადა, ფული შინ რომ გვაქვს, გინდა თუ არა — იხარჯება. ჩემი ქმარი ისეა დაშინებული, ბიზნესისათვის ხელი ველარ მოუკიდია. ამბობს, ეს ყველაზე ნაღდი ბიზნესიაო.

**— ეტყობა, ჯანმრთელობაც ხელს გიწყობთ...**

— კი, რას ამბობთ, ჯვარი მწერია. ისეთი ადვილი მშობიარობა მაქვს, რომ... ერთი ბავშვი კინაღამ სამშობიაროს კიბეზე დავბადე... ბლოკამდე მისვლა ძლივს მოვასწარი. არც ერთი მშობიარობა არ გამრთულებია.

**— ისე გულგრილად ლაპარაკობთ, რომ მგონია, ბავშვებზე კი არა, ნივთებზე მესაუბრებით.**

— (იბნევა) რისი თქმა გსურთ? რომ მე ცუდი, საძაგელი ქალი ვარ, დედობრივი გრძნობები არ გამაჩნია, უგულოდ ვიქცევი და საკუთარ ნაშიერს ვყიდი, რომ ჩემნაირები შვილის ღირსები არ არიან და ა.შ.? დიდი მადლობა, თუ ამის თქმა გინდათ. ამისთანები ძალიან ბევრჯერ მომისმენია. გგონიათ, მომწონს, ახალგაზრდა ქალი მუდმივად გაბერილი მუცლით რომ დავდივარ? მაგრამ აბა, რა ვქნა? პროფესიით ქიმიკოსი ვარ. სახელმწიფო უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე მაქვს დამთავრებული, მაგრამ... ერთი დღეც არ მიმუშავია — სამსახური ვერ ვიშოვე და იმიტომ.

**— დღეს ბევრი არ მუშაობს, მაგრამ...**

— არ ყიდის იმიტომ, რომ ბავშვის გაჩენა ადვილი არ არის. 15 წელი სრულდება, რაც გავთხოვდი და მას მერე სულ ორსულად ვარ. მთელი ახალგაზრდობა ფეხმძიმობაში გავატარე. ამის ატანა ბევრ ქალს არ შეუძლია. ამიტომ სხვები სხვა რამით ვაჭრობენ, მაგალითად, მწვანილით, ყველით ან სულაც სხეულით. რაღაცით ხომ უნდა ირჩინოს ხალხმა თავი? დღეს ძალიან ბევრი ყიდის ბავშვებს. მოთხოვნილებაც დიდია. მწვანილი და ყველი შეიძლება ვერ გაყიდო და გაგიფუჭდეს, ბავშვს კი უსათუოდ გაყიდი. თანაც მე ჯანმრთელ ბავშვებს ვაჩენ — უარს ვინ იტყვის?

**— როდემდე აპირებთ ამ „ბიზნესით" თავის რჩენას?**

— სანამ მთავრობა ჩვენს დაცინვას არ შეწყვეტს და სანამ ჯანმრთელობა მომყვება. ჩემი შვილები რაც უფრო იზრდებიან, მით მეტი სჭირდებათ. გოგონა 13 წლის არის — უკვე იპრანჭება, ჩაცმა უნდათ, ჭამა, სწავლა... საიდან? თავისით ხომ არ მოვა ეს ყველაფერი?

**— გაყიდულ ბავშვებს შვილებად არ მიიჩნევთ?**

— რა ვიცი, როგორ გითხრათ... რამე განსაკუთრებული გრძნობები ნამდვილად არ მაქვს. ეს ალბათ ბუნებრივი მომენტია. როცა ბავშვებზე ამაგი არ გაქვს, არ ეფერები, ამ დროს გრძნობებზე ლაპარაკი ზედმეტია. თუმცა ინსტინქტი — ინსტინქტია. რაც არ უნდა იყოს, მაინც ჩემი გაჩენილები არიან.

**— თქვენი შვილები როგორ უყურებენ თქვენს საქმიანობას?**

— სანამ პატარები იყვნენ, ვერაფერს ხვდებოდნენ. მუცელზე თითს მომაჭერდნენ და მეკითხებოდნენ ხოლმე — დედიკო, აქ რა გაქვსო. ვეუბნებოდი, ბალიშები-მეთქი. მერე, რომ წამოიზარდნენ, მიხვდნენ, რომ ბალიშები არ მქონდა, მაგრამ მაინც არაფერს ამბობენ. იციან, სხვანაირად ვერ ვიცხოვრებთ.

**— თქვენ რასაც აკეთებთ, ღმერთის საგმობი საქციელია. არ გეშინიათ?**

— რისი უნდა მეშინოდეს, ღმერთის? იცით, რა მიკვირს? ამ ბინძურ და უზნეო ქვეყანაში კიდევ ზნეობაზე რომ ლაპარაკობს ხალხი. კი მაგრამ, ვის ეშინია დღეს ღმერთის? მთავრობაში რა, წმინდანები სხედან? მაგრამ ცხოვრობენ, ფულიც აქვთ და სამსახურებიც. დღეს ასეა, ბოროტება თუ არ ჩაიდინე, ვერ იცხოვრებ. მე კი, ჩემი შრომით და წვალებით შვილებს ორ ლუკმაპურს ვაჭმევ. „ბობოლების" ცოლები ერთ ბავშვსაც არ აჩენენ — „ფიგურას" უფრთხილდებიან. მე კი, ოჯახი შიმშილით რომ არ ამომიწყდეს, აღარც „ფიგურაზე" ვფიქრობ და აღარც ჯანმრთელობაზე. ასეა, ჩემო კარგო, ვისაც არ გაჭირვებია, ამას ვერ გაიგებს...

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# სოფლის ყრილობაზე გამტაცებელმა პირობა დადო — თქვენ ნახავთ, რამდენ სიკეთეს გავაკეთებ ხეობისთვისო

წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომელთა გაუჩინარებით პანკისის ხეობაში მყოფ ჩეჩენ ლტოლვილებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში შექმნილმა ფსიქოლოგიურმა დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. ამ ფაქტმა საბოლოოდ აავსო მშვიდობიანი მოსახლეობის მოთმინების ფიალა, მთიელი კაცის გაზვიადებულმა თავმოყვარეობამ და საერთო ინტერესებისადმი დაპირისპირებულთა მიმართ მრისხანებამ ერთ მუშტად შეკრა ხეობის მრავალეროვანი მოსახლეობა. ეს რისხვა, უპირველესად, იმ ოჯახებს დაატყდა თავს, რომელთა ახლობლებიც სხვადასხვა მიზეზით ტყეში არიან გახიზნულნი.

ხეობაში მოვლენათა სწრაფმა პოზიტიურმა განვითარებამ (რომელშიც კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის წვლილი უდავოდ დიდია), კიდევ ერთი ახალწარმოქმნილი საკონფლიქტო კერა ჩააქრო, თორემ უდანაშაულოთა და ბრალდებულთა ახლობლებს შორის დაპირისპირება კინაღამ სისხლის ღვრაში გადაიზარდა.

ყველაზე მეტად ქისტები ბობოქრობდნენ: მრავალწლიანი მშვიდობიანი თანაცხოვრების მანძილზე, როდის ყოფილა, რომ ჩვენი ქმედებით საერთო ინტერესებისადმი ჩრდილი მიგვეყენებინოს, ან ვინ გაბედავდა გვარსა და ტომს წინ გადასდგომოდა. ამ სირცხვილსა და მსოფლიოს წინაშე თავის მოჭრას არავის ვაპატიებთო და დიდი და პატარა დამნაშავეებს ეძებდა. ორას-სამასკაციანი ჯგუფები სოფელ-სოფელ დადიოდნენ, ალყაში აქცევდნენ და სათითაოდ ჩხრეკდნენ სახლებს, ნაწილი სოფლისპირა ტყეებს ამოწმებდა. როგორც ჩანს, გამტაცებლებს უკვე მოესწროთ ტყეში ღრმად შესვლა, ხოლო მთას შეფარებული შეიარაღებული ხალხისთვის ულტიმატუმის ენაზე ლაპარაკი როგორი „იოლიცაა", რუსეთისა და ჩეჩნეთის მაგალითით კარგად ჩანს.

ამიტომ ძალოვანი სტრუქტურებისა და სამხარეო ადმინისტრაციისათვის თავიდანვე დღის წესრიგში დადგა დამნაშავეებთან დიპლომატიური მოლაპარაკების ულტერნატივო გეგმის შედგენა. პირველ ორ-სამ დღეს საქმეს ართულებდა ის, რომ გამტაცებლები მძევლებთან ერთად სისტემატურად იცვლიდნენ ადგილს და მათთან კონტაქტი შეუძლებელი იყო. სამი დღის შემდეგ მძებნელთა მხარემ შუამავლების მეშვეობით მოახერხა გამტაცებლებთან დაკავშირება, მაგრამ რეალური წინადადებები ვერც ერთმა მხარემ ვერ შესთავაზა ერთმანეთს, რადგან ოფიციოზმა ჯერ არ იცოდა, რა ამოძრავებდა მძევლების ამყვანებს, ხოლო გამტაცებლები, როგორც ჩანს, არ ჩქარობდნენ ულტიმატუმის წაყენებას, მათთან ხომ ორი მშვენიერი უცხოელი ქალბატონი იყო.

პრეზიდენტის რწმუნებულის, ბიძინა სონღულაშვილის იდეას სიტუაციის მშვიდობიანი გზით დარეგულირებისა და ურთიერთშეთანხმების შესახებ, პრეზიდენტიც დაეთანხმა და სწორედ ეს შეიქნა გადამწყვეტი ფაქტორი მძევალთა გათავისუფლებისა. „კვირის პალიტრა" ესაუბრა ***ბიძინა სონღულაშვილს.***

**— თქვენი აზრით, ხომ არ გაალიზიანებს ეს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც მიაჩნია, რომ დანაშაულის პატიება (მოგეხსენებათ, გამტაცებლები ადრინდელი დანაშაულებების გამო იძებნებოდნენ, მათი ულტიმატუმიც ამ ყოველივეს პატიებას ითვალისწინებდა) ახალ აგრესიას გამოიწვევს მათი მხრიდან?**

— მე ასე არ ვფიქრობ. ამის საფუძველს მაძლევს თუნდაც იმ დაჯგუფებიდან ჩვენ მიერ შემორიგებულთა პოზიცია, რომელიც კარგად გამოხატა ერთ-ერთმა მათგანმა სოფლის ყრილობაზე: თქვენ ნახავთ, რამდენ სიკეთეს გავაკეთებთ ხეობისთვისაო.

ამჟამად იქ სრული სიწყნარეა და ყველა პირობაა იმისთვის, რათა გავაგრძელოთ ერთობლივი მუშაობა ნარკოტიკებით ვაჭრობისა თუ სხვა ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად ხეობაში.

***გოგი მარხაშვილი, პრეზიდენტის რწმუნებულის პირველი მოადგილე*** — ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ბოლო დროს მოსახლეობაში გაძლიერებული მთის ტრადიციების ერთგულება: სტუმრის პატივისცემა, პირობის დაურღვევლობა, სამართლიანობისადმი, სოფლისა და თემისადმი თავდადებისა და ერთგულების გენეტიკური კოდი.

პანკისის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოითხოვს შეუვალი და პრინციპული ვიყოთ დამნაშავეების მიმართ, რათა ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს ხალხის ღირსების შემლახავი ქმედებები ხეობაში.

***თამაზ თამაზაშვილი, პოლიციის სამმართველოს რეგიონალური განყოფილების უფროსი*** — პოლიცია შეძლებისდაგვარად აკონტროლებს აქაურ სიტუაციას. ძალიან კარგად ვიცით, ვინ ვინ არის. ვიცით, რომ აქ 98 ნარკოტიკების რეალიზატორია და აქედან 7 ქალია. მაგრამ, უბედურება, იმაშია, რომ ჩვენ ვისაც ვიჭერთ, სასამართლოდან უშვებენ. მე პოლიციის თანამშრომლებიც დავიჭირე. 6 პოლიციელი და 1 უშიშროების წარმომადგენელია სამსახურიდან გათავისუფლებული, რომლებსაც კრიმინალებთან თანამშრომლობა ედებათ ბრალად. „გამწმენდი" ოპერაციის ჩატარებისაგან თავს ვიკავებთ, რადგან ბანდიტებთან 15-16 წლის ბავშვებიც არიან. არავინ არაფრისგან არ არის დაზღვეული. მე მათი სისხლი არ მინდა. ამიტომ თვითონ ქისტები უნდა მოგვეხმარონ და შვილები დამნაშავეებს ჩამოაშორონ. არ დავმალავ არც იმას, რომ მე ამ შეწყალების მომხრე არ ვიყავი, უბრალოდ მეც ზემოდან მოსულ ბრძანებას ვემორჩილები და იქ ალბათ ასე ჩათვალეს საჭიროდ.

პანკისის ხეობაში, დღესდღეობით სიმშვიდეა. თუმცა „კლიმატის" სტაბილურობამდე, ვფიქრობ, ჯერ მაინც შორსაა. მართალია, ცოტა ხნის წინ ოთხი თვის დაკარგული ყარაჯალელი აზერბაიჯანელი მოქალაქეც გაათავისუფლეს, მაგრამ ჯერ ისევ ტყვეობაშია მატნელი ბიზნესმენი, რომლის ძებნითაც სამართალდამცავები, მაინცდამაინც დიდად არ იწუხებენ თავს.

თვითონ ეს გარემოებაც, რომ ამჟამად მთაში რამდენიმე კრიმინალური ჯგუფია გასული, რომელთაც აბრაგობისთვის დამახასიათებელი რომანტიკული მიმზიდველობის გამო რამდენიმე ათეული ახალგაზრდაც მიეტმასნა, ჯერ კიდევ არ იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ ყველაფერი მშვიდობიან კალაპოტში მოექცა. ამასთან, ეს შეიარაღებული ჯგუფებია, რომელთაც რუსული პრესა მუდმივად „ჩეჩენ ბოევიკებად" მოიხსენიებს და ზოგიერთ ჩვენს თანამემამულესაც ამბიციური განცხადებების გაკეთებისათვის ეს თემა თითზე აქვს დახვეული. არადა, ამ დაჯგუფებებში, როგორც ამბობენ, ჩეჩენი სულ 2-3%-ია.

ნატაშა ზუნინოს, სოფია პროკოფიევას და მათი მძღოლის გათავისუფლებით მიღებული გამოცდილება იმის საფუძველსაც გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ მთაში გახიზნულთა ეტაპობრივი შემობრუნებაც სოფლისა და ოჯახებისკენ შესაძლებელი შეიქნება და მაშინ კი მართლაც შეიძლება ხეობის მოსახლეობამ მშვიდად ამოისუნთქოს, რადგან, როგორც დღეს უკვე აშკარად ჩანს, პანკისში ყოველგვარი დაძაბულობისა და უსიამოვნების საფუძველს გახშირებული კრიმინალური შემთხვევები ქმნის, რომელთა კვალს, ძირითადად, ტყეში მივყავართ.

P.S. ჩვენთვის ისიც ცხადი გახდა, რომ მომავალში ჟურნალისტებს უფრო გაგვიჭირდება პანკისის ხეობიდან მასალის გამოტანა, რადგან ქისტებმა სონღულაშვილს ხეობაში მომუშავე ჟურნალისტთა გაკონტროლებაც მოსთხოვეს, რადგან უკმაყოფილონი არიან პანკისის თემის გაშუქებით. როგორც ითქვა, მასმედიის წარმომადგენლები ჯერ გამგებელს უნდა შეუთანხმდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ ავიდნენ ხეობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არავინ არაფერს ეტყვის, რადგან ხეობაში ხელისუფლების წარმომადგენლის გარეშე ასულ ჟურნალისტს „ბრაკონიერად" მონათლავენ და შესაფერისადაც მოექცევიან?!

***ფირუზ ფურცელაძე***
***ნანა ქიბიშაური***

# ასე ბრუნდებოდნენ ქართველები

ამას ამბობდა ქართველი,
სპარსეთში გადახვეწილი:
— რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ,
მაინც ვიქნები ქართველი...

***ლიდია მეგრელიშვილი***

საუკუნეების მიღმა დატრიალებულმა ფერეიდნელი ქართველი ბიჭის, 12 წლის იოთამის ტრაგედიამ ვერ მოსპო სპარსეთში გადასახლებულ კახელთა იმედი (პატარა მხედრის იოთამისა და 165 ქართველი მეომრის ბედზე მოგითხრობთ რუბრიკაში „ჩვენ, ქართველები“, გვ.14.).

ძნელად თუ მოიძებნება ჩვენი ერის ისტორიაში ქვათა დუღილისა და გოდების ისეთი ჟამი, როგორიც 1616 წელს იდგა კახეთში. მტარვალმა შაჰ-აბასმა სრულად მოსრა ქართული სოფლები, დალეწა ეკლესია-მონასტრები, დაანგრია ციხესიმაგრეები, აკაფა ვაზი, აყარა მოსახლეობა და შორეულ ფერეიდანში გადაასახლა...

მემატიანეთა თქმით, შაჰ-აბასის ამ შემოსევას კახეთის მოსახლეობის მხოლოდ ორი მესამედი გადაურჩა. 100.000 — ბრძოლაში დაიღუპა, 80.000-ზე მეტი კი ყიზილბაშებმა შორეული ირანის გზას გაუყენეს. მათ კარ-მიდამოში, ალაზნის გაღმა-გამოღმა, შაჰ-აბასმა ულუსები ჩაასახლა.

1654 წლის ტრაგედიიდან დიდი ხნის შემდეგ, პირველები, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ, იოთამ ონიკაშვილი და ყოლა ხუციშვილი ყოფილან. 1871 წელს ისინი მშობლიურ მარტყოფში ჩასულან, თანამოძმეებიც უდიდესი სიხარულით შეხვედრიან მათ. ონიკაშვილი ასე ყვებოდა თურმე: „როდესაც დრო გვქონდა, შევიყრებოდით ქართველები და სულ საქართველოზე ვლაპარაკობდით. მიტაცებდა საქართველოს ნახვის სურვილი, ისე რომ, ყველაფერი მავიწყდებოდა. მადლობა ღმერთს, რომ ემოდენა მწუხარების და გაჭირვების შემდეგ, სურვილი ამისრულდა და ვნახე მამა-პაპათა სამშობლო, რომელზეც სამასი წლის განმავლობაში სახელზე მეტი არა გაგვიგონია, რა“. ფერეიდანში დაბრუნებული იოთამ ონიკაშვილი ცდილობდა, იქ ქართული სკოლა გაეხსნა, მაგრამ ადგილობრივ ხელისუფლებას ნება არ დაურთავს, ამიტომ იგი კარდაკარ დადიოდა და ისე ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას. მოგვიანებით, ქართული სკოლა ფერეიდანში სეიფოლა იოსელიანს გაუხსნია, მაგრამ წიგნების დიდ ნაკლებობას განიცდიდა. ამიტომ იქაურები ყოველივე ქართულს დანატრებულნი იყვნენ მაინც. სამშობლოს ნატვრას კი იმით იოკებდნენ, რომ სპარსეთის სოფლებს ქართული სახელები უწოდეს — ნინოწმინდა, მარტყოფი, ჩუღურეთი, ვაზისუბანი, გურჯაანი...

ეს მცირეოდენი ისტორიული ექსკურსი იმისთვის დაგვჭირდა, რომ მკითხველისთვის შეგვეხსენებია და გვეთქვა, როგორ ესწრაფოდნენ ფერეიდანში გადასახლებული ქართველები სამშობლოში დაბრუნებას. შეიძლება მოვიტანოთ უამრავი წერილი, რომელშიც ადრესანტები კომუნისტურ ხელისუფლებას ყელგამოწეულნი ევედრებიან საქართველოში დაბრუნებას. 60-იან წლებში მათ დასაბრუნებლად აქტიური მოღვაწეობა დაიწყო. ფერეიდნელ ქართველთა დაბრუნებისთვის მებრძოლი ჯგუფიც შეიქმნა. 70-იანი წლების დასაწყისში კი, ინტელიგენციის დიდი შრომის შედეგად, ფერეიდნელთა მცირე ნაკადი ჩამოვიდა, — სულ ოცდასამი ოჯახი.

და აქ ჩვენს მთავარ სათქმელსაც მივადექით: ხსენებული ოცდასამი ოჯახიდან, ბოლო წლებში დიდი ნაწილი ისევ ფერეიდანში დაბრუნდა. ძლივს დაბრუნებული შვილები გაიქცნენ თუ გააქციეს, ამას ჩვენი ერთ-ერთი რესპონდენტი, ფერეიდნელი ქართველი გიამბობთ. მე კი აქედანვე მინდა ვთქვა, რომ მათი აქ ჯერ ჩამოსვლა და შემდეგ დაბრუნება ნამდვილად არ გახლავთ „უძღები შვილის“ ჭირვეულობა. აქ უფრო ღრმა და მრავალწლიანი ტკივილი იმალება, ვიდრე ჩვენ — საქართველოს ქართველებს გვგონია.

მანამდე კი, მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს ზემოხსენებული მებრძოლი ჯგუფის ერთ-ერთი წევრის მოგონებანი. გვიამბობს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბატონი **აკაკი მათიაშვილი**:

„მაშინდელი ხელისუფლება საჯაროდ არა, მაგრამ ფარულად ხელს გვიშლიდა ამ საქმის განხორციელებაში. ვასილ მჟავანაძესთან ამ საკითხზე ორი, ხანგრძლივი შეხვედრა გვქონდა. ბოლოს, მიზანს მაინც მივაღწიეთ — ამაში საზოგადოების დაჟინებამაც ითამაშა როლი. პირველი ნაკადი 1972 წელს ჩამოვიდა. 15 მარტს ჯავად ბათუაშვილის ხუთკაციანი ოჯახი სამშობლოს დაუბრუნდა. განსაცვიფრებელია ერთი გარემოება: 14-ში მთელ ქართლ-კახეთში გადაუღებლად თოვდა, პეპლისოდენა ფანტელები ცვიოდა მოღუშული ციდან, ბევრგან სქელი ნისლი იწვა. 15-ში კი, ჰოი, საოცრებავ: მტკვრის ხეობიდან ალაზნის ველამდე, არათუ ნისლი და ბურუსი, ღრუბლის ერთი ქულაც კი არ ჭაჭანებდა. თითქოს სამშობლო და ბუნება ერთად ზეიმობდა ბედკრული შვილების დაბრუნებას. კარგად მახსოვს, საზეიმო სუფრა სოფელ ჩუმლაყში გაიმართა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო — იმდენჯერ მინატრია, ოღონდ ფერეიდნელ ქართველთა სამშობლოში დაბრუნებას მოვესწრო და თუნდაც იმ დღეს მოვკვდე-მეთქი. ჩუმლაყიდან ბათუაშვილები პირდაპირ მათი წინაპრების სოფელში — მარტყოფში გავამგზავრეთ. მე თვითონაც მარტყოფელი ვარ და ხომ წარმოგიდგენიათ ჩემი ბედნიერება. 1972 წლიდან დღემდე 23 ოჯახი დაბრუნდა. ნაწილი ჩუმლაყში დასახლდა, ნაწილი — ვაზისუბანში, მარტყოფში, საგარეჯოში და თბილისში. სამწუხაროდ, ჩვენივე ბედოვლათობის გამო რამდენიმე ოჯახი ისევ დაბრუნდა ფერეიდანში — ეს მოხდა ბოლო რვა წლის განმავლობაში. მათთან კონტაქტი მე არ გამიწყვეტია. სატელეფონო საუბრები მაქვს. ენით ვერ გადმოვცემ იმათ სინანულს, რომ აქ არ ცხოვრობენ. მაგრამ მეუბნებიან, ცოტა თუ გამოსწორდება ცხოვრება, უეჭველად დავბრუნდებითო და სულმოუთქმელად ელიან ამ „გამოსწორებულ ცხოვრებას“. იქ მუშაობენ, შემოსავალი აქვთ და ოჯახებს არჩენენ. აქ კი — ყველანი უმუშევრები იყვნენ. იმათ ჩვენგან არაფერი ესაჭიროებათ მცირეოდენი სითბოს, მზრუნველობისა და თანადგომის მეტი. ფერეიდნელი ქართველისთვის არაფერია იმაზე მეტი შეურაცხმყოფელი და სასოწარმკვეთი, როგორც ის, სამშობლოს მიწაზე რომელიმე ხეპრე რომ თათარს უწოდებს. თათრის დაძახებას მათ სპარსეთშიც კი ვერავინ უბედავს, აქ კი... სამწუხაროდ, ასეთი პრეცედენტები ყოფილა. სოციალურმა გაჭირვებამ ხალხს თავგზა აუბნია, მაგრამ კაცი გაჭირვებაში გამოიცნობაო. ფერეიდნელ ქართველებს ჩემი ხუთი თითივით ვიცნობ. არაფერი უხარიათ ისე, როგორც გურჯობა. მათ ჩამოსახლებაზე მთელი სსრკ შევძარით, მთელი რვა წელი მუხლჩაუხრელად ვშრომობდით, ჯერ მარტო საქართველოს მოქალაქის მილიონი ხელმოწერა მოვაგროვეთ და ახლა რა?! სიმწრით დაბრუნებული ხალხი უკან გაგვექცა. ეს ძალიან, ძალიან დიდი ტკივილია პირადად ჩემთვის. მაგრამ მჯერა, რომ ისინი, ყველანი, მაინც დაბრუნდებიან, თანაც უკლებლივ. ჩვენს ქვეყანას სად ჰყავს დასაკარგი შვილები?!

რაც შეეხება მათ რელიგიურ მრწამსს: მათი ქრისტიანული სულისკვეთების დასამტკიცებლად ისიც იკმარებს, რომ პურს ისე არ გამოაცხობენ, თუ ზედ ჯვარი არ გამოსახეს. იქ, ფერეიდანში კი, ქართულ ოჯახებში დღემდე ინახება წმინდა ხატები. რაკი იქ ძირითადად მარტყოფელი კახელები არიან, უფრო მეტად წმინდა ანტონ მარტომყოფელის ხატი აქვთ. იმის უთქმელობაც არ ეგების, რომ ისინი ძალით მაინც გაამუსლიმანეს, შინაგანად კი — ქრისტიანები დარჩნენ. აქ ვინც ჩამოვიდა, ყველა მოინათლა. მამა-პაპათა რწმენა მათ დიდი სიყვარულით დაიბრუნეს. საოცარია, რომ მათი გადასახლებიდან ოთხასი წელი ხდება და არ დაივიწყეს მშობლიური ენა, ადათ-წესები, არ შეიცვალეს გვარები... მსგავს რაიმეს მსოფლიოს ისტორიაში ძნელად თუ შეხვდებით.“

**მურთაზ ბათუაშვილი**, ფერეიდნელი ქართველი: „ფერეიდნიდან რომ ჩამოვედით, ერთმანეთთან ურთიერთობა ამ 23 ოჯახს არ გაგვიწყვეტია. თუნდაც იმიტომ, რომ ყველანი ერთმანეთის ნათესავები ვიყავით. ჩემი ინფორმაციით, 23 ჩამოსახლებული ოჯახიდან 20 უკან დაბრუნდა. იქ ცხოვრების ნორმალური პირობები აქვთ, აქ კი ბავშვები შიმშილით უკვდებოდათ. ამდენად, ვერ დავძრახავ, რატომ გაიქცნენ-მეთქი. მე რაც შემეხება, სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვერსად დავიწყე მუშაობა, გინეკოლოგი ვარ; მაგრამ მაინც არსად წასვლას არ ვაპირებ. სოფელ ჩუმლაყში, სადაც ჩვენი ოჯახი ჩაასახლეს, მიწის ნაკვეთი მაქვს და ვამუშავებ. ცოტაოდენი მოსავალი მომყავს, მაგრამ წელს გვალვამ სულ ჩაახმო ყველაფერი. თანაც, ვიღაც უკეთურმა ატმის ბაღი გადამიწვა. რა ვიცი, ვინ გამიკეთა? შეიძლება იმან, ვისაც ჩვენ ქართველებად არ მივაჩნივართ და თათრებს გვეძახის. ასეთები კი, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, კახეთის არაქართველი მოსახლეობაა. არადა ფერეიდანში რომ ვცხოვრობდით, ჩემი მამა-პაპისგან ასე მისწავლია: ირანი ჩვენი სამშობლო არ არის, ჩვენი დიდი სამშობლო საქართველოაო.




ჩვენები 1972 წელს ჩამოვიდნენ აქ. ჩემს ოჯახში 8 ბავშვი იზრდებოდა — 4 და და 4 ძმა. დღეს ცხოვრება მათაც უჭირთ... მადლობა ღმერთს, გაქცევაზე არც მათ უჭირავთ თვალი. იქ წასულებთან ურთიერთობა მაქვს. ზოგი პედაგოგად მუშაობს, ზოგი — ბანკში. ირანის ხელისუფლებამ მიწებიც კი დაურიგა მათ და მოქალაქეობაც მისცა. ფერეიდანში ჩვენც კარგად ვცხოვრობდით. 20 ჰექტარი მიწა გვქონდა, ცხვარიც გვყავდა და სხვა პირუტყვიც. მიწების დამუშავებას ჩვენ ვერ ავუდიოდით და მოჯამაგირეები გვყავდა. მოკლედ, არაფერი გვაკლდა... ბაბუაჩემი ბაგერ ბათუაშვილი ბრძენი კაცი იყო. თუ ვინმეს რაიმე სადავო ჰქონდა, მას უხმობდნენ. ისიც, ისე სამართლიანად წყვეტდა საქმეს, რომ მომდურავი არავინ ჰყავდა. მახსოვს, ცხონებული იტყოდა ხოლმე — შორია ჩვენს სამშობლომდე, ჩვენს გურჯისტანამდეო... სტუმრადაც ვერ მოდიოდა აქ. ვიზის მიღება, ჩამოსვლა, ყველაფერი ძალიან ძნელი იყო კომუნისტების დროს... ბაბუა სიკვდილამდე ჩოხას ატარებდა, ბებია ჩინებული მექართულე იყო. საერთოდ, ფერეიდანში შენარჩუნებული ჰქონდათ ქართულ-ქრისტიანული ადათ-წესები. ძალით გამუსლიმანებული ხალხი აღდგომის დღეს გამოითვლიდა და კვერცხებს წითლად ღებავდა, პურს ისე არავინ გამოაცხობდა, ზედ ჯვარი არ გამოესახა, ოჯახებში უძველესი, გაცრეცილი ხატები ინახებოდა. ახალ ხატებს სად იშოვიდნენ?! ბავშვებმა თამაშიც კი ქართული ვიცოდით. მახსოვს, ლახტის თამაში გვიყვარდა ძალიან. იოთამის ხსოვნის შეჯიბრი კი იქ დღემდე იმართება. შეჯიბრის შემდეგ ხნოვანი ხალხი თავს იყრიდა და მამა-პაპათა მონაყოლს იხსენებდა, ჩვენ, პატარები, ვიდექით და ვუსმენდით. ასე ღვივდებოდა ჩვენში უნახავი სამშობლოს მონატრება.

იქ ქურდობა და მოტყუება დიდ ცოდვად ითვლებოდა, აქ კი, კახეთში, ორჯერ გამიქურდეს სახლი. მეც მიჭირს, მაგრამ ყაჩაღობას როგორ ვიკადრებ? სხვას როგორ წავართმევ? ღმერთის წინაშე ამას როგორ ვიზამ?

ვის არ მივმართე დასახმარებლად, იქნებ სამსახური დავიწყო-მეთქი. განცხადება გავაკეთე სახელმწიფო კანცელარიაში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, მედიცინის მუშაკთა გაერთიანებაში, პარლამენტში, ჯანდაცვის სამინისტროში. ამ უკანასკნელმა სეფსისის ცენტრში მიმიწვია. იქ კი, როგორც გავიგე, 5 ექიმზე ორი ავადმყოფი მოდის, ერთ ექიმს ლარ-ნახევარი აქვს ხელფასი და მე-6-ე კაცად მისვლა მომერიდა. ერთხელ, ერთ-ერთი საავადმყოფოს მთავარ ექიმსაც ვთხოვე. მატყუა და მატყუა რამდენიმე თვეს. ბოლოს, მითხრა, — ახლა ვერ მიგიღებ, დაკრძალვაზე მივდივარო. კარგად მახსოვს, ოთხშაბათი დღე იყო. იმას ეგონა, ალბათ არ მეცოდინებოდა, ქრისტიანები ოთხშაბათს რომ არ კრძალავენ. ჩემი ოჯახი კი, მთლიანად, ქრისტიანულად ვცხოვრობთ. ეკლესიაში დავდივართ და ლოცვებს ვისმენთ. ჩემი ბიჭი ადრე კარატეს სწავლობდა. ყოველ პატარა შეჯიბრებაზეც კი, ისე არ გავიდოდა, თუ სანთელს არ აანთებდა და ლოცვას არ წარმოთქვამდა. ახლა სპორტს თავი დაანება. სად გვაქვს ამის საშუალება? არანაირი სამედიცინო დახმარება, შეღავათი, შემწეობა ჩვენთვის გათვალისწინებული არ არის და გაიქცა კიდეც ეს ძლივს დაბრუნებული ხალხი. ჰო, კიდევ გამახსენდა: ერთ-ერთ ადგილას სამსახურის დაწყებისთვის 5.000 დოლარი მომთხოვეს. მწარედ გამეცინა. მეუღლე აქ შევირთე, პედაგოგია, გვარად მამალაშვილია და იმას რა შემოსავალი ექნება, კი გეცოდინებათ. ვართ ასე, გაჯახირებული. არ ვიცი, ვინ შეისმენს ჩემს თხოვნას, მაგრამ იქნებ მოხდეს სასწაული და რაიმე ადგილი შემომთავაზონ, სულ უბრალო. სხვათა შორის, სპარსულიც კარგად ვიცი. სკოლა ფერეიდანში დავამთავრე. იქიდან რომ წამოვედით, 16 წლის ვიყავი. ახლა თითქმის ამ ხნის შვილები მყავს და ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხარია, რომ ერთხელაც არ უთქვამთ — მამა, წავიდეთ აქედანო“.

ამ აღსარებათა მოსმენის შემდეგ დავინტერესდით ჩვენი ხელისუფლების აზრით ყოველივე ამის თაობაზე. პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ქალბატონ **ელენე თევდორაძესთან** ასეთი დიალოგი გაიმართა:

— არანაირი კანონი და ნორმატიული ბაზა არ ითვალისწინებს ეროვნული მიდგომით ადამიანისთვის დახმარების გაწევას. მეორეც — ჩვენი კომიტეტის პრეროგატივა არ არის მოქალაქისთვის სამსახურის მოძებნა. თუმცა, ბევრი სწორედ ამგვარი თხოვნით მომმართავს. მათ შორის არის თქვენ მიერ ხსენებული პიროვნებაც — ბათუაშვილი.

**— თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, ფერეიდნელი ქართველები ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ?**

— არა, მე სხვანაირად ვიგულისხმე: ამ კატეგორიის ხალხისთვის არ არსებობს კანონი, რომელიც მათთვის რაიმე შეღავათს ითვალისწინებდეს. ამ კანონის პროექტის მხოლოდ ჩანასახი არსებობს. ჩვენი კომიტეტი ამაზე მუშაობს, მაგრამ მისი მიღება, სამწუხაროდ, შორეული მომავლის საქმეა. აქედან გამომდინარე, ბინებისა და სამსახურში მოწყობის საკითხიც ღიად რჩება. მინდა რაღაცით დავეხმარო, მაგრამ... იგივე შემიძლია ვთქვა მათთვის მატერიალურ დახმარებაზეც. რომ არსებობდეს რაიმე კანონი და ის არ სრულდებოდეს, მაშინ სათქმელი მექნებოდა, ამ ხალხის უფლებები ირღვევა-მეთქი. ახლა კი, რა ვქნა? ყველას თავუგრძნობ, მაგრამ არანაირი გარანტიის მიცემა არ შემიძლია.

P.S. როგორც მკითხველი თავადაც უკვე დარწმუნდა, ხელისუფლებას ფერეიდნელ ქართველებზე, ჯერჯერობით მაინც, ხელი აღებული აქვს. მომავალში კი, შესაძლოა, არაჩვეულებრივ ქართველებადაც კი შერაცხონ. ყოველი შემთხვევისთვის, აღმოჩნდა, რომ მათთვის და მათთან გათანაბრებული პირებისთვის განსაკუთრებული ნორმატიული აქტი მუშავდება. აღარ შევუდგებით იმის მტკიცებას, რომ ფერეიდნელი ქართველიც ქართველია. უბრალოდ, ერთს ვიტყვით: ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, სულისკვეთება ქართული აქვთ და ქართული საქმის კეთება სურთ.

როგორც ჩანს, ზემოხსენებული კანონის მიღებამდე მათი ხსნა უბრალო, კეთილ ადამიანებზე იქნება დამოკიდებული. საბოლოო სიტყვა კი მაინც ხელისუფლებამ უნდა თქვას — ხელს ჰკრავს იგი 400 წლის დაკარგულ შვილებს თუ ქართულ, მშობლიურ კალთას გადააფარებს. იმ კალთას, რომელიც 20 ფერეიდნელ ოჯახს არცთუ თბილი ეჩვენა და სპარსეთის გზას ოდესღაც ტყვედ წაყვანილი, დღეს საკუთარი ფეხით დაადგა.

არადა, მართლაც და, ვინ მისცა საქართველოს დასაკარგი შვილები?!

***ქეთი ბერეკაშვილი***

## ქალბატონო რედაქტორო!

**თქვენს გაზეთს დიდ პატივს ვცემ. ძალიან მომეწონა ახლახან ჩამატებული „იბეჭდება პირველად“. მე არც ცნობილი გახლავართ და არც მწერლობაზე მაქვს პრეტენზია. მოთხრობა, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ, ევროპაში სწავლისას დავწერე და ერთადერთია, რისი ჩუქებაც შემიძლია ჩემი საყვარელი გაზეთისათვის.**

***დაჩი გრძელიშვილი***

# „იქნებ, არასერიოზული გეჩვენოთ, ქალბატონო...“

იქნებ არასერიოზული გეჩვენოთ, ქალბატონო, მაგრამ იცით, აგერ იმ ბეღურას და მის ბარტყს ძალიან უნდა შიოდეთ. თქვენი ბიჭუნა კი მათ გამუდმებით აფრთხობს და ნამცეცებთან ახლოს არ უშვებს — მივმართე უზომოდ დამწუხრებულმა ერთ ქალბატონს, ბავშვი რომ გამოეყვანა კოძიას მოედანზე სასეირნოდ.

როგორც ჩანს, ჩემს ზედმეტად სერიოზულ ტონთან და გამომეტყველებასთან ერთად უცხოელის აქცენტმაც იმოქმედა. — დამფრთხალმა ქალმა ბავშვი ხელში აიყვანა და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას.

მაგრამ ჩემს უცნაურ ქმედებას თავისი ახსნაც ჰქონდა... გაზაფხულის ერთი ჩვეულებრივი დილა იყო. ერთი ჩვეულებრივი სასტუმროს ჩვეულებრივ ოთახში ცხოვრობდა ჩვენი პაწაწინა ოჯახი — ნიკუშა თამაშობდა, მე გაზეთს ვკითხულობდი. დაღლილმა ირმამ, რომელიც თავის „სამზარეულოში“ — საწერ მაგიდაზე დადგმულ პატარა „პლიტასთან“ ფუსფუსებდა, თმა შეისწორა და სევდიანად გახედა ფანჯარას — ეჰ, ბეღურები მაინც ვიყოთ — არაფერი შეგვაწუხებდა, სადაც მოვისურვებდით, იქით გავფრინდებოდით ჩვენს ბარტყთან ერთად — გზად კი კეთილი ადამიანები დაგვაპურებდნენ...

ამ ამბის შემდეგ ორიოდე დღემ განვლო. უნივერსიტეტში მიმავალს გზად კოძიას მოედანზე უნდა გამევლო. იქ კი მუდამ ირევიან მტრედები, ბეღურები და „მათი დამპურებელი კეთილი ადამიანები“. რატომღაც ერთმა ბეღურამ მიიპყრო ჩემი ყურადღება — გამალებით ცდილობდა პურის ნამცეცების დათრევას, როგორც კი მტრედებს მოშორებით დაიგულებდა, დიდი წვალებით ეპარებოდა ნამცეცებს, თან თავის ბუთხუზა ბარტყსაც არ უნდოდა ძალიან დაშორებოდა.



მაგრამ სწორედ იმ დროს, მას რომ დიდი ჯაფით მოპარულ ნამცეცს გაუწვდიდა, პატარა ბიჭუნა ჩამოიქროლებდა ხოლმე ველოსიპედითა და ზარების გამაყრუებელი ჟღარუნ-წკარუნით. საწყალი ბეღურები ნამცეცებს იქვე ჰყრიდნენ და ფართხა-ფურთხით შველოდნენ თავს. სწორედ მაშინ იყო, უზომოდ შეწუხებულმა და ლამის აცრემლებულმა ბავშვის დედას რომ მივმართე — „იქნებ, არასერიოზული გეჩვენოთ, ქალბატონო...“

***დაჩი გრძელიშვილი***

# SOS! გადაარჩინეთ „კურსკი“...

## რუსულმა ველიკოდერჟავულმა ამბიციებმა 118 მეზღვაური სასიკვდილოდ გაიმეტა

ის, რაც გასულ კვირას ხდებოდა ბარენცის ზღვაში, არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება.

კვლავ არ უღალატეს თავის საბჭოთა, სალდაფონურ ტრადიციებს რუსმა გენერლებმა და 107 მ-ის სიღრმეში გამომწყვდეული 118 მეზღვაური სასიკვდილოდ გაიმეტეს. წინა პლანზე კვლავ გამოვიდა პატრიოტიზმის ცრუ გაგება — უცხოელები არ ჩაერიათ ავარია-განცდილი წყალქვეშა ნავის გადარჩენის საქმე-ში. არადა, მთელი მსოფლიო ოთხი დღე ევე-დრებოდა კრემლს, დახმარებას აღმოგიჩენთო და რუსებმა მხოლოდ ავარიიდან მეექვსე დღეს განაცხადეს თანხმობა დასავლეთის დახმარე-ბაზე.

ყველაფერი კი ჩვეულებრივად დაიწყო. 12 აგვისტოს ბარენცის ზღვაში რუსეთის ჩრდი-ლოეთი ფლოტის 30-მდე წყალქვეშა ნავი და სამხედრო ხომალდი მორიგ სამხედრო-საზღ-ვაო მანევრებში იღებდა მონაწილეობას. სწავ-ლების თანახმად, ფრთოსანი რაკეტებით შეი-არაღებულ სარაკეტო ატომურ წყალქვეშა კრეის-ერს „კურსკის“ ტორპედოები უნდა ესროლა სას-წავლო სამიზნისთვის. მოულოდნელად, მასთან რადიოკავშირი გაწყდა, სამაგიეროდ, ზღვის სიღრმიდან ჰიდროაკუსტიკის სპეციალისტებმა აფეთქების ყრუ ხმა გაიგონეს, რომელიც თავდაპირველად აღქმულ იქნა, როგორც წყ-ალქვეშა ნავიდან ტორპედოების სტარტი.

ყოველ ნახევარ საათში სამხედრო სწავლე-ბების ხელმძღვანელობა ცდილობდა, რადიოკავ-შირი დაემყარებინა „კურსკთან“, მაგრამ ამაოდ. მიუხედავად ასეთი საგანგაშო მდგომარეობისა, მეორე დღეს, 13 აგვისტოს, ჩრდილოეთი ფლო-ტის სარდალს კრინტი არ დაუძრავს „კურსკის“ გაქრობის შესახებ და რუსეთის მას-მედიის წარმომადგენლებს აუწყა, რომ სწავლება მშ-ვენივრად მიმდინარეობდა.

ფაქტობრივად, რუსმა სამხედროებმა ერთი დღით დამალეს ინფორმაცია მათივე წყალქვეშა ნავის ავარიის შესახებ, რითაც მეზღვაურებ-ის გადარჩენის ისედაც მწირი ალბათობა შეამ-ცირეს.

თუმცა, დასავლეთის სპეცსამსახურებს რუსები ვერაფერს გამოაპარებდნენ. საიდუმ-ლო აღარავისთვისაა, რომ პენტაგონი რუსებ-ის ყველა სამხედრო სწავლებას „გამადიდებე-ლი შუშით“ დეტალურად აფიქსირებს. ამერიკელ მზვერავებს არ გამოჰპარვიათ რუსული ატომ-ური წყალქვეშა ნავის გაუჩინარება და განგა-ში ატეხეს. მხოლოდ ამის შემდეგ ინება კრემ-ლმა იმის აღიარება, რომ მისმა თანამედროვე წყალქვეშა ნავმა ავარია განიცადა ბარენცის ზღვაში, ხმელეთიდან 90 კმ-ის დაშორებით.

**ჩვენი დოსიე: 949A პროექტის სარაკეტო წყალქვეშა კრეისერი Rehcr-ი, საბორტე ნომრით R-141 (NATO-ს კლასიფიკაციით OSCAR-II) მართლაც ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტში. იგი წყალში მხოლოდ 1994 წელს ჩაუშვეს, ხოლო 6 წელი ატომური წყალქვეშა ნავისთვის ყმაწვილობის ასაკია. მისი სრული წყალქვეშა წყალწყ-ვა 24 ათას ტონას აღწევდა. სიგრძე 155 მ-მდე იყო, ხოლო სიგანე — 18,2 მ. იგი აღჭურ-ვილი იყო ორი ატომური რეაქ-ტორით, თითოეული 190 მეგავატი სიმძლავრისა, რაც მას საშუალე-ბას აძლევდა, წყლის ქვეშ მაქსი-მალური 33 კვანძი (დაახლოებით,**



„კურსკი“ მორიგი დავალების შესასრულებლად ემზადებოდა

**60 კმ/სთ) სიჩქარე განევითარები-ნა. მის ძირითად შეიარაღებას 24 ფრთოსანი რაკეტა G-700 Uhfybn-ი და 8 სატორპედო აპარატი წარ-მოადგენდა, ხოლო წყალქვეშა ცურვის მაქსიმალური სიღრმე 600 მ-ს აღწევდა.**

ის, რომ ავარია სწორედ 949F პროექტის ატომურ წყალქვეშა ნავს შეემთხვა, რუსეთის სამხედროებისთვის სილის გაწნის ტოლფასი იყო და შეიძლება ამიტომაც არ ჩქარობდნენ ამ ავარიის აფიშირებას. ამ პროექტის 16 წყ-ალქვეშა ნავი კრემლის მთავარ იმედს წარ-მოადგენს ამერიკელების, კერძოდ კი, მათი ავიამზიდების წინააღმდეგ საბრძოლველად, ამიტომაც ამ წყალქვეშა ნავებს „ავიამზიდებ-ის მკვლელებს“ უწოდებენ. უზარმაზარი ავი-ამზიდის ჩასაძირავად 8-12 ცალი ჩვეუ-ლებრივქობინიანი ფრთოსანი რაკეტის მოხ-ვედრა მაინცაა საჭირო, სწორედ ამიტომაც, „კურსკი“ და მისი თანამოძმეები 24 ფრთოსანი რაკეტით, „გრანიტით“ აღჭურვეს, რადგან თუკი ავიამზიდის ძლიერი ჰაერსაწინააღმდეგო თავ-დაცვა მისკენ გაშვებული რაკეტების ნახევარს ჰაერში ააფეთქებდა, მეორე ნახევარს მაინც გამოეყვანა წირვა ამ „მცურავი კუნძულისთვის“.

სხვათა შორის, უკვე შემოდგომისთვის რუსეთს ჩრდილოეთი ფლოტის საზღვაო არ-მადა, რომელთა შორის „კურსკიც“ იქნებოდა, ხმელთაშუა ზღვაში, აშშ-ის მე-6 ფლოტის წინააღმდეგ უნდა გადაესროლა, თუმცა...

კვირის სამი-ოთხი დღე სხვადასხვა შეთ-ანხმებაზე დაიხარჯა, ძალაუნებურად ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ „კურსკის“ გადა-რჩენას რუსი ადმირალები სულაც არ ჩქარო-ბდნენ, არც პრეზიდენტსა და უმაღლეს მთავარსარ-დალს ვლადიმირ პუ-ტინს ეტყობოდა დიდი შეშ-ფოთე-





ბა, რითაც ალბათ საკმაოდ დასწია თავისი მაღა-ლი რეიტინგი მთელი რუსეთის თვალში.

ბარენცის ზღვის 107-108 მ-ის სიღრმეში, სიცივესა და უჟანგბადობაში უკა-ნასკნელ საათებს ითვლიდნენ უკვე ჰიპოქსია-ში მყოფი (ჟანგბადის უკმარისობის გამო) მეზღვაურები. წესით, „კურსკის“ ეკიპაჟი 107 კაციანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმის გამო, რომ წყალქვეშა ნავი ბაზიდან ახლოს, სასწავ-ლო სროლებზე გავიდა, მისმა ეკიპაჟმა 118 კაცს მიაღწია, მაღალჩინოსანი დამკვირვებლებ-ის ხარჯზე.

წინასწარი მონაცემებით, „კურსკი“ ან რომე-ლიმე მცურავ ობიექტს შეეჯახა, ან აფეთქება მოხდა მის წინა ნაკვეთურში, რის შედეგადაც იგი ფსკერზე დაეშვა და ნახევრად გადაყირავ-და — თანაც წყ-ალქვეშა ნავის მთელ კორპუსს ბზა-რები გაუჩნდა. ეს კი ძალზე საკვირვე-ლია, რადგან „კურ-სკს“ მეტად მტკიცე კორპუსი ჰქონდა, ხოლო ფრთოსანი რაკეტების კონტეი-ნერები მისი მტკიცე კორპუსის გარეთ იყო დამონტაჟებუ-ლი, რითაც დამატე-ბითი დაცვის სფე-რო იქმნებოდა. ამა-სთან, როგორც წყალქვეშა მყვინთავებმა შეამ-ჩნიეს, დაზიანებულია „კურსკის“ ე.წ. კოშკუ-რაც, სადაც ამოსაწევი პერისკოპებია განთავსე-ბული. არადა, ეს კოშკურა, თავის დროზე, კონ-სტრუქტორებმა საგანგებოდ გააძლიერეს, რათა ამ ტიპის წყალქვეშა ნავებს შესძლებოდათ ე.წ. კოშკურით წყლის ქვემოდან ყინულის საფრის განგრევაც კი. იოლი წარმოსადგენია, რა ძა-ლის შეჯახება მოხდა, რომ ეს ზემტკიცე ნაკვე-თურიც კი დაზიანდა. ეს რომ არ მომხდარიყო, „კურსკის“ ეკიპაჟის უდიდესი ნაწილი ავარი-იდან ცოტა ხანში შეიძლება ზღვის ზედაპირზე აღმოჩენილიყო, რადგან სწორედ ამ კოშკურ-აშია განთავსებული მაშველი კაფსულა, რომელ-იც დეფორმაციამ ადგილზევე ჩაჭედა.

სულ „კურსკს“ 10 ნაკვეთური ჰქონდა. როგორც ჩანს, მისი პირველი და მეორე (თუ მეტი არა) ნაკვეთურები უკვე წყლითაა სავსე და იქ მყოფი ტორპედისტები და მართვის ოფიცრები ადგილზევე დაიღუპნენ. გადარჩე-ნის მეტი შანსი რჩებათ უკანა ნაკვეთურებში ჩარჩენილებს, სადაც ერთი გამოსასვლელია უვნებლად გადარჩენილი.

მაგრამ, როდესაც სამაშველო ბატისკაფ-ებმა სცადეს ჰერმეტულად მისდგომოდნენ ამ გამოსასვლელს, არაფერი გამოვიდა.

მთელი იმედი ახლა ინგლისურ სამაშვე-ლო ბატისკაფზე LR-5-ზეა, რომელმაც ავარიის ადგილს მხოლოდ 7 დღის დაგვიანებით მი-აღწია, არადა, მოსკოვს თავისივე მეზღვაუ-რებისადმი მცირედი გულისხმიერება მაინც რომ გამოეჩინა, ინგლისელი მაშველები უკვე ავარიიდან მე-3-4 დღეს იქნებოდნენ ადგილზე.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხ-ვევა როდია, როცა ოფიციალური მოსკოვი ასე იქცევა. 11 წლის წინ, 1989 წლის 7 აპრილს ნორვეგიის ზღვა-ში ჩაიძირა უნი-კალური საბჭოთა ატომური წყალ-ქვეშა ნავი „Комсо-молец“-ი, რო-მელიც ბორტზე გაჩენილმა ხანძარ-მა იმსხვერპლა — სულ პირველად იქ ქართველი უფრო-სი მატროსი ბუხ-ნიკაშვილი დაიღ-უპა. მაშინ მოსკოვ-მა მთელ მსოფ-ლიოს დაუმალა ავ-არიის ამბავი და მხოლოდ თავისი ძალებით სცადა მეზღვაურების გა-დარჩენა, თუმცა, როგორც მოს-ალოდნელი იყო, საბჭოთა სამაშვე-ლო გემებმა დაი-გვიანეს და 4°C-იან ზღვაში საათობით დარჩენილი ოთხ ათეულზე მეტი მეზღვაური ორგა-ნიზმის გადაციებ-ბით დაიღუპა.

დღესაც იგივე ხდება. ვინ იცის, რა კოშმარულ მდგომარეობაში არიან სიცივესა და სიბნელეში ჩარჩენილი მეზღვაურები, რადგან ატომური რეაქტორები ჩამქრალია, ხოლო სათ-ადარიგო აკუმულატორები, როგორც ამ-ბობენ, საერთოდ არ ჩაუტვირთავთ „კურსკ-ში“, რადგან ამ ძვირად ღირებულ აპარატუ-რას ხმელთაშუა ზღვაში რეიდისთვის ამზა-დებდნენ და ძალზე უფრთხილდებოდნენ.

დაჯახებები წყალქვეშ არცთუ ისე იშვია-თია და დაახლოებით 20-მდე შემთხვევას მოითვლის, როდესაც ერთმანეთზე მონადირე რუსული თუ ამერიკული წყალქვეშა ნავები ერთმანეთის უნებლიე „ტარანზე“ მიდიოდნენ.

**ჩვენი დოსიე: 1968 წელს ჰავაის კუნძულებთან ამერიკულ წყალქვე-შა ნავს შეეჯახა და ჩაიძირა საბჭოთა სარაკეტო დიზელისძრა-ვიანი სუბმარინა, ავარიის შედე-გად 97 მეზღვაური დაიღუპა. იმავე წელს ბარენცის ზღვაში ახალი წყალქვეშა შეტაკება უკვე 60 მ-ის სიღრმეზე მოხდა, მაგრამ, სა-ბედნიეროდ, უმსხვერპლოდ დას-რულდა.**

მოსკოვს სურს, რომ „კურსკის“ ტრაგედია, ამჯერადაც ამერიკულ წყალქვეშა ნავს დააბრა-ლოს, რომელიც სამხედრო სწავლებების რაიონს ზვერავდა. თუმცა, თავად რუსი სპეციალისტე-ბი სულაც არ გამორიცხავენ, რომ „კურსკი“ რომელიმე „თანამემამულე“ სამხედრო ხომალდმა იმსხვერპლა. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ სასწავლო სროლებისას, სხვა წყალზედა თუ წყ-ალქვეშა ხომალდიდან გასროლილმა ტორპე-დომ მოულოდნელად გეზი იცვალა და სამიზ-ნის ნაცვლად „კურსკს“ მოხვდა.

ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ „კურსკს“ ყინულმჭრელი არ შეეჯახა ზღვის ზედაპირზე, რადგანაც მხოლოდ ყინულმჭრელის ზემტკიცე „ცხვირს“ შეეძლო ასეთი დაზიანება მიეყენე-ბინა ამ კატეგორიის წყ-ალქვეშა ნავისთვის.

ბოლო მომენტის-თვის ავარიის კიდევ ერთი ვერსია გამოჩნდა, რომელიც ასევე შეიძლე-ბა ძალიან ახლოს იყოს სინამდვილესთან. 108 მ-ის სიღრმეზე, გრუნტზე გვერდულად „გაწოლილ“ დაზიანებულ „კურსკს“ ორივე პერისკოპი ამო-წეული აქვს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ავარი-ის მომენტამდე იგი ზღვის ზედაპირის სიახ-ლოვეს ამოცურდა. ამ დროს შეიძლება ნავის კაპიტანმა პერისკოპში დაინახა რომელიმე თავისივე სამხედრო ხომ-ალდი, რომელსაც ეჯახ-ებოდა და სასწრაფო ჩაძირვის ბრძანება გასცა. ექსტრემალური ჩაყვინთვის მომენტში კი 20 ათას ტონაზე მეტი წყალწყვის წყალქვეშა კრეისერს უბრალოდ სიღრმე — სულ რაღაც 90-100 მ აღარ ეყო მანევრირებისთვის და ინერციით — ცხვირ-ით ზღვის ფსკერს შეეჯახა, რის შემდეგადაც მოხდა ტორპედოების დეტონაცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსულმა სამაშველო ბატისკაფებმა არანაკლებ 7 სამაშვე-ლო ცდა განახორციელეს „კურსკის“ ეკიპაჟის გადასარჩენად, მაგრამ უშედეგოდ. რამდენ-ჯერმე ბატისკაფებს ენერგია აღარ ეყოთ წყ-ალქვეშა დინების საწინააღმდეგოდ შეპირა-პირებოდნენ ავარიაგანცდილი წყალქვეშა ნავის მე-9 ნაკვეთურის გამოსასვლელს. ერთხელ ბატისკაფი კი ზუსტად მიადგა საავარიო ნა-კვეთურს, მაგრამ ამ უკანასკნელის დეფორმა-ციამ მყვინთავებს საშუალება არ მისცა, ჰერ-მეტულად მოერგოთ ბატისკაფიდან გადასასვ-ლელი მასთან. როგორც ჩანს, თავად მე-9 ნა-კვეთურიც არ უნდა იყოს მთლად ჰერმეტული და მასში საკმაოდაა წყალი, რაც იმას ცხადყ-ოფსს, რომ 7 დღიანი ლოდინის შემდეგ უიმე-დოდ დარჩენილმა მეზღვაურებმა შეიძლება თავად სცადეს გამოსვლა.

11 მ-იანი ინგლისური ბატისკაფი LR-5 40 ტონამდე იწონის და 16 კაცის ამოყვანა შეუ-ძლია, თუმცა მის მთავარ ღირსებად ძლიერი ძრავები და ენერგეტიკული წყარო მიიჩნევა: რუსული ბატისკაფებისგან განსხვავებით, ინ-გლისურს წყალქვეშა დინებებშიც კი საოცარი მანევრირების უნარი აქვს, რამაც გადამწყვე-ტი როლი უნდა ითამაშოს „კურსკის“ ჯერ კიდევ ცოცხალი ეკიპაჟის გადასარჩენად.

ყოველ შემთხვევაში, უკვე თავად რუსე-ბიც აღიარებენ, რომ თავდაპირველად, ეკიპა-ჟის გადარჩენაა საჭირო და მხოლოდ შემდეგ „კურსკის“ ამოღება.

არის კიდევ ერთი ნიუანსიც — მეზღვაუ-რებმა თავად, ინდივიდუალური სამაშველო მოწყობილობების გამოყენებით სცადონ ამოყვინთვა, მაშინ მათი გადარჩენის მცირე შანსი მაინც რჩება. მცირე იმიტომ, რომ 108 მ სიღრმიდან უცბად ამოყვინთულ ადამიანს წნევათა სწრაფი ცვლილების გამო, კესონური ავადმყოფობა ემართება და ამოყვინთვისთანავე სასწრაფოდ ბაროკამერაში უნდა მოთავსდეს, თუმც შეიძლება არც ამან უშველოს. გადარ-ჩენის ეს ვარიანტი უფრო რეალური იყო ავ-არიის პირველ საათებში, ახლა, ერთი კვირის შემდეგ, ბუნებრივია, არც ერთ ინდივიდუ-ალურ სამაშველო მოწყობილობაში ჟანგბა-დის ნატამალიც აღარ დარჩებოდა.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, თუ „კურსკის“ უკანა ნაწილს სპეციალურ გასაბერ პონტონებს მიამაგრებენ, იგი კუდს ამოსწევს წყლის ზედაპირზე, სხვა თუ არაფერი, სიღრმე ხომ მხოლოდ 108 მ-ია, თავად წყალქვეშა ნავი 155 მ სიგრძისაა, მაგრამ ამ იდეასაც აქვს მი-ნუსები — წყალქვეშა დათვალიერებამ ცხადყო, რომ „კურსკის“ ზედაპირი ბზარებითაა დაფარუ-ლი, რის გამოც მისი ვერტიკალურ მდგომარე-ობაში მოყვანისას, შესაძლოა წყალქვეშა ნავის კორპუსი შუაზე გადატყდეს. ეს ძალზე სარის-კო საქმეა, რადგან თუკი ორივე რეაქტორის ნაკვეთურის ჰერმეტულობა დაირღვევა, მაშინ რადიაციის დონე მნიშვნელოვნად მოიმატებს არა მარტო ავარიის ადგილზე, არამედ მთლი-ანად, ბარენცის ზღვაში.

„კურსკის“ ეკიპაჟის გადარჩენა კვლავ ყვე-ლაზე აქტუალურ საკითხად რჩება, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში.

სამწუხაროდ, სტატიის დაწერის დროი-სთვის რაიმე დადებითი სიახლე ამ მხრივ არ ყოფილა.

**P.S. ბოლო ინფორმაციის თანახმად, ავარიის მომენტში „კურ-სკის“ ცხვირის ნაკვეთურში 100-200 კგ ტროტილის ეკვივალენტი სიმძლავრის აფეთქება მომხდარა, რაც იმას მიანიშნებს, რომ დე-ტონაცია განიცადეს იქ განთა-ვსებულმა ტორპედოებმა.**

**P.S.S. აშშ-ის თავდაცვის მინ-ისტრმა უილიამ ქოენმა განაცხ-ადა, რომ „კურსკი“ უახლესი სა-იდუმლო რაკეტა-ტორპედოს გამო-ცდას აწარმოებდა, მაგრამ გაშ-ვებისას რაკეტა-ტორპედო სატო-რპედო აპარატში გაიჭედა და აფეთქდა, რამაც მთლიანად რუსუ-ლი წყალქვეშა ნავის კატასტრო-ფა გამოიწვია.**

სამაშველო კაფსულის შეპირაპირება ჩაძირულ „კურსკთან“ არ მოხერხდა



*გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# ქართველი მეკობრე — კაპიტან ფლინტის თანამებრძოლი?!

***დევიდ ეივორსი ჩემი თანამშრომელი და მეგობარია. მინდა, გაისად საქართველოში ჩამოვიყვანო. წარმოშობით მისურის შტატიდანაა, მაგრამ უკვე 11 წელია ნიუ-იორკში ცხოვრობს. მისი ჰობია ზღვა და იალქნიანი გემები. ასეთი გემების მაკეტების საუცხოო კოლექციის პატრონია. დევიდის წინაპარი ცნობილი მეკობრე ყოფილა. ეივორსი ამით ძალიან ამაყობს და ზღვის ყაჩაღებზე რაც კი ლიტერატურაა შექმნილი, მგონი, ყველაფერსაა გაცნობილი.***

***2 წლის წინ, ერთმანეთი რომ გაგვაცნეს და ჩემი ეროვნება შეიტყო, მაშინვე განმიცხადა, ერთი შენი თანამემამულის შესახებ წამიკითხავსო. დარწმუნებული ვიყავი, შევარდნაძის ან შალიკაშვილის გვარს დამისახელებდა, მაგრამ შევცდი. XVIII საუკუნეში მცხოვრები ვიღაც ქართველი მეკობრის(?!) თაობაზე მესაუბრებოდა, რომლის გვარიც ვერაფრით გაიხსენა.***

***გადავწყვიტე, ბიჭი ან რაღაცას ურევს ან კიდევ მაიმუნობს-მეთქი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ შინ მესტუმრა და სქელტანიანი წიგნი, რიჩარდ კოვალსკის „ფლიბუსტიერთა ისტორია“ მომიტანა.***

***დევიდის მიერ მონიშნულ გვერდებზე მართლაც იყო საუბარი ვინმე „ჯორჯიელ შალვაზე“ — ახალგაზრდა, მამაც მეზღვაურზე, რომელიც 1712 თუ 1713 წელს ინგლისში ჩასულა, იქიდან რალაცნაირად მეკობრეთა გემზე მოხვედრილა და სახელგანთქმული ყაჩაღის ედვარდ თიჩის თანამებრძოლიც გამხდარა.***

***ეკა ვაჩნაძე (ნიუ-იორკი)***

„მეკობრეობის ოქროს ხანაში (XV საუკუნის დასასრული და XV-ის პირველი ნახევარი) ბრიტანეთში დაიბადა ადამიანი, რომელიც ძალიან მალე ცოცხალ ლეგენდად იქცა. მისი სახელი თვით ყველაზე მამაც მამაკაცებსაც კი შიშის ზარს სცემდა. არსებობს ვარაუდი, რომ სწორედ ეს პიროვნება იქცა პროტოტიპად არაერთი ლიტერატურული გმირისა, რომელთა შორისაა რობერტ ლუის სტივენსონის კაპიტანი ფლინტი და არტურ კონან-დოილის კაპიტანი შარკი. ამ ადამიანს „შავ წვერსა“ და „ედვარდ თიჩს“ უწოდებდნენ, სინამდვილეში კი ედვარდ დრამონდი ერქვა.

დრამონდი 1680 წელს ქალაქ ბრისტოლში დაიბადა. ის მეფის კართან დაახლოებული თავადის უკანონო შვილი იყო. ედვარდის დედა, რომელმაც ვაჟს თავისი გვარი მისცა, პორტის ლუდხანაში მიმტანად მუშაობდა და ქალაქში ერთ-ერთ ყველაზე მომხიბლავ ქალად ითვლებოდა, ამიტომ ყველას უკვირდა დედა-შვილს შორის არსებული მკვეთრი გარეგნული განსხვავება. ედვარდი ნამდვილ ეშმაკს ჰგავდა, უზომოდ დიდი პირი, ყურები და ცხვირი ჰქონდა, სამაგიეროდ, ზებუნებრივი ფიზიკური ძალით იყო დაჯილდოებული.

9 წლის ბიჭი, რომელსაც მამა საერთოდ არ ენახა, დედას კი მისი მოვლის დრო არ ჰქონდა, თანატოლთა ბანდის ლიდერი ბრძანდებოდა და ძირითადად, დუქნებიდან პროდუქტის ქურდობით იყო დაკავებული. ამ დროს ეს საოცრად მახინჯი და საოცრად ღონიერი ჭაბუკი ერთმა ბრისტოლელმა მოძღვარმა შენიშნა. მან ედვარდი თავის მონასტერში წაიყვანა, დაბანა, დავარცხნა და მოკლე ხანში წერა-კითხვაც ასწავლა, რაც იმ დროში ბრწყინვალე განათლებად ითვლებოდა, მაგრამ ორი წლის შემდეგ ბიჭი ტაძრიდან გაიქცა და ქუჩას დაუბრუნდა.

17 წლის ედვარდ დრამონდი, ბრისტოლელი მამაკაცების მნიშვნელოვანი ნაწილის მსგავსად, ზღვაში გავიდა — ჯერ სავაჭრო გემზე მოეწყო, შემდეგ სამხედროზე გადაბარგდა. 1701 წლიდან ინგლისი საფრანგეთს ეომებოდა. ბრიტანეთის დედოფალმა ანამ თავის ქვეშევრდომებს უბრძანა, გამარჯვების მისაღწევად არავითარ ხერხს არ მორიდებოდნენ და ინგლისელებიც დიდი სიამოვნებით შეუდგნენ ფრანგთა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სავაჭრო თუ სამგზავრო ხომალდების ძარცვა-განადგურებას.

ომის დასრულებისთანავე დედოფალმა ანამ ბრიტანელი მეომრები შინ გამოიწვია, მაგრამ ყაჩაღობას შეჩვეული ათასობით მეზღვაური მონარქს არ დაემორჩილა და თავისი საქმიანობა ამერიკის სანაპიროებთან განაგრძო. ასეთთა შორის იყო დრამონდიც, რომელმაც ამასობაში გვარი შეიცვალა და თიჩად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში ცოლ-შვილი ელოდა, ედვარდმა მტკიცედ გადაწყვიტა ზღვაში დარჩენილიყო და მეკობრეობისთვის მთელი სიცოცხლე მიეძღვნა.

თავდაპირველად თიჩი იმ თავზეხელაღებულ ფლიბუსტიერთა გემზე მოხვდა, რომელსაც ცნობილი ზღვის ყაჩაღი, კაპიტანი ბენჯამენ ჰორნიგოლდი მეთაურობდა. ედვარდი ნიჭიერი მოსწავლე აღმოჩნდა და რამდენიმე წლის შემდეგ მისი სახელი მთელ კარიბის ზღვაზე ქუხდა. უშიშარი, ღონიერი თიჩი ჰორნიგოლდის მარჯვენა ხელად იქცა და მეკობრეთა ბელადმა მას მცირე ზომის ხომალდის კაპიტნობაც კი უბოძა.

1716 წლის ზაფხულში, კუნძულ მარტინიკის მახლობლად, ჰორნიგოლდმა და თიჩმა იერიში მიიტანეს დიდ ფრანგულ სამხედრო ფრეგატ „კონკორდზე“. მათ ნისლითა და ღამის სიბნელით ისარგებლეს, შეუმჩნევლად მიუახლოვდნენ ფრანგებს და გამთენიისას ქვემეხებიდან ჭურვები დაუშინეს. ფრანგები რაოდენობით თითქმის სამჯერ აღემატებოდნენ მეკობრეებს, მაგრამ ამ უკანასკნელთა მამაცობამ და მოულოდნელობის ფაქტორმა ყველაფერი გადაწყვიტა. ფლიბუსტიერებმა მოწინააღმდეგის ხომალდი აბორდაჟით აიღეს და „კონკორდის“ მთელი ეკიპაჟი ამოწყვიტეს.

გამარჯვებულებმა ხელში უზარმაზარი ქონება ჩაიგდეს. „კონკორდი“ სავსე იყო ოქროთი და ძვირფასეულობით, ფრანგთა 20-ქვემეხიანი ფრეგატი კი, ჰორნიგოლდის ბრძანებით, შეტაკების დროს გამოვლენილი არნახული ვაჟკაცობისთვის, ედვარდ თიჩს გადაეცა. მან თავის ახალ ხომალდს „დედოფალ ანას შურისძიება“ დაარქვა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ედვარდი მეკობრეთა ოთხგემიანი ესკადრის მეთაურიც გახდა. ხანში შესულმა ბენჯამენ ჰორნიგოლდმა, რომელმაც ფლიბუსტიერობისას დიდძალი ქონება დააგროვა, ინგლისის მეფის გეორგ პირველის მიერ გამოცემული ამნისტიით ისარგებლა და მეკობრეობას თავი დაანება. ის ბრიტანეთში დაბრუნდა, მანამდე კი თავისი პოსტი ედვარდ თიჩს დაუტოვა.

ასე დაიწყო კაპიტან თიჩის სამწლიანი ოდისეა. 1716 წლის ნოემბერში იგი უტევს ინგლისის სავაჭრო გემ „გრეით ალენს“. მოწინააღმდეგის



თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, მეკობრეებმა ხომალდი ხელთ იგდეს და ნადავლი მიითვისეს. შემდეგ „გრეით ალენს“ ცეცხლი წაუკიდეს და ჩაძირეს. ფლიბუსტიერები გამარჯვებას ზეიმობდნენ, მაგრამ ამ დროს აფრებაშლილი ფრეგატი დაადგა თავს. ეს იყო ბრიტანეთის სამხედრო ფლოტის სიამაყე — 36-ქვემეხიანი „სქარბორო“. მას უკან კიდევ ერთი სამხედრო ხომალდი, 14-ქვემეხიანი „ედვენჩერი“ მოჰყვებოდა. მეკობრეები კვლავ ჩაებნენ ბრძოლაში და რამდენიმე საათის შემდეგ მტერი სასტიკად დაამარცხეს. ძლიერ დაზიანებულმა „სქარბორომ“ გაქცევა ამჯობინა, „ედვენჩერი“ კი თიჩს დარჩა.

სამეფო ფლოტის ხომალდების დამარცხებამ ედვარდს მთელ ამერიკის სანაპიროზე გაუთქვა სახელი. მაშინ იქ 6 ათასზე მეტი მეკობრე დაძრწოდა, მაგრამ თიჩი მათ შორის ყველაზე ცნობილ და დაუნდობელ ყაჩაღად იყო აღიარებული. 207 სანტიმეტრი სიმაღლისა და ფანტასტიკური ძალ-ღონის პატრონს მოწინააღმდეგე ჯოჯოხეთის მოციქულად მიიჩნევდა და ედვარდიც აქტიურად უწყობდა ხელს ასეთი შეხედულების განვითარებას. იგი მუდამ წელამდე წვერსა და შავ ტანსაცმელს ატარებდა. ბრძოლის წინ მხრებსა და წვერზე ქვემეხის ფითილებს იმაგრებდა და ცეცხლს უკიდებდა. ბოლში გახვეული გიგანტი ველური ყიჟინით გადადიოდა შეტევაზე და არც მოწინააღმდეგეს ინდობდა და არც საკუთარ თავს. ასეთი საშინელი სურათის შემხედვარე მეზღვაურები ხშირად უბრძოლველად ნებდებოდნენ თიჩს.

მეკობრეთა ლიდერი ძილშიაც კი არ იშორებდა ხმალს, ხანჯალს და დანას. ბანჯგვლიან მკერდზე მუდამ ეკიდა რამდენიმე დატენილი პისტოლეტი. შთამბეჭდავად გამოიყურებოდა ედვარდ თიჩის ფლოტიც.

მოწინავე იყო 20-ქვემეხიანი ფრეგატი „დედოფალ ანას შურისძიება“, რომელსაც თავად თიჩი მეთაურობდა. შემდეგ მოდიოდა 14-ქვემეხიანი „ედვენჩერი“ (კაპიტანი — დანიელ გუსტაფსონი), 12-ქვემეხიანი „რეინჯერსი“ (კაპიტანი — ბილ ოუმი) და 10-ქვემეხიანი „ბლექ როუზი“ (კაპიტანი — ჩარლზ რობერთსი).

ედვარდ თიჩს, მეკობრეთა წესების თანახმად, „ანაზე“ თანაშემწეები არ ჰყავდა. მათ მაგივრობას სწევდნენ: კვარტირმეისტერი, ბოცმანი, დურგალი და მთავარი კანონირი (მეზარბაზნე). კვარტირმეისტერი ნედ ჰოუქსი და ბოცმანი არჩიბალდ ონილი ედვარდ თიჩს ჯერ კიდევ 1701 წელს დაუმეგობრდნენ, ერთად ებრძოდნენ ფრანგებს, ერთად დაიწყეს ყაჩაღობა. ორივე მეტად ღონიერი და ახოვანი იყო, თუმცა ედვარდთან შედარებით ბავშვებს ჰგავდნენ. გემის დურგალი იყო ფრანგი მიშელ დიური — მარსელში სიკვდილმისჯილი და ციხიდან გაქცეული ცალთვალა მეკობრე, რომელიც ოდესღაც ჰორნიგოლდს ჩაუვარდა ტყვედ, მაგრამ თავისი ხელობის წყალობით ცოცხალი გადარჩა და ავტორიტეტიც მოიპოვა. რაც შეეხება მთავარ კანონირს, იგი გახლდათ შალვა ჯორჯიელი, 33 წლის მამაცი, აზიელი მეზღვაური. 1712 თუ 1713 წელს ის ინგლისში ჩასულა, მერე მეკობრეთა გემზე მოხვედრილა და 1715 წელს ჰორნიგოლდისა და თიჩის ბანდის წევრიც გამხდარა.

ედვარდ თიჩის სამასკაციანი არმიის ხსენებაზე შიშისგან ძრწოდა ინგლისის მთელი კოლონია, სამხრეთ კაროლინიდან დაწყებული, პენსილვანიამდე დამთავრებული.

ამასობაში ედვარდ თიჩს მეკობრეებმა ახალი სახელი გამოუგონეს — „შავი წვერი“. ფლიბუსტიერთა მეთაურის დევიზი იყო: „დასცხე შენიანს, რათა უცხოს ეშინოდეს“. ერთხელ, რომით უგონოდ მთვრალმა, საუკეთესო მეგობრებს — დიურს, გუსტაფსონს, ონილს, ჰოუქსსა და შალვას შესთავაზა: „მოდით, ჯოჯოხეთი მოვიწყოთ და ვნახოთ, რამდენ ხანს გავძლებთ იქ!“ მეკობრეებმა ვერაფერი გაიგეს, თუმცა კაპიტანს მაინც ჩაჰყვნენ ტრიუმში. ამის შემდეგ იქიდან ამოსასვლელი კარი ჩაიკეტა, „შავმა წვერმა“ გოგირდით სავსე რამდენიმე ქილა მაგიდაზე დადო და ცეცხლი მოუკიდა. ტრიუმი მაშინვე აივსო მოყვითალო ბოლით. მეკობრეებს ხველა დაეწყოთ, ისინი კარებს ეცნენ, დაამტვრიეს და წყევლა-კრულვით გემბანზე ამოცვივდნენ. უკანასკნელი ედვარდ თიჩი ამობრძანდა და მეგობრებს დასცინა: „ეჰ, თქვენ მშიშრებო, რა უცებ ჩაისვარეთ. მე ყველა თქვენთაგანზე ძლიერი ვარ!“

მალე თიჩმა ახალი გასართობი მოიგონა. ზემოთ ხსენებული თანამებრძოლები თავის კაიუტაში დაპატიჟა და ქეიფი გააჩაღა. შემდეგ, მოულოდნელად, ფარანი ჩააქრო, ზეზე წამოხტა და პისტოლეტიდან გაისროლა. ფარანი კვლავ რომ აანთეს, მეკობრეებმა სისხლის გუბეში მცურავი გუსტაფსონი დაინახეს. კითხვაზე, „რატომ მოკალი კაცი?“ — ედვარდმა ასე უპასუხა: „იმიტომ, რომ არასოდეს დაივიწყოთ ვინ ვარ!“

ქალებისადმი, რომლებიც, რომთან ერთად, ფლიბუსტიერთა აუცილებელ ატრიბუტად ითვლებოდნენ, ედვარდ თიჩი ისეთივე დაუნდობელი იყო, როგორიც მტრების მიმართ. მიუხედავად ამისა, მას თოთხმეტი ცოლი და უამრავი საყვარელი ჰყავდა. ერთხელ, „შავ წვერს“ ულამაზესი კუბელი ქალიშვილი შეუყვარდა, რომელიც ახალგაზრდა პლანტატორზე იყო დანიშნული. გოგონამ საქმროს ოქროს ბეჭდი აჩუქა და პლანტატორიც მისთვის ამ ძვირფას ნივთს მუდამ მარცხენა ხელზე ატარებდა. ეს რომ გაიგო, ედვარდ თიჩმა პლანტატორის გემი აბორდაჟზე აიყვანა, საქმროს მარცხენა ხელის მტევანი მოჰკვეთა და ქალიშვილს გაუგზავნა. გოგონამ ამანათი გახსნა, უმალ იცნო ბეჭდი, გული გაუსკდა და გარდაიცვალა.

1717 წლის მიწურულს თიჩმა გაიცნო ასევე მეკობრეთა გემის კაპიტანი სთიდ ბონეტი, რომელსაც რაინდული თვისებებისა და ქალებთან გალანტური ქცევების გამო მეკობრე-ჯენტლმენს უწოდებდნენ. ეს ცნობილი ყაჩაღი, თავის დროზე შეძლებული ბარბადოსელი პლანტატორი, ზღვაში ცოლის აუტანელი ხასიათის გამო გაიქცა.

თიჩზე უზომო შთაბეჭდილება მოახდინა ყოფილი პლანტატორის არისტოკრატიულმა მანერებმა, ბონეტი კი აღფრთოვანებას ვერ მალავდა „შავი წვერის“ ზებუნებრივი ღონის გამო, ამიტომ მეკობრეები მალე დაძმობილდნენ და გაერთიანებული ძალებით შეუდგნენ ქალაქებისა და ხომალდების ძარცვას.

1718 წლის იანვარი მეგობრებისთვის ფრიად სარფიანი აღმოჩნდა. მათ ჯერ რამდენიმე დიდი ქალაქი გაძარცვეს, შემდეგ თორმეტი სავაჭრო გემი დააყაჩაღეს და აურაცხელი ქონების მფლობელები შეიქნენ. მთელი ნადავლი მოთავსებულ იქნა თიჩის „დედოფალ ანას შურისძიებაზე“. სწორედ მაშინ გადაწყვიტა „შავმა წვერმა“, რომ სჯობდა, ამ ქონებას ორის ნაცვლად ერთი პატრონი ჰყოლოდა. თავისი საფლაგმანო ხომალდი მან განგებ დასვა მეჩეჩზე, ბონეტს კი განუცხადა, შენ ამა და ამ ადგილას მიდი, ამასობაში ჩვენს ნადავლს სხვა ფრეგატზე გადავიტან და ორ კვირაში მეც იქ გეახლებიო. მეკობრე-ჯენტლმენმა მეგობარს დაუჯერა, მან კი მეორე დღესვე ამოატივტივა „ანა“ და საწინააღმდეგო მიმართულებით მიიმალა. მხოლოდ ორი თვის შემდეგ დარწმუნდა ბონეტი, რომ თიჩმა მწარედ გააცურა. ცხელ გულზე მოღალატის დასჯა გადაწყვიტა, მაგრამ მეკობრეებმა დროულად ურჩიეს — „შავ წვერს“ უკვე ოთხასამდე მებრძოლი ჰყავს, ჩვენ ასნიც არ ვართ და უეჭველად დაგვამარცხებსო. ბონეტიც შეჩერდა.

ამის შემდეგ ედვარდ თიჩი კიდევ დიდხანს დათარეშობდა ამერიკის ნაპირებთან და მიუხედავად იმისა, რომ მეკობრის შესაპყრობად ლონდონიდან ლამის ყოველთვე იგზავნებოდა სამხედრო ძალა, „შავი წვერი“ მუდამ დაუსჯელი რჩებოდა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ ჩრდილოეთ კაროლინის გუბერნატორი ჩარლზ ედენი, რომელთანაც თიჩს საიდუმლო კავშირი ჰქონდა.

1718 წლის გაზაფხულზე ედვარდი უკვე ღიად მიადგა ედენს და განუცხადა, მეკობრეობას თავს ვანებებ და მსურს, აქვე დავსახლდეო. თიჩს თან ახლდნენ ერთგული თანამებრძოლები: დიური, ჰოუქსი და შალვა, რომლებმაც გუბერნატორს ასევე აცნობეს საკუთარი გადაწყვეტილება მშვიდობიანი ცხოვრების დაწყების თაობაზე. ამ ადამიანებს იმდენი დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, რომ ედენს უმალ უნდა დაეპატიმრებინა ისინი, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. იმავე ღამით კი გუბერნატორმა მეკობრეთაგან საუცხოო საჩუქარი მიიღო — თვალმარგალიტით სავსე ოქროს სკივრი.

ჩარლზ ედენმა ფლიბუსტიერებს საუკეთესო მიწები გამოუყო და ისინი მართლაც შეუდგნენ წესიერად ცხოვრებას. ის კი არა, ჩრდილოკაროლინელების გასაოცრად, დიური და შალვა კვირაობით ადგილობრივ ეკლესიაშიც კი დადიოდნენ და მრევლთან ერთად ლოცულობდნენ. რაც შეეხება თიჩს, მან არც ამჯერად უღალატა საკუთარ ტრადიციას და მეთხუთმეტე ცოლი შეირთო. გადაიხადეს ხმაურიანი ქორწილი. იქაური პლანტატორების გულის მოსაგებად ედვარდი რომს, შაქარსა და ძვირფას საჩუქრებს არ იშურებდა და ადგილობრივებიც გაიძახოდნენ, რა ოქროს კაცი ყოფილა ეს „შავი წვერი“, ჩვენ კი ოდესღაც მისი გვეშინოდაო. მაგრამ სამი თვის შემდეგ „ოქროს კაცს“ მობეზრდა მსგავსი ყოფა და მეგობრებთან ერთად ზღვას დაუბრუნდა, სადაც ამ ხნის მანძილზე მისი გემები კვლავაც მეკობრეობდნენ.

სამთვიანი შვებულების შემდეგ თიჩმა თითქოს ჯაჭვი აიწყვიტაო, ისეთი გაშმაგებით შეუდგა ყაჩაღობას. 1718 წლის ბოლოს მან სამხრეთ კაროლინას ქალაქ ჩარლსტონისკენ მიმავალი გზები ჩაკეტა. ედვარდმა ფრეგატები ყურესთან განალაგა და ქალაქის ხელისუფალთ გამოსასყიდი მოსთხოვა. ჩარლსტონში ცხოვრება ჩაკვდა და მისი მოსახლეობა იძულებული გახდა მეკობრეთა პირობას დათანხმებოდა.

სანაპიროს ზოლზე მაცხოვრებელთათვის ჩარლსტონის ბლოკადა აღმოჩნდა ის უკანასკნელი წვეთი, რამაც მათი მოთმინების ფიალა აავსო. დარწმუნდნენ რა იმაში, რომ ჩრდილო და სამხრეთ კაროლინის ხელისუფალნი თიჩის მოღვაწეობაზე თვალს ხუჭავდნენ, მათ დახმარებისთვის მეზობელი კოლონიის, ვირჯინიის გუბერნატორს ალექსანდრ სთოფსვუდს მიმართეს. ამ უკანასკნელმა დიდ სამხედრო ძალას მოუყარა თავი და 1719 წლის 17 ნოემბერს ორი მშვენივრად აღჭურვილი ხომალდი კუნძულ ოკრაკონისკენ გაგზავნა, რომელიც „შავ წვერს“ თავის ბაზად გადაექცია.

გემები კუნძულს 21 ნოემბრის საღამოს მიადგნენ და საბრძოლველად მოემზადნენ. მახლობლად იდგა თიჩის მხოლოდ ერთი ფრეგატი „ანა“. დანარჩენები, როგორც ჩანს, სადღაც მეკობრეობდნენ. ეს გარემოება დამსჯელ ექსპედიციას ამოცანას უმარტივებდა. რაზმის მეთაურმა რობერტ მეინარდმა ბრძანება გასცა, შეტევა გამთენიისას წამოეწყოთ.

ყაჩაღები მშვენივრად ხედავდნენ მოახლოებულ მტერს, თუმცა მთელი ღამე არხეინად, ლოთობაში გაატარეს. ყველაზე მეტ რომს, რა თქმა უნდა, ედვარდ თიჩი მიირთმევდა. როდესაც ერთ-ერთმა მეკობრემ მას ჰკითხა, შესაძლოა ხვალ მოგკლან და შენი განძის ადგილსამყოფელი ვინმემ თუ იცისო? — „შავმა წვერმა“ გადაიხარხარა: „არა, მეგობარო, განძი მარტომ ჩავმარხე და ნურავის ექნება მისი პოვნის იმედი. მხოლოდ მე და ეშმაკმა ვიცით ამ სიმდიდრის ადგილსამყოფელი“.

შეტაკება გამთენიისას დაიწყო და ზღვის ყაჩაღებმა უკვე პირველივე წუთებზე მოიპოვეს დიდი უპირატესობა. კანონირ შალვას მიერ ნატყორცნმა ჭურვებმა მტრის ერთ-ერთი ხომალდი მწყობრიდან გამოიყვანა. მეინარდი მიხვდა, რომ მარცხდებოდა და ეშმაკობას მიმართა. გადარჩენილ გემზე მეზღვაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი ტრიუმში დამალა. ედვარდ თიჩმა იფიქრა, მოწინააღმდეგეს ხალხი დაეხოცაო და ხომალდი აბორდაჟზე აიყვანა. ამ დროს მეინარდის მებრძოლები საფრიდან გამოხტნენ და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. განგებამ ედვარ თიჩისა და რობერტ მეინარდის პირისპირ შეხვედრა ინება. პირველად ყაჩაღმა გაისროლა, მაგრამ მიზანს ააცილა, მეინარდის გასროლილი ტყვია კი „შავ წვერს“ თავში მოხვდა. თიჩი მხოლოდ წაბარბაცდა და შემდეგ ხმალამოღებული ეკვეთა მეინარდს. ის იყო, უნდა გაეგმირა მტერი, მაგრამ მოულოდნელად უკნიდან მეინარდის მეზღვაურები ეცნენ და ხანჯლებით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს. თიჩი კიდევ რამდენიმე წუთი იგერიებდა მოწინააღმდეგეს, შემდეგ ხელიდან იარაღი გაუვარდა და გემბანზე უსულოდ დაეცა. რაზმმა მეკობრეები ერთიანად ამოწყვიტა და ვირჯინიაში ზარზეიმით დაბრუნდა.

„შავი წვერისა“ და მისი რამდენიმე თანამებრძოლის მოკვეთილი თავები გუბერნატორმა მაღალ ძელებზე დაამაგრა, რათა ისინი ყველას დაენახა.

ედვარდ თიჩის სიკვდილიდან თითქმის სამი საუკუნეა გასული. განძის მაძიებელთა უამრავი მცდელობის მიუხედავად, მეკობრის მიერ დამალული ძვირფასეულობა დღემდე არ არის ნაპოვნი.

***მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ***
***(რედაქცია მადლობას უხდის ეკა ვაჩნაძეს მასალების მოწოდებისთვის)***

**ყაჩაღები მშვენივრად ხედავდნენ მოახლოებულ მტერს, თუმცა მთელი ღამე არხეინად, ლოთობაში გაატარეს. ყველაზე მეტ რომს, რა თქმა უნდა, ედვარდ თიჩი მიირთმევდა. როდესაც ერთ-ერთმა მეკობრემ მას ჰკითხა, შესაძლოა ხვალ მოგკლან და შენი განძის ადგილსამყოფელი ვინმემ თუ იცისო? — „შავმა წვერმა“ გადაიხარხარა: „არა, მეგობარო, განძი მარტომ ჩავმარხე და ნურავის ექნება მისი პოვნის იმედი. მხოლოდ მე და ეშმაკმა ვიცით ამ სიმდიდრის ადგილსამყოფელი“.**

# ცხოვრებისეული კურიოზები

## იონას გასაჭირი

(ნაღვლიანი კურიოზი)

ონის რაიონის სოცუზრუნველყოფიდან იონას შეტყობინება მოუვიდა, ამა და ამ რიცხვში აუცილებლად გამოცხადდიო. იონას ძლიერ გაუხარდა, — მეშველა ალბათ, ორი წლის პენსია მაქვს აუღებელი და მაგისთვის მიბარებენო. დაფაცურდა. პირველად მეუღლეს, მაშიკოს ახარა. მაშიკომ მეზობელს, მეზობელმა კიდევ მეზობელს. ერთ საათში მთელმა სამეზობლომ იცოდა იონას „ჩაფულიანების" ამბავი.

— აბა, რა ეგონათ მაგათ!.. ქვეყანა ჩალით კი არაა დახურული, წაიკითხა ალბათ იქ ვიღაცა ჭკვიანმა ჩემი სახელი და გვარი: დიდი სამამულო ომის მონაწილე, მეორე ჯგუფის ინვალიდი და გადაირია, ასეთ კაცს ორი წელია პენსია როგორ არ მიეცით, — შიმშილით მოგიკლავთ, კაცი ფაშისტებს გადაურჩა და თქვენ კლავთო?!

მოკლედ, იონას მთელი ღამე ის ვიღაც უცნობი, ჭკვიანი კაცი ელანდებოდა, რომელიც სულ ტკიცინა 10-10 ლარიანებს უტენიდა ჯიბეში.

გათენდა. იონა ლოგინიდან არც იყო წამომდგარი, მაშიკომ პატარ-პატარა ნაჭრის ტომსიკები რომ შემოუწყო სასთუმალთან. ფულს რომ აიღებ, ცოტ-ცოტა შაქარი, ფქვილი და ვერმიშელი წამომიღე, მომკლა უშაქრო ჩაიმ და ხმელა მჭადმაო. იონა სასწრაფოდ წამოდგა. ცალი ხელი ყავარჯენს სტაცა, მეორე — შარვალს და ჩაცმა დაიწყო, მერე რაღაც გაახსენდა, დაფიქრდა, ხვანჯარი არც კი შეუფსკვნია, ისე დაეშვა ლოგინზე.

— ფული რომ არა მაქვს, ქალო, რით წავიდე. გზის ფული ხომ მინდა? — დააკონკრეტა იონამ.

გამოსავალი ისევ მაშიკომ იპოვა.

— გადადი ბიკენტიესას, გუშინ ნაზარდა გაყიდა და შეესესხულე, უთხარი, საღამომდი მასესხე, საღამოს დაგიბრუნებ და იქეთაც გასესხებ-თქო.

საღამოს, ავტობუსიდან ჩამოსულ იო-



ნას მეზობელი შეეფეთა. მეზობელმა ამბის საკითხავად პირი დააღო, მაგრამ იონას ცარიელ ხელებს რომ შეხედა, ყველაფერს მიხვდა, — ასეც ვიცოდიო, ჩაილაპარაკა და გაშორდა. ეზოში შესულ იონას მაშიკო მსხლის ძირში დახვდა, მეზობელს ებაასებოდა. იონა რომ დაინახა, გახარებული წამოხტა, უი, ჩემი იონა მოსულაო!

იონას ხელები უკან დაეწყო და დაღლილობისა და შიმშილისაგან გამწარებული იჭყანებოდა. მაშიკომ იფიქრა, მიცინის ალბათ, რაც მოიტანა, უკან აქვს ხელებში ჩამალულიო და ძველი ფირალივით იყვირა, — დაუშვი ხელები, იონა! იონა უცებ შეხტა და მისდა უნებურად ხელები ჩამოუშვა.

იონას ცარიელმა ხელებმა მაშიკოს ენა დაუბა და ეს სიტყვები შეაყინა პირზე: მო... მო... მო... გვატ... მოგვატ... მოგვატყუეს კი... კი... კიდო... იო... იო... იონა?!

იონა მსხლის ძირში დაჯდა. მიწაზე ჩამოვარდნილი მსხალი აიღო, შარვალზე შეიწმინდა. ერთხანს უყურა ხელში, მერე მადიანად ჩაკბიჩა და ჩაილუღლუღა:

— რაიონში ასე მითხრეს, — ცოცხალი თუ იყავი, გვაინტერესებდაო... —

***რამზეი, ოზურგეთი***

## ვინ ვინ?!



თბილისში წასვლა დავაპირე და ველოდები ტაქსის. უცებ გაჩერდა „გაზ-24". ვხედავ, საჭესთან ზის ჩემი მეგობარი, ყოფილი „საქმოსანი", ახლა ცნობილი ბიზნესმენი თენგიზა ყანჩაველი. ვოლგა თეთრია, თენგიზაც თეთრებში გამოწყობილა. მოკლედ, ყველაფერი თეთრია, მხოლოდ თენგიზაა შავი და მისი სათვალე. ჩავჯექი, წავედით. არ გაგვივლია 100 მეტრი თენგიზამ მანქანა გააჩერა და შემოიპატიჟა თანასოფლელი რაჟდენ ბიძია, კაცი, რომელიც სიმაღლით დიდი-დიდი, 135 სმ იქნებოდა. რაჟდენა მანქანაში შემოვიდა, არ დამჯდარა, ფეხზე იდგა. თენგიზა ჩუმად მეუბნება: — ვაჟა, ნახე ახლა, როგორ ვაგლახავო რაჟდენიო და ეკითხება:

— რაჟდენ ბიძია, რამდენი წლის ბრძანდებით?

— რამდენის ვიქნები? — დაუბრუნა კითხვა რაჟდენმა.

როგორც იქნა, „მოვრიგდით" 75 წელზე. ახლა ისევ თენგიზა ეკითხება რაჟდენს:

— მე რამდენის ვიქნები?

რაჟდენი მიუბრუნდა თენგიზას, აათვალიერ-ჩაათვალიერა და უთხრა:

— თენგიზია, მოიხადე ქუდი და გეტყვი.

თენგიზამ მოიხადა ქუდი (აბსოლუტურად მელოტია, ქუთაისურად რომ ვთქვათ, თავი მონიკელებული აქვს).

— ბიჭო, თენგიზია, — მე ის კი არ მითქვია, შარვალი და ტრუსიკი ჩაიხადე-მეთქი.

ვინ ვინ აგლახავა, მიხვდებით.

***ვაჟა ჭყონია, ქუთაისი***

## ...შენ კიდევ მანდა ხარ?!



4 წლის გიორგი მამას:

— მამა, ყოველდღე ჩვენს აბაზანაში მართლა ღმერთი ბანაობს?

გაოცებული მამა:

— არა! ეს ვინ გითხრა?

— აბა, ყოველ დილას რომ დგახარ აბაზანის კართან და იძახი: „ღმერთო ჩემო, შენ კიდევ მანდა ხარ?"

***უავტორო***

## „ჩარი-სე" შემაერთე, „ჩარი-სე"!



დისპეტჩერი უჩა რაციით ყველა უბანს დაუკავშირდა. რაკი საქმე კარგად დაიგულა, იფიქრა, ნარდის თამაშსაც მოვასწრებო.

კვასანიამ და უჩამ ნარდის თამაში დაიწყეს. თამაშის დროს კვასანია წინ გაიჭრა. უჩას დასჭირდა და რამდენჯერმე მოითხოვა „ჩარი-სე". კამათელი ჯიუტად არ გორდებოდა. უეცრად ელექტროენერგია გამოირთო. უჩამ იფიქრა, არიქა, გამიჩერდა წარმოებაო, ტელეფონს ეცა და ჩასძახა:

— „ჩარი-სე" შემაერთე, „ჩარი-სე" (უნდა ეთქვა, საქენერგო შემაერთეო).

***თ. შალიკიანი, ქუთაისი***

## სამაგიერო



ქუთაისი-თბილისის მატარებელზე ნათესავი გავაცილე და სარკინიგზო ბაქნიდან ტაქსების გაჩერებისკენ გადავინაცვლე. იქვე ჩემი მეზობელი, ტაქსისტი არეთა პაკელანი იდგა და მგზავრებს ელოდებოდა. როდესაც დამინახა, დამიძახა:

— იქნებ მგზავრი გამოჩნდეს და მერე შინ ერთად წავიდეთ.

მატარებელი ახალი გასული იყო, როცა ორი ახმახი მოგვიახლოვდა და მძღოლს შეეხვეწა, — წაგვიყვანე, იქნებ ზესტაფონში დავეწიოთ მატარებელს და რაც გინდა, აიღეო. მძღოლმა მეც ჩამისვა მანქანაში და ზესტაფონის მიმართულებით გააქანა. საფიჩხიას არ ვიყავით გაცილებული, მგზავრებმა ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს. მივხვდი, სვანები იყვნენ. ჩემი მეზობელი არეთაც დალის ხეობიდან იყო და მათი ნალაპარაკევი გაიგო, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ქვაშავას აღმართი რომ ავიარეთ, მარჯვნივ მესაქონლეობის ფერმა გამოჩნდა. ყველა ფანჯრიდან შუქი გამოკრთოდა და მატარებლის ვაგონს წააგავდა.

მძღოლი სვანებს მიუბრუნდა და უთხრა:

— რაღა ზესტაფონში მიდიხართ, აგერ დგას მატარებელი და ჩაჯექით.

— ხო, კაი, აპა, კარგად იყავით! — მოგვიგდეს მგზავრებმა და ფერმისკენ გაქანდნენ.

სიცილით გული რომ ვიჯერეთ, არეთამ მითხრა:

— წელან ასე თქვეს, როგორც კი ზესტაფონში ჩავალთ, ცხვირი დავარტყმევინოთ, — არაფერი არ მივცეთო და მეც სამაგიერო გადავუხადე.

***შალვა ლორთქიფანიძე, ქუთაისი***

## — დაკალით!



ბიძაშვილი მყავს ვეტექიმი.

ერთხელ ავად გახდა. დამიძახეს, წამლები დავუნიშნე და დავარიგე.

— რომ არ გამოკეთდეს, მერე რა ვქნათ, შოთა? — მეკითხებიან გულისფანცქალით.

— დაკალით, დაკალით!.. — ვუპასუხე მე.

***შოთა დიღმელაშვილი, ქირურგი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

კახელმა იკითხა, „ეხო" რა არისო. აუხსნეს: „ეხო", ანუ ექო არის, როცა შენ რაიმეს იტყვი ან დაიყვირებ და შენს დაძახილს მთები ან სხვა რამ გაიმეორებსო. დიდად გაუკვირდა და გაუხარდა კიდეც ამ სიტყვის მნიშვნელობა რომ გაიგო. ჰოდა, კიდევ უფრო გახარებული და ბედნიერი რომ ენახათ, ჭურთან მიიყვანეს და უთხრეს, — რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო.



— მართლა?!

— კი, აბა, სინჯე.

კახელმა ჭურს ჩასძახა:

— მე შენი დედაცა, შენი!

— შენი დედაცა და, იმისი მამყოლიცა! — ამოსძახა ჭურმა.

— ეხო ხარ შენ, ეხო?! — სიხარულით გაიბადრა კახელი და ლამის ჩაძვრა ქვევრში.

— ეხო კი არა, მიხო ვარ, მაი ზემოთ არ ამამიყვანო, ქვევრი გარეცხვა დამაცა, თორემააა!

***ჯემსი კეპულაძე, ქუთაისი***



სვანი თავის ძაღლს ჯოკერს ეთამაშება. გამოივლის მეორე და ძაღლს შეუქებს:

— რა ჭკვიანი ძაღლი გყოლია!

— ჭკვიანი კი არა სულელია. როცა ჯოკერი მოუვა, სულ კუდს აქიცინებს, — უპასუხა გულმოსულმა პატრონმა.

***ზვიადი და ზურა, ადიგენი***

## იმერული ჩანახატი

— გეიგე, ბოშო, პეტრეს იმფერი საფრთხობელა დაუდგამს, ჩიტები შარშანდელ გაზიდულს აბრუნებენ თურმე უკან...

***დანტისტი***



ჭიჭიკია — ბიჭიკიას:

— აბა, თუ იცი, რას ნიშნავს — ზზპ?

— რა ვიცი, მე!

— ფუტკარს, შე ლენჩო!!

— კი მარა, ზზპ... რაღა არის, პზზ მაინც გეთქვა.

— „ზადნით" მიფრინავს, რა!

***გიორგი მელქაძე, თბილისი***





კარაპეტასთან მეზობელი შევიდა ფულის სასესხებლად. კარაპეტა ტახტზე იყო წამოწოლილი. მეზობელი ეკითხება:

— კარაპეტ, ხომ არ გძინავს?

— მერე რა გინდა?

— 50 ლარი მასესხე.

— მძინამს რაღა, ვააა... — თქვა კარაპეტამ და მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

***ს. თათრიშვილი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე***

# დაღესტნის გამოძახილი

მამაკაცები კამათობდნენ, ძირითადად, ერთმანეთს კი არა, „იტოგის“ კორესპონდენტს მიმართავდნენ: „გარწმუნებ, დიდი დრო გავა, ვიდრე ჩეჩნებს ვაპატიებთ... ჩვენ ძმებივით ვექცეოდით (ჩეჩნეთის პირველ ომში ბოთლიხის მცხოვრებლებმა 12 ათასი ჩეჩენი ლტოლვილი შეიფარეს — „იტოგი“), შარშან, აგვისტოში კი ბასაევმა და ხატაბის ბოევიკებმა ჩვენი სოფლები ჩაიგდეს ხელთ“, — ამბობს დაღესტნის ბოთლიხის რაიონის ადმინისტრაციის თავკაცი შამილ ქერიმოვი.

წელიწადი გავიდა თავდასხმის



შემდეგ, ვნებები მეტ-ნაკლებად დაცხრა, მაგრამ დაღესტნელთა ნაწილი მაინც იმას ფიქრობს, რომ დაღესტანი და ჩეჩნეთი ერთმანეთის მტრები გახდნენ. თუმცა, ცხოვრებისეული რეალიები აიძულებთ, შეურიგებელი პოზიცია თანდათანობით დათმონ. მაგალითად, გაგატლის (მაღალმთიანი სოფელია, რომლის მცხოვრებლებმა არ გაატარეს თავიანთ სოფელზე შირვანი ბასაევის რაზმი) საძოვრები ჩეჩნეთის საძოვრებს ემეზობლება, იქაურები კი ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე საუკუნეების მანძილზე აძოვებდნენ თავიანთ საქონელს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. ახლა აღარ აძოვებენ, მარტო ჩეჩნებთან ურთიერთობის გამწვავების გამო კი არა, იმიტომაც, რომ ახლა იქ რუსი სამხედროები დგანან, მათ კი ცუდად კვებავენ, ამიტომ...

დაღესტანში, რუსეთის პოლიტიკის მიმართ კრიტიკულად არიან განწყობილნი. თითქმის არავის სჯერა, რომ დიდი დერჟავა ვერ ერევა პატარა ჩეჩნეთს. ყველა იმას ამბობს, კომერციული ომია, ე.ი. მოგებულები მხოლოდ დიდჩინოსნები და გენერლები არიან, უბრალო ხალხი კი, მათ შორის ჯარისკაცები, იღუპებიანო. რაც შეეხება უშუალოდ დაღესტანს, აქ თითქმის ყველა ფიქრობს, რომ რუსეთის ხელისუფლება თვალს ხუჭავს ხალხის გაჭირვებასა და დაღესტნის ხელმძღვანელთა კორუმპირებულობაზე.

ხშირად, როცა საინფორმაციო საშუალებები იხსენებენ ერთი წლის წინ დაღესტანში ჩეჩენ ბოევიკთა შეჭრას, ბოთლიხის სოფლებთან ერთად, კარამახსა და ჩაბანმახსაც ასახელებენ. თითქოს იქაც და აქაც ფედერალური ჯარი გაუსწორდა ბოევიკებს და რუსეთი აგრესიისაგან დაიცვა. სინამდვილეში კი, არც კარამახსა და არც ჩაბანმახში ბოევიკები არასოდეს ყოფილან, უბრალოდ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი ისლამის იმ რადიკალურ მიმართულებას ემხრობოდა, რომელსაც ვაჰაბიზმს უწოდებენ. ისინი დიდ საფრთხეს არავის უქმნიდნენ (ქალები სახეს იფარავდნენ, მამაკაცებს სპირტიანი სასმელების გამოყენებისთვის წკეპლავდნენ), მაგრამ ადგილობრივ ხელისუფლებას ეს საკმარისი ეჩვენა იმისთვის, რომ ფედერალებს შტურმით აეღოთ სოფლები.

კარამახში ჯარი დიდი ხანია აღარ დგას. დაბრუნებულ ვაჰაბიტებს სოფლის უხუცესები ერთ პირობას უყენებენ — ყურანზე უნდა დაიფიცონ, რომ ვაჰაბიზმზე უარს ამბობენ. ბევრი დაბრუნდა, ბევრმა უარი თქვა და ჯამაათის გადაწყვეტილებით სოფელი დატოვა. ბოთლიხისაგან განსხვავებით, რომელიც ჩეჩნეთის უშუალო მეზობელია, კარამახელებს არ აღელვებთ ომი, — ჩვენგან შორს არიან, ბოევიკები დაღესტანს თავს აღარ დაესხმიან, ე.ი. ჩვენ — აღარაფერი გვემუქრებაო.

***იტოგი №32***

**სამხედროებს, ინდიელებისა არ იყოს, საკუთარი რიტუალები აქვთ...**

**ჩეჩნეთში გაჩნდა ახალი სადღეგრძელოები... ავღანეთის შემდეგ გადაჰკრავდნენ „დაღუპულებისას“, „პირველი ჩეჩნურის“ შემდეგ — „რაც შეიძლება გვიან თქვან ჩვენზე წინა — დაღუპულებისაო“ და ახლა, „მეორე ჩეჩნურში“ — „ოღონდ ჩვენებმა არ მოგვკლანო“.**

**სამხედროები ასეც „ხუმრობენ“ — თუ ნახევარი მაინც გადარჩით — ასე გამოაცხადებენ — დანაკლისი მცირეაო...**

***ოგონიოკი***

# ხაფანგში ჩაიკეტა



დაღესტანში შეჭრამ რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტის აფეთქება გამოიწვია. ხასავიურტის შემდეგ გაჩენილი იმედი, რომ ურთიერთობა გაგრძელდება დე ფაქტო დამოუკიდებელ იჩქერიასთან, დასამარდა.

მაშინდელი პრემიერის, პუტინის უნიათო ცდა, მოეთხოვათ მასხადოვისაგან დაღესტნის რეიდის მონაწილეთა გადაცემა, უშედეგო გამოდგა. არავის ეეჭვებოდა, — იჩქერიის პრეზიდენტს რომ შესძლებოდა, თვითონ გაუმკლავდებოდა ბოევიკებს. მერე რუსეთში წარმოიშვა „სანიტარული დერეფნის“ შექმნის იდეა, პარალელურად სხვა გადაწყვეტილებებიც მუშავდებოდა. კერძოდ ის, რომ ფედერალური ჯარი უნდა დაბრუნებულიყო ჩეჩნეთში და გაეკეთებინა ის, რაც ვერ დაასრულა 1996 წელს.

ქაღალდზე დაწერილი „სანიტარული დერეფნის“ გეგმა საკმაოდ მარტივი იყო, მაგრამ რეალური განხორციელება არ ეწერა, საზღვრის ყოველ 5 მეტრში თითო ჯარისკაცს ხომ ვერ ჩააყენებდნენ ან რამდენ ხანს უნდა მდგარიყვნენ? გენერლებს წინა ომის სირცხვილის ჩამორეცხვა უნდოდათ, აშკარად არ უთქვამთ უარი „სანიტარულ დერეფანზე“, მაგრამ განაცხადეს — თერგზე დგომა მიზანშეწონილია, ნოვოგროზნენსკის დიდი დანაკარგების გარეშე ავიღებთ, მერე გროზნოს შემოვერტყმებითო და ა.შ. რუსეთმა მიხედვ-მოხედვა ვერ მოასწრო, რომ უკვე ომში ჩაება.

ჩეჩნეთის მეორე ომის მეორე წელი მიდის. როგორც პირველ ომში, რუსეთის ჯარმა ზოგან მსუბუქად, ზოგან სისხლისმღვრელი ბრძოლებით შეძლო ჩეჩნეთის ტერიტორიის დიდი ნაწილის დაკავება. მაშინდელივით, ახლაც ვერ მოახერხეს ზოგიერთ მთიან რაიონში შეღწევა, ალბათ ვერც შეაღწევენ.

ისევ იქ წავიფორხილეთ, სადაც მაშინ — 1996 წელს. კი ბატონო, ავიღეთ ჩეჩნეთი, მერე რა? მერე დაიწყება პარტიზანული ომი. პარტიზანებს კი როგორ უნდა ებრძოლო, არავინ იცის, არც რუსეთსა და არც მთელ მსოფლიოში. ალბათ წინა ომისაგან განსხვავებით ყველაზე მნიშვნელოვანი და ტრაგიკული ის არის, რომ ამჯერად ჩვენ იქიდან არსად წავალთ, რადგან ეროვნული თვითშეგნება ვერ შეძლებს მსგავსი დამცირების გადახარშვას. იქ გამარჯვების მიღწევა შეუძლებელია, წამოსვლაც არ შეიძლება. მაშ, რა მოხდება? მოხდება ის, რაც ახლა ხდება. ყოველდღე ჩეჩნეთში დახოცავენ რუს ჯარისკაცებს და ჩეჩნეთის მცხოვრებლებს. საზოგადოება ამას თითქმის მიეჩვია, მალე საბოლოოდ მიეჩვევა და ისეთ წვრილმანს, როგორიც კოლონაზე ბოევიკების მორიგი თავდასხმაა, ახალ ამბებშიც კი აღარ გამოაცხადებენ. ეს წლების მანძილზე გაგრძელდება. ის პატარა ბიჭები, რომლებიც ჩეჩნეთის მთებში ბოევიკებთან დარბიან, პროფესიონალ პარტიზანებად გაიზრდებიან და თავადაც მთებში წავლენ, რომ მათაც, თავიანთი მამებისა და ძმების მსგავსად, სიცოცხლეს გამოასალმონ რუსი ჯარისკაცები.

***გ. კოვალსკაია***
***იბეჭდება შემოკლებით***
***იტოგი №33***



# აზერბაიჯანში ქონებას იყოფენ

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა რამდენიმე ბრძანებას მოაწერა ხელი ქვეყნის ყველაზე მომგებიან საწარმოთა პრივატიზების თაობაზე. ამ კანონების მიღება არის ძირითადი პირობა იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები აზერბაიჯანს კრედიტებს გამოუყოფენ.

ეს კანონები ერთი წლის წინ მომზადდა, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში კამათი არ შეწყვეტილა იმის თაობაზე, რომელი ობიექტი შეიძლებოდა კერძო გამხდარიყო. ალიევმა გაგრძელებულ დებატებს წერტილი დაუსვა და კანონებს ხელი მოაწერა. ბრძანებულებების თანახმად, პრეზიდენტი ახლა თავად მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ როგორი სახით იქნება პრივატიზებული ბაქოს პორტი, ქიმიური და მეტალურგიული საწარმოები, ელექტროენერგეტიკა და ტრანსპორტის სექტორი.

ამჟამად აზერბაიჯანში სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა მისი დაქვემდებარება საწარმოს ხელმძღვანელობისათვის აქციონირების გზით. შარშან, ნოემბერში ალიევმა აზერბაიჯანის ენერგოგამანაწილებელი სისტემის პრივატიზაციის ბრძანება გამოსცა, უახლოეს ხანში იგივე ბედი ელის სხვა სამრეწველო საწარმოებსაც.

ქვეყნის მოსახლეობას, პირველ რიგში, აინტერესებდა საპრივატიზაციო ვაუჩერების ბედი, რომლის მოქმედების ვადა 15 აგვისტოს დასრულდა. ზოგიერთ მოქალაქეს ისევ სჯერა, რომ ვაუჩერი ადრე თუ გვიან 800 დოლარი ეღირება (როგორც ამას აზერბაიჯანის სახელმწიფო ქონების კომიტეტის ხელმძღვანელობა ჰპირდებოდა). პრეზიდენტმა ვაუჩერის მოქმედების ვადა 2002 წლის 1 იანვრამდე გააგრძელა, რის გამოც ვაუჩერის ფასმა შავ ბაზარზე მაშინვე აიწია.

აზერბაიჯანის ყველაზე მნიშვნელოვანი საწარმო — ნავთობის სახელმწიფო კომპანია პრივატიზებული არ იქნება. მისი პრივატიზების საკითხი მას შემდეგ მოიხსნა დღის წესრიგიდან, რაც კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა — ჰეიდარ ალიევის ვაჟმა, ილხანმა მკაცრად გააკრიტიკა ქონების მართვის კომიტეტი მსგავსი გეგმებისათვის. სამაგიეროდ, პრივატიზებული იქნება ნავთობის დარგის ზოგიერთი სხვა საწარმო. მათდამი ინტერესს იჩენენ რუსეთის „ტრანსნეფტი“, „ლუკოილი“ და „სლავნეფტი“. ახალი კანონების თანახმად, საწარმოებს აუქციონზე გაიტანენ და უცხოელ ინვესტორებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუშვებენ, თუ მათ ექნებათ საპრივატიზაციო ჩეკების პაკეტი ან თუ ისინი აზერბაიჯანში ეწევიან მომგებიან ბიზნესს.

***კომერსანტი №152***

# დუდუკის სევდიანი მელოდიები

სისტემური კრიზისი, რომელმაც მოიცვა სომხეთი, კანონზომიერ ფინალს უახლოვდება. ქვეყანა არა მარტო იჩეხება სოციალურ-ეკონომიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ ხრამში, არამედ კარგავს სუვერენიტეტის უკანასკნელ რეალურ ნიშნებს.

ამის ყველაზე მკაფიო დადასტურებაა მიგრაცია, რომელსაც ბევრი დამკვირვებელი ახასიათებს, როგორც დემოგრაფიულ კოლაფსს. სხვადასხვა მონაცემით, სომხეთის მოსახლეობა საბჭოთა კავშირის დაშლის წინ 3,6 მლნ ადამიანს შეადგენდა, ამჟამად აქ 1,3-დან 1,5 მლნ ადამიანამდე ცხოვრობს.

ცოტა ხნის წინ, ლევონ ტერ-პეტროსიანის მმართველობის დროს, ბევრს უკვირდა, როგორ მოხდა, რომ სომხეთი, რომელსაც სსრკ-ში მოწინავე პოზიცია ეჭირა ინდუსტრიული და აგრარული წარმოების, მეცნიერების, კულტურის, განათლების განვითარების მიხედვით, საცხოვრებლად უვარგის ქვეყნად იქცა.

როცა ორ-ნახევარზე მეტი წლის წინ, საყოველთაო სახალხო მხარდაჭერით, პეტროსიანი გადააყენეს და მისი ადგილი რობერტ ქოჩარიანმა დაიკავა, ბევრს ცხოვრების გაუმჯობესების იმედი გაუჩნდა. ხალხმა ახალი პრეზიდენტი აღიქვა ყარაბაღის გამათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთ გმირად, რომელიც მზად იქნებოდა ეროვნული ინტერესების დასაცავად. საარჩევნო კამპანიაში ის ბევრ რამეს დაჰპირდა ხალხს. დრო გადიოდა, მალევე ცხადი შეიქნა, რომ პოლიტიკური ელიტა, რომელსაც თვალსაჩინო პრინციპული ტრანსფორმაცია არ განუცდია, კვლავაც განაგრძობდა დამანგრეველ პრაქტიკას.

ამას ცხადყოფს საყოველთაო სახალხო ქონების ნარჩენების დემპინგური გაყიდვის ტემპი და მასშტაბები.

სომხეთის მმართველი ელიტის დამანგრეველი მოღვაწეობა განიხილება, როგორც შეგნებული, მიზანდასახული პროცესი, რომელიც ხორციელდება რეგიონში მიმდინარე გეოსტრატეგიული მოვლენების ფონზე. ნათელია, რომ ამ პროცესის სტიმულირება ხელს აძლევს, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელმაც დაუფარავად განაცხადა, რომ დაინტერესებულია სომხეთით. ცნობილია ისიც, რომ სამხრეთ კავკასიაში ამერიკის მთავარ ინტერესს წარმოადგენს არა მარტო სატრანსპორტო არტერიების, ენერგეტიკული კომუნიკაციებისა და კასპიის მინერალური რესურსების ფინანსურ-ეკონომიკური კონტროლის ხელში ჩაგდება, არამედ რუსეთის სტრატეგიული გავლენის შეზღუდვა.

ამიტომაც არის, რომ ამერიკელები სომხეთში აქტიურად ყიდულობენ არა მარტო კომერციულსა თუ სამრეწველო-ენერგეტიკულ ობიექტებს, არამედ საზღვარგარეთ მიმავალი მოქალაქეების ბინებსაც.

სომხეთის ხელისუფლება შეწუხებული კი არ არის შექმნილი მდგომარეობით, მადლობასაც უხდის თავის კეთილისმყოფელებს „ჰუმანიტარული დახმარებისათვის“.

ამერიკულმა დიპლომატიამ მშვენივრად იცის, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რეგიონს ახალი მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის კონსტრუირებისათვის. მაგრამ რადგან ქვეყანაში რუსი სამხედროების ყოფნა რიგ სხვა ფაქტორთან ერთად გამორიცხავს აქ კოსოვოს სცენარის გამოყენებას, სომხეთის სახელმწიფოებრიობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დასუსტება ძალზე მოხერხებული ვარიანტია მიზნის მისაღწევად. დაცარიელებული და ამერიკულ დოლარზე აბსოლუტურად დამოკიდებული სომხეთი იოლად ექცევა პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ: უკანასკნელ ხანს აქტიურად იხილება ტერიტორიული გაცვლის, ყარაბაღის კონფლიქტის საბოლოოდ გადაჭრის საკითხი.

სომხეთის ეროვნული და სახელმწიფო ინტერესები ობიექტურადაა დამოკიდებული ამიერკავკასიაში რუსეთის სტრატეგიული გავლენის სიმყარეზე. ისიც ცხადია, რომ სომხეთს სჭირდება კომპეტენტური და ზნეობრივად მყარი პოლიტიკური ელიტა, რუსეთს კი თავისი პოლიტიკის ნათლად გამოხატული ორიენტირი სტრატეგიული მოკავშირის მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღითი დღე დაცარიელებული, დასუსტებული სომხეთი მალე იქცევა ქვეყნად, რომლის ერთადერთი მახასიათებელი მხოლოდ დუდუკის სევდიანი მელოდიები იქნება.

***ნეზავისიმაია გაზეტა №152***

# რას გვეტყვი, მამაო?

**— ისე მივეჩვიე ლოცვას, რომ თითქმის გამუდმებით ვლოცულობ — ჩვეულებრივ, ეკლესიაში ან შინ, ხატის წინ. წესისამებრ, ლოცვის გარდა, ვლოცულობ ყოველგვარ სიტუაციასა და მდგომარეობაში, შინ თუ გარეთ, მგზავრობისას, სამსახურში თუ სტუმრად ყოფნისას. დავდივარ, ვზივარ თუ ვწევარ.**

**ხომ არ ვცოდავ? იქნებ ეს უფლის სახელის „ამაოსა ზედა“ მიღების ტოლფასია?**

— ლოცვის მოთხოვნილება ადამიანს რაიმე განსაკუთრებული საბაბის გარეშეც იოლად შეიძლება გაუჩნდეს — ოდენ ღმერთის წყალობით! რა სახითაც და რა ზომითაც არ უნდა გამოვლინდეს ეს მოთხოვნილება — არასოდეს არ უნდა დატოვოთ იგი დაუკმაყოფილებელი, მაშინვე უნდა მიმართოთ ლოცვას და ილოცოთ იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც გაგიჩნდათ ეს მოთხოვნილება: საქმის დროს — ისაქმოთ ლოცვით, კითხვის დროს — კითხვის შუაგულში, სიარულის დროს — სიარულთან ერთად. მაგრამ, ცხადია, უმჯობესია, იდგეთ სალოცავ კუთხეში ხატებთან და ისე ლოცულობდეთ.

**— რას ნიშნავს ფარისევლური, ანუ თვალთმაქცური აღსარება?**

— ფარისევლურად, ანუ თვალთმაქცურად ამბობენ აღსარებას ისინი: 1. ვისაც გულში მტრობა აქვთ და მტერთან შერიგება კი არ სურთ; 2. ქურდები, რომელთაც არ სურთ ნაქურდლის დაბრუნება; 3. ვინც სულიერ მოძღვართან თავის ცოდვებს მალავენ; 4. ყოველნი, ვინც ცოდვით ქცევებს ვერ თმობენ.

**— რომელი ფსალმუნები უნდა ვიკითხოთ, როდესაც მტრის საფრთხის ქვეშ ვიმყოფებით?**

— როდესაც მტრისგან გელოდებათ ხიფათი, იკითხეთ მე-3, 53-ე, 58-ე, 80-ე 142-ე ფსალმუნები. გამოარჩიეთ ამ ფსალმუნთაგან თქვენთვის მისანდობელი სიტყვები და ხშირ-ხშირად იკითხეთ ხოლმე, უფლისადმი რწმენითა და მოწიწებით აღვსილებმა. ხოლო, როდესაც უმიზეზო სევდა და ნაღველი დაგრევთ ხელს, — იკითხეთ 101-ე ფსალმუნი.

**— შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ თუ ადამიანი სასწაულებს სჩადის, ის სასწაულები ყოველთვის ღვთისგანაა?**

— რაგინდ დიდი სასწაულიც არ უნდა ჩაიდინოს ადამიანმა, თუ ის არ ცხოვრობს წმ. მამათა სწავლების მიხედვით, ხიბლში იმყოფება და უნდა უარყოს იგი.

**— შეიძლება თუ არა ადამიანს ცოდვად ჩაეთვალოს პირჯვრის გადაწერა?**

— პირჯვრის გადაწერა ცოდვად შეიძლება ჩაეთვალოს ადამიანს, თუ პირჯვრის გამოსახვის დამოწმებით იგი ცდილობს, დაგვიდასტუროს სიცრუე, ფლიდობა, ყალთაბანდობა და სხვა არაწმინდა საქმე. ამით ის საკუთარ თავზე მსჯავრს მოიწევს.

**— გარეგნულად რა სახით უნდა გამოვხატოთ მოყვასის წინაშე ჩადენილი დანაშაულის აღიარება?**

— პატიება ითხოვეთ ჩადენილი ცოდვის შესაფერისად. თუ დანაშაული დიდი გაქვთ, თავმოდრეკით ითხოვეთ პატიება, ხოლო თუ უმნიშვნელო, გულით ნათქვამი: „მაპატიეც“ იკმარებს.

**— როდის გვესხმის თავს ყველაზე აქტიურად ბოროტი ძალა?**

— ეს ხდება, ძირითადად, წმინდა საიდუმლოთა მიღების შემდეგ, გულითადი ლოცვის შემდეგ. განსაკუთრებულად ყურადღებით უნდა ვიყოთ სარგო საქმის შემდეგ, რადგან ამ დროს ეშმაკი ჩვენ მიმართ შურითა და ბოროტებით არის აღსავსე.

**— რატომ უჩნდება მრევლის ზოგიერთ წევრს ჩვენდამი შურის, ეჭვის გრძნობა, როდესაც ხშირად მივმართავთ მოძღვარს, რომელიც ამავე დროს მათი მოძღვარიც არის?**

— ეს იმიტომ ხდება, რომ ხშირად, თავადაც არ ვუწყით და სრულიად დამოკიდებულნი ვხდებით მხოლოდ მოძღვრის პიროვნებაზე. მისი სახება ყოველჟამიერ თვალწინ წარმოგვიდგება, გული აღვსილია მოძღვრისადმი სიყვარულით, ქრისტე მაცხოვარი კი, ჩვენი მხსნელი, როგორღაც გვერდზე რჩება. აი, სწორედ მაშინ აღიძვრის მრევლის შიგნით ეჭვი, შური, მეტოქეობა, არაკეთილგანწყობილებანი.

ასეთი რამაც შეიძლება მოხდეს: გარდაიცვალა საყვარელი მოძღვარი და ადამიანი შთაინერგავს, რომ აწ ყოველივე დაკარგულია. მაგრამ სად არის ქრისტე? გყავდა კი იგი შენ? სამწუხაროდ, არა. ის რომ გყოლოდა, მაშინ ხელს არ დაგრევდა ასეთი სულმოკლეობა და გულის გატეხა (არქიეპისკოპოსი არსენი ჩუდოვი).

**— როგორ უნდა მივიღოთ საქებარი სიტყვები, რომლებიც ჩვენთვის გამოიმეტეს?**

— როდესაც თქვენს ქებას გაიგონებთ, გაიხსენეთ საკუთარი ნაკლოვანებანი (წმ. ფილარეტ მოსკოველი).

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ*** ***იხ. გვ. 28***

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***




მამამ პატარა დათოს დაავალა:
— წადი და დედას ჰკითხე, რომელი საათია.
დათო მივიდა დედასთან და საათი ჰკითხა. დედამ უპასუხა:
— 4-ის ნახევარია.
დათო მივიდა მამასთან და უთხრა:
— ორი საათი ყოფილა.

***

4 წლის გუჯა ნემსაძეს ნატვრა აუხდა — უყიდეს „მაგარი“ ბუცები.
ბუცების „სიმაგრეში“ დარწმუნებულმა ამოარჩია მოზრდილი ქვა და ბუციანი ფეხი მიარტყა. მორთო ღრიალი.
— რა მოგივიდა? — ჰკითხა მამამ.
— ბუცი მეტკინაა!!!

***

5 წლის თამუნა ბეკურაშვილს საღეჭი რეზინი მოუტანეს. დედას არ უნდოდა ბავშვს დაეღეჭა და დაუმალა. თამუნა ეკითხება თავის დას:
— ნათია, სად არის ჩემი კევი?
— ჩამეყლაპა, — უპასუხა დამ.
— აბა, ამოყლაპე უკან! — სთხოვა შეწუხებულმა.

4,5 წლის ლევან კაპიტანოვი უყურებს ტელევიზორს. გადის ტელემარკეტის ექსპრეს-განცხადება: დასვენება გონიოში ძალიან იაფად... მსურველებმა დარეკეთ...
ლევანი ეკითხება დედას:
— რა თქვა, დედა, სულელებმა დარეკეთო?!

***

5 წლის ბექა მამამ ახალციხეში წაიყვანა. თბილისიდან საღამო ხანს გაემგზავრნენ და ცაზე ბავშვმა მთვარე შეამჩნია. მალე ბექას ჩაეძინა. გაღვიძებულმა იკითხა:
— სადა ვართ?
— უკვე ახალციხეს ვუახლოვდებით, — უპასუხა მამამ.
ამ დროს ბექამ ცაზე კვლავ მთვარეს მოჰკრა თვალი და გაოცებულმა იკითხა:
— მამიკო, მთვარეც ახალციხეში „მოდის?!“

***

პატარა ნიკა დაძინებისას მამიკოს ეკითხება:
— მამიკო შენ აქა ხარ?
— კი.
— მამიკო, შენ არ შეგეშინდეს, მგლები თუ მოვლენ, მე აქა ვარ.

გამოიცანით გამოტოვებული ასოები და წაიკითხეთ ისრის მიმართულებით

III




V




VI არსებობს საყოველთაოდ ცნობილი არაერთი სიტყვათა წყობა და დასახელება, რომელშიც საკუთარი სახელი მონაწილეობს (მაგ. კაპიტანი ნემო, მაგდანას ლურჯა და ა.შ.). შეეცადეთ, ქვემოთ მოცემული სიტყვებით (ერთი მარცხენა სვეტიდან, მეორე — მარჯვენადან) შეადგინოთ სწორი შესატყვისი:

| | |
|---|---|
| 1) ხეოფსი | 1) ძილი |
| 2) სურამი | 2) ბატკანი |
| 3) სალათა | 3) ციხე |
| 4) მამა აბრაამი | 4) ნათურა |
| 5) ილიჩი | 5) პირამიდა |

IV სახალისო გამოცანები

ა) მიწაში რომ ჩავძვერი,
განა რამე მაშინებს?
რასაც ჩამომძახებენ,
ვიმეორებ მაშინვე.

ბ) ერთი რვაფეხა მწერია,
სხვა მწერებს უგებს მახეს,
ვინ გამოიცნობს რა არის,
ვინ იტყვის იმის სახელს?

გ) წვიმას რომ შევუშინდე
განა ბიჭი გოგლა ვარ,
ქოლგა არა მჭირდება
რადგან თვითონ ქოლგა ვარ.

## ენის გასატეხი:

1) დაფაციფუცებულნი ფრინველნი უფრო დაფაციფუცებულან.

2) აკრატელი-მაკრატელი,
მე ვარ კოკროჭინანტელი,
ცხენი მყავდა, ცხენჭედილა,
უნაგირი შეჭედილა.
თუ ის ცხენი მომიკვდება,
სამ წელიწადს პურს არა ვჭამ,
ხოხბის მეტსა, კაკბის მეტსა,
გამტკიცული შოთის მეტსა.

## გამოსაჯავრებელი

ვაჟო, ეგ შენი ქებაო
არა ვთქვა, არ იქნებაო,
პურის ჭამამდე მარდი ხარ,
საქმეზე წელი გწყდებაო.

## I ადამიანის ორგანოები



ადამიანის სხეულის ნაწილთა არეული სახელები დაალაგეთ სწორად და შეიტანეთ კროსვორდში

ვერტიკალად: 1) ლუგი; 3) თიით; 4) ტვილფი; 5) კნენი; 7) მარხელიხე; 10) ნივტი; 11) რიპი.

თარაზულად: 2) რუყი; 6) ვირცხი; 8) ლეხი; 9) ყოლა; 10) ფრეტი; 12) ლათვი; 13) ბიკლი; 14) სირეკი; 15) ძვილღი.

## იპოვეთ 15 განსხვავება



## მოთხრობა-გამოცანა

მინდორში დგას ათი მეტრი სიმაღლის ხე. ერთი ლოკოკინა ადის ამ ხეზე, მაგრამ ისე, რომ დილიდან საღამომდე სამ მეტრს გაივლის ზევით, შემდეგ საღამოდან დილამდე უკან ბრუნდება და ორ მეტრს გადის ქვევით. რამდენ დღეში მიაღწევს ლოკოკინა ხის კენწეროს (პასუხი გამოგვიგზავნეთ წერილობით)?

წინა ნომერში შემოთავაზებული მოთხრობა-გამოცანის სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს: სოფიკო ცომაიამ, ნინო ტომარაძემ, გიორგი და ლაშა სამხარაძეებმა, ზურიკო ბროლაძემ, ნათია და მაია ჭუმბურიძეებმა, ნატო ნატრიაშვილმა, ეკატერინე შამათავამ, გურამ და ირაკლი ჯოხაძეებმა, ლიკა გოლავამ, ხატია ხატიაშვილმა, თეონა გოგაძემ, სალომე და ვალერიან შალამბერიძეებმა, ნინო და ირაკლი ხუციშვილებმა, ლანა და ოთიკო ლანჩავებმა, ლელა ოჩხიკიძემ, ქეთინო ჩომახიძემ, თამუნა მარკოზაშვილმა, ლიკა ქოჩიშვილმა, გიორგი გვერდელაშვილმა, ბუხჯუჯა გვერდელაშვილმა, გიორგი მელქაძემ, ნათია ბეკურაშვილმა, ელენე და გიორგი ჭიჭინაძეებმა და ნინო ხაჭაპურიძემ.
**სწორი პასუხი კი ასეთია: ვაშლის ხეს აქვს 3 ტოტი, ხოლო ჩიტი 4-ია.**

## გამართეთ ფერადი ფანქრებით



ბავშვებო, ბაჭია მოექცა ჩაკეტილ სივრცეში, საიდანაც ოთხი გზა გამოდის. დაეხმარეთ მას სწორი გზის პოვნაში, რათა თავის საყვარელ სტაფილოებთან მივიდეს.

## II რებუსი



## ანდაზები

1) ყვავმა ყვავს უთხრა: პაი, შე ყრანტალაო!
2) ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო;
3) მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო;
4) მელა მახეში გაება და თავი მოიმძინარა: იქნება სიზმარი იყოსო;
5) თხა გასუქდა და ინატრა: პაი, ერთი მგელს დამაჭიდაო;

## თაისაცეხი

ჩაწერეთ ამ რგოლებში რიცხვები ერთიდან ცხრამდე ისე, რომ მათი ჯამი თითოეულ გვერდზე უდრიდეს ჩვიდმეტს.



გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა



# დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს

მეთერთმეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლები. დაშლილ-დანაწევრებული საქართველო. თურქ-სელჩუკებთან და შინამტრებთან ბრძოლით დაღლილ-დაქანცული საქართველოს მეფე გიორგი (თუკი შეიძლება მეფე ეწოდოს სამეფოს ნაფლეთების გულგატეხილ მმართველს) „დიდი თურქობის" შესაჩერებლად იძულებულია, სულთან მალიქ-შაჰს ეახლოს და მორჩილება გამოუცხადოს — საქართველო ველური თურქ-სელჩუკების მოხარკე ხდება. ამან ვერ შეამცირა ურჯულოთა უღლისგან გამოწვეული ტკივილი ხალხისა.



ბუნებაც განურისხდა თითქოს ქართველებს — მთელი წელი გრძელდებოდა დამანგრეველი მიწისძვრები, მსხვერპლი და გოდება...

თურმე სხვა რამის მომასწავებელი იყო ეს სტიქია — დედამიწა ბორგავდა, გრძნობდა, რომ დაღლილი მეფის ოჯახში ვაჟი იზრდებოდა, მომავალი დიდი მეფე დიდი საქართველოსი — დავით V... აღმაშენებელი...

ქართველი პატრიოტები გრძნობდნენ ჭაბუკის პოტენციას და ღვთის რჩეულობას — გიორგი -ს გადადგომა და სკიპტრის დათმობა მოსთხოვეს...

1089 წელს საქართველოს ახალი მეფე მოევლინა — 16 წლის გენიოსი, კაცი, რომელსაც ღმერთმა თუ ბედისწერამ თავისი ქვეყნის მკვდრეთით აღდგენა და სამუდამოდ ყოველთა ქართველთა იდეალად ყოფნა დაავალა.

ქვეყანა აღარ არსებობდა — ქალაქები და სოფლები ხალხისგან მიტოვებულ ნაოხარად გადაქცეულიყო. დავითმა ყმათა და მსახურეულ აზნაურთაგან შეადგინა მცირერიცხოვანი რაზმები და ხმალი ალესა... ქართული მიწა დიდი ხნის შემდეგ პირველად დანაყრდა შურისმგებელი მეფის მახვილით წაკვეთილი ჩალმიანი თავებით... ხალხი იმედით აღივსო, ნელ-ნელა იწყეს მთაში გახიზნულებმა სახლებში დაბრუნება. რწმენამ და მომავლის იმედმა იმძლავრა.

ურჯულოები შიშით ადევნებენ თვალყურს ჭაბუკი მეფის მიერ ორგულ ქართველ დიდებულთა განადგურებას — იცოდნენ, შემდეგ მათი რიგი დადგებოდა.

ლმობიერიც იყო დავით დიდი ქართველთა, თუნდაც მოღალატეთა მიმართ — ლიპარიტ ბაღვაში შეიპყრო და მონანიების შემდეგ გაათავისუფლა. მაინც არ დაიშალა თავისი სულით გამყიდველმა ფეოდალმა. ოცი წლის მეფეს ეყო შემწყნარებლობა, რომ ორგზის მოღალატე ბაღვაშისთვის ორი წლის პატიმრობა და ქვეყნიდან გაძევება ეკმარებინა.

სრული ათი წელი თავისი მეფობის დასაწყისისა, დავითმა ქართველთა გონს მოყვანასა და თავიანთ სახლებში დაბრუნებას მოანდომა და „ქართლის ციხეთაგან ურჯულოთა განსხმის" დროც დადგა...

1099 წელს საქართველომ თურქ-სელჩუკებს ხარკის მიცემა ოფიციალურად შეუწყვიტა და ამით დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1103 — ზედაზენი, 1104 — ჰერეთ-კახეთი, 1110 — სამშვილდე, 1115 — რუსთავი, 1117 — გიში, 1118 — ლორე... ხმლით ავლებდა დავითი ქვეყნის საზღვრებს. მაგრამ უფლის რჩეულმა იცოდა, რომ „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი" — რეფორმა ეკლესიაში — რუის-ურბნისის კრება, მონასტრების მშენებლობა, გელათის მონასტერი და აკადემია, საფინანსო-მონეტარული პოლიტიკის შექმნა, „სააჯო კარი" — პირველი „კონსტიტუციური სასამართლო" მსოფლიოში. ვაჭრობის არნახული აღმავლობა — უცხოელ სოვდაგართათვის მოწყობილი ქარვასლები და უფასო (!) სასტუმროები გზებზე და ისევ და ისევ სამხედრო ძლიერებისთვის ზრუნვა — მტერი ადვილად არ დათმობდა მსუყე ლუკმას და 1121 წელიც დადგა — გვირგვინი არა მარტო დავითის მეფობისა, არამედ მთლიანად საქართველოს ისტორიისა — ყივჩაღებითა და ფრანგი ჯვაროსნებით გაძლიერებული 55.000-იანი ქართული მხედრობის მიერ მისი მთავარსარდლის მხედრული გენიის წყალობით დამარცხებული 300.000-იანი ურჯულო ლაშქარი (ჯვაროსნების ცნობებზე დაყრდნობით, ფრანგი მეისტორიე გოტიე 600.000-ს ასახელებს).

„ძლევაი საკვირველი" — ამ სახელით შემორჩა ქართველთა მიერ ირანის, ერაყის, სელჩუკების და სხვა ისლამისტთა გაერთიანებული ლაშქრის განადგურება ისტორიას. ეს უკანასკნელნი იმხელა საფრთხეს გრძნობდნენ ქართველთაგან, რომ თავიანთ არმიას ანტიჯვაროსნული ომის მთავარსარდალი ილღაზი უწინამძღვრეს. არც ამან უშველათ — საკვირველად მცირე მსხვერპლით გაიმარჯვა დავითმა: „მეფემან თავისნი სპანი დაიცვნა უვნებლად" — ამბობს ქართველი მემატიანე.

დიდგორის ომმა არა მარტო საქართველო გააერთიანა საბოლოოდ, არამედ მეზობელი შირვანი და სომხეთიც შემოიმტკიცა.

... შავი და კასპიის ზღვებს შუა გადაჭიმულ სახელმწიფოში რენესანსი იფურჩქნებოდა. რენესანსის — აღორძინების ავტორს მადლიერმა ერმა „აღმაშენებლის" თიკუნი მიანიჭა და დიდგორის ომის დღე — 12 აგვისტო წმინდანად შერაცხული მეფის ხსენების დღედ დაადგინა დედა-ეკლესიამ.

ერის ისტორია ორად გაიყო — დასაბამიდან დავით აღმაშენებლის მოსვლამდე და მის შემდეგ...

მეფე-მებრძოლი, მეფე-აღმაშენებელი, მეფე-პოეტი და მის მიერ შთამომავლობისთვის დატოვებული, ერთ სტროფში ჩატეული, იდეალური სახელმწიფოს ფორმულა:

„მსაჯული მართალ სჯიდე,
მსახურთა რისხვაი ქროდის,
მართალნი ნეტარებდნენ,
ცოდვილთა ჰგვემდეს ცეცხლი!"

900 წლის წინ ნათქვამი ეს სიტყვები საქართველოს დღევანდელ მმართველებს ნეტავ თუ წაუკითხავთ?!

**ზვიად გურული**

# ასე ბრუნდებოდნენ საქართველოში...

ირანში, ფერეიდნის ტერიტორიაზე, ქართველებით დასახლებულ სოფელ მარტყოფთან, უზარმაზარი ქვის ლოდი დევს. მასზე ასეთი წარწერაა ამოკვეთილი: „1654 წელსა, 17 აპრილისა თვესა, ფერეიდანიდან მიმავალი ქართველები, სამშობლოსაკენ, 165 ქართველი, შუღლი გავუწიეთ ირანელებს. ყველანი დავიღუპეთ. შენდობა გვითხარით. უფალო, იხსენ ქრისტიანები".

ისტორია კი მოგვითხრობს: 1654 წელს ზემო მარტყოფიდან (კახეთიდან) გადასახლებულმა ქართველებმა, გადასახლებიდან 38-ე წლის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნება სცადეს. 165 ამხედრებულ ქართველს სპარსელები ყუმის უდაბნოსთან წამოეწივნენ და უკლებლივ ამოხოცეს. უცხო მიწამ მიიბარა სამშობლოს ნახვას მოწყურებული ქართველი მხედრები. მათგან ყველაზე პატარა 12 წლის იოთამი იყო. დაღუპულებს ფერეიდნის ქართველობამ ზემოხსენებული ძეგლი აუგო. იოთამის ხსოვნა კი ასეთი წესით უკვდავყვეს: ყოველი წლის 17 აპრილს, 165 ფერეიდნელი ბიჭი, ასაკით 12 წლისანი, უფროსების ხელმძღვანელობით და თანდასწრებით, თავისებურ შეჯიბრს მართავდნენ: ბიჭები გადააჯდებოდნენ ჯოხის ცხენებს და გამალებით მიეშურებოდნენ დანიშნული ადგილისაკენ, რომელსაც „დედასამშობლო" ერქვა. შეჯიბრის მანძილი ნახევარი კილომეტრით იყო განსაზღვრული, გზის ბოლოს კი იდო ნაზუქი, რომელზეც ჯვარი იყო გამოსახული. ეს ნაზუქი პირობითად გამოხატავდა საქართველოს. რომელი პატარა მხედარიც პირველი მივიდოდა ნაზუქთან, ის ითვლებოდა დედასამშობლოში — საქართველოში ჩასულად. მას გარს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ და „აყოლებდნენ" საქართველოს ამბებს.

ეს იყო ფერეიდნელი ქართველების სამშობლოში დაბრუნების პირველი მცდელობა 1616 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც შაჰ-აბასმა ათასობით კახელი (ძირითადად ნორიო-მარტყოფიდან) ირანში გადაასახლა.

**ქეთი ბერეკაშვილი**

# ქართველი გავროში

ომის დაწყებამდე, სოხუმში სიტყვა-პასუხითა და ფიზიკური სიძლიერით გამორჩეულ ერთ ყმაწვილს მეტსახელად „გავროშს" ეძახდნენ. 15 წლის ბიჭი ისევე, როგორც იქაური მაცხოვრებლების უმრავლესობა, შესანიშნავად ლაპარაკობდა აფხაზურად, რუსულად, იცოდა მეგრული, აღარაფერს ვამბობ ქართულზე. ომი რომ დაიწყო, გავროშს ბრძოლის უფლება არ მისცეს, ჯერ პატარა ხარო. სანამ სოხუმი დაეცემოდა, გავროში აფხაზებისაკენ გადასულა, მათ რიგებში გაშინაურებულა. ერთ მშვენიერ დღეს გავროში „ბეემპეში" ჩამძვრალა, აუმუშავებია და ქართველებისაკენ აუღია გეზი; დადევნებული აფხაზებისათვის რამდენიმე ყუმბარაც უსვრია. ბრძოლის უფლება მაინც არ მისცეს, ზურგიდან დაგვეხმარეო, უთქვამთ. გავროშიც დათანხმებულა. სოხუმი ეცემოდა. ქართველები პოზიციებს ტოვებდნენ. ქალაქიდან გასული იყო მებრძოლთა უმრავლესობა. ინდუსტრიული ტექნიკუმის გვერდით, მაღალ შენობაში, ალყაში მოყვნენ გავროშის დედა და პატარა და. აფხაზები და კონფედერანტები არავის ინდობდნენ, განურჩევლად ყველას ხვრეტდნენ. ამიტომ შენობიდან გარეთ გამოსვლას აზრი არ ჰქონდა, თანაც შეიძლებოდა გავროში ეცნოთ, რადგან „ბეემპეს" გატაცების შემდეგ გავროშის სახელი თითქმის ყოველ მეორე აფხაზს პირზე ეკერა. ინდუსტრიული ტექნიკუმის გვერდით, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავზე გავროშს ტყვიამფრქვევი, ე.წ. „მუხა" და რამდენიმე ხელყუმბარა აუტანია, სხვადასხვა ადგილას დაულაგებია და რიგრიგობით ისროდა. ამ დროს მისი დედა და და სარდაფში იმალებოდნენ. აფხაზებს ყურადღება სახლის სახურავისაკენ გადაუტანიათ, ბიჭის ცოცხლად ჩაგდება უნდოდათ, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ სახლი ააფეთქეს. ამ დროისათვის ყმაწვილს უკვე დედა და და სარდაფიდან გამოჰყავდა. აფეთქების შემდეგ, გავროშს ბეტონბლოკი დასცემია ფეხებზე, მაგრამ ცეცხლი არ შეუწყვეტია. ტყვია-წამალი რომ გაუთავდა, გავროში აფხაზებს ტყვედ ჩაბარდა. აფხაზებს ბეტონბლოკი აუწევიათ, ყმაწვილი ამოუყვანიათ, მაგრამ მას ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. სხეულის ქვედა ნაწილი უკვე, ფაქტობრივად, მკვდარი ჰქონდა... აფხაზეთის ომის გავროშის უმაგალითო გმირობის ამბავი საყოველთაოდ ცნობილი შეიქნა მას შემდეგ, რაც რუსმა ოფიცერმა პეტერბურგის ერთ-ერთ გაზეთს ინტერვიუ მისცა, რომელშიც გავროშის შესახებ იყო მოთხრობილი. წერილს „იშვიათი მებრძოლი" ერქვა.



გავროშის თავდადება ქართველი მებრძოლებისათვის სამშობლოს სიყვარულისა და მეომრული შემართების უდიდესი მაგალითია.

**თამაზ ხაბეიშვილი**

# ვიყოთ ქართული კაჟივით

ახალციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს ერთი პატარა სოფელი შურდო. ასევე ჰქვია აქატის საბადოების ერთ დიდ უბანსაც.

ამ პატარა სოფლის წიაღში აღმოჩენილია აქატის (კაჟის) დიდი მარაგი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი საქართველოსთვის.

იისფერი ამეთვისტო, წითელი ონიქსი, შავი ტოპაზი, გამჭვირვალე მთის ბროლი, ღია თაფლისფერი ქალცედონი — აი, არასრული სია იმ მინერალებისა, რომლებიც ე.წ. კვარცის ჯგუფს მიეკუთვნებიან. ესენი ყველა კაჟია.

ტექნიკური კაჟი დიდი სიმტკიცითა და მდგრადობით ხასიათდება. იგი იმდენად მტკიცეა, რომ ფოლადის ბასრი დანა ვერ ერევა და იმდენად მდგრადი, რომ მისი დაშლა მჟავებითაც არ ხერხდება. სწორედ ამ თვისებების გამო იყენებენ კაჟს ტექნიკაში.

ქართული კაჟის სახელი, რომელიც მოიპოვება ახალციხის შემოგარენში, დიდი ხანია საქართველოს საზღვრებს გასცდა. ამ საბადოებს, ტექნიკური კაჟის თვალსაზრისით, მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება.

ვინ მოთვლის, კაჟის რა ნაირსახეობა არ შეგხვდებათ აქ — ლურჯი, წითელი, ცისფერი, ყავისფერი, ვარდისფერი, თაფლისფერი, ღია ნაცრისფერი... ამას თან ახლავს ფორმების სიმრავლე. ერთი მღვიმისებრი კაჟი ინახება მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გეოგრაფია-გეოლოგიის განყოფილებაში.

ეს კაჟი ნახა ჩვენთან სტუმრად მყოფმა ამერიკელმა სენატორმა რობერტ კენედიმ, დიდხანს უყურა მას და აღტაცების გამოსახატავად მოსწავლეთა მიერ მირთმეული ვარდების თაიგული დაუდო გვერდით... საოცარი ელფერი შეჰმატა სამუზეუმო-ექსპონატსაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვარდმაც უფრო ივარდა...

მესხეთმა თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში თავის მხრებზე გადაიტანა მუსლიმან დამპყრობთა მძიმე უღელი. მოძალადეები ცდილობდნენ მესხეთის მიწაზე აღეგავათ ყოველივე ქართული, მაგრამ მესხი მაინც ქართველად რჩებოდა.

მესხეთის მიწაზე შემოსული დამპყრობლები არა მარტო არბევდნენ და მიჰქონდათ ქართველთა სიმდიდრე, დოვლათი და განძეულობა, ისაკუთრებდნენ ყოველივეს და თურქულის სახელით ნათლავდნენ.

ჩვენ ისეთი ბედისანი ვართ, მეტოქე და მოძალადე არ გველევა, იყო დრო, მესხეთის მიწის განძი — აქატი (კაჟი) „სტამბოლის კაჟის" სახელით მოინათლა, მისი სურნელოვანი ვაშლი და მსხალი კი „ფაშა-ვაშლად" და „ყაბალარბუდად". თქვენ წარმოიდგინეთ, გამოთქმაც „სტამბოლის კაჟივითააო" — იმ დროიდან მოდის. კაჟი სტამბოლის კი არა, ქართული იყო, მესხეთის წიაღიდან ამოღებული და სტამბოლის ბაზარზე გატანილი. ეს იმითაც დასტურდება, რომ არც ერთ ქვეყანაში არ არის ცნობილი საბადო ისეთი კაჟისა, რომელსაც ოსმალები კაჟიან (ტალიან) თოფებში იყენებდნენ. ასეთი



კაჟი მხოლოდ საქართველოში, მესხეთშია და მისი ანალოგი არ მოიპოვება მსოფლიოში. ამიტომაც, ცხადია, მოძალადეებს მიჰქონდათ დაპყრობილი ტერიტორიიდან. დიახ, მაჰმადიანებმა არა მარტო წაიღეს ჩვენი სიმდიდრე, არამედ მიისაკუთრეს მისი სახელიც. ამის შემდეგ უპრიანი იქნება, სიჯანსაღის ეტალონად „სტამბოლის კაჟის" ნაცვლად, ვიხმაროთ გამოთქმა „ქართული კაჟივით".

**დავით ყანდაშვილი**

# [illegible]

პატარა კახად წოდებული მეფე ერეკლე ჩვეულებისამებრ სალხინო სუფრას გაუშლიდა ხოლმე ბრძოლიდან მობრუნებულ მეომრებს. გადმოცემით, ერთ ასეთ სუფრაზე თუშ-ფშავ-ხევსური მოლაშქრეებისათვის თეკლა ბატონიშვილი დაუყენებია მერიქიფედ. სუფრა, როგორც იტყვიან, ეშხში შევიდა. ღვინომოკიდებული მთიელები ყვებოდნენ ბრძოლის ამბებს და მხიარულად ოხუნჯობდნენ. ბატონიშვილსაც შეჰხუმრებიან — ალბათ ერეკლეს უბრალოებამ მისცა ამისი კადნიერება. იწყინა ბატონიშვილმა და მამას შესჩივლა: „ეგე, შენი სანაქებო ხევსურებიო". „ეგ როგორ გეწყინა, თეკლავ, ეგ ხომ მაგათი წესიაო," — მიუგია პასუხად მეფეს.

მხოლოდ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ: აღმოსავლეთის ან დასავლეთის რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტი გაშლილ სუფრაზე — მატრიალებლად რომ უყენებდეს უბრალო თანამემამულეებს თავის ქალიშვილს...

როგორც ამბობენ, ერეკლეს განსაკუთრებული სიყვარული ჰქონია ქიზიყელთა მიმართ. მეფის ჯარს ხომ, როგორც წესი, თუშ-ფშავ-ხევსურნი და ქიზიყელნი მიუძღოდნენ წინ. მხცოვანი ქიზიყელები დღესაც გრძნობაანთებულნი მოგიყვებიან მეფე ერეკლესთან დაკავშირებულ სხვადასხვა ამბავს. თქმულებათა მთელ მოზაიკაში ამჯერად ერთი გამოვარჩიეთ, რომელსაც პირობითად ასე შეიძლება დავარქვათ: მეფე ერეკლესი და ქიზიყელი ქალისა.

ბრძოლიდან გამარჯვებით მომავალ მეფე ერეკლეს ლაშქარს ერთ-ერთ ქიზიყურ სოფელში შეუსვენია. ერეკლეს თვალი წარუტაცნია ერთ ქიზიყელ მანდილოსანს, რომლისთვისაც იქვე ექსპრომტად საჯაროდ ლექსი გამოუთქვამს:

„ნეტავი, ქალო, ვიცოდე,
მთიდგან მოხვალ თუ ბარათა,
ყურძნის საკრეფად ყოფილხარ,
ხელში გიჭირავს კალათა,
შენმა წარბმა და წამწამმა
მე გული გამიხალვათა".

მეფის ხოტბაზე ქალი არ დაბნეულა და მხიარულად მიუგია:

„მეფენი ბევრი მინახავს,
რომ მოდიოდეს ჯარითა,
მეფევ, შენ ჩემს თავს ვინ მოგცემს,
და ვერც წამიყვან ძალითაო".

როგორ დაყაბულდა ქალის „ვერწაყვანას" მეფე ერეკლე, ამაზე თქმულება არაფერს გვეუბნება. ჩვენ, შეიძლება, მხოლოდ მისი პიროვნებიდან გამომდინარე ვივარაუდოთ, რომ კმაყოფილი დარჩებოდა უბატონო გლეხის ქალის მოსწრებული პასუხით. გაკვირვებას აქ უფრო ქალის სითამამე იწვევს. „მეფენი ბევრნი მინახავსო", სად უნდა ენახა?

ვინმე უსათუოდ იეჭვებს, იქნებ არც ჰქონია ასეთ ფაქტს ადგილი და ქიზიყელთა ფანტაზიამ დაუკავშირა ეს ყოველივე მეფე ერეკლესო? ვერაფერს იტყვი, უჩვეულო ფანტაზია ჰქონიათ და თუ ასეა, ესეც ქიზიყური ბუნების ერთგვარი გამოვლენაა.

ისტორიაც აღარაფერს გვეუბნება ქიზიყელ ქალზე — გარდა ერთი ფაქტისა. მეფე ერეკლე რომ გარდაიცვალა, მთელი საქართველო გლოვობდა უსაყვარლეს მეფეს. მრავალი მომტირალის მოთქმამ დაამდუღრა თელავის სასახლე: ქალისა თუ კაცისა, თავადისა თუ აზნაურისა. საზოგადოება განსაკუთრებით ორი მომტირალის მოთქმას განუცვიფრებია. ამათგან ერთი იყო მსაჯული მეფისა — სოლომონ ლიონიძე და მეორე — ვინმე ქიზიყელი დედაკაცი. ამ უაზნო ქალის დატირებას, რომლისაც არც სახელი შემოგვინახა ისტორიამ და არც გვარი, მეფის მსაჯულიც კი დაუჩრდილავს:

„ყოველთა მიეპყრათ ყური მისდა მიერ და გაუკვირდებოდათ, თუ ვითარ სოფლელმა დედაკაცმა დაიტირა გვამი დიდებულისა მეფისა" — მოგვითხრობს მემატიანე.

ვინ იცის, ვინ იყო ეს ქიზიყელი დედაკაცი.

**ნინო ტარყაშვილი**

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი

## თარაზულად:



7 ცნობილი მსახიობი, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა აგარაკზე, ფიჭვის ხის მოჭრისას



8 კამათი პოლიტიკური საკითხების განხილვისას



10 ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე



11 ფილმის რეჟისორი



12 ქართველი საბჭოთა პოეტი (1890-1965)

17 გადამდნარი კარაქი



18 ღია გვირგვინი



19 ჭაობის მცენარე



20 სივრცე სახურავსა და ჭერს შორის

21 კედლის მაღალი სარკე



25 რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ნიშნავს მონარქთან მყოფს, სამეფო კარისას



26 ბურახის ცივი შეჭამანდი



27 იგივეა, რაც ხალიჩა



28 ცალკე საცხოვრებელი სადგომი სახლში



30 გულის ერთ-ერთი განყოფილება



33 პულსის გასასინჯი ადგილი



34 საჭის ბორბალი



35 ცოდვების მონანიება



## შვეულად:



1 ჯიში, რომლის უახლოესი ნათესავები არიან გერმანული დოგი და ინგლისური ბულდოგი



2 სასიგნალო მოწყობილობა



3 საკომუნიკაციო ნაგებობა



4 სამოსი



5 სამძიმეთა ასაწევი მექანიზმი



6 ქირურგის იარაღი



9 ძვირფასი ლითონის რგოლი




13 იერუსალიმის ძველი ქალაქის 1/4 — ეკუთვნის ქრისტიანებს, 1/4 — იუდეველებს, 1/4 — მუსლიმებს და 1/4 — ?



14 ჯგუფური გასეირნება ქალაქგარეთ საჭმელსანოვაგით



15 სამშობლო



16 თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული მედიცინის დოქტორი, რომელმაც ავადმყოფობაში დაადანაშაულა მობილური ტელეფონების გამომშვები კომპანია



22 კბილის ექიმი




23 ამერიკული კომპანია



24 ენამოსწრებული ხუმრობა



29 პროფილაქტიკური ღონისძიება

31 დედნიდან ზუსტად გადაღებული



32 გასანათებელი მოწყობილობა



33 მოჭრილი მსხვილი ხე

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №33 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 3. ჟესტი; 8. ფარაონი; 9. აბაჟური; 10. აბგა; 11. პროექტი; 12. ოფლი; 15. ჯიხვი; 16. ნეზვი; 18. შვრია; 20. ყველიერი; 21. თევზაობა; 23. აბედი; 25. ირანი; 26. ვისკი; 30. ლოტო; 32. სკანდალი; 33. ყრმა; 34. ალუმინი; 35. ხეივანი; 36. არიფი.

**შვეულად:** 1. ტამბური; 2. ტარა; 3. ჟიური; 4. სკლეროზი; 5. იახტა; 6. აჟიო; 7. პროლოგი; 13. ევკლიდე; 14. ევრაზია; 15. ჯაყვა; 16. ნარდი; 17. ირემი; 19. არაბი; 22. უაილდერი; 24. ბინოკლი; 27. კულმანი; 28. დანია; 29. გლეხი; 31. ოქმი; 33. ყავა.

## ბინები

სასწრაფოდ! ზემო ვეძისში, კერძო სახლის I სართული. 6 ოთახი, დიდი ლოჯიით, ყველა სათავსოთი, სარდაფით. ტ. 37-72-70 ლელა

სასწრაფოდ! დასამთავრებელი საგარაკო სახლი ნაფეტვრებში (თბილისიდან 7 კმ), ინდივიდუალური პროექტით, კაპიტალური გარაჟით. ტელ: 38-03-63

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურიანში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 500$. ტ: 23-07-65; 877 43-32-33

## ქირავდება

I სართულზე 750 კვმ ფართი ახალი რემონტით, გამოდგება საამქროდ და საწყობად. IV სართულზე 330 კვმ-ია. აქედან 130 კვმ დარბაზი. 5 ოთახი საოფისედ, ახალი რემონტით. მ. „ღრმაღელესთან", ქსნის ქ. 12. ტელ: 61-08-94; 899 57-53-82 გურამი

## მილოცვა

ჩვენს საყვარელ, ძვირფას მეგობარს, ნანაფუხას, გულოცავთ დაბადების დღეს, გუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და ყველა სურვილის შესრულებას. ღმერთმა დაგლოცოს, კარგო და ტკბილო. გკოცნით – *ნუცა, ლია, სალომე*

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 96-07-81

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ერთჯერადი ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შემოგთავაზებთ საუკეთესო სახის გამწმენდ და მკვებავ საშუალებებს. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

COMPUTER COMPANY „PULSAR" – კომპიუტერები და ორგტექნიკა; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კეტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაცია. დაგეხმარებით კომპიუტერის გაყიდვაში. ტელ: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 შპს „პულსარი"

ვაკეთებ რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას. სამეულებზე, არაბულ ტახტებსა და სკამებზე ზამბარიანი მატრასების დარბილება-გადაკვრას, განახლებას. აგრეთვე ვამზადებ ახალ სამეულებს. ტელ: 95-72-98

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლას და განახლებას; არაბული ტახტების, ნებისმიერი სახის სკამისა და სხვა ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით. ტელ: 96-37-20. ნოდარი

ვაკეთებთ რბილი ავეჯის რესტავრაციას, არაბული ტახტების, ყველანაირი სკამისა და სხვა რბილი ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით; ტელ: 95-38-61. ვალერი

კინო „საქართველოს" პირდაპირ, სილამაზის სალონში „ბონა", გურამიშვილის ქ. №7 მოწვეულია ევროპიდან დაბრუნებული ვირტუოზი სტილისტი რაფიკა. მიღება ჯერჯერობით ჩაწერის გარეშე 50% ფასდაკლებით. შეჭრა 5 ლარი, დავარცხნა-გასწორება 5 ლარი, მელირება და ა.შ. ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 61-31-44. გვერდით მუშაობს მამაკაცთა სალონიც. შეჭრა 2 ლარი

ვაწარმოებ ნებისმიერ სამუშაოს „გიბსოკარტონზე"-„KNAUF". ტელ: 96-71-53

Выполню любые работы по „Гипсокартону" – „ KNAUF" ტელ: 96-71-53

ვაკეთებ ვიზირებას ამერიკაში, ინგლისში, ირლანდიაში, ისრაელში. ტელ: 95-51-70; 899 10-58-97

გახდომა ახალი პროგრამით, კომფორტულად, ეფექტურად, გემრიელად. სინჯეთ, არ ინანებთ. ლიც. 38168645. ტელ: 61-77-74; 95-31-90; 899 58-25-44

## მკურნალობა

მეჭეჭებისა და სხვა ხორცმეტების მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან, სამკურნალო ცენტრში. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოში). ლიც. №0960 ტელ: 95-83-54

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. ლიც. 2334. ტელ: 96-62-58; 97-47-24

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე:

1. სამართალმცოდნეობა (იურისტ-ეკონომისტი);
2. ეკონომიკური (ეკონომისტ-იურისტი);
3. უცხო ენები.

უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან III კურსზე. ფასი 200-250 ლარი.

მის: თოფურიას ქ. №12, ვაჟა-ფშაველას მე-4 კვარტალი, 128-ე საშ. სკოლა. ტელ: 32-82-60; 32-06-97 (საღამოს)

## იყიდება

კეთილმოწყობილი ბენზინგასამართი სადგური თავისი მაღაზიით და ავტოტექმომსახურების სამი ბოქსით. შესაძლებელია ცალ-ცალკე გაყიდვა. აგრეთვე შეიძლება მოწილეობაც. ტელ: 70-05-50 (23 სთ-ის შემდეგ) ავთო; 899 51-07-36; 877 43-67-90

1) ნიჟარების („რაკუშკების") ფარდა (1.20X2.00). ფასი 130 ლარი; 2) ძველებური, ბრინჯაოს ჭაღი მძივებით. ფასი 250 ლარი. ტელ: 23-07-65 (დილით, საღამოს)

მთლიანად პრივატიზებული სასაწყობო მეურნეობა ფონიჭალის დასაწყისში, რუსთავის გზატკეცილი 24 (მეხშუბის მიმდებარედ). შენობის ფართი არის 1400 კვმ, რაზეც მიშენებულია ადმინისტრაციული საყოფაცხოვრებო შენობა ფართით 120 კვმ, მიწა 8000 კვმ. ფასი შეთანხმებით. ცნობებისათვის დარეკეთ 23-59-49; 37-50-53; 76-40-90; 68-09-33

ბალზაკი, 15 ტომი – 30 ლარი (რუსულად); ლეო ტაქსილი (წმინდა ბუნაგი, სახალისო ბიბლია და სახარება), 3 წიგნი – 10 ლარი; ათას ერთი ღამე, 3 ტომი (რუსულად) – 6 ლარი; ორტომეულები (ცვაიგი, ჰიუგო, მერიმე), რუსულად, 2 ტომი – 4 ლარი; პუშკინი (1899 წ.), რუსულად – 15 ლარი. ტელ: 23-07-65 (დილით, საღამოს)

## შევიძენ

შევისყიდით გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## ხსოვნა

### ტარიელ და ჟუჟუნა კვირიკაძეების და მათი ვაჟის 9 წლის ნუგზარის გახსენება

27 აგვისტოს 16 წელი გავიდა იმ საშინელი ღამის შემდეგ, თქვენ რომ სიცოცხლეს გამოგასალმეს. მაშინ მე მხოლოდ 5 წლის ვიყავი, მაგრამ დღემდე ვერ მოშუშებულა ეს ჭრილობა – და ალბათ ვერც მოშუშდება, ვიდრე დამნაშავეს თავისი არ მიეზღვება. გპირდებით, ჩემო მშობლებო და ძმაო, რომ თქვენს ღირსებას ყოველთვის დავიცავ. მწამს, ბოლოს და ბოლოს, ღმერთი ყველას თავისას მიუზღავს. ნათელში ყოფილიყოს თქვენი წამებული სულები. მარად თქვენი ღირსების ერთგული

*ზვიად კვირიკაძე*



### რამაზ (ლამაზო) გოგვაძის ხსოვნა!

ჩვენო პატარა ლამაზო, უკვე ექვსი წელი გავიდა, რაც შენი სიცოცხლით სავსე სახე აღარ მინახავს. შენ ხომ სიცოცხლე ძალიან გიყვარდა, მაგრამ შენმა ბავშვურმა გონებამ რაც გიკარნახა, ისე მოიქეცი და თავი დაიღუპე. 14 წლის გამოესალმე სიცოცხლეს. ამით დიდი ტკივილი დაგვიტოვე ჩვენ. შენი ნათელი სახე მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

*დედა, მამა, ბებია და ძმები*



### სოსო კვიციანის ნათელ ხსოვნას

უკვე სამი თვე გასულა, ჩემო... ტკივილი, ცრემლი და მწუხარება ცხოვრების წესად იქცა შენგან დაობლებული ოჯახისათვის.

3 ულმობელი თვე, რომელმაც ყველას ცხადად, მწარედ გვაგრძნობინა შენი სიცოცხლის ფასი – ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, თანამშრომლებს... ვისთვისაც უანგაროდ, დაუზოგავად გასცემდი გონებრივ თუ ფიზიკურ ძალას და უნარს.

რა გითხრა?! ძალა მეცლება, თავს ვერ ვერევი... ძალიან გვენატრები, გვაკლიხარ. გვჭირდება შენი „ჯადოსნური" ხელი, ყველაფრის დამტევი დიდი გულის სითბო, შემწყნარებლობა და იმედიანი ღიმილი.

28 აგვისტოს, შენს დაბადების დღეს, ყველა, ვისაც უყვარდი და, თურმე, რამდენს. ერთად მოვალთ შენს საფლავზე. იქნება ძალიან ბევრი ცრემლი, მოგონება და ყვავილები. კიდევ ერთი დასტური და შეფასება სოსო კვიციანის მართალი, კეთილშობილი კაცის სახელის და ცხოვრების წესის.

*შენი ტალღი - თამუნა, კახა, ლუკა*



### გოჩა ჩხეიძის გახსენება

შვილო გოჩა, 24 აგვისტოს 29 წლის შესრულდებოდი, მაგრამვაი რომ, ამ დღეს საფლავში ხვდები. ჩემო ერთადერთო ვაჟკაცო, უდროოდ გაგიჩერდა ეგ სიყვარულითა და სიკეთით სავსე გული, უბედურ დედაშენს კი ცრემლები და შენი საფლავი დამიტოვე ნუგეშად. მენატრები, შვილო, სახლი დაცარიელდა უშენოდ, წახვედი და თან წაიღე ჩემი სიცოცხლე და სიხარული; შენი მე[redacted]ები, დეიდები და დეიდაშვილები, ბიძა, ყველანი თავს დამტრიალებენ, მთელ შენს სიყვარულს ჩემზე ხარჯავენ, ვხედავ, როგორ აკლიხარ მათაც, როგორ სულიერ მარტოობას განიცდიან. ძალიან მიჭირს უშენოდ, მაგრამ ვეცდები შენს გიორგის არ ვაგრძნობინო უმამობა. შენი ჟანა, შენი ცოლობით ამაყობდა, ახლა კი შენი ქვრივი რომ ჰქვია, იმით ამაყობს, თუმცა ძალიან უბედურია. 24-ში შენს საფლავზე მოვალთ ყველანი, დაგინთებთ წმინდა სანთლებს და ღმერთს შევთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი უბედური დედა*



### ემზარ ქავთარაძის ხსოვნას

რა საოცარი სისწრაფით გაირბინა ამ წლებმა. 23 აგვისტოს 4 წელი შეგისრულდება ჩემო გაუხარელო შვილო, ემზო. გვიყვარხარ, გვენატრები: მამაშენს, შენს დას, გაუბედურებულ მეუღლეს მარის. 19 წლის გოგონამ სამ წელიწადში სამი სიმწარე ნახა. უდიდესი ტკივილი დაგვიტოვე გულში, რომელიც გაუნელებელია სიცოცხლის ბოლომდე. არ არსებობს ნუგეში შვილდაკარგული დედისთვის. ემზო, ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი უმანკო სული.

*შენი გაუხარელი დედა*



### გოდერძი ნიკლაურის ხსოვნას

უკვე ერთი წელი ხდება, რაც უშენოდ დავრჩით... ჩვენგან წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და გულისტკივილი. უკურნებელმა სენმა მოგტეხა, მაგრამ მაინც მხნედ გეჭირა თავი. ბოლო ხუთი თვე დაგვკაბნა ავადმყოფობამ, უთქმელად, ჩუმად წახვედი ამქვეყნიდან და ჩაიყოლე, შენი შვილების დარდი, რომლებმაც ვერ გაგაცილეს უკანასკნელ გზაზე. 20 აგვისტო შენი დაბადების დღეა. 55 წლის გახდებოდი. ყოველთვის მოვალთ შენს საფლავზე, ცრემლით მოგილოცავთ ამ დღეს და დაგინთებთ წმინდა სანთლებს. ვიცი, მაინც ლოცულობს შენი სული, შენი ოჯახისათვის, შენი ირმა და იაგოსათვის. უფალს ვევედრებით, ნათელში გვიმყოფოს შენი სული.

*შენი იამზე, ირმა, იაგო, ელდარი*



### ვალიკო გურალიძს ხსოვნას!

მამა! 21 აგვისტო ხომ შენი დაბადების დღეა. ჩვენ კი დუმილითა და ცრემლებით ვხვდებით შენთვის უსაყვარლეს თარიღს. 40 დღე გადის, რაც უჩუმრად წახვედი ამქვეყნიდან ვალმოხდილი ოჯახისა და მამულის წინაშე. სიცოცხლეში ძლიერი და ქედმოუხრელი სიკვდილთან უძლური და უმწეო აღმოჩნდი.

თიბათვის მზემ თავი დაბლა ჩაქინდრა,
ქვითინებენ თავდახრილი სანთლები
სევდით სავსე სული ცაში აფრინდა
და დაგვტოვა ცრემლიანი თვალებით.

*შვილები.*



### გულჩინა გვარამაძის გახსენება

ზაფხულის დილა გათენდა, 20 აგვისტო. ყოველთვის მიხაროდა ამ დღის გათენება, რადგანაც ეს შენი დაბადების დღეა. მხოლოდ წელს აღარ გამხარებია, რადგან შენ ველარ გნახავდი. ველარ მოგილოცავდი და ველარ დავინახავდი შენს ლამაზ თვალებში სიხარულის ნაპერწკლებს. წელს პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. ჯერ ორმოცი დღე არ გასულა და უზომოდ მენატრები. მენატრება შენი ხმა, სიცილი, გამოხედვა და საყვედურებიც კი. ვცდილობ შენს პატარა გიორგიში დავინახო ეს ყველაფერი. სამწუხაროდ, ამ სიცარიელეს ვერავინ ვერ მივსებს. დამრჩა მხოლოდ უფლება ცრემლის და შენი გახსენების. ძალიან მიყვარხარ და მენატრები, ჩემო ლამაზო, ცუნცულა გოგო.

*შენი დაიკო*



### გულჩინა გვარამიძის ხსოვნას!

და სურათზე შენი ღიმილი...
ხატი ხარ დედისთვის სალოცავი,
სანთელი დაუწველად ჩამქრალი,
ქალი მარად წმინდა, საოცარი,
აწ სული ამქვეყნიდან გამქრალი
ოცდაშვიდ წელს ზეცად ევებები,
ვარსკვლავთა ზეიმი განახლდება,
ანგელოზნი სუფრას გაგიშლიან,
უფალი თამადად დაბრძანდება.
ჩვენ კი დაგვრჩა მხოლოდ წმინდა მოგონება,
უსაზღვრო დარდი და ტკივილი,
შენი ერთას შენეული შემოხედვა
და სურათზე შენი ღიმილი...

*მეგობრები*

## ნეკროლოგი

„კვირის პალიტრის" რედაქცია თანაუგრძნობს ქალბატონ ზოია ვალიშვილს მამის გარდაცვალების გამო.

უფასო განცხადებების გაზეთი

36 გვერდზე

სიტყვა და საქმე

33-10-03 33-10-05



ყოველ ნომერში: 5000-მდე განცხადება,

დღის ახალი ამბები და დასვენების გვერდი


ჩართვა
68
ლარი
SMS
VOICE MAIL
FAX-DATA
INTERNATIONAL ROAMING
საერთაშორისო როუმინგი 300
დეპოზიტი (საერთაშორისო კავშირის ჩათვლით):
საერთაშორისო კავშირი 100
დეპოზიტი:
ფაქსი/მონაცემთა გადაცემა 130
თითოეული სერვისის ჩართვის ფასი:
ხმოვანი ფოსტა 0,288
ჩართვა უფასოა
წუთობრივი გადასახადი:
მოკლე შეტყობინებები 0,06
ჩართვა უფასოა
ერთი შეტყობინების ფასი:
თქვენი ქსელი
ჯეოსელი
*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.
თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.

## ენამწარე და რომანტიკული

ელეგანტური, მომხიბვლელი სოფი მარსო ფრანგი ქალის იდეალური ხატებაა. ფრანგ მამაკაცებს თავგზა აქვთ აბნეული მისგან, ბოლო დროს კი მარსომანიამ ჰოლივუდიც მოიცვა.

„საიდუმლო არაფერი მაქვს, ჩემ შესახებ უკვე ყველაფერია ცნობილი“, — აღიარებს სოფი მარსო. მართლაც, ფრანგი ვარსკვლავის ცხოვრების ნახევარმა კინოკამერების წინ ჩაიარა. 13 წლისა იყო, როცა პირველად გადაიღეს ფილმში და წარმატებას „გაუსინჯა“ გემო. ასაკის მატებასთან ერთად მარსოს კინოგმირიც იცვლებოდა — ნორჩი შეყვარებული ქალიშვილიდან მომხიბვლელ მაცდუნებლად იქცა.

სოფი მარსო, რომლის ნამდვილი გვარია მოპი, 1966 წლის 17 ნოემბერს დაიბადა პარიზის მახლობლად. ბავშვობის შესახებ არასოდეს ლაპარაკობს, არ უყვარს წარსულის გახსენება. „რაც იყო, იყო. ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, რა მოხდება ხვალ...“

სოფის მშობლებს პატარა მაღაზია ჰქონდათ, შემოსავალიც — შესაბამისი. ამიტომაც, ქალიშვილის მომავლის უზრუნველსაყოფად, უყოყმანოდ გამოეხმაურნენ გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას — ახალგაზრდა ტალანტებს ვეძებთო. ასეულობით პრეტენდენტს შორის, რეჟისორმა სწორედ სოფი ამოარჩია. ფილმმა „ბუმი“ დიდი წარმატება მოუტანა არა მარტო საფრანგეთში, არამედ საზღვარგარეთაც. ორი წლის შემდეგ ფილმის გაგრძელებამ „ბუმი-2“ „ოსკარის“ ფრანგული ანალოგი „ცეზარი“ მოუტანა, ნომინაციაში „საუკეთესო დამწყები მსახიობი“.



მის აქტიორულ კარიერაში გადამწყვეტი ეტაპი დაიწყო 1984 წელს ცნობილ პოლონელ რეჟისორსა და პროდიუსერთან, ანჯეი ჟულავსკისთან შეხვედრით. სოფიმ მის ფილმში „შეშლილი სიყვარული“ მეძავის როლი ითამაშა. გადაღებების დროს სოფისა და 24 წლით უფროს ჟულავსკის შორის ისეთმა სიყვარულმა იფეთქა, რომ ეს წყვილი დღემდე განუყრელია. სოფი ახლა ბიჭს ზრდის. თავად სოფი აღიარებს, ანჯეი რომ არა, ბევრი კარი ჩემთვის დღემდე ჩაკეტილი დარჩებოდაო.

„შეშლილი სიყვარულის“ შემდეგ სოფიმ ჟულავსკის კიდევ რამდენიმე ფილმში ითამაშა, სადაც უხვად იყო სასიყვარულო სცენები. მსახიობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავი შესანიშნავად გაართვა დაკისრებულ მოვალეობას. ამბობენ, სწორედ ეს არის ამ წყვილის მტკიცე კავშირის საფუძველიო: სოფის უყვარს თავისი ლამაზი სხეულის საჯაროდ ჩვენება, ანჯეიც აქეზებს მის ამ მიდრეკილებას და მიაჩნია, „ადამიანმა, რომელმაც კინოს უძღვნა თავი, მას არა მარტო სული, სხეულიც უნდა შესწიროს“.

90-იან წლებში, სოფი მარსომ ჰოლივუდის დაპყრობა გადაწყვიტა და გაუმართლა კიდეც — ფილმის „უშიშარი გული“ შემდეგ პრესის ფურცლები მისი გვარ-სახელით აჭრელდა. ორი წლის შემდეგ ჰოლივუდში მისი წარმატება კიდევ უფრო გაამყარა ანა კარენინას როლმა. 1999 წელს კი მსახიობი ბონდიანის სერიალის მონაწილეც გახდა.

თავის დროზე ჰოლივუდში დამკვიდრების სურვილი ფრანგული კინემატოგრაფით უკმაყოფილებამაც გაუჩინა. „მსოფლიოში არსად არ აინტერესებთ ფრანგული ფილმები. რატომ? იმიტომ, რომ ყველაფერი წინასწარაა ცნობილი — ფილმი სექსსა და სიყვარულზე იქნება. ეს კი მოსაბეზრებელია“ — ამ სიტყვების მერე ცხადი



შეიქნა, სოფი თავგადაკლულ პატრიოტად ვერ ჩაითვლება. ენაც მწარე აქვს. ჰოლივუდში ფეხი ახალი მოკიდებული ჰქონდა, რომ ყველას გაჰკრა კბილი — დე ნიროს, ბრიუს უილისს, მიშელ პფაიფერს, ლეონარდო დი კაპრიო ხომ სულ მიწასთან გაასწორა — მაგ ძუძუმწოვარას ძიძის როლს თუ ვითამაშებ, თორემ სერიოზულ პარტნიორობაზე ლაპარაკი ზედმეტიაო.

ერთადერთი მამაკაცი, რომელიც თავისი მისამართით მკვახე გამოთქმებს არ მიიღებს, ანჯეი ჟულავსკია. სოფი აღმერთებს მას: „ანჯეი ჩემი პირველი სიყვარული და ერთადერთი მამაკაცია ცხოვრებაში“. ეს, სიმართლე გითხრათ, ძნელად დასაჯერებელია, განსაკუთრებით თუ იმას გავიხსენებთ, რომ დღემდე ოფიციალურად არ დაქორწინებულან და მგონი, არც აპირებენ: „ორივე კათოლიკე ვართ, თუმცა არ მიგვაჩნია, რომ, ჯვარდაუწერელი თანაცხოვრება ცოდვაა!“ უფრო მეტიც, წყვილი უმეტესად ცალცალკე ცხოვრობს — ჟულავსკი ვარშავაში, სოფი — პარიზში. თითოეულს თავისი საქმე, კარიერა აქვს.

თავად სოფი აღიარებს მათი ურთიერთობის უცნაურობას: „სხვადასხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ, თუმცა ერთმანეთს ხშირად ვნახულობთ. ორივეს უჯიათი ხასიათი გვაქვს. როცა ერთად ვართ, ხშირად ვჩხუბობთ, მაგრამ უერთმანეთოდ არ შეგვიძლია“.

***პარი მატჩი №26/98***

## წყალს შეჭიდებულნი

„იდეალური ქარიშხლის“ გადაღების გამო ჯორჯ კლუნი და მარკ უოლბერგი რამდენიმე თვით მეთევზეებად იქცნენ.

რეჟისორ ვოლფანგ პეტერსონს არ უნდოდა, რომ „იდეალური ქარიშხალი“ სპეცეფექტებით ყოფილიყო გადატვირთული. „დამაჯერებლობა, დამაჯერებლობა, დამაჯერებლობა! — სასაცილო გერმანული აქცენტით ამტკიცებდა დამსახურებული კინემატოგრაფისტი. მაგრამ სებასტიან იანგერის იმავე სახელწოდების ბესტსელერის მიხედვით ფილმის გადაღებისას პეტერსონს მაინც მოუხდა ვეებერთელა ტალღების და წვიმის კედლის გაკეთება. მაგრამ ეს წვრილმანია. ყველაზე ძნელი იყო ექვსი ახალგაზრდისა და წყლის ჭიდილის გადაღება.

WORNER BROS-ი, სანამ პეტერსონს შესთავაზებდა ფილმის გადაღებას, მანამდე მოლაპარაკებას აწარმოებდა სპილბერგთან, მაგრამ მან „წყლის შიშის“ გამო უარი თქვა. კინოს ენაზე ეს ნიშნავს, რომ ჯერ ერთი, ფილმები, რომლებშიც წყალი ერთ-ერთი მთავარი „გმირია“, როგორც წესი, ბიუჯეტს აჭარბებს, და მეორეც — აბობოქრებული წყლის სტიქიის გადაღება იმიტომ არის ძნელი, რომ გადაღებისას ყოველდღე სველდება დანადგარები, გადამღები ჯგუფიც იწუწება, ყველაზე შავ დღეში თავად ვარსკვლავები არიან, რომლებიც ფილმის გადაღების დროს ლამის იხრჩობიან.

მას შემდეგ, რაც კანდიდატების სიას მელ გიბსონი გამოეთიშა — მას „პატრიოტში“ იღებდნენ და თანაც მისი 25 მილიონიანი ჰონორარი ისედაც ძვირი პროექტისათვის ძალზე დიდი იყო, ხოლო ნიკოლას ქეიჯმა სხვა ფილმი ირჩია, ჯორჯ კლუნი გახდა მთავარი როლის პრეტენდენტი.



ფილმს ქლოსტერში სამი კვირა იღებდნენ სწორედ იმ ადგილზე, სადაც მეზღვაურები დაიღუპნენ (ფილმს საფუძვლად ნამდვილი შემთხვევა უდევს). მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი მარკ უოლბერგი ზღვის ავადმყოფობით იტანჯებოდა.

თუმცა ჯგუფს ყველაზე დიდი უსიამოვნება წინ ჰქონდა — გადაღებები უზარმაზარ წყლის ბუნკერში გადაიტანეს. ვეებერთელა აუზის გარშემო იდგნენ მანქანები, რომლებიც „ქმნიდნენ“ უზარმაზარ ტალღებს. ელექტროქსელში ჩართულ წყალგაუმტარ კამერებს წყლისგან დიდი საფრთხე ელოდათ.

ყოველდღე მსახიობებს თავზე ათასობით გალონი წყალი ესხმებოდათ. იყო ტრავმებიც.

გადაღებებისას უოლბერგს ყურში უცხო სხეული ჩაუვარდა და ქირურგიული ჩარევა დასჭირდა, მეტისმეტი ყვირილისგან ყელში პოლიპები გაუჩნდა და თავიც გაიტეხა. ხელოვნური ზვიგენის პირში კი ფეხი გაეჭედა...

როლის მოსარგებად უოლბერგი გლოსტერში გადაღებამდე რამდენიმე ხნით ადრე ჩავიდა. საღამოობით ადგილობრივ ბარში მეთევზეებთან ერთად თვრებოდა, ღამე კი ზღვაში ნავით გადიოდა და ხანდახან ძილს ვეშაპები უფრთხობდნენ. დაუმეგობრდა იმ დაღუპული მეზღვაურის დედას, რომლის როლსაც თამაშობდა. თავიდან მსახიობს ეშინოდა, ვაითუ, მგლოვიარე დედა აღაშფოთოს იმან, რომ მის ვაჟს განასახიერებს ყოფილი რეპ-მომღერალი, პორნოროლების გმირი, რომელიც თეთრეულსაც უწევდა რეკლამას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

კლუნი პირიქით, გლოსტერში დაღლილი ჩავიდა. თავად განსაჯეთ, გარდა ხუთწლიანი გადაღებისა სერიალში „სასწრაფო დახმარება“, მან კიდევ სამ ფილმში ითამაშა. გადაღების დროს კინოჯგუფი და ადგილობრივი მცხოვრებნი დამეგობრდნენ. პეტერსონმა ერთ-ერთი დაღუპულის ძმას პატარა როლიც კი გამოუძებნა ფილმში.

გადაღების შემდეგ პეტერსონი ბარში, კათხა ლუდს მიუჯდებოდა და ადგილობრივების საუბარს უსმენდა, მას არც კლუნი ჩამორჩებოდა. ერთხელ მას მისი გმირის და მიუახლოვდა და ავტოგრაფი სთხოვა. მსახიობს და ქალიშვილს ისეთი განცდა ჰქონდათ, თითქოს ეს სინამდვილე იყო, თითქოს სიკვდილ-სიცოცხლეს შორის ზღვარი წაშლილიყო...

„იდეალური ქარიშხალი“ მკაცრი ფილმია, რომელიც სინამდვილეში მომხდარ ტრაგედიას ასახავს.

დაღუპულების ნათესავები ენდნენ პეტერსონს. რეჟისორს არც ერთხელ არ დაუკარგავს თავშეკავება და ტაქტი მომავალ მაყურებელთან ურთიერთობაში. ის ეუბნებოდა მსახიობებს, რომ ისინი ყველაზე ბედნიერი შემოქმედნი არიან, რადგან ასეთი თანხვედრა სინამდვილისა და ხელოვნებისა, ცხოვრებაში ერთხელ შეიძლება მოხდესო.

სწორედ ამიტომ ჰქონდა ფილმს დიდი წარმატება. უფრო დიდ აღიარებას კი აწი ელის...

***პრემიერი №7***

# „სიმდიდრე სულაც არ ნიშნავს, რომ მარტოსული არა ვარ“



სანდრა ბალოკი საყოველთაოდ აღიარებული სექს-სიმბოლოა, იმავდროულად, ძალზე სერიოზულ როლებსაც თამაშობს... თუმცა სანდრა ფილმში გადაღებისათვის 12 მლნ დოლარს ითხოვს და საკუთარი საპროდიუსერო კომპანიის მფლობელია, მაინც ჩვეულებრივი, მიწიერი ქალია. ამბობენ, სანდრა ცხოვრებაში უფრო სექსუალურად გამოიყურება, ვიდრე ჟურნალ-გაზეთებშიო...

მსახიობი ასე ახასიათებს საკუთარ თავს: ჯიუტი, კეთილი, მიმნდობი, ერთგულიც და პირფერიც, სასაცილო, სექსუალური, საძაგელიც. არც გამაოგნებელი ვარ, არც მორცხვი და ცინიკოსიო!

სხვა მსახიობებისაგან განსხვავებით, სანდრა მიჯაჭვულია თავის ოჯახს — ჩვენ განუყოფელნი ვართო, — ამბობს. სანდრამ გაათავისუფლა თავისი მენეჯერი და ბუღალტერი და ეს საქმე მამას დააკისრა. ჯონ ბალოკმა, როგორც კი მოჰკიდა ხელი შვილის საქმეებს, პირველ რიგში მისი დღიურები დაწვა. დედა — ცნობილი გერმანელი საოპერო მომღერალი — ჰელგა მაიერი ბავშვობიდან სანდრას მეგობარი და მრჩეველი იყო, თუმცა ნინველობაში თავისი სიჯიუტით ბევრი უსიამოვნება მიუყენებია დედისათვის. მსახიობს უმცროსი და ჯესინი საოჯახო საქმეებში ეხმარება. სანდრა, სადაც არ უნდა იყოს, ყოველდღე ურეკავს ოჯახის წევრებს.

30 წლის ბალოკი საკმაოდ შეძლებული ქალია. დღეს იგი მარტოა. როგორ გრძნობთ თავს მარტოობაში? — ეკითხებიან. სანდრა ფილოსოფიურად აღიქვამს ცხოვრების ნებისმიერ მოვლენას თუ პრობლემას, — სინამდვილისგან თავის დასაღწევად არც ალკოჰოლს მივძალებივარ და არც ნარკოტიკები გამისინჯავს. მე მუხლჩაუკრეფავად ვშრომობ, რომ შევაფასო ჩემი ცხოვრება და დავინახო, რა გამომრჩა. სულ ვმოგზაურობ; წელიწადში სამ ფილმს ვაკეთებ. იმ ზღვარს მივაღწიე, როცა უნდა განსაზღვრო — სად ხარ ბედნიერი... მივხვდი, რომ სულაც არა ვარ იდეალური, ვიღაცას კიდევაც უნდა დავუთმო და ბოდიშიც მოვიხადო ჩემი ქცევის გამო. სიმდიდრე სულაც არ ნიშნავს, რომ მარტოსული არა ვარ, ან ნაკლებად მჭირდება ხალხთან ურთიერთობა. სიყვარულში, სხვათა შორის, ყოველთვის ბედი მწყალობს. ხანდახან მარტოობას რა სჯობს. ზოგჯერ საშინელებაა. სულაც არ არის აუცილებელი, ცხოვრება უსათუოდ ვინმეს დავუკავშიროთ... მთავარია, იპოვო ადამიანი, რომელიც შენზე იზრუნებს, ვისთან ყოფნაც გაგახარებს — ეს დიდი საჩუქარია, განძია... გამოგიტყდებით, მე უბედნიერესი ადამიანი ვარ. ამჟამად ჩემ გვერდით არის მუსიკოსი ბობ შნაიდერი... ეს ის შემთხვევაა, როდესაც შენს ცხოვრებაში დიდი ხანია არსებობს ვიღაც, მაგრამ ვერ ამჩნევ... ღვთის ნებით, ალბათ დავქორწინდებით...

**— რა თვისებებით უნდა იყოს „იგი“ აღჭურვილი?**

— იმ თვისებებით, რაც მე მაქვს: პატიოსნება, სიკეთე, იუმორის გრძნობა, ურთიერთგაგება და, რაც მთავარია, სიცოცხლის წყურვილი... მგონი, ეს ყველაფერი ის არის, რაც ყველას მოგვწონს.

**— ვარსკვლავი როგორ ახერხებთ „მიწიერად“ დარჩენას?**

— პოპულარობამ შიშის გრძნობა, ამბიციურობა გამიძლიერა და ერთ დღეს ყველაზე უკეთესი გავხდი... შემდეგ ყველაფერმა გამიარა, კვლავ ჩვეულებრივ ადამიანად ვიქეცი. პოპულარობა და ვარსკვლავობა არ მომიმზადებდა სადილს, ვერ მომწმენდდა ცხვირს (სურდოს დროს). სახელს არა აქვს ის, რაც ცხოვრებას გააცოცხლებს...

სანდრას კი უყვარს ნაყინი, კოქტეილი, შოკოლადი, სოკოიანი პიცა და შემწვარი წიწილი... სანდრა ორ დღეში ქსოვს გრძელ სვიტერს. უფრო ხშირად ჯინსის კომბინეზონი და ფერადი შორტი აცვია... თავდავიწყებით ცეკვავს ფლამენკოს... უყვარს თავისი სახლი ოსტინოში, სადაც ტუალეტი უნდა მოაწესრიგოს, რაღაც-რაღაცეები გადააკეთოს და იქ მალე დაიწყებს ფილმის გადაღებას...

მსახიობის მიჯნურთა ნუსხაში პირველი ადგილი უჭირავს ჟან-მიშელ ვინსენტს, რომელსაც 20 წლისა გაჰყვა ცოლად. მალე გაიყარნენ. სანდრას არ უყვარს ამის გახსენება. „№9 სიყვარულის ელექსირის“ გადაღებაზე თეით დონოვანი გაიცნო. მათი ურთიერთობა ოთხ წელიწადს გაგრძელდა. სანდრას ეგონა, აღარასოდეს დაშორდებოდნენ, მაგრამ დონოვანმა კიანუ რივზზე იეჭვიანა, წაიჩხუბნენ და... „დამანგრეველის“ გადაღებისას სანდრას დენის ლირთან ჰქონდა რომანი. ეტყობა, დენისი არ აღმოჩნდა სათაყვანებელი პიროვნება... წლების განმავლობაში ჭორაობდნენ სანდრასა და კიანუ რივზის ურთიერთობაზე. კიანუ არ იყო გულგრილი ქალის მიმართ, ყოველდღე უგზავნიდა ყვავილებს, მაგრამ იმასაც ამბობენ, სიყვარული პლატონური იყოო...

ფილმში „სიყვარული და ომი“ ბალოკი კრის ო'დონელს დაუახლოვდა. საინტერესოდ ატარებდნენ დროს, მაგრამ კრისი ცნობილი მექალთანე იყო და სანდრამ იგი ცოტა ხანში მოიშორა თავიდან.

მეკიუ მაკონახი უსაშველოდ ემოციური იყო. ორი წელი გატანჯეს ერთმანეთი: ხან ჩხუბობდნენ და ხან რიგდებოდნენ. ბოლოს და ბოლოს, ნერვები დააწყდათ.

შემდეგ სანდრა მუსიკაში ეძებდა სიმშვიდეს და შეხვდა ბლუზების გიტარისტს — გაი ფორსაიტს. ისინი ბევრს მოგზაურობდნენ. მაგრამ არც გაი აღმოჩნდა სანდრას ოცნების რაინდი.

...როკერ ბობ შნაიდერსა და სანდრას კი ერთნაირი მისწრაფებები აქვთ და ერთნაირად უყვართ სიცოცხლე...

***მკ ბულვარი №28***



# ვინ არის ეს? — ანუ GT და მისი კითხვები

„ვინ არის ეს?“ — ამ საინტერესო კითხვაზე აგებული სარეკლამო კამპანიით მობილური კავშირგაბმულობის კომპანია GT MOBILE-მ პირველი ეფექტური ნაბიჯი გადადგა საქართველოს ბაზარზე შემოსვლისთვის. GT MOBILE შარშან დაარსდა. მისი აქციების 80% ჰოლანდიურ კომპანია „ფინტურს“, ხოლო 10-10% — ქართველ და ამერიკელ ინვესტორებს ეკუთვნის. კომპანია GT MOBILE სისტემის ოპერატორია, მაგრამ „მაგთისა“ და „ჯეოსელისგან“ განსხვავებით, მისი ძირითადი სამუშაო სიხშირე 1.800 მგჰც იქნება, თუმცა მის ლიცენზიაში 900 მგჰციანი სიხშირის ზოლიც შედის. სერვისის მხრივ, 900 და 1.800 მგჰც სიხშირეებს შორის, პრაქტიკულად, არანაირი განსხვავება არ არის, თუმცა, როგორც GT MOBILE-ში აცხადებენ, 1.800-იანის ქსელით მომსახურება უფრო მაღალი ხარისხისაა. 1.800 მგჰც სიხშირეზე „მაგთიც“ მუშაობს. მისი მთავარი კონკურენტის, „ჯეოსელის“ სიხშირე კი 900 მგჰც შემოიფარგლება.




მიუხედავად წარმატებული სარეკლამო კამპანიისა, GT MOBILE-ს მუშაობის ოფიციალურ დაწყებამდევე დიდი პრობლემები შეხვდა. კომპანიის სადგურის მშენებლობამ გოთუას ქუჩის მაცხოვრებელთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ახლა GT MOBILE იძულებულია, სპეციალური აპარატურით ჩატარებული გაზომვებით დაუმტკიცოს მოსახლეობას, რომ მისი სადგური რადიაციულ ფონს არ ზრდის. გარდა ამისა, მას გაცილებით სერიოზული დაბრკოლებებიც შეექმნა. უშიშროების სამინისტრო მის მიერ წარმოებული საბაჟო ოპერაციებით დაინტერესდა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა. პირველი — არსებული ინფორმაციით GT MOBILE-მ საბაჟო ინვოისებში დაფიქსირებულზე გაცილებით მეტი აპარატურა შემოიტანა და, მეორე — აპარატურა თავიდან რატომღაც „ჯეოსელის“ სახელზე იყო გამოგზავნილი. ამ უკანასკნელმა ფაქტორმა, ანუ „ერიქსონის“ მიერ ჯეოსელისა და GT MOBILE-ს ერთმანეთში „არევამ“ კიდევ უფრო გააძლიერა ეჭვები იმის თაობაზე, რომ ამ კომპანიების უკან ერთი და იგივე ფირმა — „თურქსელი“ დგას.

„თურქსელს“ (უფრო სწორად, მის შვილობილ „გურტელს“) შარშანდელი „დიდი გარჩევების“ შემდეგ, „ჯეოსელში“ აქციათა 78% ეკუთვნის (თავდაპირველად, პროპორცია ქართული მხარის სასარგებლო იყო: 60% — ქართული მხარე, 40% — „გურტელი“). მართალია, GT MOBILE-სთან „თურქსელის“ კავშირი არ მტკიცდება (იქნებ, დროებით), მაგრამ ბევრი რამ (თუნდაც უკვე ხსენებული საბაჟო ოპერაციები), ასეთ ეჭვებს აღძრავს.

„ერიქსონისგან“ „თურქსელი“ ყოველწლიურად, 1 მლრდ დოლარის მოწყობილობებს ყიდულობს. ასეთი სოლიდური კომპანიის მიერ საკუთარი კლიენტების ერთმანეთში არევა, მართლაც საეჭვოა. არადა, თუკი „ჯეოსელი“ და GT MOBILE „თურქსელის“ შვილობილებია, ასეთი „არევა“ „მამას“ ხელს აძლევდა. საქმე ის არის, რომ „ჯეოსელი“, როგორც 1996 წელს უცხოური ინვესტიციებით დაარსებული კომპანია, ხუთწლიანი საგადასახადო შეღავათიანი პერიოდით სარგებლობს და მას აპარატურის შემოტანა GT MOBILE-ზე გაცილებით იაფი დაუჯდებოდა.

ეჭვებს აღძრავს ისიც, რომ „ჯეოსელსა“ და GT MOBILE-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, ამ უკანასკნელს „ჯეოსელი“ საკუთარი ანძებით ნაწილობრივ სარგებლობის უფლებას აძლევს. კონკურენტისთვის ხელის გამართვა ცოტა გაუგებარია, თუმცა, „ჯეოსელი“ ამ ფაქტს სხვაგვარად ხსნის. კომპანიის გენერალური მენეჯერის, ჰაკან ერქაის თქმით, ანძების ერთობლივი გამოყენების შესახებ მოლაპარაკებებს „ჯეოსელი“ „მეგაკომთანაც“ აწარმოებს, უფრო მეტიც, „ჯეოსელი“ მზად არის ითანამშრომლოს „მაგთისთანაც“, თუკი ეს თანამშრომლობა მას მოგებას მოუტანს. „ჯეოსელის“ გენერალური მენეჯერის აზრით, კონკურენცია მომხმარებლისთვის ახალი, მაღალხარისხოვანი სერვისის შემოღებით გამოიხატება, ხოლო ინფრასტრუქტურულ საკითხებში თანამშრომლობა ნებისმიერ კომპანიასთან დასაშვებია.

ჩამოთვლილ ეჭვებს ისიც ემატება, რომ არსებული ინფორმაციით, GT MOBILE-ს პერსონალმა მომზადება „თურქსელში“ გაიარა, ხოლო კომპანიის სადგურის ტესტირებაში „აზერსელის“ — „თურქსელის“ კიდევ ერთი შვილობილის (აზერბაიჯანში მას, დაახლოებით, 200 ათასი აბონენტი ჰყავს) სპეციალისტები მონაწილეობდნენ.

ამ ეჭვებში გასარკვევად, GT MOBILE-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტს, **ირმა ციქიტიშვილს** გავესაუბრეთ.

— **მართალია თუ არა, რომ GT MOBILE-ს მიერ განხორციელებულ საბაჟო ოპერაციებს უშიშროების სამინისტრო სწავლობს?**

— ეს საკმაოდ ძველი ამბავია. აპარატურა, რომელიც „ერიქსონმა“ გამოგვიგზავნა, შეცდომით „ჯეოსელის“ სახელზე მოვიდა, რადგან ტექნიკური აღჭურვილობით ორივეს „ერიქსონი“ გვამარაგებს. მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით ძვირი დაგვიჯდა, აპარატურა უკან გადავაგზავნეთ და იგი საქართველოში მეორედ, ამჯერად უკვე ჩვენს სახელზე ჩამოვიდა.

— **უშიშროების სამინისტრო არ უარყოფს, რომ საქმე კვლავ ძიებაშია. როგორც ვიცი, საუბარია სხვა დარღვევებზეც, კერძოდ იმაზე, რომ GT MOBILE-მ ინვოისში დაფიქსირებულზე გაცილებით მეტი აპარატურა შემოიტანა...**

— ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მაქვს და საერთოდ, ეს საკითხი არ ფიგურირებს.

— **თქვენს სახელს, რატომღაც, „ჯეოსელს“ უკავშირებენ. ამბობენ, რომ ორივეს უკან „თურქსელი“ დგას...**

— GT MOBILE-სა და სომხების, აზერბაიჯანელების ან ავსტრალიელების ურთიერთობაზე არაფერს ამბობენ?!

— **სომხებსა და ავსტრალიელებზე არა, მაგრამ აზერბაიჯანელებთან თქვენს ურთიერთობებზე ნამდვილად ლაპარაკობენ. მსმენია, რომ GT MOBILE-ს სადგურის ტესტირება „აზერსელმა“ ჩაატარა, რომელიც ასევე „თურქსელის“ შვილობილია.**

— გაუგებარია, რატომ ჩნდება ასეთი ეჭვები.

— **იქნებ იმიტომ, რომ „ჯეოსელს“ ლიცენზია მხოლოდ 900 მგჰც სიხშირეზე აქვს, თქვენ კი — 1.800 მგჰც-იანიც გაქვთ. ბუნებრივია, რომ „მაგთის“ წინააღმდეგ ერთმანეთს კარგად გაუმაგრებთ ზურგს.**

— არ ვიცი, რატომ მიიჩნევენ GT MOBILE-ს ქართულ-თურქულ კომპანიად. GT ჰოლანდიურ-ქართულ-ამერიკული ფირმაა. რაც შეეხება „ჯეოსელთან“ ურთიერთობას, ის წმინდა ტექნიკური ხასიათისაა. „ჯეოსელის“ ანძებს სწრაფი მომსახურების უზრუნველსაყოფად ვიყენებთ, ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებაც გვაქვს დადებული. შემდგომ საკუთარ ანძებსაც დავდგამთ. „მაგთისა“ და „ჯეოსელს“ შორის პარტნიორად ამ უკანასკნელის არჩევა კი იმან განაპირობა, რომ ჩვენც მასავით „ერიქსონის“ აპარატურას ვიყენებთ. „ჯეოსელთან“ თანამშრომლობა ჩვენი აბონენტებისთვის აუცილებელი სერვისის განსახორციელებლად გვჭირდება.

— **თუ არ ვცდები, ლიცენზიის თანახმად, სხვა კომპანიის ანძებისა და სადგურების გამოყენების ნაცვლად, საკუთარი ქსელი უნდა ააგოთ...**

— ლიცენზიაში ასეთი აკრძალვა დაფიქსირებული არ არის, კანონმდებლობის თანახმად კი ის, რაც აკრძალული არ არის, დაშვებულია.

— **რამდენად რეალურია GT MOBILE-ისა და „ჯეოსელის“ გაერთიანება?**

— GT MOBILE-ს აბონენტთა მომსახურება ჯერ არ დაუწყია და რომელიმე კომპანიასთან გაერთიანებაზე ფიქრი ჯერ ნაადრევია.

— **როცა GT MOBILE დაფუძნდა, „მაგთი“ და „ჯეოსელი“ ბაზარზე უკვე მყარად იყვნენ დამკვიდრებულნი. თქვენ როგორ აპირებთ საკუთარი ადგილის მოპოვებას?**

— GT MOBILE-ს თავისი ხარისხიანი მომსახურების იმედი აქვს. ჩვენ მომხმარებელს გაუმჯობესებულ, კონკურენტუნარიან მომსახურებას ვთავაზობთ, ეს კი ბაზარზე შემოსასვლელად საკმაოდ იმედის მომცემი საფუძველია.

— **რა მოცულობის ინვესტიცია გაახორციელეთ უკვე?**

— უკვე ჩადებულია 5,5 მლნ დოლარი და მომავალშიც სოლიდური ინვესტიციებია გათვალისწინებული.

— **თუ განსაკუთრებული ხარისხის მომსახურებას სთავაზობთ აბონენტებს, ცხადია, ტარიფებიც განსაკუთრებული გექნებათ.**

— ტარიფებთან დაკავშირებით ერთი პიკანტური მომენტია: რადგან ძალიან მაღალი ხარისხის მომსახურებას უზრუნველვყოფთ, ოპტიმალური ტარიფის დადგენასაც ვცდილობთ. იგი ყველასთვის იქნება მისაწვდომი.

GT MOBILE-ს სავარაუდო ტარიფებზე არც კავშირგაბმულობის ეროვნული მარეგულირებელი კომისია ამბობს რაიმეს. კომისიის წევრის კახა პოპიაშვილის თქმით, GT MOBILE-ს ტარიფების განსაზღვრის საკითხზე ევრობანკის (EBRD) ექსპერტები მუშაობენ. მანვე დაადასტურა, რომ კომისია განიხილავს საკითხს იმის თაობაზე, კანონიერია თუ არა GT-ის მიერ „ჯეოსელის“ ანძების გამოყენება. ძნელია იმის თქმა, როგორ დასკვნას გამოიტანს კომისია, თუმცა პოპიაშვილის განცხადებით, თუ სერიოზული დარღვევები არ იქნა აღმოჩენილი, ფირმას დაბრკოლებები არ შეექმნება.

ახალშექმნილი კომპანიისთვის კეთილგანწყობილ გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში, დიდი უცხოური ინვესტიცია საქართველოსთვის „უცხო ხილი“ გახდა. თუკი, GT MOBILE-ს საქმიანობა კანონის ფარგლებში მიმდინარეობს, მხოლოდ „თურქსელის“ შვილობილობა მისთვის სასაყვედურო ნამდვილად ვერ იქნება. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს: თუკი ვინმეს GT MOBILE-ს ბაზარზე გამოჩენა, „ჯეოსელთან“ მისი ურთიერთობები და შესაძლო გაერთიანება შეიძლება აწუხებდეს, ეს „მაგთიკომია“. შარშან შინაპრობლემებით დაკნინებულმა „ჯეოსელმა“ მას საკმაოდ „შორს წასვლის“ საშუალება მისცა, მაგრამ ფირმაზე კონტროლის „თურქსელის“ ხელში გადასვლის შემდეგ, უკვე 2000 წლის დასაწყისიდან, ცხადი შეიქნა, რომ განახლებული „ჯეოსელის“ სახით, „მაგთიმ“ გაცილებით ძლიერი კონკურენტი შეიძინა. თავის არსენალში 1.800 მგჰც სიხშირის არარსებობის გამო, „ჯეოსელი“ არ წუხს. ჰაკან ერქაის განცხადებით, კომპანიის ხელმძღვანელობა „ჯეოსელის“ სისტემისთვის 1.800 მგჰც სიხშირის აუცილებლობას ვერ ხედავს, რადგან არსებული ტექნიკური ბაზა საქართველოს ბაზრის მხოლოდ 900 მგჰც სიხშირით მომსახურების საშუალებას აძლევს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: თუ GT MOBILE მართლაც „თურქსელის“ დაარსებულია, იგი „ჯეოსელზე“ ძლიერი ვერასდროს გახდება. ეს თავად „თურქსელის“ გეგმებშიც არ შეიძლება შედიოდეს, რადგან ასეთი რამ თავისი პირმშოსთვის, „ჯეოსელისთვის“ სერიოზული კონკურენტის შექმნის ტოლფასი იქნება. გარდა ამისა, შესაძლოა, „თურქსელს“ წინასწარ ასეთი პირობაც კი ჰქონდეს „ჯეოსელისთვის“ მიცემული. ასეა თუ ისე, კონკურენციაზე ფიქრი თავად კომპანიების საზრუნავია. თუ რას შეცვლის საქართველოს მობილური კავშირგაბმულობის ბაზარზე საბაზრო ეკონომიკის მამოძრავებელი ეს ძალა, ალბათ, მალე დავინახავთ.

P.S. ზემოთ გამოთქმული ეჭვებისა არ ვიცი, მაგრამ GT MOBILE-სა და „ჯეოსელს“ ერთი რამ მართლაც საერთო აქვთ: ორივე ძალიან მასშტაბურ სარეკლამო კამპანიას ეწევა. ცხადია, რომ „ჯეოსელს“ ამის საშუალებას „თურქსელის“ „უძირო“ ჯიბე აძლევს.

უახლოეს დღეებში GT MOBILE მის მიერვე დასმულ უკვე ყველასთვის საინტერესო კითხვაზე პასუხის გაცემას აპირებს. მთავარ კითხვაზე: „ვინ არის ეს?“ — პასუხის გაცემას კი ის, ალბათ, ბოლომდე არ იჩქარებს.

***გვანცა კვინიკაძე***

## კითხვა-პასუხი

***ზოგიერთმა სამხედრო პენსიონერმა ამ რამდენიმე წლის წინ თავისი საპენსიო საქმე გადაიტანა რუსეთში, სადაც პენსიების დონე უფრო მაღალი იყო, თუმცა მათ არც საცხოვრებელი ადგილი შეუცვლიათ და არც მოქალაქეობა. ბოლო ხანს ზოგიერთი სამხედრო თუ ვეტერანთა უწყება შეღავათს აძლევს მხოლოდ იმ ვეტერანებს, რომლებიც პენსიებს ღებულობენ საქართველოში, ხოლო რუსეთში პენსიაგადატანილ პირთ, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, უუქმებენ უფლებებსა და შეღავათებს, რაზეც კანონში არაფერია ნათქვამი. რამდენად მართებულია ვეტერანებისადმი ასეთი მიდგომა?***

***გადამდგარი პოლკოვნიკი ვახტანგ თულაშვილი, თბილისი***

დღესდღეობით საპენსიო შეღავათი ვრცელდება მხოლოდ იმ პენსიონერებზე, რომელთა საპენსიო საქმეც საქართველოში მოიპოვება. თავის დროზე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის პენსიების გაცემისას დიდი თანხობრივი სხვაობა არ იყო, ზოგიერთმა ჩვენმა მოქალაქემ საპენსიო საქმე რუსეთში გადაიტანა. იმისათვის, რომ საქართველოში მიიღოთ პენსია, თქვენი საპენსიო საქმე უნდა გადმოიტანოთ ჩვენს ქვეყანაში და გამოთხოვილი საპენსიო საქმე წარადგინოთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სოციალურ განყოფილებაში.

***ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პოლიტიკის დეპარტამენტის საპენსიო პოლიტიკის სამმართველო***

***გარდამეცვალა სამამულო ომის მონაწილე, I ჯგუფის ინვალიდი, ტყვეობაში ნამყოფი მეუღლე. მარჩენალის დაკარგვის გამო მის ქვრივს მეკუთვნის თუ არა მეუღლის (45 ლარი) პენსია?***

***ს. ალადაშვილი***

თქვენ გეკუთვნით გარდაცვლილი მეუღლის პენსიის 40%, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოთ თქვენივე რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას.

***ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი***

***გავყიდე ბინა. იმის გამო, რომ მიჭირს გადაადგილება, მყიდველს მივანდე, ჩემგან საფასურის გაღების პირობით ეწარმოებინა ნასყიდობის გაფორმება. ისარგებლეს რა მყიდველმა და ნოტარიუსმა ჩემი დაუსწრებლობით, დიდი ბაჟის (4.000 ლარი) დამალვა-მითვისების მიზნით მოახდინეს ხელშეკრულებაში ბინის მოგონილი გაფასება, მიწის ნაკვეთის არასწორი ზომის დაფიქსირება მყიდველის სასარგებლოდ და ხელშეკრულების გაცნობის გარეშე მასზე ხელის მოწერა მომთხოვეს. თუ ხელშეკრულება მცდარია, ექვემდებარება თუ არა გაბათილებას?***

***გივი ფურცელაძე***

ხელშეკრულების გაცნობის გარეშე ხელის მოწერაზე არ უნდა დათანხმებულიყავით. რადგან დარღვეულია ხელის მოწერის წესები და ხელშეკრულებაც მცდარია, იგი ექვემდებარება გაბათილებას. სასამართლოზე მიმართვის შემდეგ დადგება კონკრეტული პირის და ნოტარიუსის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთაც თქვენ მიმართ განახორციელეს კრიმინალი.

***ადვოკატთა კოლეგია***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 19 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| **აშშ დოლარი** | 1,9700 |
| **გერმანული მარკა** | 0,9211 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | 2.9448 |
| **ევრო** | 1,8016 |
| **რუსული რუბლი** | 0,0709 |
| **თურქული ლირა (10.000)** | 0,0307 |

ფირმების რეგისტრაცია
თარგმნა და ბეჭდვა
სწრაფად. იაფად
თავისუფლების მოედანი 7, ცეკავშირის შენობა, VI სართ. ოთ. 639
☎ 99-02-80; 899-53-91-91

ფირმა «გარანტი»
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.

მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69

თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი და მასთან არსებული კოლეჯი
აგრძელებს მიღებას (სექტორები — ქართული, რუსული; სწავლება — დღის და დაუსწრებელი).
1. იურიდიული ფაკულტეტი. 2. ეკონომიკური. 3. უცხო ენები. 4 ინფორმატიკა.
სტაჟირება უცხოეთში. წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდია. უნივერსიტეტი იძლევა სახელმწიფო დიპლომს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლინგაფონისა და კომპიუტერული ცენტრი სერტიფიკატის მინიჭებით. სტუდენტები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. კოლეჯის მოსწავლეები მიიღებენ ერთდროულად როგორც პროფესიულ, ისე საშუალო ზოგად განათლებას.
მის: კოსტავას №70, IX კორპ, IV სართ, მ. „პოლიტექნიკური“. ტ: 36-60-59; 36-63-36; 33-53-92; 77-03-69

# ერაყი კვლავ იბომბება

რამდენიმე დღის წინ აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა ერაყი დაბომბეს. ძირითადი დარტყმა ქალაქ ას-სამავას რკინიგზას მიაყენეს. როგორც ყოველთვის, მშვიდობიანი მოსახლეობა დაზიანდა. ავიადარტყმების შედეგად დაიღუპა 2 ადამიანი და 19 დაიჭრა. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის სამხედრო საჰაერო ძალები ერაყის სამხრეთს ხშირად ესხმიან თავს ერაყის ავიაციისთვის აკრძალული ზონის პატრულირების დროს. სამხედრო დარტყმას წინ უსწრებდა პროპაგანდისტული ინფორმაციის გავრცელება. კერძოდ, ის, რომ მიუხედავად სანქციებისა, ერაყს საშუალება მიეცა, მოეპოვებინა 400 მლნ დოლარი სუდანის ობიექტის მშენებლობისთვის, სადაც „სკალას“ ტიპის ტაქტიკურ რაკეტებს ააწყობენ. სამშენებლო საქმეებისთვის თურმე მოწვეულნი არიან ჩრდილოკორეელები, ისინივე გააკონტროლებენ აწყობის პროცესს. ამგვარად, რაკეტები ერაყის ტერიტორიაზე კი არ იქნება განლაგებული, არამედ გაეროს ინსპექტორებისათვის მიუღწეველ ადგილებში.

ერაყის დაბომბვის დრო შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული. ამას წინათ ერაყში ვიზიტით იმყოფებოდა ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი, რომელმაც სადამ ჰუსეინი კარაკასის სამიტზე მიიწვია სექტემბრის ბოლოს. მალე ბაღდადში ჩავიდა მეორე ნავთობმომპოვებელი ქვეყნის ლიდერი — ინდონეზიის პრეზიდენტი — აბდურაჰმან ვაჰიდი, რომელიც ჩავესმა ერაყის ვიზიტის შემდეგ მოინახულა. ორივე პრეზიდენტი მხარს უჭერს იმას, რომ ერაყს სასწრაფოდ მოეხსნას ეკონომიკური სანქციები. ამ განცხადებამ ვაშინგტონი ძალზე გააღიზიანა. მანამდე კი მადლენ ოლბრაითმა გააფრთხილა ვაჰიდი, რომ ერაყში ჩასვლით, იგი თავისი ქვეყნის იმიჯს შელახავდა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ერაყის დაბომბვები. ბაღდადმა საუდის არაბეთი და ქუვეითი, რომლის ტერიტორიაზეც ბაზირებს აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის სამხედრო საჰაერო ძალები, მაშინვე დაადანაშაულა „ერაყელების მკვლელობასა და ერაყელი ხალხის ქონების განადგურების“ ხელშეწყობაში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ „მსგავსი ძალოვანი მოქმედებები, რომლის შედეგად ირღვევა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, ართულებს ერაყის ირგვლივ სიტუაციას და ხელს უშლის კონფლიქტის მოგვარებისათვის პოლიტიკური გზების ძიებას“.

ამასობაში ერაყი საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთის კომპანიებთან ბალისტიკური რაკეტების ძირითადი კომპონენტების მწარმოებელი ქარხნის მშენებლობის თაობაზე. ეტყობა, ერაყმა რუსებთან თანამშრომლობა დაიწყო შარშან, როდესაც ქვეყნის სამხედრო სამინისტროს მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები ეწვივნენ მოსკოვს.

**იზვესტია №152**



# წყალბადის ბომბი – გრენლანდიის ყინულქვეშ

გრენლანდიაში, ამერიკის სამხედრო ბაზის მახლობლად, ოკეანის ფსკერზე დევს წყალბადის ბომბი, რომლის რიგითი ნომერია 78252. დანიური გაზეთის „იულანდს პოსტენის“ ამ სენსაციურმა განცხადებამ დაძაბა შინაპოლიტიკური მდგომარეობა ჩვეულებრივ მშვიდ სამეფოში. თურმე დანიელებმა თავადაც არ იცოდნენ, რომ 30-ზე მეტი წლის მანძილზე ბირთვული იარაღის მფლობელები ყოფილან. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იგი ძალიან ძნელად მისადგომ ადგილზე ინახება.

გაზეთმა ინფორმაცია მიიღო იმ ადამიანთა ჯგუფისაგან, რომლებიც ტულეში განლაგებულ სამხედრო ბაზაში მსახურობდნენ. ამასთან ისინი მონაწილეობდნენ 1968 წელს ამერიკული ბომბდამშენის ავარიის შედეგების აღმოფხვრაში. ავარია ყინულთან შეჯახებამ გამოიწვია. საგაზეთო სტატიის ავტორების რწმუნებით, თვითმფრინავის ბორტზე წყალბადის 4 ბომბი იყო. მეოთხე ბომბი, ვერც მაშინ და ვერც მერე, ვერ იპოვეს.

ოფიციალური კოპენჰაგენი „ტულეს ჯგუფის“ (მისი წევრები თითქმის ყველანი დაინვალიდდნენ რადიოაქტიურ ზონაში მუშაობით) განცხადებას გულგრილად მოეკიდა. დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ნილს ჰელვეგ პეტერსონის განცხადებით — ეს მხოლოდ ჭორია, რომელსაც არანაირი საფუძველი არ გააჩნია, რადგან თვითმხილველთა ცნობით, ყინულზე დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ თვითმფრინავის ნარჩენები სიგარეტის კოლოფში ჩაეტეოდა.

იქნებ, ბომბი თვითმფრინავს დარტყმამდე მოსცილდა, თუ ეს ასე არ არის, რატომ იპოვეს მისი პარაშუტი? ამ კითხვაზე პასუხს დანიის ხელისუფლება ვერ იძლევა. „ტულეს ჯგუფსა“ და მის მხარდამჭერებს სრული საფუძველი აქვთ იმისა, რომ ეჭვი შეიტანონ ხელისუფლების გულწრფელობაში. 1995 წლის ჩათვლით, დანიის ხელისუფლება ოფიციალურად უარყოფდა გრენლანდიაში ბირთვული იარაღის არსებობას. იმავე წელს კი ამერიკის მასობრივ ინფორმაციათა საშუალებებმა აღიარეს, რომ ატომური არსენალი ტულეს ბაზაშია თავმოყრილიო. მაშინ გაირკვა, რომ კოპენჰაგენსა და ვაშინგტონს შორის 1957 წელს დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება გრენლანდიის ტერიტორიის ამერიკული ატომური იარაღის შესანახად გამოყენების თაობაზე. ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკამ შესაძლოა, დაკარგა ბომბი ტულეს მახლობლად და ეს დაუმალა დანიას, დამატებითი არგუმენტია მათთვის, ვინც წინააღმდეგია იმისა, რომ გრენლანდია გამოყენებულ იქნეს ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის განსალაგებლად.

**ნოვიე იზვესტია №146**

# ტერორისტული ინტერნაციონალი



ცენტრალურ აზიაში ბრძოლა გრძელდება. უზბეკეთის, ტაჯიკეთის და ყირგიზეთის ტერიტორიაზე სასტიკი ომი მძვინვარებს უზბეკეთის ისლამური მოძრაობის ბოევიკებთან. ეს „მოძრაობა“ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების რეიტინგში მეოთხე ადგილზე დააყენა.

ძირითადი ომები სამხრეთ უზბეკეთის მთებში წარმოებს. დაღუპულ ბოევიკთა დოკუმენტებში აღნიშნულია თათრული, ბაშკირული, ჩეჩნური, ავღანური გვარები. უზბეკეთის სპეცდანიშნულების ჯარმა ოთხი დაკავებული ყიშლაღი გაათავისუფლა. ბანდიტები ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებიან მთებში. უზბეკი ოფიცრები მთიანი ადგილების „გაწმენდას“ შეუდგნენ. მათ სოფელ კიშტუტში აღმოაჩინეს იარაღის საწყობი, რომელიც მთელ ბატალიონს შეაიარაღებს. უზბეკეთის თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა სოფელ სარინაუსა და ყარაიაურტში მდგარი უმსხვილესი ბანდფორმირებები დაშალა. აღსანიშნავია, რომ ბრძოლა გასროლების გარეშე, დანებით, ქვებით და ხიშტებით მიმდინარეობდა. ოფიცრების ნაამბობით, გათენებისას იქაურობა სისხლით იყო დატბორილი. რასაკვირველია, ორივე მხარემ დიდი დანაკლისი განიცადა.. უზბეკები საზენიტო ავტომატური ქვემეხებით მთიანი ადგილების მორიგ „დამუშავებას“ შეუდგნენ. ისლამისტი ბოევიკების დასახმარებლად შემოიჭრნენ ავღანელი და ტაჯიკი ბანდიტები, მაგრამ რუსმა მესაზღვრეებმა მაშინვე გაანადგურეს რამდენიმე ათეული ბანდიტი. ტერორისტული ბანდფორმირებები თავს დაესხნენ ყირგიზეთის სასაზღვრო პოსტს. როგორც ყირგიზი სამხედროები ირწმუნებიან, მეორე დილით განადგურებულ თავდამსხმელთა უმრავლესობა მიწაზე ეყარა. ყირგიზეთის არმიის ბატალიონს ბატკენის ოლქის საომარ რაიონებში ყირგიზეთის თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ესთენ ტოპრიევი ხელმძღვანელობს და ბატკენში სხდომაზე ჩავიდნენ უზბეკეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის ძალოვანი მინისტრები. გადაწყდა, შეიქმნას ანტიტერორისტული ოპერაციების საერთაშორისო შტაბი, რომელიც ქალაქ ხოჯენტში განლაგდება. სხვათა შორის, შტაბისთვის ადგილის შერჩევა, ცოტა არ იყოს, გაკვირვებას იწვევს. აქ დისლოცირებული იქნება ტაჯიკეთის ისლამისტური აღორძინების პარტიის წევრების ბრიგადა. ბრიგადის ჯარისკაცები უზბეკეთის ისლამური მოძრაობის ბოევიკებს უჭერენ მხარს. აქ უნახავთ ამ მოძრაობის სამხედრო მეთაური — ჯუმა ნამანგანი. სარწმუნო წყაროების მიხედვით, სწორედ ნამანგანის ბრძანებით დაიწყეს „მოძრაობის“ ბანდიტებმა თავდასხმები. ასეთ გარემოებაში შტაბის ოფიცრები ხოჯენტში დისკომფორტს გრძნობენ.

უზბეკეთის ისლამური მოძრაობის ბოევიკებმა ურთულესი ოპერაციის ჩატარების შემდეგ ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს მიზანს. ყირგიზეთის ტერიტორიის გავლით უზბეკეთში შეიჭრნენ. სარწმუნო წყაროების ცნობით, ბოევიკებმა სამხედრო მომზადება ავღანეთის ტერიტორიაზე გაიარეს და ფინანსურად თალიბები ეხმარებიან.

ტაჯიკეთმა კატეგორიულად უარყო ყირგიზეთის და უზბეკეთის წინადადება, ავიაციით დაერტყათ ისლამური მოძრაობის ბაზებისათვის ტაჯიკეთის მთებში, სადაც 800-მდე ბოევიკი იმყოფება. უზბეკეთიდან მიღებული ცნობების მიხედვით, სამხედროები ანტიტერორისტული ოპერაციის დასკვნით სტადიაზე გადავიდნენ.

მოძრაობა თალიბანის სახელით, თალიბების 70-ე დივიზიის მეთაურმა ჰაფიზ ნურულომ განაცხადა, ერთი წლის მანძილზე უზბეკეთი დესტაბილიზებული იქნებაო.

თალიბთა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მავლავი აბდულამ ცენტრალურ აზიაში „ჯიჰადის“ შესახებ საუბრისას თქვა, — „სახალიფოს მშენებლობის მომხრეები“ ყველანაირ მსხვერპლს გაიღებენ და თუ საჭირო იქნება, ახალი სახელმწიფო ურჯულოთა სისხლზე აშენდებაო.

სწორედ ამის დემონსტრირება ხდება დღეს ცენტრალური აზიის მთებში.

**კომერსანტი №149**

# „ნუ ტირი ჩემთვის, კარაკას!“

გახსოვთ, ალბათ, ფილმ „ევიტადან“ სიმღერა „ნუ ტირი ჩემთვის, არგენტინავ!“ დღევანდელი სიტუაცია ვენესუელასა და მის დედაქალაქ კარაკასში, ბევრს „ევიტას“ რიმეიქს აგონებს. ლათინოამერიკელი კუნთმაგარი მამაკაცი, გვერდით ქერათმიანი ცოლით — პრეზიდენტის სასახლის აივნიდან ქვეყნის „თავისუფალ მოქალაქეებს“ მიმართავს. ეს არ არის კადრი „ევიტადან“ — ეს ვენესუელის ხელახლა არჩეული პრეზიდენტი უგო ჩავესია. წინა, 1998 წლის არჩევნებზე მან ხმების 51% მოაგროვა. ამ ყოფილ მედესანტეს ხალხი მხსნელად მიიჩნევს და იმედის თვალით შეჰყურებს. ქვეყანაში, სადაც კორუფცია ყვავის, უმუშევრობის მაჩვენებელმა 14%-ს მიაღწია, ეკონომიკაც არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია. ბევრი უგო ჩავესსა და მის მიმდევრებს „ძლიერი ხელის“ პოლიტიკის გამტარებლად მიიჩნევს. ამასთან, პრეზიდენტს მხარს უჭერს არმია, რაც ანგარიშგასაწევი ფაქტია ლათინოამერიკული ქვეყნებისათვის. რაც შეეხება საერთაშორისო მხარდაჭერას, ამ მხრივ ვენესუელას არაფერი აქვს სატრაბახო. ამერიკის შეერთებულ შტატებში შეშფოთებულნი არიან ჩავესისა და ფიდელ კასტროს ურთიერთობებით, ამასთან, მას არცთუ ისე მტრული დამოკიდებულება აქვს კოლუმბიელ მეამბოხეებთან. ვაშინგტონში დღეს ეჭვის თვალით უყურებენ იმის შესაძლებლობას, რომ ჩავესი მათი მოკავშირე იქნება ნარკომაფიასთან გამართულ ომში.

ისტორიკოსების აზრით, ჩავესსა და არგენტინის ყოფილ პრეზიდენტს, გენერალ ხუან პერონს (გაიხსენეთ „ევიტა“) შორის ბევრი მსგავსებაა. პერონი და მისი მეუღლე ევიტა არგენტინულ პოლიტიკურ ელიტაზე ოთხი საპრეზიდენტო ვადით „ბატონობდნენ“. ჩავესსა და მის ცოლს ამ მხრივ სამი დეკადა აქვთ წინ. პერონმა, ისევე როგორც ჩავესმა, განაცხადა, რომ „მესამე გზას“ ირჩევდა ქვეყნის გადასარჩენად — კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის. საგულისხმოა, რომ თავიანთ პირველ არჩევნებში პერონმა და ჩავესმა ხმების ერთნაირი პროცენტები დააგროვეს. ერთი ის არის, რომ პერონის აღსასრული არცთუ სახარბიელო გახლდათ, მისი კულტის წინააღმდეგ ჯარის ნაწილები ამხედრდნენ და პერონის ხელისუფლება დაამხეს. ჯერჯერობით, ასეთი რამ ჩავესს არ ემუქრება — თუნდაც იმიტომ, რომ მას კიდევ სამი დეკადის გავლა მოუწევს (თუკი კიდევ იყრის კენჭს), რომელიც 2011 წლის 5 ივლისს ამოიწურება. თავად ჩავესი კი ამაყად აცხადებს, რომ თავისი მედესანტის წითელ ბერეტს დაიხურავს და პრეზიდენტობის ბოლო დღეს საპრეზიდენტო სასახლის აივნიდან ხალხს მიმართავს: „ვენესუელა კიდევ ერთხელ იქცა დიდ ქვეყნად!“

**ნიუზუიქ. 14 აგვისტო**

# ჩრდილო და სამხრეთ კორეა დღესასწაულობს

დაიწყო ჩრდილო და სამხრეთ კორეის შერიგების კვირეული, რომელიც იაპონელი ოკუპანტებისგან განთავისუფლების 55-ე წლისთავს დაემთხვა. ფხენიანიდან ჩამოსული დელეგაციის წევრები — მამაკაცები შავ კოსტიუმებსა და ქალები ეროვნულ კაბებში გამოწყობილნი მიაბიჯებენ თავიანთი საყვარელი ლიდერის კიმ ჩენ ირის პორტრეტით ხელში. დელეგაციის 100 წევრი ეწვია სამხრეთ კორეას, რათა მოენახულებინათ თავიანთი ნათესავები, რომლებიც საზღვარგარეთ აღმოჩნდნენ (1950-53 წლების კორეის ომის შედეგად). ღონისძიება 4 დღეს გაგრძელდა. 75 ათასი სამხრეთ კორეელისაგან, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ჩრდილო კორეაში გამგზავრებაზე, კომპიუტერმა 400 ადამიანი ამოარჩია. მათგან მთავრობამ მხოლოდ 100-ს დართო გამგზავრების ნება. ჩრდილოელებმა კომპიუტერს გვერდი აუარეს და დელეგაციაში პოეტები, კინორეჟისორები, მხატვრები და მეცნიერები შეიყვანეს. დელეგაციას 78 წლის იუ მი იუნი — სამხრეთ კორეის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მეთაურის ქვრივი ხემძღვანელობს. ჯერჯერობით, ოჯახების შეერთება სიმბოლურ ხასიათს ატარებს, რეგლამენტირებულია ყველა შეხვედრა (აკრძალულია წინაპართა საფლავების მონახულება). მაგრამ ყველა იმედოვნებს, რომ მალე ყველა გაყოფილი ოჯახი გაერთიანდება. კორეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სამხრეთ კორეის ტექნოლოგიის და კაპიტალის შეერთება ჩრდილო კორეის შრომის რესურსებთან დიდ ეკონომიკურ აღმავლობას მოუტანს 70 მილიონიან კორეას. შეერთების პირველი ეტაპი დაიწყება 12 სექტემბერს ორ კორეას შორის რკინიგზის აღდგენით. როგორც კინ ჩერ ირმა განაცხადა, ჩრდილო კორეის რკინიგზის ნაწილის რემონტისათვის 35 ათას ჯარისკაცს გააგზავნის.



ათასობით სამხრეთკორეელი მოქალაქე შეუერთდება ამ სამუშაოს, რომლებიც ამნისტირებულნი იქნებიან შერიგების კვირეულთან და დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. სხვათა შორის, მათ შორის არის 1100 პოლიტიკური პატიმარი — შპიონაჟისათვის ან კიდევ უბრალოდ, ჩრდილო კორეის მიმართ სიმპათიისთვის გასამართლებული.

**კომსომოლსკაია პრავდა №151**

# კოლი დამნაშავეა, მაგრამ... დამნაშავე არ არის



ბონის პროკურატურამ სამხილის უქონლობის გამო დახურა სისხლის სამართლის საქმე გერმანიის ყოფილი კანცლერის ჰელმუტ კოლის წინააღმდეგ, დანაშაული არც კოლს უღიარებია. ერთადერთი სასჯელი გახლავთ ის, რომ გერმანიის გაერთიანების მამამთავარი სიტყვით ველარ გამოვა ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღნიშვნის 10 წლისთავზე. ძნელი წარმოსადგენია ბონელ პროკურორებს არ განეჭვრიტათ კოლის წინააღმდეგ აღძრული საქმის ასეთი დასასრული, მაგრამ გამოძიება მაინც ბოლომდე მიიყვანეს. მხოლოდ ახლა ხდება გასაგები, რა მოხდა და ვის სჭირდებოდა ეს. მართალი რომ ითქვას, არავის! კანცლერ შრედერს არ სურდა კოლის პოლიტიკური განადგურება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კოლი ამ დროისთვის ისედაც წასული იყო პოლიტიკიდან ქდპ-ის „საპატიო თავმჯდომარის“ ტიტულით; თანაც სოციალ-დემოკრატებიდან არავინ ედავება კოლს მისი მთავარი საქმის — გერმანიის გაერთიანების გამო (ამის წინააღმდეგ უამრავი ანონიმური წერილი დაიწერა, მაგრამ, ლიტერატორ გუნთერ გრასის გარდა, არავის არაფერი გამოუქვეყნებია).

ჰელმუტ კოლი გერმანიის პოლიტიკური ოლიმპის ერთგვარი იური დეტოჩკინი (კ/ფ „ერიდეთ ავტომობილს“გმირი) გახდა. რასაც იგი აკეთებდა, იმას კორუფციას ვერ დაარქმევთ. მას პარტიული სალაროდან ერთი პფენინგიც არ მიუთვისებია. პირიქით, გულმოდგინედ აგროვებდა საწევროებს საყვარელი პარტიისთვის. კრინტი არ დაუძრავს პარტიის ანონიმურ დონორებზე და ფაქტობრივად, მათ ანაცვალა თავისი პარტიული რეპუტაცია. და კიდევ, ამტყდარი სკანდალის ჩასაჩუმებლად გადაიხადა საკუთარი 700 ათასი მარკა და მეგობრების მიერ შეგროვილი 8მლნ მარკა. კოლი ბოლოს დაეთანხმა ბონის პროკურატურის უკანასკნელ ვერდიქტს — უნდა გადაიხადოს 200 ათასი მარკა.

**„ნოვიე იზვესტია“ №150**

# უკრაინა სავიზო რეჟიმისთვის ემზადება

უკრაინას ჯერ ოფიციალურად არ განუცხადებია, მაგრამ რუსმა ჩინოვნიკებმა უკვე აღიარეს, რომ გაისიდან უკრაინამ შესაძლოა რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი შემოიღოს.

ამის თაობაზე პრესკონფერენციაზე განაცხადა რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს უფროსის მოადგილემ გენერალ-მაიორმა იგორ ხარკოვჩუკმა, რომელმაც ეს ინფორმაცია შეიტყო უკრაინის მთავრობის მაღალჩინოსანი წყაროსაგან. ამ წყაროს დასახელება ხარკოვჩუკმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

გენერალ-მაიორის თქმით, უკრაინას ნებისმიერ დროს შეუძლია თავის ქვეყანაში შესვლის პირობების შეცვლა.

ოფიციალური რუსეთის რეაქცია ამ საკითხთან დაკავშირებით, უცნობია.

**ვერსია №30**

# ჯარა-ექიმის რჩევანი



**მეტეორიზმს შველის.** ქრონიკული ყაბზობის (კუჭის შეკრულობის), კოლიტისა და მეტეორიზმის (მუცლის შებერვა გაზების დაგროვების შედეგად) დროს ძალიან კარგია მიიღოთ კვლიავის თესლის ნაყენი.

აიღეთ 1ს/კ კვლიავის თესლი, დაასხით 1ლ წყალი და ადუღეთ 30 წუთი. გაწურეთ და მიიღეთ 1ს/კ 3-4 ჯერ დღეში, როგორც გაზების გამომდევნი და კუჭში გამხსნელი საშუალება, 2-3 კვირის განმავლობაში. ორი კვირის შესვენების შემდეგ ისევ გაიმეორეთ პროცედურა.

**რადიკულიტს შველის.** აიღეთ 350 გ 3-5 წლის ალოეს ფოთლები (სანამ ფოთლებს მოჭრიდეთ, არ მორწყოთ 5 დღის განმავლობაში), გაატარეთ ხორცსაკეპში და მიღებულ ფაფას დაუმატეთ 625 გ მაისის ნატურალური თაფლი, 675 გ მაგარი წითელი ღვინო. კარგად აურიეთ და 5 დღე დადგით მშრალ და ბნელ ადგილას. მიიღეთ ეს ნარევი პირველ 5 დღეს 1ჩ/კ დღეში 3-ჯერ ჭამამდე ერთი საათით ადრე. შემდეგ დღეებში კი 1ს/კ 3-ჯერ დღეში. მკურნალობის ვადა 2-3 კვირიდან თვენახევრამდეა.

**სამკურნალო მალამოები.** ამ მალამოებს ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო და ანტიმიკრობული თვისებები. ძალიან სწრაფად ახორცებს ჭრილობებს.

1. ხორცსაკეპში გატარებული მრავალძარღვას ფოთლებს შეურიეთ ვაზელინი 1X8;

2. ხორცსაკეპში გატარებულ მრავალძარღვას ფოთლებს შეურიეთ ატმის ზეთი 1X9.

**ხილ-კენკრის ნიღბები.** ზაფხულის სიცხეში ჩვენი სახის კანსაც სჭირდება წყალი. იმისათვის, რომ ნაზი და ხავერდოვანი კანი, გვქონდეს საჭიროა ვიხმაროთ დამატენიანებელი კრემები. გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ ზაფხულობით ვიხმართ ხილისა და კენკრის ნიღბებს.

აიღეთ 2-2 სუფრის კოვზი ატმის, გარგარის, შავი მოცხარის, ხენდროსა და კივის რბილობები, დაამატეთ ცოტა კარტოფილის სახამებელი, კარგად აურიეთ და 20 წუთით წაისვით სახეზე. ჩამოიბანეთ გადადუღებული ან გაფილტრული წყლით.

ეს პროცედურა ჩაიტარეთ კვირაში ერთხელ. კარგი იქნება, თუ პერიოდულად წაისვამთ სახეზე ხურტკმლის, ყურძნის ან ახალი კომბოსტოს წვენს.

**მოცვი.** ცისტიტის დროს იყენებენ შტოშსა და მოცვს. ნიუ-ჯერსის უნივერსიტეტის მეცნიერთა მონაცემების თანახმად, სასურველი ეფექტის მისაღწევად საკმარისია დღეში ერთი მუჭა მოცვის ჭამა ან შტოშის ერთი ჭიქა ნატურალური წვენის დალევა.

მოცვი ასევე შესანიშნავი საშუალებაა სკლეროზის წინააღმდეგ — საკმარისია დღეში ერთი ჭიქა კენკრის მირთმევა.

მოცვი ხსნის თვალების დაძაბულობას. ლურჯი მოცვისგან განსხვავებით, ჩვეულებრივი მოცვი დიდი რაოდენობით შეიცავს ანტიციანებს, რომელიც თვალის ბადისებრი გარსის სისხლძარღვებს ამაგრებს.

**ვაშლი** შესანიშნავი სამკურნალო საშუალებაა როგორც შეკრულობის წინააღმდეგ — ცოცხალი სახით, ასევე აშლილობის დროს, შემწვარი ან ჩაშუშული სახით.

**სისხლძარღვები თუ დაგისკდათ,** მიეძალეთ ტყის ნებისმიერ კენკრას, აგრეთვე ალუბალსა და ციტრუსებს. ისინი მდიდარია იმ ნივთიერებებით, რომელიც ამაგრებს კაპილარების უთხელეს კედლებს და ამ გზით თავიდან აგაცილებთ მცირე სისხლჩაქცევას.

**ანემიით** დაავადებულებმა უნდა მიირთვან, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით ხილის ჩაი. სულ 3 ცალი ლეღვი და 10 შავი ქლიავი შეავსებს ორგანიზმს რკინის ერთი დღის მარაგით. მაგრამ გაითვალისწინეთ, ნაყოფი უნდა მიიღოთ C ვიტამინთან ერთად — მაგალითად, ნებისმიერი ციტრუსით.

**შავი ქლიავი და ძეშმიში** სხვა ნაყოფზე უკეთესი საშუალებაა კიბოს პროფილაქტიკისათვის. საპატიო სიაში შემდეგ ადგილზე არიან: მოცვი, მაყვალი, ჟოლო, ჩვეულებრივი ქლიავი, ფორთოხალი, წითელი ყურძენი და ალუბალი.

ყველა სხვა სიკეთესთან ერთად **ლეღვი** კალციუმის მაღალი შემცველობის წყალობით შესანიშნავად ამაგრებს ძვლებს.

**ნაცრისფერი სახის კანი** გაცილებით სასიამოვნო ფერს მიიღებს, თუ მარწყვს მიეტანებით. ვისაც ცხიმიანი სახის კანი აქვს, ვურჩევთ, გაიკეთოს მარწყვის ნიღაბი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მარწყვის მოყვარულებს, როგორც წესი, ძალიან თეთრი კბილები აქვთ.

**ბანანი** ამშვიდებს გაღიზიანებულ ადამიანს, შველის სისუსტეს, აღადგენს სისხლში შაქრის ბალანსს. იგი შეიცავს დიდი რაოდენობით $B_6$ ვიტამინს, რაც დეპრესიის წინააღმდეგ უებარი საშუალებაა.

**გულით დაავადებულთათვის** ყველაზე სასარგებლოა ავოკადო, მსხალი, მაყვალი — ისინი შეიცავენ დიდი რაოდენობით E ვიტამინს, რაც ხელს უშლის არტერიის დაცრობას.

## იხუმრეთ!

მედიკოსები გვთავაზობენ დაბნეულობის, დაძაბულობისა და სტრესულ მდგომარეობასთან ბრძოლის მარტივ ხერხს. ისინი თვლიან, რომ ყოველივე ამას შეიძლება თავი დავაღწიოთ ანეკდოტებით. „იკითხეთ, რაც შეიძლება ბევრი სასეირო ამბავი, არ შეგრცხვეთ, თავადაც მოჰყვეთ სასაცილო თავგადასავალი ან ანეკდოტი,“ — გვირჩევენ ფსიქოლოგები.

თავის ტვინის მუშაობის გასაუმჯობესებლად ასევე გვირჩევენ: ზეპირად დავისწავლოთ ტელეფონის ნომრები, არ გამოვიყენოთ კალკულატორი, სეირნობის დროს ვცვალოთ მარშრუტი, რეგულარულად გადავაწყოთ თაროებზე წიგნები და კარადაში შევუცვალოთ ადგილი ტანსაცმელს.

ყოველგვარ დაავადებას შევებრძოლებით, თუ ყოველდღიურად მივიღებთ ხილსა და ბოსტნეულს. უარს ვიტყვით სიგარეტსა და ალკოჰოლზე.

დაბოლოს, თუ უმადობა გაწუხებთ, სასურველია მიიღოთ სამკურნალო ბალახების ნაყენი.

*ეხო პლანეტი №30*


SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“),
მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# უნდა სარძევე კბილებს მკურნალობა?



ძალიან ხშირად, ზრდასრული ადამიანიც კი, კარიესის გაჩენის დროს სტომატოლოგთან ვიზიტს ერიდება — ხან ფულის, ხან უდროობას იმიზეზებს. მსგავსი საქციელი პირველ რიგში აიხსნება ამ საკმაოდ უსიამოვნო პროცედურის გადადების სურვილით. ზუსტად აქ არის დამარხული ძაღლის თავი — არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სტომატოლოგთან მისვლის გადადება, განსაკუთრებით მაშინ, თუ კარიესი ბავშვებს აქვთ. რით არის საშიში დაავადებული სარძევე კბილი? საქმე ის გახლავთ, რომ კარიესი ბავშვებში ძალიან მალე ვითარდება. თავიდან არაჯანსაღი კბილის ზედაპირზე ჩნდება თეთრი ლაქა, რომელიც წარმოიქმნება მიკროორგანიზმის წყალობით და კბილზე გამოიყოფა ორგანული მჟავები. ეს მჟავები შლის მინანქარს. თუ ირღვევა კბილის სტრუქტურა, დესტრუქციის პროცესი შეიძლება განვითარდეს კბილის უფრო ღრმა სტრუქტურაზე — დენტინზე. ამიტომ, მკურნალობა დროულად უნდა დაიწყოს. თუ ბავშვს თუნდაც სულ ერთი ციცქნა ხვრელი აქვს კბილზე, ეს იმას ნიშნავს, რომ პირის ღრუში მას მუდმივი ინფექციის წყარო აქვს, რომელიც ძალზე საშიშია — რადგან ორგანიზმის ჯანმრთელობაზე მოქმედებს. განსაკუთრებით ეს ეხება ნივთიერებათა ცვლის სისტემას. ხანდახან მშობლებს უკვირთ, რატომ ცივდება ჩვენი შვილი ბოლო დროს ხშირადო. სინამდვილეში ეს დაავადებული კბილი პროვოცირებს ცხვირხახის ანთებით პროცესს. თანაც, ნათელია, რომ დაჭიანებულ კბილს ტკივილები მოჰყვება, იგი შესაძლოა ღრძილების ანთებაშიც გადავიდეს და მაშინ საჭირო გახდება კბილის ამოღება. მაგრამ, პრობლემა ის არის, რომ ბავშვს ბუნებამ სახისა და ყბების ძვლების ფორმირების გრაფიკი დაუწესა. და თუ კბილს ძალიან ადრე ამოვუღებთ, მის ადგილას შეიძლება ამოვიდეს მახინჯი მუდმივი კბილი და თუ პირის ღრუში რამდენიმე კბილი არ არის, მაშინ ხდება ლუკმის არასწორი მოკბეჩა და ძნელდება საკვების ღეჭვა. ამიტომ, საკითხი იმის შესახებ, ვუმკურნალოთ თუ არა ბავშვის სარძევე კბილს, აღარ უნდა აღიძრას — რა თქმა უნდა, უნდა ვუმკურნალოთ და რაც შეიძლება მალე!

*ლიზა №33*

# „დასავლეთ ნილოსის“ ვირუსი დაბრუნდა

ნიუ-იორკი შეშლილთა ქალაქს ემსგავსება, ხალხი ქუჩებში ნაკლებია. მშობლები შვილებს შინიდან არ უშვებენ. ფანჯრებზე დამცავი ბადეები აუკრავთ. კოღოების საწინააღმდეგო დეზოდორების დახლებთან რიგები დგას. სტუმრად მისულს, ჯერ ასეთ დეზოდორს მოგასხურებენ, ხოლო შემდეგ გულითადად შეგიპატიჟებენ შინ. ამაში დამნაშავე გახლავთ ენცეფალიტური ვირუსი „დასავლეთი ნილოსი“. ამ ვირუსმა შარშან შვიდი ნიუ-იორკელის სიცოცხლე შეიწირა. იგი შემოიტანეს ფრინველებმა, რომლებიც ნილოსის ნაპირებზე იზამთრებენ. მათ „ნიუ-იორკელი“ კოღოები კბენენ და შემდეგ ვირუსი ადამიანებზე კბენით გადააქვთ. წლეულს, როგორც ჩანს, ვირუსის არეალი ნიუ-იორკს გასცდა.

ბოსტონში იპოვეს „დასავლეთ ნილოსის“ ვირუსის მატარებელი რამდენიმე მკვდარი ფრინველი. ექიმების ვარაუდით, ვირუსი ჯანმრთელი ადამიანებისათვის საშიში არ არის, მაგრამ საკმარისია უქეიფოდ მყოფ ადამიანს უკბინოს ვირუსის გადამტანმა კოღომ, რომ მას უმალ ეწყება კუნთების სისუსტე და ციებ-ცხელება. უარეს შემთხვევაში კი, ვირუსი მძიმე ნერვულ დაავადებასა და სიკვდილსაც კი, იწვევს. ბრძოლა ხალხსა და ვირუსის მატარებლებს შორის სულ უფრო მძაფრდება.

*ნიუ ზუიქი*

# მომავალო დედებო! მეტი იმოძრავეთ!!!



ტრადიციული მოსაზრებით, ინტენსიური ფიზიკური ვარჯიშები ზრდის დროზე ადრე მშობიარობის რისკს.

მაგრამ, ამერიკელი მეცნიერები საწინააღმდეგოს გვიმტკიცებენ. მათი თქმით, ფეხმძიმე ქალებს, რომლებიც ზომიერ ფიზიკურ დატვირთვას იღებენ, ნორმალური და დროული მშობიარობის მეტი შანსი აქვთ, ვიდრე მათ, რომლებიც ნაკლებად მოძრაობენ და ფიზიკურ დატვირთვასაც ერიდებიან.

სპეციალისტთა აზრით, ინტენსიურად ითვლება ის ვარჯიშები, რომელთა შესრულების დროს კვირაში 1.000 კალორიაზე მეტი იწვის. ამ შედეგამდე მივყავართ, მაგალითად, მთელი კვირის მანძილზე სამსაათიან აერობიკას, 5 საათი ველოსიპედით სიარულს, 9-12 საათის განმავლობაში სუფთა ჰაერზე სეირნობას. არ დაგავიწყდეთ: საათების რაოდენობა მთელ კვირაზე უნდა გადანაწილდეს.

*ოტდოხნი №27*

# ფაქიზი გენეტიკა

მომავალში ადამიანი გენურ ინჟინერიას გვერდს ვერ აუვლის. გენეტიკა ჭირვეული, თავისებური, გაუთვალისწინებელი და დიადია — აცხადებენ მეცნიერები. გენეტიკა ჩვენს ცხოვრებაში ახალ ჰორიზონტებს ხსნის. 1. სხვადასხვა ბოროტმოქმედების მიზეზი ადამიანის გენში უნდა ვეძებოთ. მომავალში გენეტიკური ინფორმაცია იქნება გათვალისწინებული განაჩენის გამოტანისას. ავსტრიის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლემ მაიკლ კერზიმ ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე განაცხადა, რომ „ადამიანის გენის“ პროექტის წყალობით კაცობრიობას სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შექმნა დასჭირდება. სხვათა შორის, გენეტიკურად მამაკაცები უფრო არიან ძალადობისაკენ მიდრეკილნი, ვიდრე ქალები.

ფინელმა ბიოქიმიკოსებმა ადამიანის ზურგის ტკივილში გენი-მუტანტი დაადანაშაულეს. იგი ხერხემლის დისკოს შიგნით ცვლის კოლაგენის ნაწილის შემადგენლობას და კარგავს სიმძიმის ტარების უნარს. ეს აღმოჩენა დაეხმარება ექიმებს, დროულად გაარკვიონ პაციენტის მიდრეკილება.

ერთნი ტრავმის მიღების დროს ოდნავ წამოყვირებით რეაგირებენ, სხვები კი, ტკივილისგან იკრუნჩხებიან... თურმე, ეს ყველაფერი დამოკიდებულია ერთ გენზე, რომელიც ორგანიზმში ტკივილის გრძნობას აკონტროლებს. ამერიკელ მეცნიერთა აზრით, ეს აღმოჩენა დაეხმარება ექიმებს, პაციენტს გამოუწერონ ტკივილისადმი მგრძნობელობის შესაბამისი წამალი. რაც გაუადვილებს ადამიანს ცხოვრებას. ასე რომ, ტკივილი გენეტიკურად რეგულირებადი პრობლემაა. დააკვირდით, მიკრობიდან ადამიანამდე — საერთოდ ყველა ცოცხალი არსება პლანეტაზე დროს გენეტიკური „საათის“ მიხედვით არკვევს, რომელიც ცხოვრების რითმს განსაზღვრავს. შვეიცარიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ორგანიზმში უამრავი „საათია“ და მის თითოეულ უჯრედს ღვიძლში, თირკმელში თუ კანში აქვს თავისი პატარა გენური „ქრონომეტრი“. მთავარი „კურანტები“ თავის ტვინშია. მათი წყალობით გვძინავს და გვღვიძავს საჭირო დროს. ისინი არეგულირებენ არტერიულ წნევას და სხეულის ტემპერატურას, გულის, კუჭის, ნაწლავის, საშარდე ბუშტის და სხვა ორგანოების მუშაობას. ჩადებულია დღისა და ღამის პროგრამა. თვალის ბადის უჯრედების წყალობით, რომელიც სინათლეზე რეაგირებს, ორგანიზმი „მზის მიხედვით ცხოვრებას“ იწყებს. თუმცა, უჯრედები მზის გარეშეც მოწესრიგებულად ცხოვრობენ. ჟენევის ბიოლოგებმა ვირთხებზე ჩატარებული 25 წლიანი ექსპერიმენტის შედეგად დაადგინეს: ვირთხის ღვიძლს, იმის მიუხედავად, რომ ამ ხნის მანძილზე უსინათლოდ არსებობდა კოლბაში, თავისი „საათი“ ჰქონდა.

ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს გენი, რომლის უქონლობა თაგვებში ალკოჰოლის მიმართ ლტოლვას აქვეითებს. იდენტური გენის პოვნას ადამიანშიც მოელიან.

*ზდოროვიე №4*

# ტესტი: როგორი ნერვული სისტემა გვაქვს?

**ამ ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ნერვული სისტემისა და ორგანიზმის ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობას შორის ძალიან მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებაა. ნერვული სისტემა აკონტროლებს ტვინში მიმდინარე ყველა ცნობიერ თუ არაცნობიერ პროცესს, იღებს და აანალიზებს ინფორმაციებს, ხოლო შემდეგ შესაბამისი მოქმედებით პასუხობს.**

**ის ძალზე ფაქიზი და მგრძნობიარეა. რეაგირებს, როგორც გარემოს სხვადასხვა ზემოქმედებაზე, ასევე ორგანიზმში მიმდინარე ამა თუ იმ უსიამოვნებასა და დისკომფორტზე.**

**ჩვენ გთავაზობთ იმ ფაქტორთა ჩამონათვალს, რომელთაც მარტივად შეუძლიათ ნერვულ სისტემაზე დამანგრეველი ზემოქმედების მოხდენა.**

1. თუ დაძაბული რეჟიმით ცხოვრობთ, საკმაოდ ხშირია ნერვული აღგზნებადობა და სტრესი;

2. თუ ხშირად ავადმყოფობთ ინფექციური პათოლოგიებით, მათ შორის გრიპით, სასუნთქი სისტემის სხვადასხვა ანთებითი პროცესით,. ვირუსებისა და ბაქტერიების არსებობა ორგანიზმზე ზოგად ინტოქსიკაციურ (მოწამვლა) გავლენას ახდენს. ისინი პირველ რიგში ნერვულ უჯრედებს უტევენ და ამ დროს გამოვლენილი საერთო სისუსტე, თავისა და სახსრების ტკივილი, ძლიერი ოფლიანობა სწორედ ამის მიმანიშნებელია;

3. შესაძლოა ინფექცია ორგანიზმში ჩუმადაც არსებობდეს. გაფრთხილდით თუკი აღგენიშნებათ: კბილების კარიესი, ნუშისებრი ჯირკვლების ანთება, ჰერპესული გამონაყარი, ჰაიმორიტი და სხვ.

4. თუ გაქვთ მიდრეკილება ძირმაგარებისაკენ, შესაძლოა ერთ-ერთი მათგანი, გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, თქვენთვის სახიფათოც კი აღმოჩნდეს;

5. თუკი თქვენი საქმიანობა ან გატაცება თავის ტვინის ხშირ ტრავმასთან არის დაკავშირებული, ამან შესაძლოა ნერვულ სისტემაში სერიოზული ცვლილებები გამოიწვიოს, რადგანაც ტვინის სისხლძარღვები ძალიან სუსტია და პირველ რიგში ისინი ზიანდება;

6. მნიშვნელოვანია უკვე მივიწყებული ხერხემლის სხვადასხვა ნაწილის ტრავმა. მაგ., კიდურების, რომელიც შესაძლოა რამდენიმე წლის შემდეგ თავის ტკივილითა და სხვადასხვა დისკომფორტით გამოვლინდეს;

7. თუ ხშირად გიხდებათ მზეზე დიდხანს ყოფნა, ხანგრძლივი დასხივება, ეს თქვენ ნერვულ სისტემაზე აუცილებლად გამომჟღავნდება.

**ზემოაღნიშნულ ტესტში ჩამოთვლილ ფაქტორთაგან თუნდაც ორის არსებობა, თქვენი ნერვული სისტემის მდგრადობისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს.**

## დაკარგული სამოთხე

თავისუფლება რჩეულთა ხვედრია... დამოუკიდებლობა კი ერისა და ქვეყნის არსებობის ქვაკუთხედი, რომლის მოსაპოვებლად ბრძოლაა საჭირო. რუსეთის რევოლუციის წყალობით „ნაჩუქარი“ დამოუკიდებლობა ჩვენმა ქვეყანამ 1921 წელს დაკარგა. საქართველოს მაშინდელ მთავრობას ძვირად დაუჯდა წითელი რუსეთისადმი ნდობა. ქართველ სოციალ-დემოკრატებს ბრმად სწამდათ რუსი თანამოძმეებისა და ამან დააკარგვინა ჩვენს ქვეყანას საუკუნეების მანძილზე ნაოცნებარი — თვითმყოფადობა.

**რემონ დიუგე, ფრანგი მწერალი**: „საქართველოს მთავრობა რუსეთის ბოლშევიკურ პარტიასთან ყველა დათმობაზე მიდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში მოკალათებული 300 კაციანი საბჭოთა დელეგაცია პროპაგანდისტებისა და ჯაშუშების ნამდვილი ბუდე იყო და არსებობდა მათი ინტრიგების უდაო საბუთები, საქართველოს მთავრობა ვერაფერს ხედავდა. ამ მთავრობას არც წითელი ჯარის მიერ საქართველოს დაპყრობის, ხოცვა-ჟლეტისა და ქვეყანაში დატრიალებული უბედურების შემდეგ ახელია თვალი... ნურავინ შემედავება — სამმილიონიანი საქართველო უძლური იყო მტერს გამკლავებოდა, არ შეეძლო დიდი რუსეთიდან მოსული ურდო დაემარცხებინაო... ქართველმა მეომრებმა მარტო მოახერხეს უკუეგდოთ მტერი. წითელი არმია თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. საქართველოს მთავრობის ბრძანება რომ არა — შეეწყვიტათ მტრის დევნა. ეს მოსკოვის თხოვნით მოხდა“.

ამის შემდეგ იყო გმირული ბრძოლები, სამშობლოსთვის დაღვრილი სისხლი, ტაბახმელას გმირების სიმამაცე, თბილისის სამხედრო სკოლის კურსანტების ვაჟკაცობა, მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა... წითლები თბილისს მოადგნენ.

***კოტე იმნაძე, ნოე ჟორდანიას ადიუტანტი:* „1921 წლის 24 თებერვალი. 8 საათი. მთავრობის თავმჯდომარემ პოლკოვნიკ გედევანიშვილს ფრონტის მდგომარეობის გაშუქება მოსთხოვა. ღენერალი კვინიტაძე კედლის რუკას მიუბრუნდა და ჩაილაპარაკა „ქსიო რავნო“_ „ია ოტსტუპაიუ!“ ასე ურყევი გადაწყვეტილების აუცილებლობა მთავარსარდალმა სათანადოდ დაასაბუთა. ღენერალმა ოდიშელიძემ წინააღმდეგობა გაუწია: უმჯობესია თბილისის წინ სასახელოდ დავიხოცოთო... ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს ამცნო გადაწყვეტილება (რომ ჯარს უკან უნდა დაეხია).**

**გრიგოლ ვეშაპელი წინააღმდეგია.**

**ნოე ჟორდანია: — ასეთია მთავარსარდლის ურყევი გადაწყვეტილება. თუ არ მოგწონთ, მას გადავაყენებ და თქვენ დაგნიშნავთ ან სხვა ვინმეს, ვისაც ინებებთ...**

**სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა“.**

1921 წლის 16 მარტს დამფუძნებელმა კრებამ ბათუმში გამართა უკანასკნელი სხდომა. მთავრობას დაავალა, დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია და უცხოეთიდან გაეგრძელებინა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის.

17 მარტს ჟორდანიას მთავრობა გემით გაემგზავრა საფრანგეთში. იქ ჩასულებს ოფიციალურ პირთაგან არავინ დახვედრიათ. ეს ცუდი ნიშანი იყო, ისინი მიიღეს, როგორც კერძო პირები.

## წითელი ერა

ამის შემდეგ თბილისში მოდის ბოლშევიკების მიერ არჩეული მთავრობა, რომელიც ერის მოღალატეებისაგან შედგება. ისინი წითელ ჯარს ჩამოჰყვნენ რუსეთიდან. „დამპყრობთა შემოსვლას დედაქალაქი სამარისებური სიჩუმით შეხვდა, ქართველი ხალხი ქუჩებიდან გაქრა, სახლებში ჩაიკეტა“ მოგვითხრობს ფრანგი მწერალი.

ბოლშევიკებმა მასობრივი რეპრესიები დაიწყეს. საპასუხოდ იქმნება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. იწყება ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ამის გამო უფრო მეტ სისასტიკეს მიმართავენ წითლები. იჭერენ ყველა ეჭვმიტანილს. „აწამებენ განურჩევლად ყველას — თავადს, აზნაურს, სტუდენტს, მუშას, გლეხს, ვინც კი ხელთ ჩაუვარდებათ. პატიმრებს, რომლებიც უარს ამბობენ ჩვენების მიცემაზე, თავზე რკინის რკალს აცმევენ და ნელ-ნელა უჭერენ — ამგვარად ათასობით ქართველი აწამეს, ბევრი დაიღუპა, ბევრიც გაგიჟდა,“ — წერს რემონ დიუგე.

***თვითმხილველთა მონათხრობიდან:* „საკნებში ჩაკეტილმა პატიმრებმა უკანასკნელ წუთამდე არ იციან, რა მოელით. შუაღამისას, ორ თუ სამ საათზე მათ აღვიძებენ. ჩეკისტების უფროსს (ხშირად მთვრალს) ხელში სიკვდილმისჯილი ტუსაღების სია უჭირავს. პატიმრები თითო-თითოდ გადიან საკნიდან. კართან მათ ჯალათები ელიან, თავში მათრახს ურტყამენ, ტომარაში აგდებენ და მანქანებით მიჰყავთ. დახვრეტილების ჩასაყრელად უკვე გამზადებულია თხრილები. სიკვდილმისჯილებს თხრილის წინ აწკრივებენ. თითოეულს კეფაში დიდი კალიბრის რევოლვერს უმიზნებენ. ზურგიდან ესვრიან, ასე დახვრეტილთა ცნობა შეუძლებელია.**

**ზოგჯერ პატიმრები უარს ამბობენ საკნიდან გამოსვლაზე. მაშინ იწყება ბრძოლა შეიარაღებულ ჩეკისტებსა და პატიმრებს შორის. საკანი სასაკლაოდ იქცევა. მოკლულთა შორის ხშირად ჩეკისტებიც არიან.**

**თბილისის უნივერსიტეტის ხუთ ფაკულტეტზე ლექციები ქართულ ენაზე იკითხებოდა. რექტორი ივანე ჯავახიშვილი ბოლშევიკებმა უნივერსიტეტიდან გააძევეს. პედაგოგებს აიძულებენ, ლექციები რუსულ ენაზე ჩაატარონ. ასეთმა ცინიკურმა მოპყრობამ სტუდენტები აღაშფოთა. აღელვებული ახალგაზრდების დასაშოშმინებლად უნივერსიტეტში წითელი რაზმები შედიან. მოკლულია 13 კაცი, დაიჭრა 60-ზე მეტი.“**

***ფრანგი მოქალაქის ნაამბობი:* „1924 წლის 15 იანვარს, ღამის თორმეტის ნახევარზე ჩემთან, თბილისის ბინაში, ჩეკას გამომძიებელი და ერთი აგენტი მოვიდნენ. მე და ჩემი ცოლი ვიწექით. დაგვიჭირეს. მიუხედავად იმისა, რომ კანონით აკრძალულია უცხოელის ბინაში ჩხრეკის წარმოება, გვჩხრეკენ და ჩემს კუთვნილ რამდენიმე ათას ფრანკს იჯიბავენ, მართმევენ საბუთებს. ამაოდ ვეხვეწები, შინ დატოვონ ჩემი ავადმყოფი მეუღლე. ორივენი სადღაც მივყავართ... ჩემი ცოლი შეიყვანეს საკანში, სადაც იმყოფებიან კარგი ოჯახის ქალებიც და კახპებიც. მე გამომკეტეს მომცრო ოთახში, სადაც იატაკზე იწვა ყოველგვარი ჯურის 32 მამაკაცი — ოფიცრები, სალდათები, ქურდები, მოძალადეები... ძლივსძლივობით მოვახერხე იატაკზე ადგილის შოვნა. ორი საათის შემდეგ რწყილებით ავივსე... 15-ჯერ დამკითხეს თბილისის ჩეკაში. მბრალდებოდა ჯაშუშობა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ. ჩემს ცოლს კი**



მარჯვნიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილი, გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე, ალექსანდრე სულხანიშვილი და ელიზბარ ვაჩნაძე. თურქეთში გადასვლისას, 1924 წელი.

## 29 აგვისტოს აჯანყება მთელ საქართველოში ერთდროულად უნდა დაწყებულიყო...

**დააბრალეს საფრანგეთის კონტრდაზვერვის დავალებით, ჩემთვის კონსტანტინოპოლიდან 60 ათასი ფრანკის ჩამოტანა. ამაოდ ვცდილობდი გამეგებინებინა, რომ ბრალდებები უსაფუძვლო იყო. ჩეკას გამომძიებელი ხან იღიმებოდა, ხან სიკვდილით მემუქრებოდა, ხან კი რევოლვერს მაბჯენდა შუბლზე.**

**ცოლის გამხნევებას წერილებით ვცდილობდი. ორჯერ მივაწვდინე ბარათი. მესამე წერილი ჩეკისტებს ჩაუვარდათ ხელში. დამსაჯეს. ბნელ და ღრმა სარდაფში ჩამკეტეს, რომელსაც იატაკი არ ჰქონდა. აგურის კედლები სინესტისაგან სველი იყო. დილეგი რომ უფრო ცივი ყოფილიყო, სოხანეს განგებ ასველებდნენ. ერთმა ჩეკისტმა პალტო და კაშნე წამართვა. ცოტა ხანიც და ახალგაზრდა კაცი შემოიყვანეს. ვესაუბრე და დავრწმუნდი, დამსმენი იყო. კუთხეში მივჯექი და დაძინება ვცადე. შუაღამისას კარზე ფეხის დარტყმისა და ყვირილის ხმა მოისმა. ზედამხედველმა რევოლვერი ამოიღო და რამდენჯერმე დამარტყა. დამიმიზნა, სახეში უნდა ესროლა, მაგრამ რაღაც უცნაურმა ძალამ ბანდიტს შუათითი გაუშეშა... რამდენიმე თვეში მე და ჩემი ცოლი — ჩონჩხადქცეული საბრალო არსება, მოსკოვში გადაგვიყვანეს. რამდენიმე წლის შემდეგ გაგვათავისუფლეს, როცა საქმეში საფრანგეთის ელჩი ჩაერია.“**

## ბოლშევიკებმა ცასაც შეუტიეს

წითლებმა ხალხის დევნის ახალ ფორმას მიაგნეს — რელიგიაზე მიიტანეს იერიში. სასულიერო პირებს წვერისა და ანაფორის ტარება აუკრძალეს. მღვდლების უმრავლესობა გადაასახლეს და ციხეებში გამოამწყვდიეს. თბილისის სამხედრო ეკლესია კომკავშირის მთავარ კლუბად გადააკეთეს. ზოგიერთი გაპარტახებული ტაძარი კერძო ბინებად აქციეს, ზოგი — თეატრად, ზოგი კი კოოპერატივად. თურმე თბილისში, ერთი ეკლესიის წინ, ლენინის ქანდაკება დადგეს. ტროცკიმ ქალაქში სეირნობისას ამ ეკლესიის წინ გაიარა. ზარები რეკდნენ. ტროცკის არ ესიამოვნა, — ან ძეგლი უნდა დარჩეს, ან ეკლესიაო, — გამოიტანა განაჩენი. რამდენიმე საათში ეკლესია დახურეს. მერე კი დაანგრიეს.

***შალვა ამირეჯიბის* (დამფუძნებელი კრების წევრი) მონათხრობიდან: „მე-8 საუკუნეში მოწამებრივად აღსრულებული არგვეთის მთავრების — წმ. დავითისა და წმ. კონსტანტინეს ნეშტი მოწამეთას მონასტერში განისვენებდა. გადმოცემით — ამ ორი ნეტარი წმინდანის სხეულები ხელუხლებელი იყო. კომუნისტებმა მათი სხეულის ნაწილების შეურაცხყოფა განიზრახეს. ჩეკამ და კომკავშირელებმა მონასტრისკენ მიმავალი ყველა გზა წითელ რაზმებს გადააკეტინეს. ბერებმა მონასტრის კარი გამოკეტეს. მათ არ უნდოდათ წმინდა ადგილის შეურაცხყოფასა და მკრეხელობაში მონაწილეობა და მოწამეთა დატოვეს. კომუნისტებმა კარი შეამტვრიეს და მონასტერში შეცვივდნენ. გახსნეს ორივე კუბო. ხელში აიღეს წმინდა დავითისა და წმინდა კონსტანტინეს სხეულის ნაწილები... ეს თავზარდამცემი კორტეჟი ქუთაისისკენ საბჭოების დროშების ფრიალით დაიძრა. ერთ-ერთ ბოლშევიკს, რომელიც მანქანაში იჯდა, ხელში ორივე წამებულის თავის ქალა ეჭირა. ერთმანეთს ურახუნებდა და გაჰკიოდა, — თუ წმინდანები არიან, დამსაჯონო!.. ხალხში აღშფოთებული შეძახილები ისმოდა, — შენ უკვე დასჯილი ხარ_ შეშლილხარ, ამ საშინელებას რომ სჩადიხარო. ამის გამო რამდენიმე კაცი მაშინვე დააპატიმრეს. ბოლშევიკებმა წმინდანთა ძვლები ყველას დასანახად გამოფინეს და მოსახლეობას უბრძანეს, ძვლების წინ ჩაევლოთ. ხალხმა დიდი მოწიწებით ჩაიარა წმინდანთა ნეშტთან. ხმა დაირხა: ნამდვილი ცხედრები ბერებმა საიმედო ადგილას გადამალესო. ხალხმა დაიჯერა და შვებით ამოისუნთქა“.**

ამ დროს თბილისში ურცხვი და აღმაშფოთებელი სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა — პატრიარქ ამბროსისთან ერთად ასამართლებდნენ მღვდლებს, რომელნიც ამბიონიდან მამაცურად იცავდნენ რელიგიას და სამშობლოს. პროცესზე დასწრება ვითომ თავისუფალი იყო, სინამდვილეში კი ბრალდებულები წარსდგნენ დაქირავებული ნაძირალების, ჩეკისტებისა და კომკავშირლების წინაშე. მათი „დანაშაული“ იყო — ეკლესიების დახურვისა და ძარცვის დროს არსებული რეჟიმისადმი წინააღმდეგობის გაწევა. ძვირფასი ნივთების გადამალვა, მაგრამ უფრო დიდი იყო პატრიარქ ამბროსის „დანაშაული“, რომელმაც გენუის კონფერენციის მონაწილეებს სთხოვა საქართველოს საქმეში ჩარევა.

ქართველმა ვექილებმა, რომლებიც წითელი რეჟიმის დამყარების შემდეგ სასამართლო პროცესებში აღარ მონაწილეობდნენ, სასულიერო პირთა დაცვა იკისრეს. 10 დღიანი წამების შემდეგ პატრიარქს (ამბროსის) მაინც სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს (რომელიც 9 წლის პატიმრობით შეუცვალეს, მოგვიანებით კი შეიწყალეს). ეკლესიის სხვა მსახურებს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯა. გაამართლეს მხოლოდ ქუთაისის მიტროპოლიტი ნაზარი. მაგრამ იგი 1924 წელს მაინც ვერ გადაურჩა დახვრეტას. მაშინ მიტროპოლიტი 70 წლისა იყო. ჯარისკაცებმა ვერ გაბედეს მისთვის დამიზნებით ესროლათ და ჰაერში გაისროლეს. მაშინ ერთი გაცოფებული ჩეკისტი ქალი მივარდა მოხუცს და უდანაშაულო მიტროპოლიტი სიცოცხლეს გამოასალმა.

ქართველი ხალხის მოთმინების ფიალა აივსო. მან აჯანყებისთვის დაიწყო მზადება

## „მტრები ჩვენი სახელის გატეხას შეეცდებიან...“

1922 წლიდან ბოლშევიკებმა მასობრივი დახვრეტები დაიწყეს. ატუსაღებენ ყველას. ვინც ციხეებში ვერ დაატიეს, რუსეთში ასახლებენ. განსაკუთრებული სისასტიკით ექცევიან ყოფილ სამხედრო პირებს. ბევრი მთაში იხიზნება და ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს უერთდება. მაგრამ ხალხი არ გატყდა, ბრძოლებში ქალებიც ჩაებნენ. წითლებმა წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწიეს. გამწარებულებმა ქაქუცას მშობლიურ კახეთზე იყარეს ჯავრი — საშინლად დაარბიეს. თან ყველანაირად ცდილობდნენ აჯანყების მეთაურის დისკრედიტაციას. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ამ ფანდსაც მიუხვდა ბოლშევიკებს და ხალხში ასეთი მიმართვა გაავრცელა: „საქართველოს შვილნო! ჩვენი მტრები შეეცდებიან ჩვენი მოქმედების გაშავებას და სახელის გატეხას: ისინი ჩვენს ბრძოლას ბანდიტობად და ავანტიურად მონათლავენ, მაგრამ თქვენა ხართ და დარჩებით პირველი მოწმე ჩვენი მოღვაწეობისა. თქვენ ხედავთ და მუდამ გეცოდინებათ, რასაც ემსახურებიან და რისთვისაც იღვწიან კახეთის რაზმები, რომელთაც მე ვხელმძღვანელობ!“



მარცხნიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილი შეფიცულებთან ერთად. პარიზი.

1924 წლის მაისში პარიზიდან ჩამოდიან ჯუღელი, ჩხიკვიშვილი და ცინცაბაძე. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა დაასკვნა, რომ გარეშე პირობები ხელს უწყობდა აჯანყების დაწყებას და ისღა დარჩენოდა, აჯანყების გეგმის განხორციელებას შესდგომოდა. გადაწყდა, რომ აჯანყება 17 აგვისტოს ბათუმსა და თბილისში ერთდროულად უნდა დაწყებულიყო, მაგრამ 7 აგვისტოს ვალიკო ჯუღელი ჩეკამ აიყვანა. ჩეკისტმა მოროზოვმა ჯუღელს აჩვენა აჯანყების გეგმა, რომელიც ვიღაც შინაურს გაეცა. სასოწარკვეთილმა პატიმარმა თვითმკვლელობა სცადა — ჯერ ალესილი კოვზით და შემდეგ ჟანგისგან შეჭმული ლურსმნით მარცხენა ხელის არტერია გადაიჭრა, მაგრამ მიუსწრეს და სიკვდილი არ დაანებეს. ჯუღელი ევედრებოდა ჩეკისტებს, — გამიშვით აჯანყების მეთაურებთან მოსალაპარაკებლადო. თან წერილს წერილზე გზავნიდა თანამებრძოლებთან, — აჯანყება გაცემულია და ხალხის ჩართვა წინასწარ წაგებულ საქმეში უაზრო მსხვერპლს გამოიწვევსო. მაგრამ ჯუღელს არავინ დაუჯერა. მიუხედავად იმისა, რომ მთავარსარდალ სპირიდონ ჭავჭავაძეს აღარ ჰქონდა გამარჯვების იმედი და ქაქუცა ჩოლოყაშვილიც ირწმუნებოდა, — გლეხები სანამ პურ-ღვინოს არ დააბინავებენ, აღარ გამოვლენ, ამიტომ ოქტომბერში გადავიტანოთ აჯანყებაო, დამკომმა მაინც გადაწყვიტა, რომ მთელ საქართველოში აჯანყება 29 აგვისტოს დაწყებულიყო.

მაგრამ, ერთი დღით ადრე, 28 აგვისტოს, აჯანყდა ჭიათურა.

***თვითმხილველი:* „საყვირების ხმამ შეარყია ყვირილის ხეობა. მთელი ქალაქი, ჭიათურის მუშები და ახლომახლო სოფლების გლეხობა ერთ მთლიან ნიაღვრად წამოვიდა და ეროვნული დროშების ფრიალით აცხადებდნენ საქართველოს გათავისუფლებას და დამოუკიდებლობის აღდგენას“.**

**სერგო ორჯონიკიძემ ძალ-ღონე არ დაიშურა თავისუფლებამოწყურებული თანამემამულეების დასაშოშმინებლად. ჯავშნოსანი მატარებლითა და თვითმფრინავით იქ დამსჯელი რაზმები გადაისროლეს.**

***თვითმხილველი:* „ჭიათურაში თავი მოუყარეს მათ, ვინც ხელში მოხვდათ, ბევრი ისეთსაც, ვისაც აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია და ჩაყარეს ვაგონებში, ვითომ თბილისს გასაგზავნად და მახლობელ სადგურ ყვირილასთან ტყვიამფრქვევებით დაცხრილეს ვაგონებში ჩაკეტილი ხალხი“.** დაიღუპა დაახლოებით 95 კაცი (ზოგი მონაცემით კი, დაღუპულთა რაოდენობა 150-ს აღემატებოდა).

ჭიათურის აჯანყება იმ დღესვე ჩაახშეს, მაგრამ მეორე დღეს აჯანყება მთელ საქართველოს მოედო. დუშეთი, სენაკი და მანგლისი აჯანყებულებმა ჩაიგდეს ხელთ. წითლებმა მანგლისში იარაღი დაყარეს და ტყეს შეაფარეს თავი.

თბილისიდან სასტიკი მითითებები მოდიოდა. ჩეკისტებს განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭათ. ყველა ქალაქსა და სოფელში იქმნებოდა ჩეკას საგანგებო, სამკაციანი განყოფილებები („ტროიკები“). დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტა. სიები წინასწარ შეადგინეს. მასში მითითებული იყო, რამდენი კაცი უნდა დაეხვრიტათ თითოეულ დასახელებულ პუნქტში — მთავარი იყო რაოდენობა და არა ბრალეულობა. სოფელ ბანძაში ჩეკისტების მიერ განსაზღვრულ დასახვრეტთა რაოდენობას 15 კაცი დააკლდა. 15 კაცი მეზობელ სოფლებში მოძებნეს, ჩაიყვანეს ბანძაში და იქ დახვრიტეს. აჯანყების დღეს ქუთაისში 10 მღვდელი დაიხვრიტა, სენაკში კი 300 ადამიანი.

როგორც ჩანს, აჯანყების დაწყების ამბავი ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მთავრობას არც სცოდნია. მავანნი ტყუილად აიმედებდნენ აჯანყებულებს — გარედანაც იქნება დახმარებაო. ამ აჯანყების დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნულ-დემოკრატების დაპირისპირებაც გამხდარა.

28 აგვისტოს ბედენის მთაზე დამკომის თავმჯდომარემ კ. ანდრონიკაშვილმა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს აჯანყების დროშა გადასცა. იმ ღამეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ბანაკში 600 მეომარს ელოდა. 600-ის ნაცვლად 60-მა კაცმა ძლივს მოიყარა თავი. თავის შეფიცულებთან ერთად 10 დღე უვლიდა გარშემო თბილისს. როცა დარწმუნდა, რომ ამაო იყო ბრძოლის გაგრძელება, უცხოეთს შეაფარა თავი (თურქეთში გადავიდა).

აჯანყების პირველ დღესვე თბილისის სატუსაღოში 24 პოლიტპატიმარი დაიხვრიტა. დახვრიტეს რუსეთის ციხეში გამომწყვდეული 29 ქართველი, მათ შორის: ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, ვალიკო ჯუღელი და გოგიტა ფაღავა.

ზუსტად არავინ იცის, რამდენი ადამიანი შეეწირა 1924 წლის სისხლიან რეპრესიებს. კოტე ანდრონიკაშვილმა (დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე) საფრანგეთს მიაწოდა ცნობა, საოკუპაციო ხელისუფლებამ გაუსამართლებლად 4 ათასი კაცი დახვრიტაო. ზოგიერთი ცნობის თანახმად, დაღუპულთა რაოდენობა 7 ათასს აღწევდა. ჩეკა კმაყოფილი იყო შედეგით. „ღირსეული ქართველი“ — სერგო ორჯონიკიძე კი მოგვიანებით თავმომწონედ იტყვის — „მთელი აჯანყების ლიკვიდაცია 3 დღეში მოვათავე... ამ ვაჟბატონებმა, „აჯანყების გმირებმა“, ოდნავ გაგვაწმენდინა ჩვენი თოფებიო.“

## რამდენიმე ფრაგმენტი

აჯანყების დროს დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას ვაჟი, ლევან რაზიკაშვილი. ორჯონიკიძემ ამ ფაქტზე განაცხადა — ვაჟასაც დავხვრეტდი, ცოცხალი რომ იყოსო.

***ლ. ღოღობერიძე:* „საქართველოში 6 პროცენტია თავადაზნაურობა, უნდა შევამციროთ. ამ ფრაზაში ორჯონიკიძეს შესწორება შეაქვს — ნულამდე უნდა დავიყვანოთ“.**

***ლ. დავითაია* სენაკის მაზრის კომუნისტური რაზმების მეთაური: „თითოეულ კომუნისტს გვწყუროდა, ღვინოსავით გვესვა აჯანყებულთა სისხლი“.**

***ფილიპე ნაროუშვილი:* „დავარჩობ დედას, დავხვრიტავ მამას, რევოლუცია თუ მეტყვის ამას!“**

1924 წელს ქართველი მამულიშვილების ბრძოლა თავისუფლებისთვის, მარცხით დასრულდა. აჯანყების ორგანიზატორთა შორის დაპირისპირებამ მტრის წისქვილზე დაასხა წყალი. მტერი კი ვინ იყო? სამწუხაროდ, რწმენადაკარგული, დაბრმავებული და გადაგვარებული ჩვენივე თანამემამულეები...

ისტორია ქმნის დოკუმენტებს — იქნებ შთამომავლობას გამოადგესო. შთამომავალნი კი ხშირად ყურად არ იღებენ წინაპართა შეგონებას...

***იზო რიკაძე***

# ბავშვების ხილვები არარსებობის ზღურბლზე

1992 წლის გაზაფხულზე, აღდგომის დღესასწაულზე, შერილ დაილს მანქანით მიჰყავდა თავისი ორი შვილი — 5 წლის გოგონა ეშლი და 6 თვის ბიჭუნა დანიელი. მათ დაეჯახა მანქანა, რომელსაც მთვრალი მძღოლი მართავდა. ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპნენ შერილი და მისი ბიჭუნა, ეშლი კი გადარჩა. გოგონა ორი კვირა უგონოდ იყო, შემდეგ კი, როცა კომიდან გამოვიდა, ნათესავებს მოუთხრო, რომ საგზაო შემთხვევის შემდეგ იგი შეხვდა წვეროსან მოხუცს.

— დედა და დანიელი სამოთხეში წავიდნენ, — თქვა გოგონამ, — დედა ძალიან ბედნიერი იყო. მეც მინდოდა მასთან დავრჩენილიყავი, მაგრამ იმ კაცმა მითხრა, რომ არ შეიძლებოდა, მე უნდა დავბრუნებულიყავი, — ჩემი სიკვდილის დრო ჯერ არ დამდგარა.

პედიატრი კერნ მუმი, რომელიც ეშლის მკურნალობდა კლინიკაში, ამბობს: „დარწმუნებული ვარ, რომ გოგონა სიმართლეს ამბობს. ის ხომ მხოლოდ 5 წლისაა და ასეთ ამბავს ვერ შეთხზავდა“.

სიკვდილთან მიახლოებული მდგომარეობის შესახებ მონათხრობი იშვიათობას აღარ წარმოადგენს, მაგრამ როცა ამის შესახებ ბავშვი ყვება, ეს განსაკუთრებით ფასეულია. ბავშვები ხშირად ხედავენ იისფერ ნათელში გახვეულ ღმერთს ან იმქვეყნიურ არსებებს. 70%-ზე მეტი ხვდება ანგელოზებს.

ბონი, რომელიც ამჟამად ბავშვთა ფსიქოლოგია, 11 წლისა იყო, როცა კომაში ჩავარდა. „ანგელოზებმა გამომიყვანეს ამ მდგომარეობიდან, — ამბობს ბონი, — მოგვიანებით, როცა 17 წლისა შევსრულდი, ერთ-ერთ მათგანს შევხვდი და დღემდე მაქვს მასთან ურთიერთობა“.

ბევრ მოზრდილ ადამიანს სჯერა იმ უჩვეულო მდგომარეობისა, რომელშიც აღმოჩნდებიან ხოლმე სიკვდილის გამოცდილების მქონე ბავშვები. ექიმები კი დუმილს ამჯობინებენ და არ ეხებიან სულისა და სხეულის ურთიერთკავშირის საკითხს.

ბავშვთა ონკოლოგი, ექიმი დაიანა კომპი აღიარებს, რომ ათეისტი იყო, არ სწამდა სამოთხისა და სულიერი ცხოვრების. მისი რელიგიური მოქცევა დაიწყო სიმსივნით დაავადებული 6 წლის მერი ბეტისთან ურთიერთობის შემდეგ.

მერის მდგომარეობა უიმედო იყო და ამიტომ კლინიკიდან გაწერეს. ექიმთან მორიგი



ვიზიტის დროს მერის დედამ ექიმს უამბო სიზმარი, რომელიც გოგონამ ნახა. მას გამოეცხადნენ ქრისტე და საკუთარი ბაბუა, რომელიც მის დაბადებამდე გარდაიცვალა. მათ გააფრთხილეს გოგონა მოსალოდნელი სიკვდილის შესახებ და დაამშვიდეს, სთხოვეს — არ შეგეშინდესო. გოგონას მართლაც საოცარი სიმშვიდე დაეუფლა. დედა გაოცებული იყო, რომ გოგონას სწორედ ის ბაბუა დაესიზმრა, რომელიც არასოდეს უნახავს.

რამდენიმე დღის შემდეგ, შობის წინადღეს, მერი ბეტი გარდაიცვალა.

***ნოვოსტი მირა №33***

# სიძუნწისაგან განკურნება

V საუკუნეში ალექსანდრიაში ცხოვრობდნენ წმინდა იოანე და ეპისკოპოსი ტროილი. იოანე დიდი სიკეთითა და კეთილშობილებით გამოირჩეოდა. მას ჰქონდა უნარი ძუნწების გაკეთილშობილებისა, რომლებიც შემდეგ ეხმარებოდნენ გაჭირვებულებს. ტროილი კი ცნობილი იყო თავისი სიძუნწითა და სიხარბით.



ერთხელ იოანემ გადაწყვიტა საავადმყოფოში ავადმყოფების მონახულება. „მამაო ტროილი, — მიმართა მან, შენთვის ძალიან კარგი იქნება, თუ საავადმყოფოში წამოხვალ და უპოვართ დაეხმარები“. ტროილი დათანხმდა და გულისფანცქალით დაიწყო ფულის დარიგება. ოცდაათამდე ოქროს მონეტა გასცა. როგორც კი შინ დაბრუნდა, ლოგინში ჩაწვა, თავში ხელები შემოიკრა და მწარედ მოთქვამდა, — ეს რა დამემართა, როგორ დავკარგე ამდენი ფულიო.

ამ დროს იოანემ კაცი გაუგზავნა ტროილს და სადილად დაპატიჟა, მაგრამ ტროილი ფულის დაკარგვას ვერ შეჰგუებოდა, ვიშვიშებდა, ავადმყოფობა მოიმიზეზა და სადილად არ წავიდა. იოანე მიხვდა, რა ჭია ღრღნიდა ეპისკოპოსს. აიღო 30 ოქროს მონეტა და მასთან წავიდა.

„მოგიტანე ოქრო, რომელიც შენ მასესხე, — უთხრა მან ცრუ ავადმყოფს, — აიღე და შენი ხელით დაწერე, რომ მაძლევ იმას, რაც შენ ღმერთისგან საჩუქრად გელოდა ოქროს გაცემისთვის“.

ტროილი უცბად „გამოჯანმრთელდა“ და დაწერა: „ღმერთო, დიდებულო! დააჯილდოე წმინდა იოანე, ალექსანდრიის პატრიარქი, რადგან მან ავადმყოფებს დაურიგა 30 ოქროს მონეტა, ჩემი კი უკან დამიბრუნა“.

იოანემ ეს წერილი შინ წაიღო, ლოცვად დადგა და ღმერთს შესთხოვდა, განეკურნა ტროილი სიძუნწისაგან.

იმავე ღამეს ეპისკოპოსმა სიზმარში მშვენიერი სახლი ნახა, რომლის კარზეც ოქროს წარწერა იყო: „სავანე და სამუდამო სიმშვიდე ტროილს“. ტროილმა გახარებაც ვერ მოასწრო, რომ მის წინ გაჩნდა უცნობი და განაცხადა, — ღმერთმა ბრძანა ამ წარწერის წაშლაო — და ოქროს წარწერა გაქრა. მის ნაცვლად სხვა წარწერა გამოჩნდა: „სავანე და მუდმივი სიმშვიდე იოანეს, ჯილდოდ 30 ოქროს გაცემისათვის“.

შიშისაგან ოფლში გაწურულმა ტროილმა გაიღვიძა და მიხვდა, რომ საკუთარი ხელით დაღუპა ზეცაში თავისი სასუფეველი. როგორც კი გათენდა, მაშინვე წავიდა ნეტარ იოანესთან, რომელიც დიდხანს ესაუბრა მას ფულისადმი სიყვარულის დამღუპველ სენზე.

ამის შემდეგ ტროილი განიკურნა სიძუნწისაგან და უპოვართ სიხარულით ეხმარებოდა.

***ნლო №30***

## „საზალღო–სალაღო“ გვერდის პასუხები

**I კროსვორდი**

**შვეულად:** 1. გული; 3. თითი; 4. ფილტვი; 5. ნეკნი; 7. ხერხემალი; 10. პირი.

**თარაზულად:** 2. ყური; 6. ცხვირი; 8. ხელი; 9. ლოყა; 10. ტერფი; 12. თვალი; 13. კბილი; 14. კისერი; 15. ღვიძლი.

**II რებუსი** „ზღაპარი“.

**III** „სტადიონი“.

**IV** ა) ქვევრი; ბ) ობობა; გ) სოკო.

**V** „სამ“

**VI**

| | |
|---|---|
| 1) ხეოფსი | 1) პირამიდა |
| 2) სურამი | 2) ციხე |
| 3) სალათა | 3) ძილი |
| 4) მამა აბრამი | 4) ბატკანი |
| 5) ილიჩი | 5) ნათურა |

**VII** თავსატეხი




# ნეტარი ანდრია მესამე ცაზე



X საუკუნეში ცარგრადში ცხოვრობდა ნეტარი ანდრია. ერთხელ, იმ მხარეში სასტიკი, ცივი ზამთარი დადგა. ისეთი ქარი ქროდა, რომ სახლებს ანგრევდა. დამშეული და გათოშილი ჩიტები ხეებიდან ძირს ცვიოდნენ. უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნენ უპოვარნი და მიუსაფარნი, რომელთაც ღამის გასათევი არსად ჰქონდათ.

მშიერ-მწყურვალ და შიშველ ნეტარ ანდრიასაც ძალიან გაუჭირდა. როცა მოინდომებდა თანამოძმეებთან მისვლას, რათა მათთან ყოფილიყო და ცოტათი მაინც გამთბარიყო, ისინი ახლოს არ იკარებდნენ, ჯოხის ცემით აგდებდნენ და თან უყვიროდნენ, — აქედან გაეთრიე, ძაღლოო.

უსასოოდ დარჩენილმა ანდრიამ გუნებაში ღმერთს შესთხოვა, — უფალო, შემიწყალე და დამლოცე. თუკი ამ ზამთარს მოვკვდები, დე, შენდამი სიყვარულით მოვკვდეო. გზად მიმავალმა, რომელიღაც სახლის კუთხეში მძინარე ძაღლი დაინახა და თვითონაც გვერდით მიუწვა, რათა გამთბარიყო, მაგრამ ძაღლი მაშინვე წამოხტა და ღრენით გასცილდა იქაურობას. „ნუთუ ისეთი ცოდვილი ვარ, რომ ძაღლიც კი არ მიკარებს?“ — ატირდა ანდრია.

სიცივისაგან გაყინული ნეტარი მოიკუნტა, იფიქრა, — ვკვდებიო და ლოცვა დაიწყო. უცებ სითბო იგრძნო და მის დახუჭულ თვალებში რაღაც სინათლემ შეაღწია. ნეტარმა თვალი გაახილა და დაინახა მზესავით ნათელი, მშვენიერი ჭაბუკი, რომელსაც ხელში სურნელოვანი, ყვავილებით დახუნძლული ტოტი ეკავა.

ჭაბუკი ტოტით შეეხო ანდრიას სახეს და უთხრა: „განახლდეს სხეული შენი“. ნეტარს სულში მაშინვე სითბო ჩაეღვარა და გამოცოცხლდა. „წაიყვანეთ, დე, დამშვიდდეს და შემდეგ ისევ დააბრუნეთ“, — საიდანღაც ჩაესმა ხმა და ანდრიას ტკბილად ჩაეძინა. სიზმარში მან იხილა საკუთარი თავი. ტანთ ემოსა თითქოს ელვისაგან შექმნილი თეთრი ტანსაცმელი. ანდრია მიხვდა, რომ სამოთხეში იყო. ირგვლივ მაღალ ხეებს ხედავდა, ზოგი ყვაოდა, ზოგი მწვანედ ხასხასებდა, ზოგს ოქროს ფოთლები ესხა და საოცარი ნაყოფით მისკენ იზიდავდა. ამ მშვენიერ ბაღში ჩიტების უტკბილესი გალობა ისმოდა. ანდრიამ მის წინ მიმავალი ის ჭაბუკი დაინახა, რომელიც მას ტოტით შეეხო. უკან გაჰყვა და უზარმაზარი ჯვარი შეამჩნია. ჭაბუკი ჯვარს ემთხვია და ანდრიასაც ანიშნა, — მიეახლეო. ანდრია შიშით მიუახლოვდა ჯვარს, დაიჩოქა, ემთხვია და სული საოცარი ნეტარებით აევსო. მაშინ ჭაბუკმა ხელი შეახო და უთხრა: „ჩვენ მეტად უნდა ავმაღლდეთ!“. ანდრიამ მას ხელი ჩაჰკიდა და მეორე ცაზე აღმოჩნდნენ. მან იქ საოცარი კაცები დაინახა, რომელთა ბედნიერებას ადამიანის ენა ვერ გადმოსცემს. შემდეგ ის ჭაბუკთან ერთად ცეცხლში შევიდა, მაგრამ არაფერი დაშავებია.

ნეტარი ანდრია შეშინდა, ასეთ სიმაღლეზე რომ აღმოჩნდა, მაგრამ ჭაბუკმა დაამშვიდა, — კიდევ ზევით უნდა ავიდეთო. ამაღლდნენ მესამე ცაზე, სადაც ღმერთის მადიდებელი უამრავი ანგელოზი დახვდა.

ანდრიას წინ მოელვარე საფარი აიხადა და ტახტზე მჯდარი უფალი გამოჩნდა. მას ტანთ მეწამული სამოსელი ეცვა, სახე განათებოდა და ანდრიას ალერსიანად უყურებდა. ანდრია მის წინაშე განერთხო, გრძნობდა, რომ გული უფლისადმი სიყვარულით ავსებოდა, ხოლო სხეული სულიერმა სითბომ გაულღო.

ამის შემდეგ ანდრიას მხოლოდ ერთადერთი სურვილი ჰქონდა — ღვთისმშობელი ეხილა და მაშინვე უფლის ხმა მოესმა: „შენ გინდა ზეციური დედოფლის ნახვა, მაგრამ ის აქ არ არის. გაუბედურებულ სამყაროში წავიდა, რათა დაეხმაროს ადამიანებს და გაამხნევოს უბედურები. ახლა კი დროა, დაბრუნდე იქ, საიდანაც მოხვედი.“

იმ დროს, სანამ ეს ხმა ისმოდა, ნეტარს ტკბილად ეძინა და როცა გაიღვიძა, ძველ ადგილას იყო.

ეს საოცარი მოგზაურობა და უფალთან შეხვედრა ეხმარებოდა ანდრიას მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჭირვებისა და უბედურების დაძლევაში.

***ოჩევიდნოე ი ნევეროიატნოე №21***

# ორი ზმანება



ნათქვამია, სიზმარი წინათგრძნობააო. იგი ხშირ შემთხვევაში რეალობად იქცევა ხოლმე, თუმცა ბევრჯერ ლამაზ მოგონებადაც რჩება.

რამდენიმე წლის წინ მეზმანა — თეთრსამოსიანმა ლამაზმა, ახალგაზრდა ქალმა ღიმილით მომაწოდა ყავის ფინჯანი და გაქრა. ჩავიხედე შიგ. ათასნაირ ფიგურას და ხაზს წიგნივით ვკითხულობდი.

სიზმარი არად ჩავაგდე და დავივიწყე. ერთხელ, მეგობრები ყავას ვსვამდით. უცებ გამახსენდა სიზმარი და ერთ-ერთს ვთხოვე, ფინჯანი გადააბრუნე-მეთქი. ყველამ გაკვირვებით შემომხედა, ეგონათ, ვხუმრობდი. ავიღე ფინჯანი და... მართლაც ყველაფერი წავიკითხე ისე, როგორც ეს სიზმარში მოხდა. მას შემდეგ ხშირად ვიყურებოდი ფინჯანში.

ერთხელ, დილაადრიან, ნათესავი მეწვია და მთხოვა, მიმკითხავეო. ფინჯნის ფსკერზე დავინახე, — ღამით მისთვის მანქანა მოეპარათ. ავუწერე ადგილი, სადაც უკვე დაშლილ მანქანას ვხედავდი... ამ ნიშნების მიხედვით მან მანქანა იპოვა!

ერთხელაც ჩემი მეგობრის, მზიას ფინჯანში ჩავიხედე. ფსკერის გულიდან დიდი, შავი კატა ბოროტი თვალებით იყურებოდა. შევცბი, ველარ დავუმალე და ვუთხარი — ეშმაკს შეუპყრიხარ-მეთქი. ამის თქმაზე მზიას სახე მოეღრუბლა და მითხრა, — მართალი ხარ, ამას მეც ვგრძნობ, ხანდახან ამედევნება ხოლმე. თბილისში და სოფელშიც ღამღამობით მეძახის — მზია, ჩემთან წამოდიო. მის სახესაც ვხედავ, უჩვეულოდ ლამაზია. თავიდან ამას შიშით ვერავის ვუმხელდი, მაგრამ როცა საშველი არ მომცა, ქმარ-შვილს გავუმხილე. ჯერ ხუმრობა ეგონათ, მერე დამიჯერეს და ღამით მდარაჯობდნენ.

სოფელში ვიყავით. ჩვენი სახლის წინ ბებერი კაკლის ხე დგას. იმ ღამეს ადრე დავწექი და დაძინებამდე გულში ჩავითქვი, — რაც უნდა მოხდეს, არ გამოვეხმაურები-მეთქი. ჩემი მცველები თოფმომარჯვებულნი ელოდნენ მავნის გამოჩენას. ნაშუაღამევს ძილში ჩამესმა ძალზე ტკბილი ხმა: „მზია, მზია, გამოდი, გამოდი, გელოდები, შენი მეგობარი ვარ“. გამეღვიძა. ავდექი, შალი მოვიხვიე და კართან მივედი, მაგრამ ჩაკეტილი დამხვდა. მასთან წასვლის დაუოკებელი სურვილი მომერია. ფანჯრიდან გავიხედე... კაკლის ხის ქვეშ იდგა ულამაზესი, ერთიანად გაკაშკაშებული ქალი. გაშლილი ცეცხლისფერი თმა კოჭებამდე სცემდა, ხელები ჩემკენ ჰქონდა გამოწვდილი და მიხმობდა.

ამ დროს იჭექა თოფმა. უმალ წყვდიადი ჩამოწვა და ქალიც უკვალოდ გაუჩინარდა...

შიშით ადგილს მივეჯაჭვე. არანაკლებ შეშინებულმა ქმარ-შვილმა დამშვიდება დამიწყო.

მეორე დღეს მივაკითხე მლოცველ მოხუც ქალს. მან დამარიგა — განუშორებლად ატარე ჯვარი, გახსნილი ჯაყვა ყოველღამე ბალიშის ქვეშ გედოს, დღისით კი ჯიბით ატარეო და დასძინა, — რომ გასულიყავი, ძალიან ცუდად დამთავრდებოდა შენი საქმეო. მას შემდეგ იმ ავსულის აღარც ხმა გამიგია და აღარც მინახავს. თუმცა რაღაც ავის მოლოდინი არ მშორდება, — მითხრა ნაღვლიანად მზიამ.

ამ ამბის შემდეგ ცოტა ხანი გავიდა. მზია ლოგინად ჩავარდა და წლისთავზე გარდაიცვალა კიდეც...

მოგეხსენებათ, ყველაფერს აქვს თავი და ბოლო. ამ ჩემს სიზმარში ნასწავლ „ხელოვნებასაც“ დასასრული ჰქონდა.

ერთი წლის წინ დედის გარდაცვალების გამო მგლოვიარედ ვიყავი. არ ვიცოდი, თუ მგლოვიარის ფინჯანში ჩახედვა არ შეიძლებოდა.

ერთ ღამეს მესიზმრა, — ყავას ვსვამ, ვემზადები სამკითხაოდ. უცებ თეთროსანი, გაბრაზებული ქალი უხმოდ მომიახლოვდა და ხელი ამიკრა ფინჯანზე. ცხელი ყავა სახეზე შემესხა. ტკივილმა გამაღვიძა. სახეზე წყალი შევისხი, საშინელი წვა ვიგრძენი.

მესამე თუ მეოთხე დღეს, ყავის სმის დროს, უნებლიეთ ფინჯანი გადამიბრუნდა და ყავა სახეზე შემესხა. ფინჯანი გადავაბრუნე, ჩავიხედე და ვერაფერი ამოვიკითხე. ყველა ხაზი და ნიშანი უტყვი იყო...

ასე აცხადდა ჩემი ორი სიზმარი.

***ჯულიეტა ბერუაშვილი***

# რამდენიმე შტრიხი პრინცის პორტრეტისათვის



21 ივნისს დიდმა ბრიტანეთმა აღნიშნა თავისი ცისფერთვალა კერპის მე-18 დაბადების დღე. შეგახსენებთ, რომ პრინცი უილიამი პოლიტიკოსებსა და ჰოლივუდის ვარსკვლავებთან ერთად ჩვენი დროის ყველაზე ცნობილ ადამიანთა ათეულში შედის.

გაგაცნობთ ლეგენდარული პრინცესა დაიანას უფროს ვაჟს, გესაუბრებით მის გემოვნებასა და ჩვევებზე. უილიამის სრული სახელია არტურ ფილიპ ლუი უელსელი. ტახტის მემკვიდრეთა ნუსხაში უილიამი მეორეა მამის, პრინც ჩარლზის შემდეგ. როცა მეფე გახდება, უწოდებენ უილიამ V-ს. ხოლო თუ მაინც ჩარლზი ავიდა ტახტზე, უილიამს მიენიჭება როტსეისელი ჰერცოგის, კორნუელელი ჰერცოგის, გრაფ კარიკელის, ბარონ ბენფრუელის, შოტლანდიის პრინცის ტიტულები. კოლეჯის მეგობრები უილიამს უბრალოდ ბილს ეძახიან. ჩარლზი პირადად ესწრებოდა თავისი მემკვიდრის დაბადებას, რომელიც 3,5 კგ იყო. უილიამი ბუკინგემის მუსიკალურ სალონში მონათლეს. მას 6 ნათლია ჰყავს. დაიანა შვილს წლამდე აწოვებდა ძუძუს. უილიამი ცაცია გახლავთ. ის სპეციალურ კურსებზეც კი დადიოდა, რომ გოლფის ჯოხის მოქნევა მარჯვენა ხელით ესწავლა.

უილიამი ბავშვობაში ამბობდა, — როცა გავიზრდები, პოლიციელი გავხდებიო. ამის გაგონებაზე თურმე მისმა ძმამ, ჰარიმ შეიცხადა, — არ გამიგია, მეფეებს პოლიციაში ღებულობდნენო. პრინცესა დაიანას არასოდეს ეეჭვებოდა, რომ ელისაბედ -ის შემდეგ ტახტზე ავიდოდა უილიამი და არა ჩარლზი.

1991 წელს, გოლფის თამაშის დროს, ერთ-ერთმა თანაკლასელმა პრინცს შემთხვევით გოლფის ჯოხი მოახვედრა თავში. ოპერაციას თითქმის 2 საათი დასჭირდა. დაწყებითი განათლება უილიამმა ლედგრების დახურულ პანსიონში მიიღო, სადაც 4 თანაკლასელთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრობდა. სხვა მოსწავლეებივით, უილიამს უფლება ჰქონდა, კვირაში ერთხელ დაერეკა შინ. მას დღედაღამ ორი პოლიციელი იცავდა.

ერთხელ, როცა დაიანა ჩარლზთან მორიგი ჩხუბის შემდეგ აბაზანაში ჩაიკეტა, უილიამმა კარს ქვეშიდან ქაღალდის ცხვირსახოცები შეუცურა წარწერით: „დედიკო, ნუ ტირი“. როცა ჩარლზმა შვილებს განუცხადა, დაიანას ვეყრებიო, უილიამმა თქვა: „ბოლოს და ბოლოს, თქვენ ბედნიერები იქნებით“.

ტახტის მემკვიდრეს ძალიან უყვარდა დედასთან გახუმრება. ხმას იცვლიდა (ჩარლზის ხმას იღებდა) და დაიანას აგიჟებდა. როცა უილიამი 14 წლის გახდა, ჟურნალმა People-მა „მსოფლიოს ყველაზე სასურველ სასიძოდ და ყველაზე დახვეწილად ჩაცმულ ახალგაზრდა კაცად“ აღიარა. კოსტიუმებს უილიამი „ანდერსონი და შეპარდის“ მაღაზიაში იძენს 1.600 დოლარად. მის საცურაო ტრუსზე ამოქარგულია წარწერა „WOW“, რაც ნიშნავს „უილიამ უელსელს“.

პრინცს ძალიან უყვარს თავისი ძაღლი — ლაბრადორი ვიჯენი, რომელსაც „თავისი ცხოვრების ერთადერთ ქალს“ უწოდებს. არ უყვარს მაჯის საათის ტარება. შარშან, როგორც საუკეთესო მოსწავლეს, მას იტონის კოლეჯის საპატიო მახვილი გადასცეს.

ტახტის მემკვიდრეს არასოდეს გაუსინჯავს ნარკოტიკი, სასმელზე კი არ იცის უარის თქმა. ოღონდ, რა თქმა უნდა, ზომიერების ფარგლებში. თუმცა, 2000 წლის შეხვედრისას მისი ბრწყინვალება ისე დათვრა, რომ რამდენიმე დღე ვეღარ დგებოდა საწოლიდან. როცა უილიამი 17 წლის შესრულდა, მამამ მას აჩუქა კვიცი, პოლოს სათამაშოდ და ავტომობილი „ფოლქსვაგენი“.

18 წლის პრინცს, ეტიკეტის თანახმად, სასახლის მთელმა მომსახურე პერსონალმა უნდა მიმართოს წოდებით — თქვენო ბრწინვალებავ. მაგრამ უილიამმა აუკრძალა მათ ასეთი მიმართვა. პრინცს საკუთარი საკრედიტო ბარათი აქვს, რომლის წყალობითაც შეუძლია დღეში 1.000 დოლარის დახარჯვა. ხოლო პირადი ქონება 16 მლნ-ს შეადგენს. დედა-დედოფლის გარდაცვალების შემდეგ პრინცის ქონება საგრძნობლად გაიზრდება.

უილიამის საყვარელი ფილმია „ლამაზი ქალი“, ჯულია რობერთსისა და რიჩარდ გირის მონაწილეობით. მეცადინეობებს შორის შესვენებისას უილიამმა ბებოსთან, ელისაბედ -სთან იცის შერბენა უინძორების სასახლეში, რომ მასთან ერთად მიირთვას ფინჯანი ჩაი „ერლ გრეი“ და წაიჭორაოს.

საკვების მიმართ არ არის პრეტენზიული, დიდი სიამოვნებით დადის „მაკდონალდსში“ და ძალიან უყვარს ღვეზელების ცხობა. მუსიკაში უპირატესობას ანიჭებს „ტექნოს“ სტილს, სეინტ-ჯეიმსის სასახლეში უილიამს საკუთარი „საიდუმლო“ ბინა აქვს, რომლის გასაღებს არავის ანდობს. შოტლანდიაში სამეფო ვიზიტის დროს, მამისაგან განსხვავებით, უილიამმა ცივი უარი განაცხადა ეროვნული ქვედატანის — კილტის ჩაცმაზე.

უილიამის საყვარელი საგნებია: გეოგრაფია, ბიოლოგია და ხელოვნების ისტორია. ყველაზე მეტად მას სურს, გახდეს პროფესიონალი მსახიობი ან მხატვარი. თუმცა, იცის, რომ ტახტის მემკვიდრის გზა წინასწარ არის შეკვეთილი.

*პოსლედნიე ნოვოსტი №31*

# ბიზნესმენი პრინცი



**პლანეტის უმდიდრეს ბიზნესმენთა ნუსხაში მე-8 ადგილზეა საუდელი პრინცი ალ-ვალიდი. ეს ნავთობის შეიხი გამოირჩევა დიდი ნიჭითა და გამჭრიახობით.**

გაზაფხულზე უოლსტრიტზე საბირჟო მაჩვენებელი დაეცა. მდიდარი მეანაბრეები შეშფოთდნენ. საუდის არაბეთის მეფის ძმისწულმა პრინცმა ალ-ვალიდ იბნ თალალ იბნ აბდელ აზიზ ალ საუდმა ბირჟის მთელი აქციები შეისყიდა. გამოცდილი მოთამაშე გუმანით მიხვდა, რომ სიტუაცია გამოსწორდებოდა და აქციების ფასი კვლავ აიწეოდა. ერთი თვის შემდეგ პრინცმა მსოფლიოს 15 ცნობილ კომპანიაში დააბანდა 1 მლრდ დოლარი. ალ-ვალიდი ხშირად იქცევა ასე. მან, 34 წლის საუდელმა პრინცმა, 590 მლნ დოლარად „სითიკორპის“ აქციების 9,9% შეიძინა და ფასიანი ქაღალდების უდიდესი მფლობელი გახდა. ალ-ვალიდმა პარიზის „ევროდისნეი“ გაკოტრებას გადაარჩინა — პარკის ვალები 3 მლრდ დოლარს აღემატებოდა. იგი მუდამ მზად არის სარისკო ოპერაციებისთვის, ყოველთვის სწორად განჭვრეტს და სწორ სვლასაც აკეთებს. მის მიერ შექმნილი ფინანსური იმპერია, წამყვანი მსოფლიო კორპორაციების აქციებს ყიდულობს სწორედ მაშინ, როდესაც ისინი კრიზისს განიცდიან. პრინცმა მაიკლ ჯექსონთან ერთად დააფუძნა კორპორაცია „გართობის სამეფო“, იკისრა მსოფლიო ესტრადის ვარსკვლავის ხარჯების კონტროლი. არის რესტორანთა ქსელის „ჰოლივუდის პლანეტა“ პროექტის უდიდესი აქციონერი, სოლიდური თანხა დააბანდა სასტუმროების ბიზნესში და დღეს ჯგუფ „ფეირმონტის“ აქციების 50%-ის, შვეიცარიის სასტუმროთა ქსელის „მოვენპიკის“ 30%-ის მფლობელია. ალ-ვალიდისა გახლავთ პარიზის სასტუმრო „გეორგ V“, ლონდონის „ინ ონ პარკი“, ნიუ-იორკის „პლაზი“ და კიდევ 17 სასტუმრო.

პრინცმა ბავშვობიდან შეითვისა, რომ მსოფლიო ბიზნესში მთავარია სრულფასოვანი ინფორმაცია და ამისთვის არაფერს იშურებს. ყველგან და ყოველთვის თან ახლავს სპეცავტომობილთა ქარავანი, რომელიც უწყვეტი კავშირით უზრუნველყოფს პარტნიორებს მსოფლიოს ყველა კუთხეში.

მშობლების განშორების შემდეგ ალ-ვალიდი გაიზარდა დედის, პრინცესა მონას (ლიბანის პრემიერ-მინისტრის ქალიშვილი) ოჯახში. მამის ბრძანებით დაამთავრა ერ-რიალის სამხედრო აკადემია. სწორედ იქ შეითვისა მკაცრი დისციპლინა. მას დღე-ღამეში მხოლოდ 5 საათი სძინავს. სხვა დროს სამუშაო კაბინეტშია. არ სვამს, არც ეწევა. კალიფორნიის კოლეჯის დამთავრების შემდეგ დაასრულა სირაკუზის უნივერსიტეტი. სამშობლოში დაბრუნებული „მიწის ციებ-ცხელებამ“ შეიპყრო. აქედან დაიწყო მისი საქმიანი კარიერა. მამის ნაჩუქარი 15 ათასი დოლარი ცოტა ხანში ორ მილიონად აქცია. 1986 წელს შეიძინა საუდის კომერციული ბანკი. მალე კაიროს ბანკიც ჩაიგდო ხელში. ამჟამად პრინცი ბილ გეიტსა და კრეიგ მაქოუსთან ერთად მონაწილეობს უდიდეს პროექტში „თელედეზიკი“, რომელიც უზრუნველყოფს პლანეტის ნებისმიერი კუთხიდან ინფორმაციის ინტერნეტში შესვლას. ეტყობა, პრინცი ახლო აღმოსავლეთის ტელეკომუნიკაციის მეფობას აპირებს.

მაგნატი ახლახან მეორე ცოლსაც გაეყარა. მას მხოლოდ შვილები ახარებს. ცოტა ხნის წინ ორივე შვილს აუგო 317 ოთახიანი ბრწყინვალე სასახლე. ჰყავს 300 ავტომობილი. მათ შორის ცისფერი „როლს-როისი“ — თავისი საყვარელი ქალიშვილისთვის, აქვს საკუთარი ავიაპარკი.

კვირაში ერთხელ ალ-ვალიდი ელ-რიადის მახლობლად, ბედუინებთან ატარებს დროს. იქ, კოცონთან, მთვარის შუქზე მიირთმევს მწარე არაბულ ყავას და უკვდავებაზე საუბრობს. მას შესისხლხორცებული აქვს უძველესი არაბული სიბრძნე: „ორმოცმა მოგიკაკუნა — გაიხსენე ალაჰი“.

*ლიბერასიონი №27*

# სპარსთა დედოფალი „უცხოობაში“

ირანელი დიპლომატის ქალიშვილი, მშვენიერი ფარაჰ დიბა 1959 წელს მეორე ცოლად შეირთო სპარსეთის შაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ. 1967 წელს ფარაჰ დიბა დედოფლად აკურთხეს. ცოლქმარს ოთხი შვილი შეეძინა.

1979 წელს შაჰი ტახტიდან ჩამოაგდეს და იგი იძულებული გახდა, სამშობლოდან გადახვეწილიყო. ამჟამად ფარაჰი ირანიდან შორს, პარიზში ცხოვრობს და ამ სიშორეს ძალიან განიცდის. „შტერნი“ ესაუბრა დედოფალს:



**— თქვენო უდიდებულესობავ, განმარტოებით ცხოვრობთ. საჯარო შეხვედრებს ერიდებით. რატომ, საკუთარ სიცოცხლეს უფრთხილდებით?**

— მცველების გარეშე შინიდან ვერ გავდივარ, რომ ყოველგვარ მოულოდნელობას ავარიდო თავი. ჩემს სამშობლოში კვლავაც ტერორი და ძალადობა მძვინვარებს. 2000 წელში ვცხოვრობთ და ირანში ადამიანებს დღესაც სიკვდილით სჯიან, მართალ სიტყვას ახშობენ.

**— ამბობენ, ახალი პარტნიორი გყავთ...**

— არა, არავითარი ახალი მამაკაცი არა მყავს. შაჰი ჩემი ერთადერთი და უკანასკნელი სიყვარული იყო და ამავდროულად დიდი ტკივილი. მის პირად ნივთებს დღემდე ვერ ველევი, კარადაში ძველებურად კიდია მისი კოსტიუმები, უნიფორმები. ყველა ოთახში არის მისი ფოტოები, სამახსოვრო ნივთები. ჩემთვის იგი კვლავაც ცოცხალია.

**— არსებობს ინფორმაცია, რომ სამეფო ოჯახი ოცდაათი მილიარდი დოლარის ქონების მფლობელია.**

— ეგ ინფორმაცია თეირანის რეჟიმის მიერ არის შეთითხნილი და ჩემი ოჯახის წინააღმდეგ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად გავრცელებული.

**— გენატრებათ ირანი?**

— რატომღაც განგებამ ასე ინება, რომ ჩემი სამშობლოდან შორს მეცხოვრა. არადა მაკლია ირანი, მისი ბუნება, სურნელი... ბაზარში გავლასა და იქ ჩემს თანამემამულეთა სახეების ხილვაზე ვოცნებობ. რაღა თქმა უნდა, აშშ-სა და საფრანგეთში ცხოვრება მშვენიერია, მაგრამ არც ერთი და არც მეორე ჩემი სამშობლო არ არის.

**— რას გვეტყოდით თქვენი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ?**

— ვალდებულებები უხვად მაკისრია. ემიგრანტთა ჯგუფების შეკრებებში ვმონაწილეობ, ბევრს ვმოგზაურობ. ფრანგული ოპერა და ბალეტი დიდ სიამოვნებას მანიჭებს, ამერიკაში ყოფნისას კი უფრო მეტ დროს წიგნების კითხვას ვანდომებ. გარდა ამისა, ბევრი მეგობარი მყავს და დიდი ოჯახი მაქვს. ასე რომ, მოსაწყენად დრო არ მრჩება.

**— როგორია დედოფალი ბებიის როლში?**

— ძალიან მიყვარს ჩემი შვილიშვილები. ისინი ყვავილებივით არიან და მძიმე წუთებში ძალიან მშველიან. ხანდახან ეჭვი შემიპყრობს ხოლმე, — მართლა იმას ვაკეთებ, რაც უნდა გავაკეთო, შევძლებ კი დევნილი სპარსელებისთვის შვების მიცემას და იმ ვალის აღსრულებას, რომელიც მათ გამო მეკისრება? ასეთ დროს საკმარისია რომელიმე შვილიშვილთან დალაპარაკება, ან მათი ხმის გაგონება, რომ მაშინვე ენერგიის მოზღვავებას ვგრძნობ. ჩემი აზრით, ნამდვილი ბებია ვარ. სიამოვნებით ვეთამაშები შვილიშვილებს თოჯინებით და ძალიან ვამაყობ ჩემი პატარებით.

**— შვილიშვილებს თქვენი გარდაცვლილი მეუღლის შესახებ თუ ელაპარაკებით?**

— რაღა თქმა უნდა. პატარებს ბაბუაზე ხშირად ვესაუბრები.



**— 1967 წელს ბენო ონეზორგის სიკვდილის შემდეგ გერმანიაში აღარ ყოფილხართ?**

— ჩემი და შაჰის გერმანიაში ვიზიტის სურათები ახლაც თვალწინ მიდგას. განსაკუთრებით კი იმ ბენო ონეზორგის სიკვდილის დღე. გერმანია ირანის მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო. ქმრის სიკვდილის შემდეგ ყველაზე მეტი სამძიმრის დეპეშა სწორედ გერმანიიდან მივიღე. სიამოვნებით ვიგონებ ლუბკესა და ვილი ბრანდტთან შეხვედრასა და საუბარს. ახალგაზრდობაში მიუნხენში ხშირად ჩავდიოდი. მშვენიერი ბაღები, რესტორნები ანდამატივით მიზიდავდა. სამწუხაროდ, უკვე 30 წელი იქნება, გერმანიაში აღარ ვყოფილვარ.

**— პრინცესა სორეამ თავისი ყოფილი მეუღლის, შაჰის შესახებ ორი წიგნი გამოაქვეყნა. თქვენ არ აპირებს მოგონებების დაწერას?**

— ამჟამად ავტობიოგრაფიაზე ვმუშაობ. მეტს ვერაფერს გეტყვით.

**— 27 ივლისს თქვენი მეუღლის გარდაცვალების 20 წლისთავი იყო. როგორ გაატარეთ ეს დღე?**

— ეს მძიმე დღეა ჩვენი ოჯახისათვის. ჩემი ქვეყნის მომავალი ბუნდოვანია და თანაც სიმარტოვის შეგრძნება სასტიკად მთრგუნავს. მაგრამ მადლობელი ვარ იმ შესანიშნავი შვილებისთვის, რომლებიც შაჰმა მაჩუქა... ამ დღეს კაიროში, შაჰის საფლავზე ცრემლები დავღვარეთ და ვილოცეთ.

*შტერნი №30*

# ჯვრისწერას ნახევარი მილიონი ადამიანი დაესწრო...



ცოტა ხნის წინ უგანდაში მეტად სასიამოვნო ამბავი მოხდა — მეფემ ცოლი შეირთო. ქვეყნის ისტორიის თითქმის 4 ათწლეულის მანძილზე დედაქალაქ კამპალას მსგავსი არაფერი უნახავს. ჯვრისწერის საყურებლად ნახევარი მილიონი ადამიანი შეიკრიბა. ხალხის ტალღამ კინაღამ წალეკა წმინდა პავლეს ანგლიკანური ეკლესია. ბევრი მათგანი დილის 5 საათიდან იყო იქ მისული, რომ მარჯვე ადგილი ეპოვა ცერემონიალის სანახავად. ყველაზე ცნობისმოყვარეებმა ღამეც კი ათიეს. ეს მოვლენა ნამდვილად დიდი ყურადღების ღირსია. ასეთი ზეიმი უკანასკნელად 1948 წელს იყო უგანდაში, როცა ჯვარი დაიწერა ახლანდელი მეფის მამამ, ედვარდ მუტესა -მ. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მსგავს ცერემონიაზე ოცნებაც შეუძლებელი იყო.

უგანდის ისტორია მოულოდნელობებით არის სავსე. 1966 წელს პრეზიდენტმა მილტონ ობოტემ განაცხადა, — ტრადიციული წესების ადგილი აღარ არის თანამედროვე სამყაროშიო და მისი ბრძანებით დაბომბეს მეფის სასახლე. მონარქი ინგლისში გადასახლდა, სადაც სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ობოტემ დიდხანს ვერ ინავარდა. მალე ჩამოაგდეს და ზამბიაში მოკურცხლა, სადაც დღემდე ცხოვრობს. უგანდის ხელისუფლების სათავეში სახელმწიფო გადატრიალების გზით მოვიდა იოვერი მუსევენი. წინამორბედებისაგან განსხვავებით, მუსევენიმ ბრძანა, — ხალხს ტრადიციული მმართველები სჭირდებაო და 1989 წელს სამშობლოში მოიწვია ტახტის მემკვიდრე, რომელმაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი ბრიტანეთში გაატარა და განათლებაც იქ მიიღო. 4 წლის შემდეგ ის საზეიმოდ აკურთხეს მეფედ.

მუტები , მამისაგან განსხვავებით, რომლის ბრძანებითაც ნებისმიერი ადამიანი გამოეთხოვებოდა სიცოცხლეს, დეკორატიული მონარქია, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდი გავლენა აქვს მილიონობით ადამიანზე. განათლებული მმართველი ხელქვეითებს მოეწონათ. მარტო ერთ რამეზე სწყდებოდათ გული — მეფემ დიდხანს ვერ იპოვა გულის სწორი და ბერბიჭობაში 43 წელი გაატარა. ეს მონარქიის არსებობის 5 საუკუნის მანძილზე პირველი შემთხვევა იყო. ხალხს იმედი ჰქონდა გადაწურული, რომ გაზაფხულზე ხმა გავარდა, — მეფე ცოლს ირთავსო.

ბედნიერი საპატარძლო გახლდათ 35 წლის სილვია ნაგონდა ლუსვატა. სილვიაც აფრიკიდან შორს ცხოვრობდა. ინგლისში დაბადებული და აღზრდილი ბოლო 20 წელი აშშ-ში მუშაობდა ერთ-ერთ სოლიდურ კომპანიაში. თითქოს ამ ახალ ამბავს ყველა უნდა გაეხარებინა, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც საპატარძლო მისი ბრწყინვალებისათვის ზედმეტად განათლებულად მიიჩნიეს. ზოგმა ისიც თქვა, სილვიას წინაპრები მუტების მამის სასახლეში მსახურები იყვნენო.

მეფის საქორწილო ცერემონიალმა უგანდაში დიდი კამათი გამოიწვია ადათ-წესების დაცვის მომხრეთა და მათ შორის, ვისაც მიაჩნდა, რომ მონარქია დროსთან ერთად უნდა მიაბიჯებდეს. ეს უკანასკნელნი მეტნი აღმოჩნდნენ და ჯვრისწერა ევროპულად ჩატარდა. ნეფე ტაძარში ძვირფასი „ტოიოტა ლექსუსით“ მივიდა. მას ემოსა ოქრომკედით მოქარგული ლურჯი სამეფო მანტია. რამდენიმე წუთში ტაძარს პატარძლისა და მისი მეგობარი ქალიშვილების ესკორტი მიუახლოვდა. სილვია თოვლივით თეთრ კაბაში იწონებდა თავს.

ნეფე-პატარძალი და მაყრები ტაძარში წითელ ფიანდაზებზე მიაბიჯებდნენ. ჟღერდა ორგანი. უგანდის ეკლესიის მთავარეპისკოპოსმა ნკოიოიომ უგანდურ ენაზე წირა. სტუმრებს შორის იყვნენ პრეზიდენტი მუსევენი, ზულუსების მეფე გუდვინ ზველეტინი — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან, მეფე სვაზილენდის ელჩიონი, 52 კლანის დელეგაცია (სამეფოს ქვეშევრდომები 52 კლანად იყოფიან). ჯვრისწერის შემდეგ სტუმრებმა სასახლეში გადაინაცვლეს და დაიწყო ნადიმი.

ქორწილს ამშვენებდნენ მონარქები: ბუნიორო, ნკორე, ტორო (სამივე უგანდელია), მუტები ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ მეხუთედის გამგებელია. მისი სამეფო, ბუგანდა, ყველაზე მჭიდროდ დასახლებული მხარეა, ემორჩილება 8 მილიონზე მეტი ადამიანი, რაც უგანდის მოსახლეობის თითქმის ნახევარია.

...უგანდა ზეიმობდა. იმ დღეს ბენზინგასამართმა სადგურებმა უფასოდ ჩაუსხეს საწვავი საქორწილო კორტეჟის ავტომობილებს, „კოკა-კოლამ“ და „პეპსიმ“ საქორწილო სუფრა დაამშვენეს ამ ფირმის სასმელებით.

*ეხო პლანეტი №38*

# წითლად შეღებილი ოკეანე

**იაპონელი მეთევზეები ყოველწლიურად ათასობით დელფინს და სხვა იშვიათ ძუძუმწოვარს მხეცურად ჟლეტენ. მათ ხორცზე, რომელიც დელიკატესად ითვლება, მხოლოდ მდიდრებს მიუწვდებათ ხელი. ცხოველთა დამცველებმა პირველად მოახერხეს ამ სასტიკი სასაკლაოს დოკუმენტურად დაფიქსირება.**



მამაკაცებს წყალგაუმტარ შარვლებზე ხმლის ფორმის პირალესილი დანები და დიდი კაუჭები აქვთ დამაგრებული. ტოკიოდან 100 კმ-ით დაშორებულ ფუტოს ყურეში ისინი ასე კბილებამდე შეიარაღებულები შედიან. სულ მალე წყლის ზედაპირი წითლად იღებება. ეს დაჭრილი დელფინების სისხლია. ფუტოს ყურის სიღრმეში მამაკაცები ორლესულებით ფატრავენ ადამიანის მეგობრად აღიარებულ დელფინებს. 69 დაჭრილი დელფინი კი ამაოდ იბრძვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად. გარემოს ავსებს დაჭრილთა ტკივილით სავსე ყვირილი. მეთევზეები დელფინებს უფრო ღრმად ურჭობენ დანებს და უყრიან კაუჭებს. ისინი თრთიან და დაღებული პირით ჰაერის ჩაყლაპვას ამაოდ ლამობენ. დაჭრილთაგან ზოგიერთი კი თავდამსხმელისაკენ მიიწევს, თავის დასახიჩრებულ სხეულს უჩვენებს და თითქოს მფარველობას, შველას სთხოვს, სანაცვლოდ კი, მორიგ დარტყმას იღებს. არიან ისე დასუსტებულებიც, რომლებიც ერთმანეთს სხეულებით მჭიდროდ მიკრულნი, თავდაღმა, წყლის ფსკერისკენ ეშვებიან. ფსკერიდან კი დელფინის ამოყვანა რთულია და მეთევზეები ყვირილით და დანების ტრიალით ცდილობენ მომაკვდავი ცხოველების ზემოთ ამოყრას. შემდეგ კი ნაპირზე აშენებული ბეტონის აუზში ყრიან განწირულთ.

წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში იაპონელი მეთევზეების მიერ დელფინების წარმოუდგენელი სისასტიკით ჟლეტის დოკუმენტურად დაფიქსირებული კადრები როცა იხილა, ძუძუმწოვართა დაცვის საზოგადოების მრავლის მნახველ თავმჯდომარეს, ცრემლები წამოსცვივდა და თქვა: „ეს ხომ ნამდვილი წამებაა, რომელიც ამ ცხოველებისადმი ზიზღით შეიძლება აიხსნას“.

და ეს მართლაც ასეა. დელფინები ეზიზღებათ არა მხოლოდ ფუტოს ყურის მონადირეთ, არამედ იაპონიის მეთევზეთა უმრავლესობასაც. თევზისმჭამელ დელფინს ისინი კონკურენტად და მტრად მიიჩნევენ. „არადა, ზღვაში თევზს რომ ვერ იჭერენ, ეს დელფინების კი არა, თავად მათი ბრალია, რადგან იაპონელი მეთევზეები თევზს აკრძალული ხერხებით იჭერენ და უმოწყალოდ ანადგურებენ“, — ამბობს ძუძუმწოვართა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე.





მალე ალბათ დელფინები და სხვა ძუძუმწოვრებიც გადაშენდებიან. საერთაშორისო თევზჭერის კომისიის 1986 წლის დადგენილების თანახმად, აკრძალულია კომერციული მიზნებით ზრდასრულ ძუძუმწოვრებზე ნადირობა. ამიტომაც მეთევზეები მათ მონაგარს უმოწყალოდ ანადგურებენ. მით უმეტეს, რომ პატარების ხორცი დელიკატესია და უფრო ძვირად ფასობს. იაპონიას სამეცნიერო კვლევისთვის ნებადართული აქვს 500 ძუძუმწოვრის დაჭერა, მაგრამ ისინი ლაბორატორიების ნაცვლად ტოკიოს მდიდრულ რესტორნებში ხვდებიან.

იაპონიის ზღვებში 400 თევზმჭერი გემი დაცურავს, რომლებიც წელიწადში 22.000 პატარა ძუძუმწოვარას იჭერს. ხოლო ბოლო ოცი წლის მანძილზე განადგურებულია 250.000 ცხოველი. ძუძუმწოვართა ზოგიერი სახეობა გადაშენების პირას არის.

ეს რიცხვები იმდენად თავზარდამცემია, რომ შარშან საერთაშორისო თევზჭერის კომისიამ რეზოლუციაში მკაცრად გააკრიტიკა იაპონია დელფინებისა და სხვა ძუძუმწოვრების ასე უაზროდ და უსისტემოდ განადგურების გამო და მის მიმართ მკაცრი სანქციები გამოიტანა. მაგრამ მეთევზეები ამან ვერ შეაშინა, ეს აკრძალვა ცალ ყურში შეუშვეს და მეორე ყურიდან გამოუშვეს. ნადირობა კვლავ გრძელდება. მით უმეტეს, რომ ამ დელიკატესს რესტორნები კგ-ს 800 მარკად ყიდულობენ. არადა, გურმანებმა არ იციან, რომ დელფინის ხორცი „კუჭისთვის მძიმეა“ და „იაპონიის წყლები დიდი რაოდენობით შეიცავს დიოქსინს, ისე რომ, ამ ხორცის მომხმარებელი დროთა განმავლობაში თავად მოიწამლება“.

ფუტოში დელფინები ღრმა ყურეებში ბინადრობენ. უფრო ხშირად ოჯახი 15 დელფინს ითვლის, ხოლო ხანდახან, როცა რამდენიმე ჯოგი შეერთდება, მათი რიცხვი 400-ს აღწევს და სწორედ ამ დროს ხდებიან ისინი შესამჩნევი. საერთოდ, დელფინი იოლ ნადავლს წარმოადგენს, რადგან მსხვერპლი მკვლელთან ნებაყოფლობით მიდის. „დელფინებს უყვართ ნავის ცხვირის წინ ამოხტომა და ამას თავიანთ შვილებსაც ასწავლიან“ — ამბობს ბიოლოგი დეიმერი.

და სწორედ ამ დროს, ელვის სისწრაფით აქცევენ ალყაში მეთევზე-მყვინთავები და ნავები. ის დელფინებიც კი, რომელთაც თავის დაღწევა შეუძლიათ, არ გარბიან, მათ ვალდებულება ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. დელფინი ოჯახს არასოდეს უღალატებს და არც დაჭრილ თანამოძმეს მიატოვებს. ისინი ერთმანეთს ბოლომდე ეხმარებიან და ერთმანეთისთვის თავს სწირავენ. თუმცაღა დელფინი გონიერი ცხოველია და წინასწარ კარგად იცის, რომ მასაც თანამოძმის ბედი ელის. დანებით დასერილი დელფინების წამება პორტის აუზში არ მთავრდება. სპეციალური ამწის საშუალებით დელფინებს სატვირთო მანქანის ძარაზე აწყობენ, ხოლო მათ, რომლებიც ძარაზე არ ეტევა, მანქანის კვალდაკვალ ასფალტზე მიათრევენ. ცხოველთა გმინვა გარემოს ტკივილით ავსებს. „ეს სადიზმია, თუ კლავენ, ბარემ გულში დარტყმით წყალშივე მოკლან. დელფინები ხომ ტკივილისაგან ადამიანებივით იტანჯებიან“, — ამბობს დეიმერი.

მთელი მსოფლიოს და მათ შორის იაპონიის ბუნების დამცველებიც ამ განუკითხაობის წინააღმდეგ იბრძვიან. მაგრამ ამაოდ. იაპონიის მთავრობა პროტესტებზე არ რეაგირებს, რამეთუ დელფინების თუ სხვა საუცხოო ჯიშის წყლის ბინადართა ხორცზე დიდი მოთხოვნილებაა მთელ მსოფლიოში და მათი ექსპორტით ქვეყანა თუ ცალკეული თევზრეწვის მესვეურები დიდ მოგებებს იღებენ.

ფუტოს ყურეში დაჭრილი 69 დელფინიდან 4 გადაურჩა სიკვდილს. მყვინთავებმა ეს სახელმწიფო ეგზემპლარები აღნიშნეს და დასახოცი ცხოველებიდან გამოაცალკევეს. ეს ოთხი დელფინი ზოოლოგიურ პარკს და დელფინების შოუს მომწყობთ მიჰყიდეს. იქ ახლა ისინი ბავშვებს და მათ მშობლებს ართობენ.

*შტერნი №30*

# ოპერაცია „ციცერონი“

1943 წლის 26 ოქტომბრის გვიან ღამით, გერმანიის რაიხის საგარეო დაზვერვის V სამმართველოს რეზიდენტის, ობერშტურმბანფიურერის ლუდვიგ მოიზიშის ბინაში ტელეფონის ზარი გაისმა. ლუდვიგ მოიზიშს ოფიციალურად თურქეთში გერმანიის საელჩოს მდივნის თანამდებობა ჰქონდა. ყურმილში გერმანიის საელჩოს მრჩევლის ალბერტ იუნკეს მეუღლის ხმა გაისმა:

— ახლავე ჩვენთან მოდით, ჩემს ქმარს თქვენი ნახვა სურს.

მოიზიშმა ფაცხაფუცხით ჩაიცვა და მალე იუნკეს კოტეჯს მიადგა. წინ მრჩევლის ცოლი შეეგება და უთხრა, სასტუმროში ვიღაც უცნაური კაცი ზის და რაღაც დოკუმენტების გაყიდვა სურსო. მოიზიში სასტუმრო ოთახში შევიდა, დივანზე ტანდაბალი, სქელი, მელოტი კაცი იჯდა. ასე დაიწყო ოპერაცია „ციცერონი“, რამაც გერმანიის დაზვერვას საშუალება მისცა ბრიტანეთის დიპლომატიის საიდუმლოებები შეეტყო.

...ღამის სტუმარს ელიას ბაზნა ერქვა. წარმოშობით იუგოსლავიის, ქალაქ პრიშტინიდან იყო. მოგვიანებით მისი ოჯახი საბერძნეთში გადასულა, შემდეგ კი სტამბოლში დამკვიდრებულან. ელიასი სამხედრო სკოლაში სწავლობდა, მაგრამ მდაბიური წარმოშობის გამო, იძულებული შეიქნა სკოლა დაეტოვებინა. როცა მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთში ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის საოკუპაციო ჯარები შევიდნენ, ფრანგულ სამხედრო ნაწილში მძღოლად დაიწყო მუშაობა. როგორც ყველა თურქს, ოკუპანტები არც მას ეხატებოდა გულზე და ამას მეტად უჩვეულოდ გამოხატავდა. მაგალითად, ერთხელ ფრანგი ოფიცრის მოტოციკლი გაიტაცა და ციხეში ამოყო თავი. მაინც არ ისვენებდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ საფრანგეთის სამხედრო ტრიბუნალმა სამწლიანი კატორღული მუშაობა მიუსაჯა მარსელის ბანაკში... თურქეთში დაბრუნებულმა კავასად (თურქეთში ასე ეძახიან უცხოელის მოსამსახურეს) დაიწყო მუშაობა... 1942 წელს ბაზნა გერმანიის საელჩოს მრჩევლის იუნკეს სამსახურში დგება, მაგრამ 1943 წელს იგი დაითხოვეს.

იმავე წელს ბედმა გაუღიმა და ინგლისის საელჩოს მდივანთან დუგლას ბასკთან დაიწყო მუშაობა მძღოლად. საკვირველია, მაგრამ ინგლისის უშიშროების სამსახურს არ გაურკვევია, სად მუშაობდა ადრე ბაზნა.

ბასკთან მძღოლობის გარდა, ბაზნა მრჩევლის ოთახს ალაგებდა, მაგიდას ემსახურებოდა წვეულების დროს, პატრონის ტანსაცმელს უვლიდა. ამის წყალობით ისიც გაიგო, სად ინახებოდა საელჩოდან მოტანილი დოკუმენტები. ერთ მშვენიერ დღეს ბასკს მაგიდის უჯრა ჩაუკეტავი დარჩა და ბაზნამ თავიდან ბოლომდე ინტერესით ჩაიკითხა თითოეული დოკუმენტი. სწორედ ამ დროს გაუჩნდა შპიონაჟური საქმიანობის წამოწყების იდეა. გადაწყვიტა, დოკუმენტები ფირზე გადაეღო და გერმანიის საელჩოსთვის მიეყიდა. მაგრამ ბასკს ყოველთვის როდი მოჰქონდა საჭირო დოკუმენტაცია შინ. ამიტომაც მოსამსახურედ ინ-



გლისის ელჩს სერ ჰიუ ნეთჩბულ-ჰიუჰესენს დაუდგა, მით უმეტეს, რომ ბასკი მის დათხოვნას უკვე აპირებდა. ბაზნას დრო უქმად არ დაუკარგავს და ელჩის სახლში მალე აღმოაჩინა დოკუმენტების სეიფი, გასაღებიც გააკეთა და მალე ხელთ ჰქონდა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის ფოტოასლი. სწორედ ამ ნობათით ეწვია გერმანიის საელჩოს და იმ დროისთვის საარაკო ფასი — 20. 000 ფუნტი სტერლინგი მოითხოვა. მომავალში მისატანი ფოტოასლები კი თითოეული 15.000 სტერლინგად შეაფასა.

გაოგნებულმა გერმანიის საელჩოს მდივანმა თავზე პასუხისმგებლობა ვერ აიღო და ბერლინთან დაკავშირება გადაწყვიტა. ამიტომაც მოიწვია მოიზიში თავისთან. მეორე დღეს მომხდარის შესახებ გერმანიის ელჩმა ფონ პაპენმა ყველაფერი იცოდა, თავის მხრივ მან გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს რიბენტროპს დეპეშით ამცნო ბაზნას სტუმრობის მიზანი. მოიზიშიც და ფონ პაპენიც დარწმუნებულნი იყვნენ, ბაზნას წინადადებაზე უარს შემოთვლიდა მინისტრი, მაგრამ მათდა გასაოცრად, ბერლინიდან ასეთი დეპეშა მოვიდა:

„ელჩს ფონ პაპენს

სრულიად საიდუმლოდ.

ინგლისის ელჩის კამერდინერის წინადადება მიიღეთ. დაიცავით სიფრთხილე. ანკარაში საგანგებო კურიერი 30 ოქტომბრის შუადღისას ჩამოვა. დოკუმენტების მიღება შეგვატყობინეთ დაუყოვნებლივ. რიბენტროპი“.

მართლაც, კურიერმა ფული დათქმულ დროს ჩამოიტანა, საღამოს 10სთ-ზე კი ბაზნა მოიზიშთან გამოცხადდა — ორი ფოტოასლი გადასცა და გასამრჯელო მოითხოვა. მოიზიშმა მის თვალწინ გადათვალა ფული და სეიფში ჩაკეტა — ბაზნა კუთვნილს მხოლოდ ფოტოფირების გამჟღავნების შემდეგ მიიღებდა. მოიზიში ფოტოლაბორატორიაში გამჟღავნებული ფირით დარწმუნდა, რომ დოკუმენტი მართლაც ნამდვილი და, სხვათა შორის, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. მის ნამდვილობას ის ფაქტი ადასტურებდა, რომ ქალაქ ანკარას — ანგორად არავინ იხსენიებდა, ინგლისელების გარდა. დოკუმენტში კი სწორედ — ანგორა ეწერა. ბაზნას ფულიანი პაკეტი გადასცა მოიზიშმა და ფონ პაპენს კი მაგიდაზე 52 უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი დაუწყო.

იმავე საღამოს, 10 საათზე, „ციცერონი“ (ასე უწოდეს ბაზნას გერმანიის საელჩოში) მოიზიშთან მივიდა მორიგი ფოტოპირების გადასაცემად. ამჯერად მიტანილი დოკუმენტები უფრო სენსაციური გამოდგა. ერთ-ერთში, მაგალითად, ჩერჩილის ინფორმაცია იყო, მოკავშირეთა შორის მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე ჩამოვარდნილი უთანხმოების შესახებ. ფოტოფირები სასწრაფოდ გაიშიფრა და ბერლინში გადაიგზავნა.

„ციცერონის“ დოკუმენტებმა ბერლინში სენსაცია გამოიწვია. მაგრამ დაზვერვის მე-6 განყოფილების უფროსის შელენბერგისა და მისი შეფის კალტენბრუნერისგან განსხვავებით, საგარეო საქმეთა მინისტრს რიბენტროპს მათი ნამდვილობა ეეჭვებოდა და ინგლისის დეზინფორმაციად მიიჩნევდა. ამიტომ, როგორც მოგვიანებით კალტენბრუნერი აღიარებდა, „ციცერონის“ დოკუმენტები, ფაქტობრივად, ვერ გამოიყენეს საუწყებო ურთიერთშეუთანხმებლობის გამო. მიუხედავად ამისა, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მაინც გაიშიფრა — ბევრ ტელეგრამაზე გაგზავნის თარიღი და დრო იყო აღნიშნული. სწორედ ამ გზით ამოხსნეს ინგლისის დიპლომატიური კოდი.

ამასობაში მოიზიშს ანკარაში ცხელი დღეები დაუდგა. ბერლინიდან ტელეგრამების ნიაღვარი წამოვიდა — აინტერესებდათ, როგორ მოიპოვებდა „ციცერონი“ დოკუმენტებს, ჰყავდა თუ არა თანაშემწე და რა ერქვა სინამდვილეში (საქმე ის იყო, იუნკეს დაავიწყდა, რა ერქვა ყოფილ მოსამსახურეს, თავად ბაზნა კი მოიზიშს ეუბნებოდა, პიერი მქვიაო). 6 ნოემბერს მოიზიში ბერლინში გაიწვიეს დაწვრილებითი მოხსენებისათვის კალტენბრუნერსა და რიბენტროპთან, მაგრამ რიბენტროპი ვერაფრით დაარწმუნა, რომ დოკუმენტები ნამდვილი იყო, კალტენბრუნერი პირიქით — საპირისპიროს ამტკიცებდა. სამი კვირის შემდეგ მოიზიში ანკარაში გაისტუმრა კალტენბრუნერმა დაპირებით, რომ „ციცერონისთვის“ გადასაცემი 200.000 ფუნტი სტერლინგი ანკარაში სასწრაფოდ ჩავიდოდა.

1943 წლის დეკემბერი „ციცერონის“ ზეობის ხანა შეიქნა. ამ თვეში გადასცა მან მოიზიშს დოკუმენტები კაიროსა და თეირანის კონფერენციების, ბალკანეთზე მასირებული საჰაერო თავდასხმისათვის შემუშავებული ოპერაცია „ოვერლორდის“ და სხვ. შესახებ. დეკემბრის ბოლოს მოკავშირეებისათვის ცნობილი შეიქნა, რომ ინგლისის საელჩოში გერმანიის აგენტი მუშაობდა. საელჩოში კონტროლი გააძლიერეს, მოიზიშს კი ამერიკის გერმანელი მზვერავი კორნელია კაპი „ჩაუნერგეს“ მდივნად. სწორედ მან დაადგინა, რომ აგენტი მართლაც არსებობდა, ფსევდონიმით „ციცერონი“. ამასობაში, მართალია, დიდი გაჭირვებით, მაგრამ ბაზნა მაინც ახერხებდა დოკუმენტების მოპოვებას. 1944 წლის აპრილისთვის მოიზიშისაგან უკვე 300.000 ფუნტი სტერლინგი ჰქონდა აღებული. 6 აპრილს კორნელია კაპი გერმანიის საელჩოდან ამერიკელებთან გაიქცა და დამფრთხალმა „ციცერონმა“ გადაწყვიტა, შეეწყვიტა ჯაშუშური საქმიანობა. მოიზიშს აცნობა კიდეც ეს და 30 აპრილს ინგლისის ელჩს დაეთხოვა. დიდი იმედი ჰქონდა, დაგროვილი ფულით უზრუნველად ვიცხოვრებო, მაგრამ მის ოცნებას ასრულება არ ეწერა — პირველად აღებული 20.000 ფუნტი სტერლინგის გარდა, ყველა ყალბი აღმოჩნდა. ეს მაშინ გაირკვა, როცა სტამბოლში სასტუმროს აშენებას შეუდგა. ბაზნა გაკოტრდა, ვალები დაედო... 1961 წელს იგი გერმანიაში გაემგზავრა და ფედერალურ ხელისუფლებას კომპენსაცია მოსთხოვა, მაგრამ მტკიცე და თავაზიანი უარით გამოისტუმრეს.

მეორე მსოფლიო ომის ყველაზე ცნობილი ჯაშუში 1970 წელს გარდაიცვალა.

*კალეიდოსკოპი №30*


**ფირმა „მოდინახე“**

ასრულებს ბრტყელი სახურავების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს. გადარიცხვით, აგრეთვე ნაღდი ანგარიშსწორებით, ტოლით — 4 ლარი, მინაქსოვილით — 5 ლარი, ჰიდრომინაიზოლით — 8 ლარი.

გარანტია 3-12 წლამდე.

დაგიმზადებთ რკინის კარს, გისოსს, მოაჯირს და სხვა რკინის ნაკეთობას.

მის: ფოცხვერაშვილის ქ. №3

☎ 96-80-99; 22-08-58; 899-54-52-60

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;

— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;

— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

**თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“**

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე:

იურიდიული; ფილოლოგიის, ეკონომიკის, ისტორიის, მათემატიკის, პედაგოგიური, ჟურნალისტიკის, უცხო ენების.

წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ.

9 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს ლიცეუმი

მის: დავით აღმაშენებლის 178, მე-18 სკოლა, III-IV სართ.

☎ 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07; 38-87-26

და შტამპების

ფირმების რეგისტრაცია აუდიტი

რუსთაველის 22

☎99-86-09; 38-37-89

# ქართველი ოლიმპიელები ემზადებიან...

**სიდნეის ოლიმპიური თამაშები კარს მოგვადგა. ქართველი ოლიმპიელებიც მზადების უკანასკნელ ეტაპს გადიან. ჩვენი თანამემამულეები თორმეტ სახეობაში დაიცავენ ქვეყნის ღირსებას და როგორც სპორტის მესვეურებთან, მწვრთნელებსა და ზოგიერთ სპორტსმენთან საუბარმა დაგვარწმუნა, წინა — ატლანტის ოლიმპიადისაგან განსხვავებით, ახლა ორი მედლის ამარა აღარ უნდა დავრჩეთ და ანეკდოტად ქცეული „ხახალეიშვილის აწონის ისტორიაც“ აღარ უნდა განმეორდეს.**

**როგორც დავრწმუნდით, უსახსრობისა და სხვა პრობლემების მიუხედავად, დასკვნითი მოსამზადებელი ეტაპის ორგანიზება-დაფინანსება მაინც მოუხერხებიათ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს.**

*როგორც ოლიმპიური კომიტეტის სპორტის სახეობათა ფედერაციებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა, ბატონმა* **კოტე ღლონტმა** გვითხრა, საწყლოსნო სახეობათა გარდა, სადაც ახალბედა სპორტსმენები — 10-მეტრიანი კოშკურიდან მხტომელი ნანა ნებიერიძე და 50 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე ზურაბ ბერიძე გამოვლენ, ყველასაგან შეიძლება სერიოზულ წარმატებებს ველოდოთ.

ჩვენ გადავწყვიტეთ ყველა სახეობის სპორტსმენთა მზადების შესახებ უშუალო მონაწილეთაგან მიგვეღო ინფორმაცია.

**თომზა ცომაია** — *საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი:* ჩვენი ფედერაცია სამ სახეობას კურირებს: მხატვრულ და სპორტულ ტანვარჯიშსა და ბატუტზე ხტომას. სამივე სახეობაში საქართველო თითო სპორტსმენით იქნება სიდნეიში წარმოდგენილი და, ცხადია, ყველაზე დიდ იმედს ბატუტზე მხტომელ რუსუდან ხოფერიაზე ვამყარებთ. თუმცა სპორტული ტანვარჯიშის მრავალჭიდში ილია გიორგაძის იმედიც გვაქვს — იგი გამოცდილი სპორტსმენია, ატლანტის ოლიმპიადაზეც არის ნამყოფი და სხვა დიდ შეჯიბრებებშიც მიუღია მონაწილეობა. ჯილდოებიც არ აკლია — სულ ახლახან უნგრეთის საერთაშორისო ტურნირზე ისეთი ძლიერი სატანვარჯიშო ქვეყნების სპორტსმენებთან ჭიდილში მოიპოვა პირველი ადგილი, როგორებიც ბულგარეთი, რუსეთი, უკრაინა, უნგრეთი და სხვები არიან.


რუსუდან ხოფერია

მაგრამ, როგორც ვთქვი, ჩვენი მთავარი ოლიმპიური იმედი რუსუდან ხოფერიაა, რომელიც თავის მწვრთნელთან — სულაშვილთან ერთად, ამჟამად გერმანიაში იმყოფება. დღეისათვის იგი მსოფლიო რეიტინგში მეხუთე ადგილზეა, მაგრამ ეს მხოლოდ სტარტების სიმცირით აიხსნება — წელს თორმეტ შეჯიბრებაში უნდა მიეღო მონაწილეობა და მხოლოდ ორში გამოვიდა. ასე რომ, რეიტინგში მეხუთე ადგილიც საოცარი მიღწევაა. ამის მიუხედავად, ვარჯიშის სირთულის მიხედვით, რუსუდანი პირველ ადგილზეა. ეს კომპონენტი კი გადამწყვეტია მსაჯთა მიერ შეფასებისას. რადგან მსაჯები ვახსენეთ, აქვე იმასაც ვიტყვი, რომ რუსიკოს ერთადერთი პრობლემა შეიძლება მსაჯები გახდნენ — დასამალი არაა, რომ მსაჯობაში დიდი „მაფია“ ტრიალებს. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვყავს მაღალკვალიფიციური მსაჯი, რომელიც რამდენჯერმე იყო დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზე მიწვეული, ახლა უსახსრობის გამო ვერ წავიდა იქ და აქედან გამომდინარე, ოლიმპიადაზეც ქართველი მსაჯის გარეშე დავრჩით.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრის, ანა დოლონაძის წვლილი რუსუდანის მომზადებაში — ანა გერმანიაში გათხოვდა, მათი სახელით გამოვა ოლიმპიადაზე და გერმანელებმა იგი, ფაქტობრივად, „გაგვიცვალეს“ რუსიკოსათვის სავარჯიშო პირობების შექმნაში. ასე რომ, თუ ყველაფერი კარგად იქნა, რუსუდან ხოფერია ნებისმიერი სინჯის მედლით შეიძლება დაგვიბრუნდეს.

**ომზარ შოშიტაიშვილი** — *საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი:* ბერძნულ-რომაულ (კლასიკურ) ჭიდაობაში რვა წონითი კატეგორიიდან შვიდში გვეყოლება წარმომადგენელი. ჩვენი ოლიმპიური ნაკრები ამჟამად მინსკში იმყოფება შეკრებაზე, სადაც ბელორუსიისა და ყაზახეთის ნაკრებებთან ერთად ვარჯიშობს. სამი-ოთხი მედლის მოპოვების რეალური იმედი მაქვს, თუმცა ნუ მიწყენთ და კონკრეტულ კანდიდატებს ვერ დაგისახელებთ, რადგან ეს დამთრგუნველად მოქმედებს ხოლმე დანარჩენებზე. ერთი კია, უნდა ითქვას, რომ დღევანდელი წესებიდან გამომდინარე, ბევრი უსამართლობა შეიძლება მოხდეს — სამწუხაროდ ძლიერ სპორტსმენთა განთესვა არ ხდება და მოსალოდნელია, რომ თუნდაც ისეთი მოჭიდავე, რომელსაც ჩვენ ბრინჯაოს მედლის რეალურ კანდიდატად მივიჩნევთ, პირველივე წრეში შეხვდეს ფავორიტს და ერთადერთი წაგებით გამოეთიშოს ტურნირს. ადრე ასე არ იყო — მაგალითად, მირიან ცალქალამანიძემ მელბურნის ოლიმპიადაზე პირველი ბრძოლა დათმო და მაინც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ასევე დავით ციმაკურიძეც. მიუნხენის ოლიმპიადაზე რამაზ ჩოჩიშვილმაც წააგო ერთი შეხვედრა, არც მისთვის და არც კარტოზიასთვის, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა, არ შეუშლია ხელი ერთ წაგებას პირველი ადგილის მოპოვებაში. როგორც გითხარით, ახლა ასე არ არის, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ქართველ „კლასიკოსთა“ უმედლოდ დაბრუნება გამორიცხულია.


ზაზა თურმანიძე

თავისუფალ ჭიდაობაშიც მხოლოდ ერთ წონაში გვაკლია წარმომადგენელი — ექვსკაციანი გუნდით მივემგზავრებით. ნაკრების მწვრთნელს — ზაზა თურმანიძეს ევროპის სამგზის ჩემპიონის ელდარ კურტანიძის, ორგზის ჩემპიონის დავით პოღოსიანის და წელს შესანიშნავად მოასპარეზე ემზარ ბედინეიშვილის იმედი ყოველთვის აქვს. ძალიან კარგ ფორმაშია გიორგი თუშიშვილიც. თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ბორჯომში გაემგზავრნენ ბოლო შეკრებაზე და დარწმუნებული ვარ, ისინიც თავიანთ წვლილს შეიტანენ ქართული დელეგაციის „ოლიმპიური ყულაბის“ შევსებაში.

**შოთა ხაბარელი** — *საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:* განწყობილება საბრძოლოა, ისე როგორც არასდროს. გპირდებით, რომ იაპონიის, კორეის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების უძლიერეს სპორტსმენებთან პაექრობაში თავს არ შევირცხვენთ და საქართველოს დროშაც აღიმართება პრიზიორთა დაჯილდოებისას.

სიდნეიში ექვსი ძიუდოისტი მიდის: ნესტორ ხერგიანი (60კგ.), გიორგი ვაზაგაშვილი (66კგ.), გიორგი რევაზიშვილი (73კგ.), გიორგი გუგავა (90კგ.), ივერი ჯიქურაული (100კგ.) და ალექსი დავითაშვილი (მძიმე წონა) — მხოლოდ 81 კგ. წონით კატეგორიაში ვერ მოვიპოვეთ ოლიმპიური ლიცენზია.

22 აგვისტოს ქობულეთში მივდივართ დასკვნითი შეკრების ჩასატარებლად. აქვე მინდა აღვნიშნო ოლიმპიური კომიტეტის დიდი ზრუნვა ჩვენი გუნდისადმი — ვიცი, რომ სხვა გუნდებს შეიძლება ათჯერ მეტი დაფინანსება ჰქონდეთ, მაგრამ ქართული სპორტის მესვეურებმა დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, მაქსიმუმი გააკეთეს ჩვენთვის.


გიორგი რევაზიშვილი

ოლიმპიურ პერსპექტივას რაც შეეხება, ჩამოთვლილი სპორსტმენების ტიტულებისა და შესაძლებლობების შესახებ ყველა გულშემატკივარს მოეხსენება და ალბათ განზილებულებს არ დავტოვებთ.

სამი ქართველი ძალოსანი — გიორგი ასანიძე, მუხრან გოგია და მძიმეწონოსანი ვალერი სარავა, მათი მწვრთნელის, კახი კახიაშვილის აღმზრდელის, ვანო გრიქუროვის ხელმძღვანელობით პოლონეთში ემზადება. სწორედ იქ დავუკავშირდით *მსოფლიოს რეკორდსმენს* **გიორგი ასანიძეს**: არ მინდა ვინმეს რეკლამა გავუკეთო, მაგრამ თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა ჩემი და ჩემი თანაგუნდელების სახელით მადლობა ვუთხრა სპორტის დეპარტამენტს — ვარჯიშის პირობები იდეალურია და თუ ავსტრალიაში წარუმატებლად გამოვედით, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ბრალი იქნება. ჩემს მზადყოფნას რაც შეეხება, ცოტა მაჯა მაწუხებს — ძველმა ტრავმამ შემახსენა თავი და მთელი დატვირთვით ვერ ვვარჯიშობ, მაგრამ ერთ კვირაში ყველაფერი რიგზე იქნება. ვიცი, რომ ჩემი მთავარი მეტოქე ბერძენი პიროს დიმასი ძალიან კარგ ფორმაშია, მაგრამ ეს არ მაშინებს — ჩემი მიზანი მხოლოდ ოლიმპიური ოქროა.

მუხრან გოგიაც იდეალურ ფორმაშია. შეიძლება ითქვას, რომ თავისი კარიერის პიკზეა და დიდი იმედი მაქვს, რომ მედალს მოიპოვებს.

ასე რომ, აქედან მივესალმები ყველა ქართველ გულშემატკივარს და იმედების გამართლებას ვპირდები.

მშვილდოსანთა ასპარეზობაში სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება — საქართველოს ქალთა გუნდი სრული შემადგენლობით, სამი სპორტსმენით იასპარეზებს. გვესაუბრება მათი *მწვრთნელი* **თამაზ ფუტკარაძე:** ჩვენი ორი სპორტსმენი — ბათუმელები ასმათ დიასამიძე და ხათუნა ფუტკარაძე ამჟამად ანტალიაში ვარჯიშობენ, ხოლო თბილისელი ხათუნა ქვრივიშვილი, უკვე ოთხი წელია ამერიკაში სწავლობს და იქვე ვარჯიშობს. სიდნეიშიც, ალბათ, ამერიკიდან ჩამოვა. აპრილში მან დიდ საერთაშორისო ტურნირში — არიზონას თასის გათამაშებაში (პირველი კატეგორია) მეექვსე ადგილი დაიკავა. ჩვენმა გოგონებმა ანტალიის გრან-პრიც მოიპოვეს გუნდურ ჩათვლაში და მსოფლიო უნივერსიადის მეორე ადგილიც, ამჟამად მსოფლიო რეიტინგით მეთერთმეტე, ხოლო ევროპულით მეხუთე ადგილზე ვართ. თუმცა უნდა გაითვალისწინოთ, რომ ეს რეიტინგი ბოლო ოთხი წლის შედეგების მიხედვით დგება. ჩვენ კი ეს საკმაოდ მაღალი ადგილები მხოლოდ წლევანდელი მაჩვენებლებით მოვიპოვეთ. ყველა იმათგანი, ვინც ამ ოფიციალურ რეიტინგში ჩვენზე წინ არის — გერმანელები მენსენგი და ნულე, ინგლისელი ვილიამსონი, ასევე ჩინელი და კორეელი სპორსტმენები, ჩვენს გოგონებს დამარცხებული ჰყავთ წელს და ამიტომ დიდი იმედი მაქვს, რომ თუ ქართველ ოლიმპიელთაგან ვინმე ოქროს მედლის კანდიდატია, მათ შორის გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრებიც უნდა მოვიხსენიოთ.

დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა, რომელმაც წელს გრან-პრის სამ ტურნირზე მოახერხა ჩვენი დაფინანსება და აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, რომელიც სამი წლის მანძილზე უზრუნველყოფდა ასმათ დიასამიძის მზადებას.

ბევრი გულშემატკივრისათვის მოულოდნელობად იქცა, რომ ავტორიტეტული ქართველი მოკრივეები ოლიმპიური ლიცენზიის გარეშე დარჩნენ და საქართველოს სიდნეიში მხოლოდ ორი ახალბედა ფოთელი მოკრივე — 22 წლის ვლადიმერ ჭანტურია და მასზე ერთი წლით უმცროსი თემურ ხურცილავა წარმოადგენენ.

მათ შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ *ფოთის საკრივო კლუბ „ლიდერის“ პრეზიდენტს, საქართველოს მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარეს, აიბა-ს მსაჯს* **ზურაბ ტიბუას:** გულშემატკივრებს ახსოვთ, რომ 1993 წლიდან, როდესაც საქართველოს ნაკრები დამოუკიდებელი გუნდით გავიდა სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასპარეზზე, ჩვენ მსოფლიოს უძლიერესთა შორის ვიყავით. ამას მაშინდელ მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული მეოთხე გუნდური ადგილიც მოწმობს, მაგრამ შემდეგ სპორტსმენთა მიგრაციამ (გვასალია და ფალიანი რუსეთში, კაკაურიძე — თურქეთში გადაიხვეწნენ) საქმე უკან დასწია, რაც ძირითადად ქართული სპორტის მესვეურთა უყურადღებობით იყო გამოწვეული. სამწუხაროდ, ეს სიტუაცია დღესაც გრძელდება. ჩვენმა მოკრივეებმა ერთადერთი შეკრების ჩატარება მოახერხეს მთელი ოლიმპიური ციკლის მანძილზე და ისიც აქ — ფოთში. ის, რომ ჭანტურიამ და ხურცილავამ ოლიმპიური ლიცენზიები მოიპოვეს, ნამდვილი გმირობა იყო მათი მხრიდან. თუ, მაგალითად, ძალოსანს ასე თუ ისე შეუძლია ტურნირის გარეშე, ინდივიდუალურად მოემზადოს, მოკრივისათვის ხომ სერიოზულ მოწინააღმდეგეებთან — სპარინგ პარტნიორებთან შეხვედრებია აუცილებელი. საბედნიეროდ, თურქების მოწვევით ახლა მაინც გახდა შესაძლებელი ჩვენი ორივე ოლიმპიელის ანკარაში გაგზავნა, სადაც ისინი მასპინძელთა გარდა, აზერბაიჯანელ და გერმანელ სპორტსმენებს გაეპაექრებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიადაზე მათგან მედლის აუცილებლად მოთხოვნა გადამეტებული იქნება, უნდა ვთქვა, რომ ლიცენზია შემთხვევით არ მოუპოვებიათ და სიდნეიშიც არ შეგვარცხვენენ.

ბოლოს ერთსაც აღვნიშნავდი — ახლახან დასრულებულ მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე ქართველი მოკრივეებიდან სამი, ფინალში გავიდა, სამი კი — ნახევარფინალში. ეს ის ახალგაზრდები არიან, რომელთაც რეალური ძალა შესწევთ, ყურადღების შემთხვევაში, უკვე მომავალ ოლიმპიადაზე ნებისმიერი სინჯის მედლის რეალურ კანდიდატებად მოგვევლინონ. კარგი იქნება, თუ სპორტის დეპარტამენტი და ოლიმპიური კომიტეტი აქედანვე იზრუნებენ, რომ ისინი, როგორც სპორტსმენები არ დაიკარგონ.

ერთადერთი, ვისაც ვერ დავუკავშირდი, ჩვენი სნაიპერი, ნინო სალუქვაძე აღმოჩნდა — იგი გერმანიაში ვარჯიშობს. მის შესახებ ორიოდე სიტყვის თქმა ისევ ბატონ **კოტე ღლონტს** ვთხოვეთ: ნინო, როგორც ყოველთვის, სტაბილურ შედეგებს აჩვენებს და იმედია, რომ სიდნეიშიც, სადაც საყოველთაო აღიარებით ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება, „ტყვიას ტყვიაში ჩასვამს“.

ამჟამად იგი გერმანიაში იმყოფება და იქ ვარჯიშობს.


ნინო სალუქვაძე

**ამგვარად, ქართველი ოლიმპიელები მონდომებით ემზადებიან და როგორც მათსა და მათ მწვრთნელებთან თუ ფედერაციების ხელმძღვანელებთან საუბრისას გაირკვა, საკმაოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი.**

**ჩვენც წარმატება ვუსურვოთ და მოთმინებით დაველოდოთ ოლიმპიადის დაწყებას.**

**ზვიად გურული**

კურიოზი

## როგორ „ჩამოვიდა“ ჯორჯ ბესტი მოსკოვში

უნიჭიერესი მეგობარი მყავდა — სპორტული ჟურნალისტი ზურაბ ტაბატაძე, თავის დროზე რუსეთში „სოვეტსკი სპორტში“ და „ფუტბოლ-ჰოკეიში“ მუშაობდა. ჟურნალისტის კარიერა კი აქ, „ლელოში“ დაასრულა. როგორც კალმოსანთა უმრავლესობას, თანაც რუსეთში, მასაც უყვარდა სმა და საქმის ისე კეთება. ერთ მშვენიერ დღესაც „ფუტბოლ-ჰოკეის“ მთავარმა რედაქტორმა, ყოფილმა ფეხბურთელმა ვიქტორ პონედელნიკმა დაიბარა და უთხრა: „ზურა, ხვალ ცნობილი ფეხბურთელი ჯორჯ ბესტი ჩამოდის მოსკოვში, ცოლი ჩამოჰყავს სამკურნალოდ. ოღონდ იმავე დღეს მინვოდში უნდა გაფრინდეს, თანაც გაუხმაურებელი ვიზიტია. აბა, შენ იცი — ერთი ლამაზი ინტერვიუ გააკეთე, არც ერთ გაზეთს არ ექნება ასეთი მასალა“, თან ფოტორეპორტიორიც მიამაგრა.

მაშინ სად იყო ინტერნეტი და ასეთი სიამოვნება. გაექანა ტაბატაძე ბიბლიოთეკაში, ამოქექა ყველაფერი, რაც ბესტზე და ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთზე სჭირდებოდა. მერე მეგობარ ფოტორეპორტიორებსა და ჟურნალისტებს შეეხმიანა და ყოველი შემთხვევისთვის ბესტის ძველი და ახალი ფოტოსურათები იშოვნა — ცოლთან, მეგობრებთან, თანაგუნდელებთან გადაღებული. უცხოური ჟურნალებიც უხვად მოიმარაგა.

მეორე დილით, ზურა და ის ფოტორეპორტიორი დათქმულ ადგილას შეხვდნენ ერთმანეთს. როგორც წესი, 100-100 გრამის დასალევად შევიდნენ რესტორანში და შეჰყვნენ დროსტარებას. მოკლედ, მაგრად დათვრნენ და გამოეპარათ ბელფასტიდან თვითმფრინავის ჩამოფრენის დრო. „ვნუკოვოს“ აეროპორტში გასვლას აზრი აღარ ჰქონდა.

გავარდნენ ორივენი ფოტოლაბორატორიაში. ფოტორეპორტიომა მის ხელთ არსებული სურათებიდან ისეთი ფოტომონტაჟი გააკეთა, კაცი ვერ გაუგებდა სიყალბეს. ბესტი ჩამოდის ცოლთან ერთად ტრაპზე, ტრაპს კი აწერია „აეროფლოტ“ დიდი ასოებით. ბესტს ხელს ართმევს სსრკ-ის სპორტის სამმართველოს უფროსი კოლოსკოვი, ბესტი ეხვევა თავის ნაცნობებს — ძველ საბჭოთა ფეხბურთელებს: ვალერი ვორონოვს, ანზორ კავაზაშვილს, ხოლო უკან ვნუკოვოს აეროპორტი მოჩანს, ბესტის მეუღლეს ყვავილებს მიართმევს ლევ იაშინი და ასე დაუსრულებლად. ზურა ტაბატაძემაც მშვენიერი ინტერვიუ გამოაცხო. რა თქმა, უნდა ბესტის მეუღლესაც „გაესაუბრა“, ცნობილ საბჭოთა ფეხბურთელებსაც ჰკითხა ბესტის შესახებ — მათაც მოიგონეს, რომ ბესტი დიდებული ფეხბურთელი იყო. გაიხსენეს იგი მინდორზე, ცხოვრებაში. ზურამ ისიც ათქმევინა ჯორჯ ბესტს, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობისა და კაცთმოყვარეობის ოაზისია, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდია დღემდე იჩაგრება იმპერიალისტური ინგლისისაგან.

მასალა და ფოტოები გაზეთში დაიბეჭდა. მეორე დღეს „ფუტბოლ-ჰოკეის“ ლამის ნახევარი ნომერი მოსკოვში ჯორჯ ბესტის ვიზიტს მიეძღვნა. რა თქმა უნდა, უამრავი ილუსტრაციით და დიდი სათაურით — „ჯორჯ ბესტი გუშინ საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა“. დილით ვიკტორ პოლედელნიკი თვალებგაბრწყინებული ათვალიერებდა ჟურნალ-გაზეთებს და გახარებული იყო, რომ არც ერთ მათგანში სტრიქონიც არ ეწერა ბესტის ვიზიტზე. კაცი უკვე იმას ფიქრობდა, თუ რა რაოდენობის პრემია გამოეწერა ზურა ტაბატაძისა და ფოტორეპორტიორისათვის, რომ ტელეფონზე დაურეკეს — „სოვეტსკი სპორტის“ მთავარი რედაქტორი კუდრიავცევი რეკავდა.

თურმე ჯორჯ ბესტს ინგლისიდან შემოუთვლია მეუღლე შეუძლოდ მყავსო და მოსკოვში ჩამოსვლა დროებით გადაუდვია. ასე რომ, ბესტი იმ წელს საერთოდ აღარ ჩამოსულა საბჭოთა კავშირში. არადა, როგორია — საკავშირო გაზეთი გაჰკიოდა, ბესტი უკვე აქ არის და მინვოდში დაისვენებს ერთი თვეო. პონედელნიკი ამ ამბავს კინაღამ გადააყოლეს, ხოლო ზურა ტაბატაძე და მისი ფოტორეპორტიორი ორ წელიწადს უმუშევრები დადიოდნენ და კინაღამ დაიჭირეს — მთელი წელი უშიშროებაში დაჰყავდათ დაკითხვებზე.

არადა, მათმა ამ ნაშრომმა საერთაშორისო კონკურსშიც გაიმარჯვა, რომელსაც ერთი ევროპული სპორტული გაზეთი ატარებდა. 1982 წლის ყველაზე „დამაჯერებელ სპორტულ ხუმრობად“ სწორედ ეს სტატია დასახელდა. ეს ამბავი კი თავად ავტორმა 10 წლის მერე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაიგო.

ასეა რა: არ ესმით ხუმრობა ამ კომუნისტებს.

**ლევან ჯავახიშვილი**

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დამამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მიინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. კf7-b3! (ცუგცვანგი)

თეთრები იწყებენ და აცხადებენ შამათს ორ სვლაში.



# ირანმაც მოგვიგო...

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი კარსაა მომდგარი. ევროპის ეროვნული ნაკრები გუნდები უკანასკნელ წვრთნას გადიან. ოთხშაბათი ევროპაში ამხანაგური მატჩების დღე იყო. საქართველოს ნაკრები ირანს ეწვია და იქაურ გუნდთან დამარცხდა — 1:2. ამ ბოლო დროს დამარცხება აღარ გვაკვირვებს, კლუბები თუ ნაკრები შესაშური ტემპით ამყარებენ ყოველგვარ ანტირეკორდს. როგორც არ უნდა იყოს, არ შეიძლება ყველასთან წააგო, როდის ისწავლეს ირანელებმა ფეხბურთის თამაში? შეიძლება არც უსწავლიათ, უბრალოდ იმდენი იციან, ჩვენ და ჩვენნაირებს რომ მოუგონ. იმასაც შეგახსენებთ, რომ სპარსებმა ჩვენთან სათამაშოდ არც იმ თითო-ოროლა მეტ-ნაკლებად ძლიერ ფეხბურთელს უხმეს, ევროპის საშუალო კლუბებში გამოსვლით რომ გაეცნეს თავი გულშემატკივრებს. შეიძლება ითქვას, რომ ირანელთა სათადარიგო შემადგენლობამ მოგვიგო. კი ბატონო, არ შეიძლება ამხანაგურ მატჩში წაგებით ტრაგედიის შექმნა, მაგრამ...



რუსეთი - ისრაელი 1:0

ამასობაში ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები აცხადებენ, შესარჩევი ეტაპის პირველი ორი მატჩი თუ მოვიგეთ ლიტვასა და იტალიაში (?!), ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელები ამდენს და ამდენს აიღებენო. ვფიქრობ, თანხის დაკონკრეტება არ ღირს, თუმცა, მაინც შეგახსენებთ — ლიტვაში მოგება 155.000 დოლარი ღირებულა, იტალიაში კი თითქმის ორი ამდენი. საქართველოს ნაკრების სპონსორმა იტალიურმა ფირმა „ლოტომ" კი სულ აიღო ნამუსზე ხელი და ჩვენებს მილიონ დოლარს შეჰპირდა, თუ ისინი 2002 წელს კორეა-იაპონიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატს მოიგებენ (!!!) — სასაცილოა... საქართველომ ორიოდე დღის წინ ირანთან წააგო...

ფრიად საინტერესო გახლდათ ჰანოვერში გამართული შეხვედრა. ევრო-2000-ზე შერცხვენილი და ყველასაგან დაბრიყვებული გერმანიის ნაკრები ესპანეთს მასპინძლობდა. სად იყო რუდი ფიოლერი თუნდაც სამიოდე თვის წინ? ალბათ ეს კითხვა არ ასვენებდათ გერმანელთა თამაშის შემყურე მათსავე გულშემატკივრებს. 4:1 — ასეთი ანგარიშით მოუგო გერმანიამ ესპანეთს, თამაშითაც პირწმინდად გაანადგურა. ჩვენი მეზობელი თურქები ბოსნიაში დამარცხდნენ — 0:2, ჩრდილოელმა მეზობელმა რუსებმა კი ისრაელს ძლივს მოუგეს — 1:0. დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა:

ჩეხეთი—სლოვენია 0:1
რუმინეთი—პოლონეთი 1:1
ფინეთი—ნორვეგია 3:1
ბულგარეთი—ბელგია 1:3
ფარერები—დანია 0:2
პორტუგალია—ლიტვა 5:1
სლოვაკეთი—ხორვატია 1:1
შვეიცარია—საბერძნეთი 2:2
ჩრდ. ირლანდია—იუგოსლავია 1:2
ისლანდია—შვედეთი 2:1
მოლდოვა—მალტა 1:0
უნგრეთი—ავსტრია 1:1
ალბანეთი—კვიპროსი 0:0
ლატვია—ბელარუსი 0:1

# ბრაზილია 0:3-ს მჩვევა

სამშაბათს და ოთხშაბათს სამხრეთ ამერიკის ნაკრებმა გუნდებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მომდევნო ტური გამართეს. ბრაზილიის ეროვნულმა გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში „მიღწეული" შედეგი გაიმეორა და სანტიაგოში 0:3 წააგო ჩილესთან, ვერც არგენტინელებმა ივარგეს და მხოლოდ ფრეს მიაღწიეს შინ პარაგვაისთან — 1:1. დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა

კოლუმბია—ურუგვაი 1:0
პერუ—ვენესუელა 1:0
ეკვადორი—ბოლივია 2:0

სატურნირო ცხრილს არგენტინელები ლიდერობენ 7 მატჩში 16 ქულით, მეორე ადგილზე მყოფი კოლუმბიის ნაკრები ლიდერს 4 ქულით ჩამორჩება. ურუგვაის, პარაგვაისა და ბრაზილიის ნაკრებებს 11-11 ქულა აქვთ. შეგახსენებთ, რომ პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდები ავტომატურად მიიღებენ კორეა-იაპონიის საგზურს, მეხუთეადგილოსანს კი გადათამაშებაში მონაწილეობა მოუწევს.

# სუპერკლუბებს ჩემპიონთა ლიგაში მუდმივი ადგილი სურთ

ოფიციალურ საფეხბურთო ინსტანციებს ევროსაბჭოს კანონმდებლობის შემდეგ ევროპულმა სუპერკლუბებმაც შეუტიეს. უკანასკნელ ხანს თითქოს დროებით შეწყდა სუპერლიგის პროექტის განხორციელებაზე საუბარი, თუმცა გასულ კვირას ევროპულმა გრანდებმა კვლავ შეახსენეს თავი ფიფასა და უეფას. ზოგიერთი კლუბის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია უარი თქვან სუპერლიგის ჩამოყალიბებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწინავე ევროპული კლუბები (მაგალითად: რეალი, იუვენტუსი, მილანი, ბაიერნი, აიაქსი) მუდმივად დაიბევებენ ადგილს ჩემპიონთა ლიგაში და დამოკიდებულნი არ იქნებიან შინაურ ჩემპიონატებში ნაჩვენებ შედეგებზე. გამორიცხული არ გახლავთ ფიფა ამ დათმობაზე წავიდეს. ამ შემთხვევაში ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი ორ ნაწილად დაიყოფა — ე.წ. ჩაკეტილ ზონად — საიდანაც არც არავინ გავარდება და არც არავინ დაემატება, მეორე ზონას კი ის გუნდები შეადგენენ, რომლებიც თავიანთ შინაურ ჩემპიონატებში მაღალ ადგილებს დაიკავებენ და ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებენ.

# „ბარსელონამ" დელ პიეროც მოინდომა



რამდენიმე დღის წინ „ბარსელონამ" ხელი მოაწერა კონტრაქტს ესპანეთის ნაკრების ფორვარდთან ალფონსოსთან და თითქოს ამით უნდა დასრულებულიყო გუნდის დაკომპლექტება, თუმცა სარწმუნო წყაროები იუწყებიან, რომ კატალონიელებს უფრო დიდი გეგმები აქვთ და ტურინის „იუვენტუსის" იტალიელი ვარსკვლავის ალესანდრო დელ პიეროს გადაბირება სურთ.

დელ პიერო ტურინელ ტიფოზთა ყველაზე საყვარელი ფეხბურთელია და ფრიად საეჭვოა, „ბებერმა ქალბატონმა" მასთან განშორება ისურვოს, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ორი წელი „იუვეს" ფორვარდს მუდმივი ტრავმები ტანჯავს და ვერა და ვერ აღიდგინა სასურველი ფორმა. „ბარსელონას" პრეზიდენტი ხუან გას პარი დელ პიეროს სანაცვლოდ იტალიელებს 54 მილიონ დოლარს სთავაზობს. იტალიელთა საბოლოო პასუხი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ იმავე „ბარსელონას" წინადადება — ზინედინ ზიდანი 70 მილიონად მიეყიდათ, ტურინელებმა განხილვის ღირსადაც არ ჩათვალეს, შეიძლება ითქვას, რომ არც დელ პიეროს გაიმეტებენ. როგორც ჩანს ჩიხში შევიდა მოლაპარაკება „ბარსელონაში" რობერტო ბაჯოს გადასვლის თაობაზეც.

# ისევ ჰოლიფილდი და ლუისი?

მსოფლიოს უძლიერეს მოკრივედ აღიარებული ბრიტანელი ლენოქს ლუისი მომდევნო ბრძოლას 11 ნოემბერს გამართავს. მისი მეტოქეა ზელანდიელი დევიდ ტუა, რომელიც შეეცდება მსოფლიო კრივის ასოციაციის ჩემპიონის ტიტული ჩამოართვას ბრიტანელს, რათა შემდგომ აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად შეერკინოს ევანდერ ჰოლიფილდს.

გასულ კვირას მძიმეწონოსან მოკრივეთა შორის კვლავ ორხელისუფლებიანობა დამყარდა. ჰოლიფილდმა, რომელზეც ყველა ფიქრობდა, რომ ლუისთან დამარცხების შემდეგ ხელთათმანებს სამუდამოდ შეინახავდა, კვლავ შეახსენა თავი მსოფლიოს საკრივო საზოგადოებას და ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ვერსიის — მსოფლიო კრივის ასოციაციის მიერ აღიარებული ჩემპიონის ქამარი დაიბრუნა. მართალია, მას საკმაოდ გაუჭირდა ჯონ რუისთან ბრძოლის მოგება და მხოლოდ ქულებით გაიმარჯვა, მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. ჰოლიფილდის აქციები მკვეთრად გაიზარდა. 38 წელს მიღწეული ამერიკელი უკვე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია. ასეთი მიღწევა არ ჰქონიათ თავად ლეგენდარულ მუჰამედ ალისა და ჯორჯ ფორმენს. ჰოლიფილდმა განაცხადა, რომ დიდებულ ფორმაშია და ნებისმიერ მეტოქესთან საბრძოლველად გახლავთ მზად. ეს განცხადება გახდა მიზეზი იმისა, რომ ლენოქს ლუისისა და ჰოლიფილდის პრომოუტერებმა სულ რამდენიმე დღეში გაჩარხეს მატჩ-რევანშის ორგანიზება.

ამ შესაძლო ჩხუბის საფასურად ბრიტანელს ჰონორარიც დაუთქვეს, 30.000.000$ ასეთი თანხა არა მარტო კრივის, არამედ სპორტის ისტორიაშიც არავის ღირსებია ერთი ბრძოლის საფასურად. ჰოლიფილდმა კი აღიარა, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში იმდენი ფული იშოვა, მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რამდენს გამოიმუშავებს ლუისთან ბრძოლაში — „ჩემთვის დღეს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ყოველგვარ ფულზე მეტად ფასობს" — განაცხადა ამერიკელმა.

თუმცა იმისათვის, რომ მომავალი წლისათვის დაგეგმილი ჰოლიფილდ-ლუისის ბრძოლა შედგეს, აუცილებელია ბრიტანელმა მოკრივემ 11 ნოემბერს ახალზელანდიელი ტუა სცემოს, თორემ მის მაგივრად სწორედ ტუას მოუწევს ჰოლიფილდთან შებმა, ლუისისა და ტუას ჩხუბში ფავორიტად რასაკვირველია ინგლისელი ითვლება, თუმცა ზელანდიელი საკმაოდ უხერხული მეტოქეა. 37 გამარჯვება 38 ბრძოლაში — ასეთია მისი მონაგარი. ლუისთან ბრძოლის ფასად ზელანდიელი 4 მილიონს მიიღებს, რაც მისთვის დამატებითი სტიმულიც გახლავთ.

კრივის მოყვარულები კი თვლიან, რომ



ჰოლიფილდის „აღზევება" ამერიკელთა ბოლოს წინა ცდაა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის ღირსეულად დასაბრუნებლად. ლუისი და ჰოლიფილდი შეხვდებიან თუ არა ჯერ ზუსტად არავინ იცის, თუმცა, ასეც რომ მოხდეს, ბრიტანელი მაინც აშკარა ფავორიტად ჩაითვლება და თუ მოიგო, დაიწყება სამზადისი გრანდიოზული ბრძოლისა — ამერიკელთა მთავარი იმედი მაიკ ტაისონი კბილებს ილესავს. საუკუნის დასასრულს მსოფლიო კრივი არნახულმა ინტრიგამ მოიცვა — ევროპა თუ ამერიკა? ამ კითხვაზე ალბათ მაინც მაიკ ტაისონსა და ლენოქს ლუისს მოუწევთ პასუხის გაცემა.

# ალერგია — ოლიმპიელთა მტერი

სიდნეის ოლიმპიადაზე მოასპარეზე სპორტსმენთა უმრავლესობას ძლიერ გაუჭირდება მაღალ დონეზე ასპარეზობა. ავსტრალიელი ექიმები მიზეზად იქაურ ჰავასა და ალერგიულ შეტევებს ასახელებენ. საქმე ის გახლავთ, რომ ავსტრალიაში, რომელიც სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარეობს, ახლა გაზაფხულის პირია — 1 სექტემბერი გაზაფხულის პირველი დღეა. გამორიცხული არ გახლავთ მრავალი სპორტსმენი შეაწუხოს ასთმურმა შეტევებმა, ცრემლდენამ, თავის ტკივილმა. შარშანდელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ იქაურ ჰავას შეჩვეული 900 ავსტრალიელი სპორტსმენიდან, 37% ძლიერ შეაწუხა გაზაფხულის სურნელმა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩრდილოურ ჰავას ნაჩვევ ევროპელ და ამერიკელ სპორტსმენებს, შესაძლოა ბევრად სერიოზული პრობლემები შეექმნათ.



ავსტრალიელ აბორიგენებს ალერგიული პრობლემები არ აწუხებთ. ფოტოზეც ჩანს, მშვენიერად მოკალათებულან გიგანტური ხის ძირას და მშვიდად ელიან ოლიმპიური ასპარეზობების დაწყებას.

# მაკმანამანის შეძენა „ლაციოს" სურს

რომის „ლაციომ", რომელიც ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ კლუბად ითვლება ევროპის სატრანსფერო ბაზარზე, სურვილი გამოთქვა მადრიდის „რეალისაგან" შეიძინოს ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი სტივ მაკმანამანი. იტალიის ჩემპიონთა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა განაცხადა, რომ მაკმანამანი პორტუგალიელი სერჟიო კონსეისაუს შემცვლელად ჰყავს შეგულებული. მოგეხსენებათ, კონსეისაუ „ლაციომ" „პარმას" მიჰყიდა. რომაელები ადრე პორტუგალიელის სანაცვლოდ



„ბარსელონადან" ბუდევინ ზენდენის შეძენას აპირებდნენ, მაგრამ ეს ტრანსფერი არ შედგა, ვინაიდან თავად ზენდენმა არ ისურვა რომში გადასვლა. თუ გავითვალისწინებთ, რომ „რეალის" ხელმძღვანელობა ძლიერ მონდომებულია მაკმანამანის გაყიდვით, სავარაუდოა, რომ ინგლისელი „ლაციოში" გადავა. თანაც თავად მაკმანამანს სამშობლოში დაბრუნება არ სურს, თორემ „ლაციომდე" მისი შეძენის სურვილი „ჩელსიმ" და „მიდლსბრომაც" გამოთქვეს.

# ამერიკული ფეხბურთი სასიკვდილოა?

17 მოსწავლე გარდაიცვალა ამერიკულ სკოლებსა და კოლეჯებში ამერიკული ფეხბურთის თამაშის შედეგად, 1999 წელს. ხუთი მათგანი ტვინის უძლიერესმა შერყევამ იმსხვერპლა. დანარჩენ თორმეტს კი უბრალოდ გულმა ველარ გაუძლო. ასეთი გამოკვლევები შეერთებულ შტატებში 1931 წლიდან მიმდინარეობს. შედეგები საგანგაშოა — ამ ხნის განმავლობაში სკოლებისა და კოლეჯების 616 მოსწავლე შეეწირა საყვარელ თამაშს. მიუხედავად ამისა, კალათბურთთან ერთად ამერიკული ფეხბურთი დღესაც ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობაა ქვეყანაში და სულ უფრო მეტი მოზარდი ცდის ბედს ამ სახეობაში.



# ჩელსი ზრუნდება

ჩელსი კლინტონმა არდადეგების გატარება თავის თანატოლებთან არ მოინდომა. ჯერ დედის საარჩევნო კამპანიაში (რომელიც ნიუიორკში მიმდინარეობდა) მონაწილეობდა, შემდეგ კი უფრო „მაღალ პოლიტიკას" მიაპყრო მზერა და ისრაელ-პალესტინის კემპ-დევიდურ მოლაპარაკებებზე მამა-პრეზიდენტს ეახლა. როგორც ამბობენ, მან საკმაო როლი ითამაშა იქ გამართული პრესკონფერენციების მოწყობაში. 20 წლის ჩელსი მიიჩნევს, რომ ბილ კლინტონს პრეზიდენტობის წლებში მეტი აქტიურობა შეეძლო, რაც მის პოპულარობას გაზრდიდა. თუმცა „დანაკარგის ერთბაშად" ანაზღაურებას ცდილობს და მამის პრეზიდენტობის ბოლო პერიოდის ყველა საგარეო ვიზ-



იტში აპირებს მონაწილეობის მიღებას. პირველი ასეთი ვიზიტია კლინტონის აფრიკის ქვეყნებში ოფიციალური სტუმრობა.

***ნიუ ზუიქი***

## მონიტორიდან სასაფლაოს სიომ დაბერა



ინტერნეტით მილიონობით ადამიანი სარგებლობს. იგი უდავოდ საჭირო და აუცილებელია, მაგრამ ყოველდღიურობით გადაღლილი ადამიანისთვის — მომაკვდინებელი.

ავსტრიის სავაჭრო აკადემიის მოსწავლეს, 17 წლის ევას, ერთი წლის შემდეგ დიპლომი უნდა აეღო. მხიარული და ხალისიანი გოგონა სულ ახალ-ახალი ნაცნობების ძიებაში იყო და სწორედ ინტერნეტმა მისცა საშუალება მთელ ქვეყანას დაჰკავშირებოდა. „მსოფლიო აბლაბუდამ" გაამართლა თავისი სახელწოდება და ცქრიალა ევა შეიცვალა — შინ ჩაიკეტა, მიატოვა აკადემია, მეგობრები, მისი ერთადერთი სურვილია მიუჯდეს კომპიუტერს.

ერთ დღეს კოდით, „თვითმკვლელების არდადეგები", 24 წლის ნორვეგიელმა დენიელმა კომპიუტერით დატოვა შეტყობინება ინგლისურ ენაზე, რომ აპირებს თავის მოკვლას და ეძებს ამ საქმისთვის კომპანიონს. დენის შეტყობინებამ ისე აღაფრთოვანა გოგონა, რომ მაშინვე უპასუხა. ასე დამყარდა ეს სასიკვდილო კავშირი. ევას ცხოვრებაში მიზანი გაუჩნდა. ევამ და დენმა დიდი მიმოწერა გააჩაღეს ელექტრონული ფოსტით, აწყობდნენ გეგმებს, — სად, როგორ და რა საშუალებით ჩაატარებდნენ ამ რიტუალს. გოგონამ მშობლებს უთხრა, რომ მეგობარი გაუჩნდა და როდესაც ევამ მეგობართან გამგზავრება გადაწყვიტა, გაეხარდათ. იფიქრეს, დენი სიცოცხლეს დაუბრუნებდა მათ შვილს.

დენიელი აეროპორტში დახვდა ნორვეგიაში ჩასულ ევას. ახალგაზრდებმა მაშინვე „იგრძნეს" ერთმანეთი. დენის ჯიბეში ედო ორი ბილეთი სტავანგერამდე. მათ ბორნით მიაღწიეს სამხრეთ ნორვეგიის მთიან სანაპიროს.

შემდეგ რაც მოხდა პოლიციამ, თოვლზე აღბეჭდილი ნაკვალევით აღადგინა. დენიმ და ევამ მწვერვალამდე მიაღწიეს, ცოტა ხანს დაყოვნდნენ და... 604 მეტრიანი კლდიდან მარადისობაში გადაახტნენ. ვარაუდობენ, რომ ბოლო წუთამდე ხელიხელჩაკიდებულნი იყვნენ.

სავაჭრო აკადემიაში, სადაც ევა სწავლობდა, შავი დროშა გამოფინეს. დირექტორმა კი მეორე დღესვე აუკრძალა სტუდენტებს ინტერნეტით სარგებლობა.

აკადემიაში მაგიდა, სადაც იჯდა ევა, ცარიელია, კომპიუტერიც უქმად დგას. ჯერჯერობით დანარჩენებიც გამორთულია, მაგრამ მალე ამუშავდება მონიტორები და ელექტრონული მეგობრები კვლავ მოუხმობენ მოსწავლეებს ვირტუალურ სამყაროში სამოგზაუროდ.

***ვოქ ტაკ №32***

## რა ელის ჯიუტ პრინცესას?



ბაჰრეინის ამირას ბიძაშვილის, შეიხ აბდულა ხალიფის 18 წლის ქალიშვილი მარიამი ერთი ნახვით შეუყვარდა ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის კაპრალს ჯეისონ ჯონსონს. არაბ მზეთუნახავსაც უმალ გულში ჩაუვარდა ჭაბუკი.

ლას-ვეგასელი მძღოლის ვაჟმა და პრინცესამ ერთმანეთი შარშან გაიცნეს ბაჰრეინის დედაქალაქ მანამის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში. ჯონსონის ქვედანაყოფი ამერიკელ მოქალაქეთა უსაფრთხოებას იცავდა.

პრინცესას ოჯახმა რომ შეიტყო, ჩვენს ქალიშვილს „ურჯულო" უცხოელი შეუყვარდაო, მარიამი შინ გამოკეტა, მაგრამ მოგეხსენებათ, ქალი თუ ეშმაკზე სამი დღით ადრე არის დაბადებული, აღმოსავლელი მიჯნური მზეთუნახავი — სამჯერ სამი დღით უფროსია მაზაკვალზე. მარიამმა მაინც მოახერხა ჯეისონთან კავშირის გაბმა და მისმა სურნელოვანმა, ცრემლითა და მხურვალე სიყვარულით გაჟღენთილმა ბარათებმა სამუდამოდ დაიპყრეს ამერიკელის გული. გასრულდა ბაჰრეინში სამსახურის ვადა და ჯონსონმა მართლაც რომ ჯეიმს ბონდის საკადრის ხსნის გზას მიაგნო. თურმე მანამის აეროპორტში საკმარისი იყო, ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეს ეჩვენებინა პირადობის მოწმობა და თვითმფრინავში დაუბრკოლებლად აუშვებდნენ. ჯეისონმა საიდანღაც ყალბი საბუთები უშოვა პრინცესას და შეყვარებულებმა ჩიკაგოს თვითმფრინავში ამოჰყვეს თავი. საჰაერო ლაინერი შუა გზაში იყო, როცა მარიამის გაპარვის ამბავი შეიხის ყურს მისწვდა. როგორ, აღმოსავლეთის მზე მომტაცა ვიღაც ცინგლიანმა ამერიკელმაო და დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას. შეიხმა ამერიკას მოსთხოვა, დამიბრუნეთ ჩემი ქალიშვილიო. ჩიკაგოს აეროპორტში იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური დახვდა შეყვარებულებს. ყველასათვის მოულოდნელად, პრინცესამ პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. მას ნება დართეს, საკითხის გარკვევამდე დარჩენილიყო ამერიკაში. ახალგაზრდები ლას-ვეგასში სასწრაფოდ დაქორწინდნენ და ადვოკატიც დაიქირავეს და იმ მოტივით, რომ მარიამი უკვე ამერიკის მოქალაქის მეუღლე იყო, მოითხოვეს მისთვის მიეცათ აშშ-ში ცხოვრების უფლების საბუთი. ვაშინგტონში ბაჰრეინის საელჩომ იმდენი ქნა, რომ უარი უთხრეს მარიამს. ასევე უარით გამოისტუმრეს სასამართლოდან, რომელსაც ჯონსონმა მიმართა.

მოსამართლე იგნასიო ფერნანდესმა არად ჩააგდო ცოლ-ქმრის ვედრება და დაადგინა, რომ იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურს უფლება აქვს, მოსთხოვოს პრინცესას პასუხი აშშ-ის საზღვრის არალეგალურად გადალახვისთვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეუძლიათ მისი ქვეყნიდან გაძევება მიუხედავად იმისა, რომ მარიამის მეუღლე ამერიკელია. როგორც ჩანს, სასამართლოს გადაწყვეტილებით პრინცესას სამშობლოში დააბრუნებენ. ამერიკის კანონების თანახმად, მარიამს შეუძლია გააპროტესტოს განაჩენი და შუამდგომლობით მიმართოს ზემდგომ ორგანოებს ერთი წლის განმავლობაში.

მარიამი ერიდება პოლიტიკური თავშესაფრის კვლავ მოთხოვნას, რადგან ამან შესაძლოა გამოიწვიოს ორ სახელმწიფოს შორის დაძაბულობა. პრინცესას სამშობლოში მძიმე სასჯელი ელოდება, ციხე ან უარესი, რადგან უცხო სარწმუნოების კაცს გაჰყვა ცოლად. მუსლიმან ქალებს ეკრძალებათ ამგვარი საქციელი, მამაკაცებს კი — არა...

სხვათა შორის, კაპრალი დასაჯა მისმა უფროსობამ ყალბი საბუთების დამზადებისთვის და ჯარისკაცად ჩამოაქვეითა. ამჟამად ცოლ-ქმარი ცხოვრობს სამხედრო ბაზაში სან-დიეგოს მახლობლად.

ბაჰრეინის საელჩო იფიცება, — მარიამს ოჯახმა აპატია, ენატრება და მზად არის, გულში ჩაიკრას „ასული შეცდომილიო".

ჯეისონს გაგონება არ უნდა ცოლის სამშობლოში იძულებით წაყვანის თაობაზე. უთუოდ მოკლავენ, შეიხის ოჯახი ამ სირცხვილს მხოლოდ სისხლით ჩამოიბანსო, — ამბობს იგი. არავინ იცის, რა ელოდებათ ახალგაზრდებს. ის კი ფაქტია, რომ ჰოლივუდმა უკვე შეისყიდა უფლება მათ რომანზე ფილმის გადასაღებად.

***ეხო პლანეტი №31***

## ირმებზე მონადირენი



ამერიკის ქალაქ ატლანტის მახლობლად ირემი მომრავლდა. ქალაქისთავმა მცხოვრებლებს მშვილდ-ისრით მათი დახოცვის ნება მისცა. მშვილდ-ისარს ამ მიზნით უკვე იყენებენ პენსილვანიისა და ვირჯინიის შტატებში. ახლა ჯორჯიის შტატშიც გამოჩნდებიან პროფესიონალი მოისარნი.

„მწვანეები" შეეცადნენ, ირმების დახოცვას წინ აღდგომოდნენ, მაგრამ ბუნების დაცვის კომიტეტმა განაცხადა, — ნამატის ამ გზით გამოხშირვა უფრო ჰუმანურია, ისინი შიმშილით მაინც დაიხოცებიანო.

***პრიროდა №32***

# მცენარეთა „საიდუმლოებანი"

1966 წლის 2 თებერვლის ერთ მშვენიერ დილას ამერიკელმა კლივ ბაქსტერმა ისე, ცნობისმოყვარეობის გამო, ყვავილების ფოთლებზე ჩამოკიდა სიცრუის დეტექტორის ელექტროდი, რომ სცოდნოდა, რა მოჰყვებოდა ამ უწყინარ ხუმრობას, ცხრაჯერ გაზომავდა და ერთხელ გასჭრიდა. შემთხვევამ მთლიანად შეცვალა მისი ცხოვრება.

ბაქსტერი ცსს-სა და გფბ-ში მუშაობდა იმ აპარატურაზე, რომელიც ადამიანის კანის საფარის ელექტროპოტენციალს აფიქსირებდა. მათი საშუალებით განსაზღვრავდნენ, ღელავდა თუ არა ადამიანი. თუ ღელავდა, ე. ი. ცრუობდა.

იმ დღეს ბაქსტერმა თავის დეკორატიულ ბუჩქს წყალი დაუსხა და გადაწყვიტა, გაეგო, რამდენ ხანში ავიდოდა წყალი ფესვებიდან ფოთლებამდე. მოულოდნელად ჩამწერმა აპარატმა დაიწყო მისთვის ძალიან, ძალიან ნაცნობი ხაზების გამოყვანა. რამდენჯერ უნახავს ბაქსტერს დაკითხვების დროს ეს „სიხარულის ფორმულა". საოცარია, ნუთუ მცენარემ წყლით გაიხარა, როგორ შეუძლია მას გახარება? იმ დღიდან ბაქსტერი მცენარეებითა და ცდებით დაავადდა. მის მიერ 1968 წელს გამოცემულმა წიგნმა „მცენარეთა აღქმის უნარის დამადასტურებელი ფაქტები" დასაბამი მისცა „მცენარეთა ბუმს".

მალე უცნაური აღმოჩენის ავტორი ცრუმეცნიერად გამოაცხადეს. საერთო აზრი ამგვარი იყო: „მთელ მცენარეულ სამყაროში არ არსებობს თუნდაც ისეთი ანატომიური სტრუქტურა, როგორიც აქვს, მაგალითად, მატლს, თავისი ნერვული სისტემით. ამიტომ, ბაქსტერის აზრი მცდარია. ბაქსტერი ჯერ სასამართლოებში ატარეს, შემდეგ საერთოდ გადაივიწყეს.

მაგრამ ამას სხვა ფაქტებიც მოჰყვა:

ამერიკელი ქიმიკოსები დევიდ რუდესი და გორდონ ორიანსი სიეტლის ტყეებს აკვირდებოდნენ. მათ შეამჩნიეს, რომ ათ წელიწადში ერთხელ არყისა და ტირიფის ხეებს ძლიერ აზიანებდნენ მწერები. ისინი ჯერ ფოთლებს შთანთქავდნენ, რამდენიმე ხანში კი თავად იხოცებოდნენ.

ლაბორატორიული გამოკვლევებით დადგინდა, რომ თავისი მტრებისაგან თავის დასაცავად მცენარე ფოთლებში არსებულ პროტეინის შემადგენლობას იცვლიდა, მწერებიც იხოცებოდნენ სწორედ ამის გამო.

უფრო მეტიც, პროტეინის შემცველობა ეცვლებოდათ მოშორებით მდგარ ჯერ კიდევ ჯანსაღ ხეებს. ისინი წინასწარ ემზადებოდნენ მტერთან შესახვედრად, როგორღაც გრძნობდნენ მოახლოებულ საფრთხეს, მაგრამ როგორ? აღმოჩნდა, რომ ხეების საკომუნიკაციო ენა — სუნია. მწერებისაგან შეწუხებული ხეები გამოყოფენ ეთილენს. ქარს გადააქვს ეთილენის სუნი მეზობელ ხეებზე, რაც უბედურების მაუწყებელი ნიშანია. ამ ნიშანს ხეების მზადება მოჰყვებოდა.

სამხრეთ აფრიკაში აკაციებმა შეძლეს, შეეტიათ ანტილოპა კუდუსთვის და დაემარცხებინათ ის. კუდუს ხორცი ძალიან გემრიელია. მის დაგრეხილ რქებს სიამოვნებით ყიდულობენ ტურისტები. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ადგილობრივმა ფერმერებმა ხელი მიჰყვეს კუდუს მოშენებას. ანტილოპები შემოღობილ ტერიტორიაზე ჰყავდათ ფერმერებს.

გავიდა ხანი. ცხოველები ერთიმეორის მიყოლებით იხოცებოდნენ. მხოლოდ ორი წლის შემდეგ გაირკვა ზარალის მიზეზი:

ზოოლოგმა ვოუტერ ვან ჰოვენმა შეამჩნია, რომ ჟირაფები არასოდეს ჩერდებიან დიდხანს აკაციის ერთსა და იმავე ხესთან: მოწიწკნიან ოდნავ ნეკერს და შემდეგ სხვისკენ მიიწევენ, ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით; ასევე იქცეოდნენ ანტილოპებიც.

გაირკვა, რომ თურმე აკაცია, იგრძნობს რა ცხოველების მოახლოებას და მოსალოდნელ საფრთხეს, გამოყოფს ტანინის ისეთ დიდ რაოდენობას ფოთლებში, რომ ის ცხოველების დასახოცად კმარა. შხამის გამოყოფის ნიშანი მათთვის არის ფოთლების ძლიერი რხევა.



ვოლიერში გამომწყვდეულ საცოდავ ანტილოპებს კი სულ ერთი და იმავე აკაციის ტოტებს უყრიდნენ.

მცენარეებს, თურმე, ტკივილიც აწუხებთ. ზოგიერთი მათგანის ფოთლებში შემავალ ნივთიერებებში აღმოაჩინეს პროსტაგლანდინი, რომელიც გამოიყოფა ადამიანებსა და ცხოველების ორგანიზმში ტკივილების დროს. ზოგიერთი მცენარე კი ავადმყოფობის ან მათი დაზიანების დროს გამოყოფს ტკივილგამაყუჩებელ ასპირინს.

ასე რომ, მცენარეები უფრო მგრძნობიარენი არიან, ვიდრე აქამდე ეგონათ.

პირველყოფილ ადამიანებს შორის ყოველთვის იყვნენ ისეთები, რომელთაც მცენარეებთან ურთიერთობის დამყარება შეეძლოთ. მათ იცოდნენ მათი საიდუმლო ენა. ასეთი რამ მართლაც შესაძლებელია.

ინდუსებს სჯერათ, რომ ქოქოსის პალმა შეწყვეტს ნაყოფის მოცემას, თუ ხეს სცემენ.

გერმანიაში თვლიან, რომ თუ მებაღე პომიდვრის ჩითილებს მოეფერება, დაელაპარაკება, ისინი გახალისდებიან, „სითბოს მუხტს" მიიღებენ და უფრო მეტ და გემრიელ ნაყოფს გამოიღებენ.

P. S. ჩვენში იციან: თუ ვაშლის ხე გაჯიუტდება და ნაყოფს არ გამოიღებს, ის უნდა შეაშინო, მოგჭრი ცულითო და ისიც მომდევნო წელს ნებას დაჰყვება.

***ოგონიოკი №26***



**თარაზულად**: 5. ოფიცერი, სკაფარნდი; 6. მეტრო, მთა; 9. ფეხი, ხელთათმანი; 11. ჟიზელი, ჩაიკოვსკი; 12. სახლი, იარუსი; 15. მუსიკა, ელეგია; 18. ნარიმანი, კუკუშა; 19. კატლეტი, მაკარონი; 20. ჯარი, გამოფენა; 21. ბავშვი, სპორტი; 25. ოქრო, ვერცხლი; 26. ნაწილაკი, ელექტრონი; 27. ომი, ცეცხლი; 31. პანაშვიდი, მანქანა; 33. ჭიშკარი, ბორკილი; 34. სიმინდი, არსენალი; 35. ადვოკატი, პაციენტი; 36. მოდელი, სცენა.

**შვეულად:** 1. თოვლი, გუფთა; 2. ხანძარი, გონგი; 3. მწნილი, სალათი; 4. სოკო, თარო; 7. შუბლი, ულვაში; 8. მწერალი, ინკოგნიტო; 10. ზაფხული, ზღვა; 13. ოპერა, ვარსკვლავი; 14. კვაჭი, ოსტაპი; 16. ზაფხული, ჩექმა; 17. ზღაპარი, გველი; 22. დენი, ნათურა; 23. ლექსი, სტრიქონი; 24. ლოცვა, მიტინგი; 28. ღვთისმშობელი, ესტრადა; 29. ბგერა, ალიანსი; 30. ზღვა, დარი; 32. ფეხბურთი, გეიმი.

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად**: 2. გოლიათი; 6. კონკა, 7. რანჩო; 9. ლექტორი; 10. ონიანი; 11. სტადია; 12. გედია; 16. მისია; 19. კომიქსი; 20. საგურამო; 21. პარაზიტი; 23. არარატი; 24. ილიკო; 27. აპისი; 32. ლირიკა; 33. ესკიმო; 34. რიჩარდი; 35. ასტრა; 36. შარჟი; 37. ორქიდეა.

**შვეულად**: 1. ანგარი; 2. გალია; 3. ინტერვიუ; 4. ირისი; 5. ანფასი; 6. კანოე; 8. ოდიში; 12. გობსეკი; 13. დურგალი; 14. კოშმარი; 15. ასფალტი; 17. სოლისტი; 18. არბიტრი; 22. ერმიტაჟი; 25. ლაიკა; 26. კვირტი; 28. პოკერი; 29. სიმდი; 30. მარაო; 31. გეიშა.

## №33 (202) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგში 557-მა მკითხველმა მიიღო მონაწილეობა. 2 ბარათი არასწორად იყო შევსებული. დარჩენილი 555-დან (ამბობენ, ბედნიერი რიცხვიაო და შეგნებულად დავაფიქსირეთ) მამაკაცები ორჯერ აღემატებიან ქალებს. კითხვას — **„რა არის საუკეთესო გასართობი ბავშვებისათვის“** — უპასუხა 387-მა მამაკაცმა და 168 ქალმა.

მკითხველთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ დღევანდელობა, ანუ განვითარებული ტექნიკა ბავშვებშიც მყარად დამკვიდრდა, ამდენად, კომპიუტერული თამაშები ყველაზე მაღალი საშუალო ქულით პირველ ადგილზეა. მას მკითხველთა 38-მა მიანიჭა მაქსიმალური — 8 ქულა.

ჩვენში ადრიდანვე სახელმოხვეჭილ გასართობს — მოძრავ, ხალისიან ატრაქციონებს მკითხველმა მეორე ადგილი მიაკუთვნა...

ეჭვს არ იწვევდა, რომ ყველა ბავშვისთვის საყვარელი მულტფილმი საპრიზო ადგილის გარეშე არ დარჩებოდა, მართლაც ყველაზე ნაკლები მინიმალური შეფასებით იგი მესამე ადგილზე დამკვიდრდა...

რაც შეეხება წინა თაობის „საუკეთესო მეგობარს“ — წიგნს, ჩვენდა სამწუხაროდ (და რატომღაც აღარც გაგვკვირვებია), მკითხველმა მხოლოდ მეშვიდე ადგილი მიაკუთვნა და 48-მა მას მინიმალური ქულაც დაუწერა...

მადლობა ღმერთს, რომ მკითხველის აზრით, სერიალებს ბავშვების ცხოვრებაში ბოლო ადგილი უჭირავს...




საპრიზოს ზუსტად დაემთხვა 67 წლის სოხუმელი ქალბატონის — **ვალენტინა პოდტიკანის** მიერ შევსებული ბარათი-რეიტინგი, რაც განსაკუთრებით გვიხარია... ვულოცავთ ქალბატონ ვალენტინას და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 22 აგვისტოს, 17 საათზე.

## №34 (203) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№34 (203) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 23 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 24 აგვისტოს 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №34 (203) — **დასვენება**

**შესაძლებლობის შემთხვევაში სად წახვიდოდით დასასვენებლად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№34(203) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | **ანტალია** | |
| 2 | **ქობულეთი-ბათუმი** | |
| 3 | **კვიპროსი** | |
| 4 | **კანარის კუნძულები** | |
| 5 | **კუბა** | |
| 6 | **ბულგარეთი — ოქროს ქვიშები** | |
| 7 | **ურეკი** | |
| 8 | **სოჭი** | |

**დამატებითი კითხვა**

**თქვენი აზრით, საგადასახადო ინსპექციის ახალი (გამოცდა-ჩაბარებული) მოხელეები იზრუნებენ:**

| ბიუჯეტზე | ბიუჯეტზე და საკუთარ ჯიბეზე | საკუთარ ჯიბეზე და ბიუჯეტზე | საკუთარ ჯიბეზე |
|---|---|---|---|
| | | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## დამატებითი კითხვის შედეგები

დამატებითი კითხვა ასეთი იყო: **„ბოლო 2 წლის განმავლობაში როგორ შეიცვალა თქვენი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა?“**

544 მკითხველიდან ზუსტად ნახევარი აღნიშნავს, რომ მათი ცხოვრება „გაუარესდა“.

შედეგები ასე გამოიყურება: 50 — გაუარესდა, 7 — გაუმჯობესდა, 43 — არ შეცვლილა.




## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



კახა თარგამაძე, მიხეილ მაჭავარიანი და ვახტანგ ქუთათელაძე

წინა ფოტოპალიტრის გაგრძელება

**ვ.პ. ე.შ.**-ს! — Кто этот парень, который нас фотографирует?

**ე.შ.** — Это Абдаладзе!

**ვ.პ.** — Значит в палитру пападем, Эдуард Амбросевич?!

**ე.შ.** — Да только ты после меня.

***ზაზა კომლაძე, თბილისი***

**ვ.პ.** (ფიქრობს) — რას მიყურებ, ამბროსევიჩ, დურბინდით, მაინც არ მოგიხსნი არც ერთ პრობლემას. პირიქით, მოგისევ პანტელეიმონებს, ვახტანგებს, ვალერებს და გიშველოს მერე ნატომ, მაშ!

***თამაზ დუნდუა, თბილისი***

**ვ.პ.** — კავკასიონის მთების გადაღმა აღარაფერი მოჩანს.

მცირე პაუზის შემდეგ:

— ხომ არ გადაგვესწორებინა...

***გურამ რამაული, თბილისი***

**ვ.პ.** — თვითმფრინავები ჩვენებია,
ტანკები ჩვენებია,
დახოცილები ჩვენებია,
ჩეჩნები სად არიან?

***ლადო იაკობაშვილი, თბილისი***

**ვ.პ.** — ჩორტ ვაზმი! ეტო ჟე შევარდნაძე იზ პროშლოვა ნომერა, ი ონ ტოჟე ვიდიტ მენია.

***ბექა გიუნაშვილი***



ვლადიმირ პუტინი

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 129 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

ქართველებთან დროსტარება,
პუტინს ხუმრობა ჰგონია,
პახმელიაზე გამოდის,
დურბინდი ყანწი ჰგონია.

***მირზა, თბილისი***

**ვ.პ.** — მე და ამბროსევიჩს ქვეყანა რომ თავზე გვენგრევა, ისედაც კარგად ჩანს. რად უნდა მაგას ბინოკლი.

***გელა გელაძე, თბილისი***

**ვ.პ.** — სა... ქარ... თვე... ლო... ბუნდოვნად მახსოვს.

***გურამ რეხვიაშვილი, „მარკშეიდერი“, თბილისი***

**ვ.პ.** (ფიქრობს) — მართალი ყოფილა! საქართველოში რუსების გასაკეთებელ საქმეს ადგილობრივი მოქალაქეთა კავშირი აკეთებს.

***გია წურწუმია, თბილისი***

**ვ.პ.** — მთელი წელია ვაკვირდები და ვერაფერი გავუგე, იქნებ დამიზუსტო, რა ქვეყანას აშენებს შევარდნაძე?

— თვალთმაქცების ქვეყანას, ბატონო პრეზიდენტო! ერთნი თვალთმაქცობენ და იტყუებიან, მეორენი თვალთმაქცობენ და იჯერებენ — სხაპასხუპით პასუხობს აქაური იგორ ივანოვი.

***რევაზ რაზმაძე, თბილისი***

**ვ.პ.** — ედუარდის ნაჩუქარი დურბინდით გავხედე: რუსეთი პატარა გამოჩნდა. შევაბრუნე, საქართველოს გავხედე — დიდია, კინაღამ გავგიჟდი!

**უცნობი** — სულ მისი ოინებია, ლინზები უკუღმა ჩაულაგებია.

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

პუტინი ექსკურსიაზეა მცხეთაში. ჯვრის გადმოსახედიდან იყურება და აღტაცებას ვერ მალავს: „Хороший наблюдательный пункт!“

***ნანა ახალკაციშვილი, თბილისი***

**ვ.პ.**-მა დაინახა ჭოგრიტიანი **ე.შ.** „Вот лиса, а! Якобы на запад смотрит, на самом деле - на север! А может на восток, или юг? Ах, белая лиса, совсем меня запутал...“

***ბადრი, თბილისი***

## ფოტო განწყობისათვის



— რა მინდოდა ამ საქართველოში, ასე აფრიკაშიც არ ცხელოდა...

**მაგნიტური დღეები**
30/VIII $21^{00}$–$23^{00}$ სთ-მდე
3/IX $22^{00}$–$24^{00}$ სთ-მდე
29/VIII ახალი მთვარე

## წინა სკანვორდის პასუხები








## წამალი „სალხინო“ — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო“**


„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).
**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლე[illegible] თბ[illegible]ლისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტ[illegible] ჯ.პოლ[illegible]ენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალო[illegible] პაზ[illegible] შე[illegible]ვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; [illegible] (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრი[illegible] ერსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით [illegible] და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენ[illegible] გამზ. უსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამ[illegible] აჩერებასთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მიღ[illegible] ვერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - ჭ[illegible] ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველ[illegible]; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთ[illegible] ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და [illegible]:*** *[illegible]ცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუთ[illegible]ტუზო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, [illegible], ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სიღ[illegible]ლი, ლაგოდეხი, თელავი; ბორჯომი, ახალციხე; დუშეთი, ჟინვალი;* ***[illegible]ტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.*** *ბო[illegible] ახმეტაში* ***ყუთები დაიცლება ყოველი თვის I და III კვირას, ოთხშაბათ[illegible] 1[illegible]-ნ.***

**ყურადღე[illegible]: [illegible]ვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპო[illegible]) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია [illegible].©**

**(34) უ[illegible]ო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ___________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№34 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 24 აგვისტოს (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.

## იცით თუ არა, რომ...

...თხუნელას თურმე დღე-ღამეში 20 საათი სძინავს;

...„ხაშ მატი“ სპარსულიდან თარგმანში ნიშნავს „მეფე მკვდარია“;

...რამდენიმე ხნის წინ სამხრეთ აფრიკაში 2 ოფიციალური სალაპარაკო ენა იყო. დღეისათვის უკვე 11-ია;

...როცა ევროპელებმა პირველად ნახეს ჟირაფი, გადაწყვიტეს, რომ მათ წინაშე იყო აქლემისა და ლეოპარდის ჰიბრიდი;

...ჯინსი გამოიგონა ლევი სტრაუსმა 1850 წელს;

...თუ ადამიანის ყველა სისხლძარღვის სიგრძეს შევკრებთ გამოგვივა 96.000 კილომეტრი.



პატარა მიხო მამასთან ერთად ზოოპარკში მივიდა. გალიასთან, რომელშიც უზარმაზარი ვეფხვია, მამა უყვება მიხოს, როგორი საშიში და დაუნდობელი ცხოველია ვეფხვი.

მიხომ ისმინა, ისმინა და შეშინებულმა იკითხა:

— მამი, ეს ვეფხვი, რომ გამოხტეს გალიიდან და შეგჭამოს, რა ნომერი ავტობუსით უნდა დავბრუნდე შინ???



უკვე დიდი ხანია, რაც ალენ დელონი აღარ მონაწილეობს ფილმებში. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მსახიობის აზრით, მისი ნიჭი მხოლოდ ლიუკ ბესონისა და სტივენ სპილბერგის ყურადღების ღირსია. „შესაძლოა, — ბრძანა დელონმა, — მე დავთანხმდე მათ წინადადებას, თუ ისინი მთელი გულით მთხოვენ“. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი არ ფიქრობს დელონის მიწვევას.


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი. სარედაქციო კოლეგია.**

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.